

გეოგრაფიკა

VII

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XX

გეორგიკა ტ. VII

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных
Источников о Грузии

Институт
Востоковедения

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

ГЕОРГИКА

СВЕДЕНИЯ ВИЗАНТИЙСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ VII

Греческие тексты с грузинским переводом издал и примечаниями снабдил
С. Г. Каучишвили

GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VII

Textum graecum cum versione iberica edidit commentarisque instruxit
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ – 1967

SUMPTIBUS „MECNIEREBA“
TBILISIIS, MCMLXVII

გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მეშვიდე

ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო

სიმონ ყაუხჩიშვილმა

შინაარსი

VII ტომისა

წინასიტყვაობა	VII
კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერები	1
მინაწერები X – XIII საუკუნეებისა 1. – კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის 11. – დამა- ტება 16.	
იოანე ცეცე	17
იოანეს ბიოგრაფია 17. – იბერები, აბაზგები და ალანები ერთი ტომისა არიან 23. – მასაგეტები არიან აბაზგები 25. – ხალიბები 27. – ქალაქი ალიბე 27. – ამორძალები და სავრომატები 27. – დედოფალი კირკე ოდისევსის მეუღლეა 29. – იასონი და პელიასი 29. – იბერიის ქსოვილები 31. – კოლხეთის ქალაქი კვტაია 32. – ოქროს საწმისი 33. – იასონი უკან იბრუნებს ოქროს საწმისს 34. – მედემ თავის მამას სამეფო ტახტი კვლავ მოაპოვებინა 35. – კოლ- ხური დრაკონი 35. – მედეა აქილევსის მეუღლეა 35. – არგონავტე- ბის ლაშქრობა 36. – კოლხები ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებული 36. – კოლხების ქალაქი პოლები 37. – აია კოლხეთის ქალაქია 37. – ხალიბები – სკვითური ტომია 37. – კოლხები – ლაზური ტო- მია 37. – კოლხეთის ქალაქი კვტაია 38. – კოლხების ქალაქი პო- ლები 38.	
გიორგი აკროპოლიტე	40
შრომის სათაური 41. – ისტორიის მიზანი და დანიშნულება 41. – დავითი ტრაპიზონის მზრძანებლის ალეგსის ძმა 43. – სიაოში 46.	
გიორგი პახიმერე	48
გიორგი პახიმერეს ავტოგრაფიიდან 49. – საქართველოს მეფე დავით VII 52. – კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე, წარმო- შობით ლაზი 58. – მონღოლების შემოსევა შავი ზღვის სანაპი- როებზე 65. – ლაზთა არქონტი იოანე 67. – ლაზთა მთავრის იოანე II კომნენოსის გარდაცვალება 79. – ტრაპიზონის მეფე ალექსი II 81.	
ეფრემის ქრონიკა	89
კეისარი ბასილი II აბაზგების წინააღმდეგ 90. – თურქების შეჭრა ბიზანტიაში კავკასიის გზით კონსტანტინე IX მონომახოსის დროს 91. – მიხეილ VII პარაპინაკი. მისი ცოლი მარიამ მართა-ყოფილი 91. – კონსტანტინე გაბრა 93. – ხალდიის მმართველი ალტუხი 94. – იბერიელები ბიზანტიის ჯარში 94.	

ნიკიფორე ქსანთოპულოსი	97
ბიოგრაფიული ცნობები 97. – იბერთა მოქცევა 100. – ევგენი პონტოელი 106. – ნიკიფორე ქსანთოპულოსის ცნობები ევგერი პონტოელის შესახებ 107. – ანდრია მოციქული საქართველოში 115. – აბაზგების გაქრისტიანება 117.	
ნიკიფორე გრიგორასი	119
ბიოგრაფიული ცნობები 119. – კოლხიდის მპყრობელი ალექსი კომნენოსი 123. – სკვითები 124. – სკვითების ლაშქრობანი. ჯიქები, აბაზგები 129. – სკვითების ლაშქრობა კოლხიდაში და იბერიაში 131. – კოლხეთი – მართლმადიდებელი ქვეყანაა 133. – კოლხთა და ლაზთა ქვეყანა 134. – პომპეუსის ლაშქრობა კავკასიაში 135. – იოანე ლაზის გარდაცვალება 136. – ეგვიპტელი ჯამბაზები იბერიასა და კოლხეთში 142. – ტრაპიზონის მეფე ბასილი 142. – დედოფალი ირინე და ანახუტლუ 143. – ტრაპიზონის მეფე ბასილი 147.	
მიქელ პანარეტოსი	161
ბიოგრაფიული ცნობები 161. – ალექსის მეფობა 165. – ანდრონიკეს მეფობა 166. – იოანე აქსუხოსის მეფობა 167. – მანუილის მეფობა 167. – ანდრონიკეს მეფობა 168. – იოანეს მეფობა 169. – ალექსის მეფობა 172. – ტრაპიზონის „ქრონიკის“ დანარჩენი ცნობები 173 – 224.	
დამატება: ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი	1– 69

წინასიტყვაობა

„გეორგიკის“ VII ტომში, ძირითადად, მოთავსებულია XII – XIV საუკუნეთა ბიზანტიურ-ბერძნული მასალები საქართველოს შესახებ. იმ ბიზანტიელ მწერალთა შორის, რომელთაც ეკუთვნის ეს მასალები, პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ისტორიკოსები გიორგი პახიმერე, ნიკიფორე გრიგორასი და მიქელ პანარეტოსი. პირველი ორი მწერლის „ისტორიები“, სხვა ცნობებს შორის, შეიცავენ მდიდარ მასალას ტრაპიზონის სამეფოს ცხოვრების შესახებ, ხოლო მესამე ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ მთლიანად ტრაპიზონის სამეფოს ისტორიას წარმოადგენს, ამ სამეფოს დაარსებიდან მისი არსებობის ბოლო წლებამდე. თუ მიქელ პანარეტოსი, რომლის მოღვაწეობა უმთავრესად იოანე-ალექსი III-ის მეფობას (1350 – 1390 წ. წ.) ხვდება, უთუოდ ჩანს ტრაპიზონში არსებული ქართული ორიენტაციის დასის წარმომადგენლად, ამის თქმა არ შეიძლება გიორგი პახიმერეზე და ნიკიფორე გრიგორასზე (ბიზანტიის კარის ისტორიკოსებზე), რომელთა ბიზანტიური ორიენტაცია არავითარ ეჭვებს არ იწვევს. როგორც ბიზანტიის კეისრები არ სცნობდნენ მეფეებად ტრაპიზონის მეფეებს და მათ მთავრებს (ἀρχαν ἀρχηγός) უწოდებდნენ, ისე გიორგი პახიმერესთვის და ნიკიფორე გრიგორასისთვის ტრაპიზონელი მეფეები მხოლოდ მთავრები არიან (τῶ τῶν Λαζῶν ἀρχοντι გვ. 67, ὁ τῶν Λαζῶν ἀρχηγός გვ. 79, ὁ τῆς Τραπεζίσουτος τῆν ἔξιουσῶν διεζωσμένιος „ტრაპეზუნტის მპყრობელი“ გვ. 143), იმ დროს როდესაც მიქელ პანარეტოსი მათ ყოველთვის XXX-ის ტიტულით იხსენიებს. მიქელ პანარეტოსი ტრაპიზონის მმართველის მიმართ ყოველთვის ამბობს ἐβασίλευσεν (გვ. 166), ნიკიფორე გრიგორასი კი ამბობს: XXX („იმთავრა“, გვ. 142). ნიკიფორე გრიგორასი, მსგავსად მიხეილ VIII პალეოლოგოსისა გულისწყრომით ამბობს ტრაპიზონის მმართველებზე: «ძალიან გათამამებული იყვნენ თავიანთი ადგილების სიმტკიცით და მიითვისეს ძალაუფლება, დღემდე ფლობენ მას და თავიანთ შვილებსა და შვილთა-შვილებს გადასცეს იგი, ვითარცა რაღაც მასისეული მემკვიდრეობა» (გვ. 24).

მიუხედავად ამისა სამივე ზემოხსენებული ისტორიკოსი ერთნაირად ასახავს ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებს, ისინი ერთნაირის ზედმიწევნილობით გვიამბობენ ფაქტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამივე ისტორიკოსის განკარგულებაში იყო პირველწყაროები, რომელთა მიხედვით ფაქტიურ მასალას გადმოგვცემენ, ხოლო ამ მასალას თავისი (პროქართული თუ პრობიზანტიური) ორიენტაციის მიხედვით აშუქებენ. და, ამრიგად, ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის შესასწავლად სანდო დასაყრდენს ქმნიან.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის მასალაზე, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის გაშუქება. მაგრამ წინამდებარე VII ტომში ბევრი სხვა საყურადღებო მასალაც არის (იოანე ცეცე, ნიკიფორე ქსანთოპუპულოსი და სხვ.).

*
* *

დამატების სახით დავურთეთ ჩვენ „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“ დასაწყისი ნაწილი. მართალია, „გეორგიკას“ ჰქვია „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ხოლო ჩვენს „ლექსიკონში“ ამის მსგავსი არაფერია, მაგრამ რამდენადაც ეს „ლექსიკონი“ ასახავს ბიზანტია-საქართველოს ენობრივი (და, ვიტყვოდი, ლიტერატურული) პარალელების შესასწავლად საჭირო მასალას, ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ ადგილი დაგვეთმო „გეორგიკაში“ ამ მასალისათვის და მოგვეთავსებინა, როგორც ნ ი მ უ შ ი, „ლექსიკონის“ ერთი ნაწილი (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ, „ლექსიკონის“ შესავალ ნარკვევში).

სიმ. ყაუხჩიშვილი

თბილისი
1967 წლის დეკემბერი

კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერები

(X – XIII საუკ.)

კორიდეთის ოთხთავი ეწოდება ბერძნული სახარების იმ ნუსხას, რომელიც IX საუკუნით თარიღდება და გადაწერილია საქართველოში ქართველი კალიგრაფის მიერ. უკვე X საუკუნეში, კეისარ ნიკიფორე ფოკას მეფობაში (963 – 969 წ. წ.), ეს ხელნაწერი დაცული იყო სოფელ კორიდეთში, რომელიც მდებარეობდა ჭოროხის შესართავის, მდინარე მურღულის მარჯვენა ნაპირას. კორიდეთში ეს ხელნაწერი XV საუკუნემდე იყო, ხოლო შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ის წადებულ იქმნა სვანეთში, კალაში, კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესიაში.

1869 წელს ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა ეს ბერძნული ხელნაწერი ჩამოართვა სვანებს და წაიღო პეტერბურგში: აქ გაიცნო ეს ხელნაწერი აკად. მ. ბროსემ, რომელმაც უძღვნა მას გამოკვლევა: *Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporte du Souaneth-Libre et appartenant au comte Panin (Mélanges Asiatiques, t.VI, octobre 1870, 269 – 286)*. გაბრიელ ეპისკოპოსისა და ლევან დადემქელიანის შუამდგომლობით ხელნაწერი საქართველოში იქნა დაბრუნებული და გადაეცა გელათის მონასტერს, სადაც ის ინახებოდა 1901 წლამდე, ხოლო ამ წელს ის გადმოიგზავნა თბილისში და საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში შევიდა. ამჟამად იგი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია: A – 993.

კორიდეთის ბერძნული ოთხთავი იმთავითვე იქნა შეფასებული (ჯერ კიდევ მ. ბროსეს მიერ ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევაში) როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა ოთხთავის ტექსტის დასადგენად. ამით იყო გამოწვეული, რომ გადაწყდა კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ტექსტის დაბეჭდვა და 1907 წელს კიდევ გამოიცა ფოტოტიპურად მარკოზ მახარებლის თავი (*Материалы по археологии Кавказа, вып. XI, под редакцией графини Уваровой*).

კორიდეთის ოთხთავის ხელნაწერის აშეიბზე (ხოგჯერ შიგ ტექსტშიც) მოიპოვება მინაწერები, როგორც ბერძნულ ისე ქართულ ენაზე. ეს მინაწერები თარიღდება X – XIII საუკუნეებით და შუქს ჰვენენ საქართველოს ისტორიის რიგ საკითხებს.

ხელნაწერის ქართული მინაწერები შესწავლილი და გამოცემული აქვთ მ. ბროსეს, მ. ჯანაშვილს და აკად. ნ. მარს:

1) მ. ბროსე, იხ. ზემოთ დასახელებული ნარკვევი Note sur un manuscrit...

2) М. Джанашили, Описание рукописей церковного музея духовенства грузинской епархии, книга III. Тифлис 1908б стр. 233 – 250.

3) Н. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии: ИАН 1911, стр. 211– 240.

ხელნაწერის ბერძნული მინაწერები გამოკვლეულია შემდეგ შრომებში:

1) ბროსეს ზემოთ დასახელებულ შრომაში მოჰყავს მხოლოდ სამი ბერძნული მინაწერი და ორი სხვა მინაწერის შინაარსს გადმოგვცემს,

2) B e e r m a n n und G r e g o r y , Die Koridethi-Evangeliien 038. Leipzig 1913, mit 12 Tafeln u. 2 Karten.

3) Г. Ф. Ц е р е т е л и (чл. корр. АН СССР), Коридетскаа рукопись и ее греческие приписки. Тбилиси 1937. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. 73 გვ. და პალეოგრაფიული ტაბულები.

პროფ. გრიგოლ წერეთელმა ზედმიწევნით შეისწავლა კორიდეთის ოთხთავი, ხოლო მის ბერძნულ მინაწერებში ამოიკითხა ბევრი ახალი ცნობა იმის მეშვეობით, რომ წინამორბედთა მიერ გაშიფრულ მინაწერთა ტექსტებში მთელი რიგი გაუმჯობესება და კონიექტურა შეიტანა.

ასეთ ახალ წანაკითხებს და კონიექტურებს წარმოადგენენ, მაგალითად:

1) II მინაწერში საკუთარი სახელის Κυριόv-ის ამოკითხვა. ნაცვლად κυριον -ისა (სიტყვისაგან κήρυξ), როგორც სხვები ფიქრობდნენ.

2) II მინაწერში სიტყვისათვის ἄκνοვ ახალი მნიშვნელობის („მგზავრი“, „მოგზაური“) დადგენა.

3) IV მინაწერში კაცის სახელის Σαδισυ-ს ამოშიფრვა ნაცვლად გრეგორის მიერ მოწოდებული ἄδαναι-სა.

4) VI მინაწერში გარკვეულია მნიშვნელობა სიტყვის *σίγῃ*.

5) VI მინაწერში კაცის სახელის ბ უ დ უ-ს ამოკითხვა (და არა გეოგრაფიული სახელისა, როგორც წინათ ფიქრობდნენ).

6) გამორკვევა იმისა, რომ VIII მინაწერში მოხსენებელი *Κουρ-κένις* არის გ უ რ გ ე ნ კ ლ ა რ ჯ ი.

7) V მინაწერში სხვების მიერ ამოკითხული უაზრო წინადადება *οὐκ ἔχει ἐξ ἀλλοτῶν* გაიმართა ნათელ წინადადებად: *οὐκ ἔχει ἐξ οὐσίων ἀλλάσειν*.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ კორიდეთის ოთხთავის ბერძნულ მინაწერებს პროფ. გრიგოლ წერეთლის გამოცემის მიხედვით. ზოგაგან ვურთავთ ჩვენ საკუთარ შენიშვნებს ტექსტის გაგებისათვის.

I

*Ἡμεῖς¹ οἱ ἀπαρτῶσι² καὶ θεο-
γμένοι, ἡγούμενοι τῆς ὑπεραγίας³
θεοτόκου τοῦ Κοριδέσιου πρεσ-
βύτερος Μιχαήλ, ὁ ἀδελφός μου
Στέφανος καὶ υἱὸς αὐτοῦ⁴.*

ჩვენ, ცოდვილნი და დევნილ-
ნი წინამძღვარი კორიდეთის
ზეწმინდა ღვთისმშობლის [მონა-
სტრისა] ხუცესი მიხელი, ჩემი
ძმა სტეფანე და მისი ვაჟი,

II⁴

*Ἐν ὄνόματι τοῦ πατρὸς καὶ
τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος.
Ἐγὼ ἱερεὺς⁵ Γρηγόριος Ὡσλήν
(...) ἡγόρασα ἀπὸ⁶ τὸν Ἰωάν-*

სახელითა მამისათა და ძისა-
თა და სულისა წმიდისათა.

მე, ხუცესმა გრიგოლ ოლთ-
[ისელმა], ვიყიდე იოანესგან და

¹ სწერია: *εμεις* (= *ἐμεῖς* || *ἡμεῖς*). იხ. მინაწერი VII, შენ. 1.

² სიტყვა *ὑπεραγίας* ნიშნავს სიტყვა-სიტყვით „ზეწმინდა“-ს, მაგრამ ქართულ ენაში მიღებული ნომენკლატურით აქ, რასაკვირველია, უნდა ითქვას «ყოვლად წმინდა». რომ ეს მართლაც ასე ესმოდათ, ჩანს კორიდეთის სახარების ქ ა რ-თ უ ლ ი მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი დ ა ნ. ასე, მაგალითად, პირველ მინაწერში ვკითხულობთ: «დაწერილი ესე თქონ ყო ლ ა წ მ ი დ ა ს ა ლ-მშობელსა კორიდეთი-სასა...», რაც ზედმიწევნით გადმოგვცემს ბერძნულს *τῆς ὑπεραγίας θεοτόκου τοῦ Κοριδέσιου* (იხ. Н. М а р р, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии: ИАН 1911, გვ. 223).

³ გრ. წ ე რ ე თ ლ ი ს აზრით ეს მინაწერი შეიძლება X საუკუნით დათარიღდეს.

⁴ ეს მინაწერი გრ. წერეთლის მიერ XI საუკუნით არის დათარიღებული.

⁵ სწერია *ιερεὺς*, უდროს *ιερεὺς*. ახალ ხალხურ ბერძნულში შენიშნულია სიტყვა *βασιλές* (ე. ი. *βασιλεύς*).

⁶ ახალ ხალხურ ბერძნულიდან მომდინარეობს თანდებულ *ἀπὸ-ს ხმარება აკუზატივის ბრუნვასთან: ἀπὸ τὸν Ἰωάνην* „იოანესგან“.

γγη και τον Κυριακόν¹ Σηριτόπου-
λον τόπον μετόχιον² και ἔδωκα
τιμὴν ἑλοκώτινα³ βοτανάτα⁴ ὄνα
ἐμπρὸς τῶν προσγεγραμμένων μαρ-
τύρων· ἐμπρὸς προσψυτέρων τῶν

კვირიკე სერიტოპულოსგან ადგი-
ლი მეტოქი (მონასტრისა?) და
მივეცი საფასურად ორი ოქროს
ბოტანატი ზემოხსენებულ მოწ-
მეთა თანადასწრებით, თანადა-

¹ სწერია *κῆριζιον*. ამ სიტყვაში Beerman-მა დაინახა აკუზატივის ბრუნვა სიტყვისაგან *κῆρις* („მაცნე“, „მქადაგებელი“), იმ დროს როდესაც აქ გვაქვს საკუთარი სახელი *Κυριακός* („კვირიკე“, „ვიყიდე იოანესგან და კვირიკესგან“). თანაც *κῆριζιον* იქნებოდა არარსებული აკუზატივი (უნდა ყოფილიყო *κῆριζια*).

² τόπον μετόχιον – ამ გამოთქმაში μετόχιον არის ზედსართავი სახელი μετόχιος („საფერმე“, „სამეურნეო“), ტ. M. – „საფერმე ადგილი“. ძველქართულში კარგად არის ცნობილი „მეტოქი“. ეს არის „მონასტრის კუთვნილი, მაგრამ სხვაგან მდებარე დროებით სამყოფი სახლი“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, იოანე და ექვთიმეს ცხოვრებისათვის დართული ლექსიკონი, თბ. 1946; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1946, გვ. 87). „იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: «გინა შინა მონასტერსა გინა გარე მე ტ ო ქ თ ა კელრისა გასაგებელნი იყვნეს».

³ *ἑλοκώτινα βοτανάτα* «ოქროს ბოტანიატები». სიტყვა *ἑλοκώτινος* ძველს ბერძნულში არ გვხვდება. იმით აღინიშნება პაპირუსებში და ზოგიერთ ბიზანტიურ ტექსტებში «სოლიდი», «ოქროს დინარი» (იხ. Sophokles).

«ბოტანიატი» (βοτανάτα) აღნიშნავს ნიკიფორე III ბოტანიატის მეფობაში (1078 – 1081) მოჭრილ მონეტას.

ნიკიფორე ბოტანიატეს მონეტები, როგორც ჩანს, საქართველოში მიმოქცეული იყო. საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში საკმაო რაოდენობით მოიპოვება მონეტები წარწერებით: *Νικηφόρος Δεσπότης, Νικηφόρος Δεσπότης Βοτανιάτης, Κύρις φύλαττε Νικηφόρου Δεσπότην* (იხ. თ ა მ ა რ ა ბ რ ა მ ი-შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ. 1965, გვ. 108 – 110).

⁴ მონეტა „ბ ო ტ ა ნ ა ტ ო“ ნახმარია იმავე კორიდეთის ოთხთავის ქართულ მინაწერებზე, ისეთივე ორთოგრაფიით როგორც ბერძნულში:

X 39 – 40: «...პირითა ღ ო თისათა: შემოგადე პირველ სამოცი, მაგრა ათი გაგიშოი და ორმოცდაათისა ბ ო ტ ა ნ ა ტ ო ს ა ი ავიღე» („ჯერ სამოცი [ბოტანატი] დაგარიცხე, ხოლო შემდეგ ათი ჩამოგაკელი და მხოლოდ ორმოცდაათი ბოტანატი გადაგახდევინე“).

XII 13 – 14: «და ვინცა ესე დაწერილი შალ[ო]ს, ათი ბ ო ტ ა ნ ა ტ ო ზღოს» („ვინც ეს ხელშეკრულება დაარღვიოს, გადაიხადოს ათი ბოტანატი“).

ეს მონეტა ცნობილია აგრეთვე ათონის ქართველთათვის. ათონის ადაპებში ვკითხულობთ:

1) «თუესა იანვარსა ი ო დ: ...დაპი იოანესთს და მიქელისთს... ესე ძმანი კახელნი მოვიდეს დიდისა სიყუარულითა მონასტერსა ჩუენსა და დაყვეს რაოდენიმე ჟამი, და მოსცეს ეკლესიასა ლიტრაჲ ერთი დრაჰკანი ვ ო ტ ა ნ ი ა ტ ო...»

2) «თუესა ოკდონბერსა კ ო ვ, წ ო ს ა იაკობ მმისა უფლისასა ალაპი არს იაკობ იაყუთი ყოფილისაჲ; მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი სტავრო-ვ ო ტ ა ნ ა ტ ო რ.

παπᾶν Ἰὸβην καὶ τὸν Μάρκον
καὶ [τὸν π]απᾶν Μιχαήλ καὶ
τὸν Κυρικὸν καὶ τὸν Ματθεῖον
[.....]τῆς Κουρτζέκης. Μάρ-
τυρες ὑπέγραψαν.

სწრებით ხუცებისა, მამა იობისა
და მარკოზისა, მამა მიხაელისა
და კვირიკესა და მატესისა.....
ძევას კურძეკისა. მოწმებმა ხელი
მოაწერეს.

III

Ἐγὼ ἁμαρτωλὸς¹ Ματθαῖος
ἄκνιος² τις καὶ ξένος κατέλαβον
ἐν τῇ ἀγίᾳ μονῇ τῆς ὑπεραγίας
θεοτόκου τοῦ Κορινθίου³ ἐπὶ βα-
σιλέως Ἀνδρονίκου... ὁσπ⁴ τῆς
Ῥωμανίας.

მე, ცოდვილი მათე, მოგზაუ-
რი და უცხოთესლი, მოვედი კო-
რიდეთის ყოვლად-წმინდა ღვთის-
მშობლის მონასტერში რომანიის
მეფის ანდრონიკეს დროს.

IV

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ
τοῦ υἱοῦ καὶ [ἀγίου] πνεύματος.

სახელითა მამისათა და მი-
სათა და სულისა [წმიდისათა].

¹ ეს მინაწერი, განსხვავებით დანარჩენი მინაწერებისაგან, ყველაზე უფრო მეტ ორთოგრაფიულ შეუსაბამობას იძლევა: *αμαρτωλως, της (τις), ζιζανιον (κατε-
λάβον), της (τῆς), ηπεραγίας (ὑπεραγίας)* და სხვ.

² *ἄκνιος* – ასეთი სიტყვა სხვაგან არსად გვხვდება. მინაწერში სწერია *οζνιο*.
თუ ჩვენ ამას წავიკითხავთ *ἄκνιος*, რაც ნიშნავს „დაყოვნებას“, „დაგვიანებას“,
შინაარსობლივად არ არის ნათელი. გრ. წერეთელს მოჰყავს პ. იერნშტედტის
მიერ მისი დავალებით შეკრებილი მასალა, რომლის მიხედვით, კოპტური და
ეგვიპტურ-ბერძნული ლექსიკის გამოყენებით, შესაძლებელი ხდება მეზობელი
სიტყვის *ξένιος*-ის მოშველიებით გაგებულ იქნეს *ἄκνιος* როგორც „მგზავრი“,
„მოგზაური“.

³ ასე სწერია.

⁴ სიმნელეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ *ὁσπ* რომელი სიტყვის დაბო-
ლოებაა. ბერძნული ფიქრობდა, რომ აქ უნდა ყოფილიყო *ὁσπιοτη*, მაგრამ, მარ-
თალია, აზრით მიუდგებოდა, ხოლო დაწერილობით არ შეესაბამება. გრ. წერეთ-
ლის აზრით, იქნებ აქ *ὁσπ* *ζωιστοδότη* (← *ζωιστοδότης*) „მწყალობელი“ ეწერა!

ან დ რ ო ნ ი კ ე მ ე ფ ე შეიძლება იყოს:

1) ანდრონიკე I კომნენოსი – ბიზანტიის კეისარი 1183 – 1185 წ.წ. ან

2) ანდრონიკე გიდონი – ტრაპეზუნტის კეისარი 1222 – 1235 წ. წ.

რადგან დამწერლობის მიხედვით, ეს მინაწერი, გრ. წერეთლის აზრით, არა-
ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება XII საუკუნეს მიეკუთვნოს, რჩება, მაშასადამე,
XIII საუკუნის ანდრონიკე გუდონი (თუ გუდოსი). ასოების მოხაზულობანი, ამბობს
გრ. წერეთელი, უეჭვლად მოწმობენ XIII საუკუნის სასარგებლოდ (Die Formen
der Buchstaben zeugen u n b e d i n g t tür das XIII Jahrhundert)

Ἐγὼ Σαδωνεὺς¹, κήρυξ, συγγράμει²
καὶ τὸν Ἀτζάρον³.

შეგვიწყალე, უფალო, მე სადუნნი და ლაზარე.

V

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς, υἱοῦ
καὶ ἁγίου πνεύματος. Ἐγὼ δα-
τάσσω τὸ πρῶτον⁴ μου, ἣ μὴ-
γὰρ τὸν πρεσβυτέρου Μιχαήλ
τὸν ἡγιοποιήσου⁵, [ἦ] ἄστυχος⁶
ἀπὸ τὰ τέχνη ἀνε⁷ τέχνη ἀπ-
έμαυεν, καὶ ὃ μὲς ἀναστήσει εἰς
τὸν γονατὸν τοῦ πατρὸς ἀπτόν

სახელითა მამისათა, ძისა და სულისა წმიდისათა. მე, ასული მიხეილ ხუცესისა, წინამძღვრისა, რომელიც დავრჩი უშვილოდ, მოკლებული შვილებისა, ვბრძანებ ჩემი მზითვი – ღმერთი იყოს ჩემი მამის მშობლიური ადგილის აღმდგენელი - კუატ...კორის

¹ გრ. წერეთლის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ადგილის სწორი ამოშიფოვა (Σαδωνεὺς). მინაწერში სწერია **εμεσ|σαδωνευσ**. ბერძნულში ასე გათიშა: **εμεσ α δωνευσ** და გაიგო როგორც: **ἡμεῖς ἂ διοσεῖ** („რაც ჩვენ გვადელებს“), ხოლო გოგორიმ, რომელმაც აგრეთვე გამოაცალკევა **αδωνευσ**, გაიგო ეს უკანასკნელი როგორც **ἀδωναι**, და აზრი გამოიტანა „შეგვიწყალე, ადონაი – უფალო...“.

ცალკე გამოტანა სიტყვისა **εμεσ** და მისი გაგება როგორც **ἡμεῖς** შეუწყნარებელია შემდეგი მიზეზის გამო: ამ დროისათვის (ca. XIII საუკუნისათვის) შეუძლებელია ε უდრიდეს η-ს (η უდრის, უეჭველად, ο-ს), ისევე როგორც შეუძლებელია ει გამოიხატოს ε-თი (ει უდრის აგრეთვე ο-ს).

გრ. წერეთელს ამ ადგილის სწორად ამოშიფრვა გაუადვილა იმ გარემოებამ, რომ, რამდენადაც კორიდეთის ამბები ქართულ გარემოს ჰგულისხმობს, მან გამოიყენა საქართველოს ისტორიაში ცნობილი მასალა ს ა დ უ ნ მანკაბერდელის შესახებ. სწორედ XIII საუკუნეში არის ჩვენში ცნობილი საკუთარი სახელი ს ა დ უ ნ ი, «მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო კაცი ბრძენი და გონიერი, და კეთილის-განმზრახი... და მორკინალი რჩეული საჩინო» (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 237); «სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა» (იქვე, გვ. 270, 3 – 4). სადუნ მანკაბერდელის მოღვაწეობა ხვდება 1268 – 1286 წლებს.

² მინაწერშია: **συγγραμει καὶ τὸν Ἀτζάρον**.

³ გრ. წერეთლის აზრით ეს მინაწერი უნდა დათარიღდეს არა უგვიანეს XIII საუკუნის ხანისა.

⁴ სწერია: **τὸ πρῶτον**, საყურადღებოა η (ο) უდრის οი-ს.

⁵ სწერია: **ἡγιοσθησεται**. გარდ. ორთოგრაფიული აღრევისა, ყურადღებას

იქცევს სიტყვის დაბრუნება თითქოს III კანკლედობით (**ἡγιοσθησεται**, როგორც **ἡγιοσθησεται**, **ἡγιοσθησεται**).

⁶ უცნობია სიტყვა **ἀστυχος**. გრ. წერეთელი ფიქრობს, რომ იქნება აქ უნდა ვივარაუდოთ **ἀστυχος** („რამეში შემცდარი“, „მიუღწეველი“) და გამოთქმა **ἀστυχος ἀπὸ τὰ τέχνη** გავიგოთ „შვილებს მოკლებული“, „უშვილო“.

⁷ სწერია: **ἀνα τέχνην (ἀνε⁷ τέχνην)**.

τόπον ζῆθγον¹ τοῦ Κοινατ...κορ,
 ὅπερ ἠγέσθωκα τῆ ἐκκλησίᾳ τοῦ
 Κορινθίων, καὶ τίς ποτε οὐκ ἔχει
 ἐξουσίαν² ἀλλάσσειν. Ἐν τῇ βα-
 σιλείᾳ τοῦ κυρίου Φωκᾶ³ τοῦ
 βασιλέως μηνὶ Φεβρουάρι⁴ ἰνδου-
 κτίωνος ἡ'. Χειρὸς διαγραμμέρον
 πρεσβυτέρου⁵ Μιχαήλ Τζαλάνις.

უღლეული (?), რომელიც ვუბოძე
 კორიდეთის ეკლესიას, და არა-
 ვის აქვს უფლება ოდესმე შე-
 ცვალოს (*ჩემი ბრძანება*). ჟამსა
 უფალ ფოკა კეისრის მეფობი-
 სასა, თებერვლის თვეში, მერვე
 ინდიქტიონს. დაიწერა ხუცესის
 მიხეილ ძალანის ხელით.

VI

Σίγνο⁶ Κυριακόπουλος Μιχα-
 λης: σίγνο Κωρινθέλις: σίγνο Πέτ-
 ρος⁷ ἀνεψιός⁸ τοῦ Μιχαήλ.

ვამოწმებ კირიკოპულოსი მი-
 ხალისი: ვამოწმებ კორიდელისი:
 ვამოწმებ პეტრესი, მიხალისის
 ძმისწული.

¹ სიტყვა **ζῆθγον** კლასიკურ ბერძნულში არ გვხვდება. მე გადმოვეცი ეს „უღლეულით“ და შესაძლებელია ამით აღინიშნებოდა ადგილის ზომა, „ერთი უღლეულით მოსახნავი მიწის რაოდენობა“.

² სწერია: **ἐξουσίαν**.

³ „ფოკა კეისრის მეფობა“. ბიზანტიის სამეფო ტახტზე ცნობილია ორი კეისარი, ამ სახელის მატარებელი: 1. ფოკა უზურპატორი (602 – 610 წ.წ.) და 2. ნიკიფორე II ფოკა (963 – 969 წ. წ.). დამწერლობის ხასიათით ეს მინაწერი X საუკუნისა უნდა იყოს. მამასადამე, მინაწერის ფოკა არის ნიკიფორე ფოკა და 8 ინდიქტიონიც ხვდება 965 წელს.

⁴ თებერვალი აღნიშნული ხალხური ფორმით; იხ. XXX (Русско-ново-греческий словарь, составила А. А. Иоаннидис. 1966, გვ. 756).

⁵ ეს სიტყვა შემოკლებით სწერია: **πρ.**

⁶ ბერძნული ფიქრობდა, რომ **σίγνο** არის შემოკლებული **συνγινώσθω** („ვე-თანხმები“). მნიშვნელობით არ არის უარსაყოფი ეს მოსაზრება, მაგრამ ლექსიკუ-რად ამ ორ სიტყვას შორის საერთო არაფერია. **Σίγνο** არის ხალხური ფორმა, უდრის **σίγνον**-ს, რაც თავისი მხრით არის ლათინური signum). ამ სიტყვით-იწყება ხოლმე საშუალო საუკუნეების საბუთები და აღნიშნავს იმ პირთა ხელწე-რას, რომლებიც საბუთს შეადგენენ ხოლმე; მაგ., Вазелоиские акты 3, 4 და სხვ.

⁷ **Πέτρος** – ეს უნდა იყოს ადგილობრივი ფორმა სიტყვისა **Πέτρος**. შდრ. ქართული „პეტრე“.

⁸ სწერია: **ἀνεψιός**, ე. ი. „ანიფსოსი“: ხომ არ არის ხმოვნები გადასმულ-გადაადგილებული, უნდა იყოს **ἀνεψιός**. ვფიქრობთ, რომ გრ. წერეთლის მიერ დაბეჭდილი **ἀνεψιός** შეცდომა უნდა იყოს: პირველი ო უდრის მინაწერის ὰ-ს, ხოლო მეორე ო მინაწერის ἑ-ს მაგიერ არაფრით არ არის გამართლებული, ჩვენის აზრით:

ἀνεψιός ← ἀνεψιός ← ἀνεψιός.

გრ. წერეთელს კი მოჰყავს პ. იერნშტედტის მიერ მიწოდებული ახალბერძნული **ἀνεψι**, მაგრამ ვერ ხსნის ἑ-ს წარმოშობას. ახალბერძნულ ლექსიკონშიც. სწერია: **τὸ ἀνεψι, ὁ ἀνεψιός.**

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος. Ἐπαρέδωκα[ν] Μεγαλόστρατα τόπον τέταρτον¹ διὰ τὸν Βουδουν² ἔμοι σὺν τὸν πρεσβύτερον, παπᾶ Ἰάνα, καὶ τὸν [ἀντο]ν ἀδελφόν. Ὁ θεὸς καὶ ἅγιος θεοτόκος γὰρ σὲ χάρη, [καὶ ὅποι]ος ἀναστρέψει, μὴ ἔχῃ μέρος τοῦ θεοῦ.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. გადმომცეს მეგალოსტრატის მეოთხედი ადგილი ბუდუს ხელით მე, ჩემთან ერთად ხუცესს მამა ივანეს და მის ძმას. დმერთმა და წმიდა ღვთისმშობელმა მოგახმაროს, და ვინც უკუნაქციოს, ნუ ჰქონდეს ნაწილი ღვთისა.

VII

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος. Ἐμεῖς³ τὰ τρία ἁγρίδια ἐσυγάσαμε⁴ διὰ τὸ[ν] συνόριον καὶ

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენ, სამი სოფელი, შევიკრიბენით საზღვრისა და ტყის გა-

¹ სწერია: *τεταρτ*.

² ბერმანი ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ადგილი Budin → Budiet (7 კილომეტრით არის დაშორებული მაგარა-სო). მე გავზედავ და ვიტყვი; როგორც *Πέτρος* უნდა იყოს ქართულთან დაკავშირებული „პეტრე“. ისე აქაც შესაძლებელია ვივარაუდოთ კაცის სახელი „ბუდუ“, თუმცა ამ დროისათვის (XII საუკუნისათვის, როდესაც ეს მიწაწერია დაწერილი) „ბ“-ბერისათვის B-ს ხმარება ანაქრონიზმია.

³ Ἐμεῖς (სწერია: *εμοῖς*). კლასიკური ფორმა ამ სიტყვისა არის *ἡμεῖς*. რაც ბიზანტიური გამოთქმით იქნება „იმის“. რადგან ეს უკანასკნელი ემთხვევა გამოთქმაში *ἡμεις* („თქვენ“), შემუშავდა *ἡμεῖς* -ის ნაცვლად *ἔμεις* (*ემოი*, *ემოი*, *ემე*-ს გავლენით) და *ἔμειν* -ის გვერდით *(ἔ)σεις* („თქვენ“).

⁴ სწერია: *εσυγαγαμε*, რაც უდრის *εσυγάγαμεν*. შემოკლების ნიშნად ნახმარი " ტიპიურ ხელნაწერებში აღნიშნავს iv-ს, ხოლო v აღნიშნება პორიზონტალური ხაზით – (იხ. გეორგიკა, ტ. V. გვ. 281). გრ. წერეთელი ფიქრობს, რომ ჩვენს შემთხვევაში " არის *v* (*εσυγάγαμεν*). ახლა, საკითხავია, თუ რას წარმოადგენს ის *συγάγαμεν*. მნიშვნელობის მხრით არავინ დავობს, რომ აქ ნიშნავს „შევიკრიბენით“ (собрались, გვ. 9 წერეთლის გამოცემისა: wir haben uns versammelt, გვ. 58), ხოლო თვით ფორმა ამ ზმნისა მითითებულია გრ. წერეთლის მიერ 1 p. pl. aor. pass. *συγάτω*. ნიშნავს თუ არა *συγάτω* „შეკრებას“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ ნიშნავს. არის ორი ზმნა; 1) *ἀζω* „ვახმობ“, pass. „ვხმები“; 2) *ἄζω*, *ἄζομαι* „ვეთავყვანები“. ასე, რომ ამ სიტყვებიდან, სვ-ის წინ დართვით, ვერ მივიღებთ „შეკრებას“. ჯერჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ აქ არის ზმნა *συγάγω* („შეკრება“), მისი ერთ-ერთი ნამყო დრო *ε-συγάγαμεν* (თავისებური აუგმენტუმით ε პრევერბის წინ და არა მის შემდეგ, როგორც ამას წესი მოითხოვს), ხოლო, თუ რა დროა, ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

λόγγον¹, ἱερεῖς καὶ κωδεσποτη-
γέροντες², ὅστις ἐξέρουσαν³ κα-
τὰ φόβου θεοῦ καὶ τῆς ἀληθείας,
ἵνα ψέμα⁴ μὴ ἐπιωμεν ἐνώπιον
τοῦ θεοῦ καὶ τῶν ἀγίων ἐπὶ μέ-
ρος τοῦ Ὁσμαλίου.

Κάτου εἰς τὸ παραπόταμον
στέκει⁵ τίμιον σταυρὸν ἀγίου
Γιώργι⁶, ἀπὸ κάτου συνορί εἰς
τὸ σταυρὸν ἐπάνωθεν ἀγίου Γιώρ-
γι⁶ καὶ ἄνω ἅγιος Γρηγόριος
ἔθηκετο ἀρχιστράτηγος, μέγα τὸ
λίθον.

Χωρὶς τὰ μετόχια ὀνόματα:
Ψιλάφουμα. Οὐδὲ ...εσου συγχα-
ρισ[ν] τὴν Δουρατζα δικάσιμον
ἔχουσαν διὰ τὸν λόγγον τοῦ Νο-
καλανέθι⁷ Μιχαηλίου Φατζιას,
Ἰωάννη Ὁστζακα, ὄνο γεωργοῖς
Ἵολοβ⁸ Ἀσკεσ... καὶ εὔραν τοὺς
μαρτύρους, ἀξίους πιστοὺς μαρ-
τύρους, οἱ ἀδικοί⁸ (?), ὅτι καὶ

მო, [შევიკრიბენით] ხუცები და
სახლთუხუცესები, რომლებმაც
გადაწყვიტეს ღვთის და ჭეშმა-
რიტების შიშით, რათა ტყუილს
არ ვიტყვივით წინაშე ღვთისა და
წმინდანთა შესახებ ოსმანლისა.

ქვემოთ, მდინარის გასწვრივ,
დგას პატოსანის ჯვარი წმიდისა
გიორგისა, ქვემო საზღვრიდან
ზემო ჯვრამდე წმიდისა გიორ-
გისა. და ზემოთ წმინდა გრი-
გოლი დგას, არხისტრატეგოსი,
დიდ ქვა.

ცალკე [არის] მეტოქები ფსი-
აფიმას სახელით. არავითარი (სა-
საზღვრე ნიშანი) არაა მეზობლად
დურსმასი, რომელსაც ჰქონდეს
დავა ნოქალანეთის ტყის გამო
მიხეილ ფაძუსთან, იოანე ოსმა-
კასთან, ორ მიწისმუშასთან ოლო-
ლოვ-ასკეს... და იპოვეს მოწ-
მენი, ნდობის ღირსი მოწმენი,

¹ სწერია: λονκον, ე. ო. Λόγγον. ლექსიკონებში ეს სიტყვა დამოწმებული არაა.
გრ. წერეთელი თარგმნის: лес, Wald.

² სწერია: κωδεσποτηγεροντες. ე. ო. წინ ჩამოშორებია მარცვალი ოი.

³ ἐξέρουσαν, ე. ო. ἐξέρου. ამის ანალოგია გვაქვს მთელ რიგ შემთხვევებში:
ἤλθοσαν (=ἤλθον).

⁴ ეს არის ხალხური ფორმა: ψέμα, ψέμμα ← ψεδμα (=ψεδσμα).

⁵ στέκει (სწერია: στεκυ) ხალხური ფორმა ზმნისაგან ἵστημι. წარნოდგენს
ἔστηκα-სგან გაკეთებულ მეორად აწმყოს. საყურადღებოა, რომ ἵστηκα-ს მიხედ-
ვით უნდა ყოფილიყო στήκει, რაც მართლაც აქვს ოლიმპიოდორეს (ახ. წ. V ს.)
πίπτει. οὐ στήκει (HGM 1 468, 6, 8).

⁶ ყურადღებას მივაქცევთ, რომ Γιωργι (სწერია: Γιοργιου, Γιοργιου) ზედმი-
წევნიტ გადმოგვცემს ადგილობრივ ფორმას ამ სახელისას (შდრ. ქართული
„გიორგი“. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ნახმარი ἐθρέθην (სწერია: ἐθρέθου)
წარნოდგენს პონტოელ ბერძნებში ხმარებულ 3. sign, aor. pass.

⁷ Νοκαλανέθι ძალიან მიაგავს ადგილობრივ ჭანურ-მეგრული გარემოს საკუ-
თარ სახელის ფორმას (შდრ. ნოქალაქევი).

⁸ ამ ფორმასაც მივყავართ პონტოს ბერძნების სამეაროში: ἀδικοί (სწერია:
αδητζι). პონტოს დიალექტში დადასტურებულია οἱ λυτζοί (=οἱ λυζοί). იხ.
A. T h u m b, Handbuch der neugriechischen Sprache. Strassburg 1910, § 62.

ἔθεντο ἀσπρονόταμον, οὐκ ἦσαν
οὐδὲ κλάσμα (?) τόπου κατὰ φό-
βου θεοῦ καὶ τῆς ἀληθείας.
Ψέμα οὐκ ἐνρέθεν. Ὅστις ἀνα-
στρέψει, μὴ ἔχη μέρος τοῦ
θεοῦ¹.

უსამართლოებმა, რომ მათ დაე-
დოთ [საზღვრად] თეთრი-წყალი;
[მაგრამ] არ წაიღეს არც ადგი-
ლის ნაგლეჯი ღვთისა და ჭეშმა-
რიტების შიშით. ტყუილი არ
აღმოჩნდა. ვინც შესცვლის, ნუ
ექნება ნაწილი ღვთისა.

VIII

Ἐγὼ² Κορυχένις³ κόμηξ ἀπὸ
τῆς ταξιαρχίας τῆς Τεφριζῆς⁴
ἦλθα εἰς τὸ κάστρον [Παυλ.]κα-
νῶν. Ἦχαιτὶν καστροφυλάκιον,
μηγὶ Μαρτίῳ ἐγστασῆς ἐν[δικαιό-
γος...].

მე, ტეფრიკის სამხედრო ოლ-
ქის კომსი გურგენი, მოვედი
[პავლი]კიანთა ციხეში, ციხეთის
ციხე-სიმაგრეში მარტის თვეში,
მიმდინარე... ინდიქტიონში.

ეს მინაწერი ჩვენ სპეციალურად გვაქვს განხილული ცალკე წერილში:
„კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღე-
ბისათვის“ (ჩვენი მეცნიერება 1924, № 11 – 12, გვ. 84 – 86), რომელ-
საც აქვე ვათავსებთ.

¹ ამ მინაწერის კავშირს ქართულ გარემოსთან მოწმობს ისიც, რომ აქ რომ
ლაპარაკია ქ ვ ა-ჯ ვ ა რ ე ბ ზ ე, როგორც სასაზღვრო ნიშნებზე, ის ანალოგიას
პოულობს „დასტურლამლის“ ტექსტში მოხსენებულ ქვა-ჯვარებში.

იხ. აგრეთვე: ვ. თოფურია, ქვაჯვარანი საქართველოში: მასალები საქ.
და კავკ. ისტორიისათვის, 1942 წ. ნაკვ. IV.

² სწერია: ΕΓΩ. ასეთივე γαμα ნახმარია ფოკას მეფობით დათარიღებულ
მინაწერში, იხ. აქვე ქვემოთ შენიშვნა.

³ როგორც გრ. წერეთელს გამორკვეული აქვს, აქ უნდა იგულისხმებოდეს
გ უ რ გ ე ნ კ ლ ა რ ჯ ი, რომელიც საქართველოს მეფემ ბაგრატ III კუროპა-
ლატმა დაატუსადა და რომელიც 1012 წელს გარდაიცვალა პატიმრობაში, თმოგ-
ვის ციხეში. «ამან ბაგრატ კურაპალატმან – წერს სუმბატ დავითისძე – მოიყ-
ვანნა კლარჯნი ჯელმწიფენი სუმბატ და გ უ რ გ ე ნ, ძენი ბაგრატ არტანუჯელი-
სანი, თვსნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანას-
კერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი
მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შინა თმოგვსასა. და მუნ ციხესა
შინა თმოგვსასა გარდაიცვალა სუმბატ ანტანუჯელი ქრონიკონსა ს^ლა
[231+780=1011]. და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გ უ რ გ ე ნ ც ა გ ა რ და ი ც-
ვ ა ლ ა, ძმა სუმბატისი, ქრონიკონსა ს^ლბ [232+780=1012]» (ქ. ცხ. 1 [1955],
382, 21 – 27);

⁴ Τεφριζή – ახლანდელი „დივრიგ“, მცირე აზიაში, ბიზანტიის საზღვართან.

კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული
მინაწერების დათარიღებისათვის ¹

I

კორიდეთის ბერძნული სახარების ქართულმა მინაწერებმა იმთავითვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. პირველად მათი წაკითხვა სცადა აკადემიკოსმა მ ა რ ი ბ რ ო ს ე მ (Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporté du Sonaneth-Libre et appartenant au comte Panin: Mélanges Asiatiques, t. VI, 1870). შემდეგ მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა გამოსცა ისინი 1908 წელს „საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის“ III წიგნში, გვ. 233 – 250, და მანვე ხელმეორედ გამოსცა ეს მინაწერები 1909 წელს „ძველი საქართველო“-ს I ტომში (III განყ. გვ. 78 – 87). დასასრულ, ჩვენი მინაწერები და მათი პალეოგრაფიული პირი გამოსცა აკად. ნ. მ ა რ რ ი (Известия Имп. Академии Наук, 1911, გვ. 211 – 240, ტაბ. I – VIII).

არც ერთი ზემოაღნიშნული მკვლევარი არ შეხებია დეტალურად მინაწერების დათარიღებას: მინაწერთა დათარიღებისას მხოლოდ ზოგადი მსჯელობით კმაყოფილდებოდნენ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ამოსავალ წერტილს მინაწერების დათარიღებისათვის წარმოადგენს 249 ხ გვერდის პირველი ქართული მინაწერი, სადაც ის ბოლოში ჰკითხულობს: **დოლისყა[ნას] ქ~სა მა** (ე. ი. 821 წელს), ხოლო აკად. ნ. მ ა რ რ ი, როდესაც აღნიშნავს მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს უკანასკნელი წაკითხვის უსაფუძვლობას (მინაწერში ნათლად იკითხება **დავწ[ერე] სტ~ფნ დოლისყა[ელმა]**) ², დასძენს: „წინააღმდეგ ისტორიული, სტილისტიკური და პალეოგრაფიული სიცხადისა, XIII საუკუნისა და კიდევ უფრო გვიანი ხელნაწერი მასალა მეათე საუკუნეში გადააქვთ“ ³. ამ სიტყვებით ნ. მ ა რ რ ი თითქოს აღიარებს, რომ 249 ხ გვერდის პირველი ქართული მინაწერი XIII საუკუნეზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს.

საზოგადოდ ნ. მ ა რ რ ი არც ერთს მინაწერს არ ათარიღებს, მხოლოდ ორ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს წმინდა ხუცურ დამწერლობასთან, ის უფრო მიახლოვებით ამბობს: 1) „ნუსხა-ხუცურით,

¹ წაკითხულ იქნა მოხსენებად „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომაზე 1924 წლის მარტის 11-ს.

² მართალია ენი და ნარი იმდენად გამჭრქალია, რომ ძლივსღა იკითხება, მაგრამ ლასის კითხვა უეჭვოა.

³ Н. М а р р, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридети, ИАН, 1911, გვ. 216.

თითქოს X – XI საუკუნის ხელით“ (73 b გვ. მინაწერის შესახებ) და 2) „მერმინდელი ტიპის ჩვეულებრივი ხუცურით“ (249 b) გვერდის მეორე ქართული მინაწერის შესახებ). დანარჩენ შემთხვევაში ნ. მ ა რ ი სრულებით არ ეხება თარიღის საკითხს; გამონაკლისს შეადგენს ის ზოგადი შენიშვნა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. და ეს გასაგებიც არის. მეტი წილი მინაწერებისა წარმოადგენს ან მხედრულს ან ხუცურ-მხედრულ ნარევ დამწერლობას, რომელიც – თუმცა ქართული პალეოგრაფია უკანასკნელ ხანებში საკმაოდ დაწინაურდა, მაგრამ მაინც – ნაკლებად არის დამუშავებული და შესწავლილი. ჯერ ქართულმა პალეოგრაფიამ ვერ მიაღწია იმას, რომ გამიჯნოს ზედმიწევნით სხვადასხვა სახის დამწერლობა, და ხელთ მისცეს ზოგად ფილოლოგიას მკვეთრი კრიტერიუმი.

ჩვენი მინაწერების დათარიღება ზედმიწევნით შეუძლებელია, ვიდრე არ გამოირკვევა საზოგადოდ საკითხი ამათუიმ ტიპის დამწერლობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობისა და ვიდრე, კერძოდ ჩვენს შემთხვევაში, კორიდეთის სახარების მინაწერები ერთმანეთთან პალეოგრაფიულ დაკავშირებით არ იქნება განხილული.

ამის გარდა აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: კორიდეთის სახარების ქართული მინაწერების მკვლევარნი იხილავენ ამ მინაწერებს განცალკევებულად და მხედველობაში არ იღებენ სრულებით იმ ბერძნულ მინაწერებს, რომლებიც ქართული მინაწერების პარალელურად არის მოთავსებული ხელნაწერის აშეებზე და თავისუფალ ადგილებში, იმ დროს როდესაც ამ გარემოებამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გარდამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს ქართული მინაწერის დათარიღებაში.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ კერძოდ ერთ შემთხვევას, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო კორიდეთის სახარების ბერძნული მინაწერების გადასინჯვის დროს.

II

კორიდეთის სახარების 249 b თავისუფალ გვერდზე, სადაც სახარების ტექსტი სრულიად არ მოიპოვება, ზევიდან 17 cm., მოთავსებულია ერთი ბერძნული წარწერა¹, რომელიც ასე იკითხვის:

† Εἰς κωνσταντινουπόλιν ἀπὸ τῆς ἐκείνου(ας) τῆς τριφυλίας |
ἐπιστολῆς εἰς τὸ καστορον[ε]... ἔχεται κωνσταντινουπόλεως(ας) μ(ην) μαρ(τιου)

¹ ob. H. M a p p., I. c. მერვე ტაბულა.

შინაარსი ამ მინაწერისა, სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ნათელი არ არის. ასე რომ ამის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია მისი დათარიღება.

სამაგიეროდ მინაწერი ისეთს მკვეთრ პალეოგრაფიულ ნიშნებს ატარებს, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს დანამდვილებით ვთქვათ, რომ ეს მინაწერი X საუკუნეზე უფრო გვიანს არ შეიძლება ეკუთვნოდეს. აქ გარდამწყვეტია ორი უმთავრესი გარემოება: 1) კაპპას მოხაზულობა და 2) ლიგატურა ეიჲ.

1. კაპპა ჩვენს მინაწერში იქ, სადაც ის სიტყვის შეკვეცილ ნაწილშია (τεφριθησ και τριφλακιασ) წარმოადგენს ერთ მთლიან დაკლაკნილ ხაზს, რომელიც სტრიქონს ზევით იწყება და ზევიდამ ქვევით მოდის¹. ეს სწორედ ისეთი ხაზია, რომელიც ხანდახან ქსის გამოსახატავად იხმარება². ასეთი კაპპა გვხვდება ჩვენ ბერძნულ ხელნაწერებში XI საუკუნემდე.

2) ჩვენს მინაწერში ეიჲ (სიტყვაში ეიჲლმჲ) შემდეგნაირად იწერება: ეფსილონს შუამუცლიდან ჩამოუდის ვერტიკალი ხაზი, ოდნავ მოკაუჭებული ზევით (ეფსილონის მუცელში) მარცხნივ და ქვევით მარჯვნივ (ეს ვერტიკალი ხაზი წარმოადგენს ოტას). ასეთ ლიგატურას მარჯვნიდან მარცხნივ გადასჭრის სწორზნეჲ ხაზი, რომელიც ოტას გაუვლის მის მარჯვნივ მოკაუჭებულ ქვედა ბოლოში (ეს არის თიგმა); ეიჲ -ის ასეთი ლიგატურა ბერძნულ ხელნაწერებში ჩვენ VII – XI საუკუნეებში გვხვდება მხოლოდ. შეიძლება უფრო მეტი მიახლოვებითაც განვსაზღვროთ: სწორზნეჲ ხაზით გამოხატული თიგმა გადასჭრის ოტას მის ქვედა ბოლოკიდურში (ესე იგი ისე, როგორც ეს ჩვენს მინაწერშია) მეთავე საუკუნემდე დაწერილ ხელნაწერებში. ხოლო X – XI საუკუნის ხელნაწერებში თიგმა გადასჭრის ოტას უფრო ზევით, შუაში და ხან უფრო ზევითაც.

ამ პალეოგრაფიულის მოსაზრებით ჩვენი მინაწერი შეიძლება დათარიღებულ იქნეს X საუკუნით (ან, უკიდურეს შემთხვევაში XI საუკუნის დასაწყისით)³.

¹ Г. Ф. Ц е р е т е л и, Сокращения в греческих рукописях преимущественно по датированным рукописям С .-Петербург и Москвы. Изд. 2-ое СПб, 1904, გვ. 46, ტაბულა IV.

² ეს გამოწვეულია იმით, რომ მწერალი ცდილობს ერთი მოსმით (in einem Zuge) დასწეროს კ. ასევე ძველ მინუსკულში, როდესაც კაპპას სწერენ კურსივის ქსავით (იხ. G a r d t h a u s e n, Griechische, Paläographie II, 213, Leipzig 1913).

³ ამას ადასტურებენ აგრეთვე შემდეგი პალეოგრაფიული ნიშნებიც: ჩვენი მინაწერის – *Κωμιο Καστρον Καστροφλακιασ* – ხსაზგასმული კაპპა

ამ მინაწერის შინაარსი რომ ჩვენთვის გასაგები იყოს, ე. ი. იქ მოხსენებული საკუთარი სახელების გამორკვევა რომ შესაძლებელი გახდეს, მაშინ ალბათ უფრო ზედმიწევნით შევძლებდით ჩვენი მინაწერის დათარიღებას.

III

ამ ბერძნული მინაწერის ზევით მოთავსებულია ის ქართული მინაწერი, რომელიც მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა შეცდომით 821 წლით დაათარიღა, ხოლო ნ. მ ა რ რ მ ა მეცამეტე საუკუნეში გადაიტანა. ეს მინაწერი შეიცავს სულ 12 სრულ სტრიქონს და მეცამეტის დასაწყისს: მეცამეტე სტრიქონში გადატანილია **დოლისყა[ნელმან]**¹. მეცამეტე სტრიქონშივე **ნელმან**-ს უშუალოდ მისდევს ზემომოყვანილი ბერძნული მინაწერი, რაც ამტკიცებს, რომ ბერძნული ტექსტი შემდეგ არის მიწერილი. ბერძნული მინაწერის ავტორს რომ ეს, 249 ხ გვერდი თავისუფალი დახვედროდეს, შესაძლებელია, რომ ის მაინც შუაგვერდში დასწერდა, მაგრამ შეუძლებელია დავეუზვათ, რომ ის შუასტრიქონში დაიწყებდა თავის განზრახულ მისაწერს. არც იმის საბუთი გვაქვს, რომ ჩვენ აქ უბრალო შემთხვევითი მოვლენა ვიგულისხმოთ, თითქოს ბერძნული ტექსტი უკვე მიწერილი ყოფილიყოს და ქართულ ტექსტს შემთხვევით მეტი ადგილი არ დასჭირვებოდეს, მით უმეტეს მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ ქართული ტექსტი სრულიად დამთავრებულია: **მე დავწერე] სტ~ფნ დოლისყანელმან.**

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ 249 ხ გვერდის პირველი ქართული მინაწერი დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს მეათე საუკუნისა (ან მეთერთმეტის დასაწყისისა), რომელსაც ეკუთვნის მისი მომდევნო, მის შემდეგ დაწერილი ბერძნული მინაწერი.

გრძელია, რაც ჩვეულებად აქვთ ბერძნულ ხელნაწერებს X საუკ. და XI-ის დასაწყისში (იხ. პალეოგრაფ. ტაბულები დათარიღებული ხელნაწერებისა, გამოცემული გრ. წერეთლისა და ს. სობოლევსკის მიერ. აგრეთვე Lietzmann, Tabulae). გარდა ამისა ასეთივე კაპა, აგრეთვე მთავრული ყამმა (სიტყვაში εΓω) გვხვდება ჩვენ იმავე კორიდეთის სახარების 140 ხ გვერდის, ფოკას მეფობით (963 – 969) დათარიღებულ მინაწერში (**εΓω, μηΓατηδ, υΓου**). იგივე უნციალი I მოწმობს, რომ მინაწერი არ შეიძლება ეკუთვნოდეს X საუკ. ადრინდელ დროს ((G a r d – h a u s e n II, 219).

¹ იხ. მინაწერის პირი H. M a p p., I. C. ტაბ. VIII.

მინაწერების ენობრივი თავისებურებანი. ყურადღებას მივაქცევთ კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერების ზოგიერთ თავისებურებას.

1) როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კორიდეთის ბერძნული ოთხთავი გადაწერილია საქართველოში, ჭოროხის ხეობაში მდებარე სოფელში; ბერძნული მინაწერებიც იმავე ენობრივ წრეშია შესრულებული, როგორც თვით ხელნაწერის ძირითადი ტექსტი. ამიტომ გასაგებია, რომ ამ მინაწერებს ქართული ენობრივი ფორმების იერი გადაჰკრავს ალაგ-ალაგ. ასე, მაგალითად, ქართული ფორმების მიხედვით არის შექმნილი:

ა) VI მინაწერში Πέτρης (← პეტრე) Κοριθής (← კორიდელი, რაც ისევეა ნაწარმოები სიტყვისაგან „კორიდეთი“, როგორც, ვთქვათ, არადელი სიტყვისაგან „არადეთი“) და Ἰάνη (← ივანე).

ბ) ასევე ქართული ფორმიდან მომდინარეობს VII მინაწერში Γιώργι (← გიორგი).

2) ის გარემო, რომელშიც ტრიალებდნენ კორიდელები, განეკუთვნება ე. წ. პონტოს დიალექტის სამყაროს. ამით აიხსნება ზემოთ მოყვანილ მინაწერებში ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ბერძნული ენის პონტოს დიალექტის დამახასიათებელია.

ა) სიტყვა ἄδικα („უსამართლონი“) VII მინაწერში სწერია ἀδιτῶ. ამ სიტყვაში კაპპა ინის წინ (οι=ი) პალატალიზებულია და ვლებულობთ „ჩ“-ს ან „ჯ“-ს, რაც გრაფიკულად გამოხატულია τჯ-ს მეშვეობით. ასეთი მოვლენა ბერძნული ენის პონტოს დიალექტს ახასიათებს¹. იგივე მოვლენა უნდა გვქონდეს ამავე მინაწერში Δουρατζα, Φατζοც და Ωτζααα. აქ პირველი სიტყვით აღნიშნულია ის სოფელი, კორიდეთის სამხრეთით, რომელსაც ამჟამად ჰქვია „დ უ რ ჩ ა“.

ბ) მეორე მინაწერში გვხვდება მოწმეების ხელწერა: ორ მათგანს ჰქვია ... τჯეც და კουραჯე. აქაც τჯ-ის ხმარება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ სახელებში იმალება ჩ, ც, ჯ, ძ ან სხვა ამგვარი ბგერები.

გ) მეშვიდე მინაწერში ნახმარი εὑρέθεν წარმოადგენს პონტოს დიალექტში ხმარებულ Aor. Passive, მხ. რ. III პირს.

3) მინაწერთა ავტორებმა იციან, რასაკვირველია, მაშინდელი ლიტერატურული ენა, რითაც აიხსნება ისეთი სწორი ლიტერატურული ფორმები, როგორც არის II მინაწერში πριγεργαμ(μένων)

¹ იხ. ზემოთ გვ. 9, შენ 8.

ან απειμειν (ე. ო. ἀπέμεινεν) V წარწერაში. მაგრამ ამათ გვერდით გვხვდება სალაპარაკო ენის ისეთი ფორმები, როგორც არის, მაგალითად V წარწერის διαγραμειναι ნაცვლად იმის, რომ იყოს διαγεγραμμένον.

დამატება. სისრულისათვის საჭიროა მოვიყვანოთ აგრეთვე კორიდეთის სახარების ის ბერძნული მინაწერი, რომელიც მოჰყავს პროფ. გრ. წერეთელს მე-7 მინაწერის სახელწოდებით ¹ (თუმცა შინაარსით ის საგულისხმოს არაფერს შეიცავს):

Εὐλογῶσθε, δέσποτα θεός, τὴν
 γνώμην σου, καὶ ἀνάγνωσον κα-
 λά, φόβος θεοῦ μάθη καὶ μὴ
 χάσσης τὴν ² ψυχὴν σου.

გმადლობ, უფალო ღმერთო, შენი გადაწყვეტილებისათვის. წაკითხე კარგად, ისწავლე შიში ღვთისა და ნუ წარიწყმედ სულს.

¹ Г. Ф. Церетели. Коридетская рукопись и ее греческие приписки (Тб. 1937) стр. 54.


² ხელნაწერში სწერია: μι χάσσης τιν

იოანე ცეცე

მეთორმეტე საუკუნის კომენტატორი და პოლიჰისტორი იოანე ცეცე (Ἰωάννης ὁ Τζέτζης) ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში დაახლ. 1110 – 1180 წლებში. მან მიიღო საფუძვლიანი ფილოლოგიური და გრამატიკული განათლება. ერთხანს მუშაობდა გრამატიკის მასწავლებლად, უფრო მეტად კი თავს ირჩენდა ლიტერატურული მოღვაწეობით. ხშირად უჩივის ხელმოკლეობას და გაჭირებას, თავის შრომებს უძღვნის წარჩინებულ ბიზანტიელებს და კეისრებს: იოანე II კომნენოსის (1118 – 1143) ძმას ისააკ კომნენოსს, მანუელ I კომნენოსს (1143 – 1180) და უკანასკნელის მეუღლეს ირინეს, ვინმე კონსტანტინე კოტერძეს, რომლის წყალობით შეადგინა მან ჰომეროსის „აღეგორიების“ გაგრძელება და გადაამუშავა „ხილიადები“.

ბიოგრაფიულ ცნობებს თვით იოანე ცეცე გვაწვდის თავისი „ისტორიების“ საგანგებო თავში (V 583 – 628),

მისი მამა მიხეილი იყო პროფესიით გრამატიკოსი. იგი იყო ვაჟი მართალია გაუნათლებელის, მაგრამ შეძლებული კაცისა (მას ერქვა იოანე ცეცე), რომელიც თავის სახლში სიამოვნებით ღებულობდა განათლებულ პირებს. ამ იოანე ცეცეს მამაც იყო აგრეთვე დედაქალაქის მკვიდრი: გარდაცვალების შემდეგ იგი დაასაფლავეს ეფროსინეს მონასტერში, სადაც მოლოზნები მას საკვირველთმოქმედების ძალას აკუთვნებდნენ. ამგვარად, შემდეგი სქემა ისახება:



მამის მხრით, როგორც თვითონ ამაყად აცხადებს, იოანე ცეცე იყო წმინდა ბერძნული სისხლისა, ხოლო დედის მხრით კავკასიურ-იბერიული წარმოშობისა იყო.

როდესაც ზაგრატ IV-ის ასული მართა¹ კონსტანტინეპოლში მივიდა, რათა იქ მისთხოვებოდა კეისარ მიხეილ VII დუკას. მის ამაღლებაში იყო, როგორც ამას ხაზს უსვამს ცეცე, არა როგორც მხე-

¹ RE-ში მოთავსებული სტატიის ავტორი მას ეძახის „ა ლ ა ნ თ ა სეფეწული მარიამო“, რაც, როგორც ჩვენ რამდენჯერმე ნათქვამი გვაქვს (იხ. გეორგიკა, ტ. VI, 160, 164), სრულ გაუგებრობაზეა აგებული.

ამ მარიამის «ალანობის» გამო საგულისხმო დაკვირვება აქვს დიუკანჟს (Du Gauge). ის ამბობს: „ცეცეს მოწმობით... (Chil. 5, e: 17) იბერები, აბაზგები და ალანები წარმოადგენდნენ ერთსა და იმავე ხალხს ანუ ერს:

Ἰβηρὲς δὲ καὶ Ἀβασγοὶ καὶ Ἀλανοὶ ἓν γένος
(«იბერები, აბაზგები და ალანები წარმოადგენენ ერთ მოდგმას»).

ისე კი არა, რომ იბერები იგივენი იყვნენ, რაც ალანები და აბაზგები, არამედ რომ იბერთა მეთაური აბაზგებისა და ალანების მეფუნებს (regulis) მბრძანებლობს უმაღლესი უფლებებით. ამას ადასტურებს საკმაო: სიცხადით (satis superque) ვრიენიოსიც, როდესაც წერს, რომ იბერთა მეფეს ეპყრა *παγκράτειαν τῶν Ἰβήρων*, ხოლო ალანიის უფალს მხოლოდ *ἐξουσιάζουτος* სახელს მიაკუთვნებს. არც ცეცე უარყოფს ამას: ის იქვე ამბობს, რომ იგივე ხალხები სხვადასხვანი იყვნენ და ერთმანეთისაგან განცალკევებულნი:


οἱ Ἰβηρὲς πρωτεύοντες, οἱ Ἀβασγοὶ δευτέροι, οἱ Ἀλανοὶ δ' ἐσχῆκασιν τάξιν τριῶν ἑστέραν
(«იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან, ხოლო ალანებს უკანასკნელი მესამე ადგილი უჭირავთ»).

ხოლო თუ რატომ ეძახის მარიამს უფრო აბაზგთაგან წარმოშობილად, ვიდრე იბერთაგან, და რატომ იმავე სახელით გმობს იგივე მწერალი სკილიცეს, ზონარას და სხვებს, რომელნიც მას ალანს ეძახიან, კარგად არ მესმის, იმ დროს, როდესაც ვრიენიოსი გარკვევით გადმოგვცემს, რომ ის იბერთა მეფის ასულია (ხაზი ჩვენია **ს. ყ.**), თუ არა იმიტომ, რომ იმ დროს იბერთა მეფე აგრეთვე აბაზგებს მბრძანებლობდა:

τοῦ Τζέτζου μητέρος ἡ Ἀβασγὸς ἢ μήτηρ σὺν τῇ δεσποίνῃ Μαρίας, τῇ Ἀβασγίσσῃ λέγω, ἦν οἱ πολλοὶ Ἀλάνισσαν φασὶν οὐκ ἀκριβοῦντες, ἦλθεν εἰς Μεγαλόπολιν, ὡς συγγρηγῆς καὶ αἶμα.
(«ცეცეს დედის დედა აბაზგი-ქალი.
«დედოფალ მარიამთან ერთად, ვამბობ აბაზგ-ქალთან
«რომელსაც ბევრნი არა ზედმიწევნით ალან-ქალს ეძახიან,
«მოვიდა მეგალოპოლისში, როგორც სისხლით ნათესავი»).

ასეთი დაკვირვება აქვს დიუკანჟს მარიამ დედოფლის შესახებ. როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იქნა შემჩნეული ის შეუსაბამობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მარიამ მართა-ყოფილის სადაურობის საკითხში. დიუკანჟი, როგორც ჩანს, ამ შეცდომას (თითქოს მარიამი ყოფილიყოს ალანი) იმით ამართ-

ვალი, არამედ როგორც სისხლით ნათესავი, ერთი ა ბ ა ზ გ ი ქ ა ლ ი, რომელიც შეერთო კეისრის გვარდიის დრუნგარიოსმა კონსტანტინემ, მეტსახელად კეროლარიოსმა, პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ. ამ ქორწინებიდან მომდინარეობს ცეცეს დიდედა (დედის მხრით), რომელიც კონსტანტინე კეროლარიოსის ქალიშვილთან ერთად (პირველი ცოლისაგან) იზრდებოდა და დედოფალ ევდოკიას მიერ ¹ მდიდრული მზითვით იქმნა დასაჩუქრებული: იგი მისთხოვდა მეზვერეს გიორგის და ეყოლა სამი ქალიშვილი. ერთ მათგანს ჰქვია ევდოკია – ის არის იოანე ცეცეს დედა. ეს ნათესაური კიბე შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით:



მიახლოებითი გამოანგარიშების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცეცეს დიდედას თავისი ქალი ევდოკია უნდა შესძენოდა 1090 წელს ან ამის მომდევნო წლებში მალე.

იოანე ცეცეს ლიტერატურული მემკვიდრეობა უაღრესად მდიდარია.

1. მის ყველაზე ვრცელ ნაშრომად უნდა ჩაითვალოს Βίβλος (στοριών („ისტორიათა წიგნი“) ფილოლოგიურ-ისტორიული „პოემა“, რომელიც 12.674 პოლიტიკური ლექსისაგან შედგება და რომელსაც, ჩვეულებრივ, „ხ ი ლ ი ა დ ე ბ ი“ ეწოდება (ასე ეძახიან იმიტომ, რომ იგი 13 ათას ეულ ტაეპად არის გაყოფილი). ეს „ისტორიები“ ეხება მითოლოგიურსა და ისტორიულ ამბებს და, არსებითად, წარმოადგენენ კომენტარებს, რომლებიც დაუწერია იოანე ცეცეს თავის „წ ე რ ი ლ ე ბ შ ი“ მოთავსებული მსჯელობები-

ლებს, რომ, იოანე ცეცეს მოწმობით, ალანები და აბაზგები (ანუ იბერები) ერთი მოდგმისა არიანო.

იოანე ცეცეს „ხილიადების“ ეს ადგილები, რომლებიც მოჰყავს დიუკანჟს ანნა კომნენეს „ალექსიადისათვის“ დართულ შენიშვნებში. იხ. აქვე, ქვემოთ გვ. 22 – 24.

¹ დედოფალი ევდოკია – მიხეილ VII პარაპინაკის დედა.

სათვის (დაცულია მისი 107 წერილი, რომლებიც თარიღდება 1138 – 1170 წლებით და მიწერილია სხვადასხვა წარჩინებული პირებისადმი).

2. „აღეგორიები ილიადისა და ოდისეისათვის“ (Ἰπὸμνησίδος τοῦ Ὀμήρου ἀλληγορηθεῖσα) შეიცავს განმარტებებს ჰომეროსის ღმერთთა სამყაროს შესახებ ¹. ეს შრომა უძღვნა ავტორმა დედოფალ ირინეს.

3. „სხოლიოები ლიკოფრონის «აღექსანდრასთვის»; ეს შრომა წინათ მიეწერებოდა იოანეს ძმას ისააკს ².

ამათ გარდა იოანე ცეცეს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე სხვა კრებული კომენტარებისა.

თავის ნაშრომებში იოანე ცეცე უდავოდ დიდ ნაკითხობას იჩენს; მისთვის კარგად არიან (ცნობილი ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე, ბერძენი ტრაგიკოსები და კომედიოგრაფები, ისტორიკოსები და ქრონოგრაფოსები, მაგრამ ზოგჯერ ის თავის კომენტარებში ძალიან ენდობა თავის მეხსიერებას და ტლანქ შეცდომებს უშვებს: ერთიმეორეში ურევს, მაგალითად, ევფრატსა და ნილოსს; ნაქსოსი (კუნძული) ევბეის ქალაქი არისო, ამბობს, და სხვ. ამიტომ სამართლიანად მოგვიწოდებენ იოანე ცეცეს შრომათა სპეციალისტები სიფრთხილით გამოვიყენოთ მის მიერ მოწოდებული ცნობები ³.

¹ ამ შრომის გარდა ჰომეროსის პოემათა კომენტარებს შეიცავს აგრეთვე იოანე ცეცეს რამდენიმე სხვა თხზულებაც.

² ზემოთ მოყვანილი ცნობებისათვის, ძირითადად, გამოყენებულია; K. K r u m - B a c h e r GBZ, 526 – 536; G. M o r a v c s i k, Byzantinoturcica I (1958), 342 – 355; RE VII A, 1959 – 2010.

³ მართებულად არ მიგვაჩნია, მაინც, ისეთი მკაცრი მსჯავრი, როგორც გამოაქვს იოანე ცეცეს შესაფასებლად თ. უსპენსკის; მეთორმეტე საუკუნეშიო – წერს თ. უსპენსკი – იყო «целая галерея фигур писателей и ученых, начиная с самого Евстафия и комментатора Аристотеля Евстратия до ж а л к и х, хотя и плодовых, с т и х о п л е т о в Ц е ц ы и Птохопродрома»: Ф. И. У с п е н с к и й, История Византии. Том III (1948), стр. 440.

ვერც ე. გ რ ა ნ ს ტ რ ე მ ს დავეთანხმებით მთლიანად, როდესაც ის ასეთ ატესტაციას აძლევს იოანე ცეცეს: «это чуть-чуть скорбная и вместе с тем немного комичная фигура последнего эрудита, не знающего, что делать с собственной ученостью» (История Византии в трех томах. Москва 1967. Том II, часть вторая, глава 16, стр. 361). იოანე ცეცეს ეკუთვნის ვრცელი კომენტარები ძვ. ბერძნული ლიტერატურის ძეგლებისათვის: 1) „ილიადის“ კომენტარები, 2) „აღეგორიები“ ჰომეროსისათვის, 3) ჰესიოდეს «სამუშაონი და დღენი»-ს კომენტარები, 4) პინდარეს სქოლიოები, 5) ესქილეს სქოლიოები, 6) ევრიპიდეს სქოლიოები, 7) არისტოფანეს სქოლიოები, 8) თუკიდიდეს სქოლიოები, 9) ლიკოფრონის «კასანდრას» სქოლიოები. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მან დასწერა

გამოცემანი და ლიტერატურა:

Ἰωάννου τοῦ Τζέτζου βιβλίον ἱστορικῆς τῆς διὰ στίχων πολιτικῶν Ἑλληνικῶν ἑξαδικῶν – Ioannis Tzetzae Historiarum variarum Chilia des, graece. Textum ad fidem duorum codicum monacensium recognovit, brevi adnotatione et indicibus instruxit Theophilus Kiesslingius. Lipsiae 1826¹.

Scythica et Caucasica (ed. V. Latyšev) I, გვ. 400 – 409 (აქედან გვაქვს ამოღებული სქოლიოები „ლიკოფრონის «კასანდრასთვის»“).

P. Leone, Excerpta Vaticana ex Ioannis Tzetzae Commentario in Lycophronem et Historiis: Atti Acad. Sc. Torino. II. Classe Sc. Mor., Stor. e Filos. 99 (1964 – 1965), 381 – 488.

C. Wendel, Tzetzes Ioannes: RE, 2, Reihe, 7. Band, 1948, Sp. 1959 – 2010.

G. Moravcsik, Byzantinoturcica I (1958), 342 – 355. აქ მოყვანილია მთელი ლიტერატურა იოანე ცეცეს შესახებ 1958 წლამდე.

ქვემოთ მოგვყავს მასალები იოანე ცეცეს ორი თხზულებიდან: „ხილიადებიდან“ და ლიკოფრონის „კასანდრას“ სქოლიოებიდან.

კომენტარები პორფიროსის შრომისათვის *Εἰσαγωγή εἰς τὰς Ἀριστοτέλους κατη-
γορίας*, რომელიც მან განმარტა სასკოლო მიზნებით, როგორც ლოგიკის კომპენ-
დიუმი (1700 ტრიმეტრის მოცულობით), მაშინ ჩვენ მივხვდებით, რომ ჩვენს წინა-
შეა XII საუკუნის მოღვაწე, მონაწილე იმ ფილოსოფიური და ლიტერატურული
რენესანსისა, რომლის ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა XI – XII საუკუნეთა ბიზან-
ტიური აზროვნება და მწერლობა. რასაკვირველია, იოანე ცეცე თავისი როლით
და მნიშვნელობით ამ მოძრაობაში ოდნავადაც ვერ შეედრება მიქელ პსელოსს,
იოანე იტალოსსა და ანა კომნენეს (ან სხვებს), მაგრამ იმის თქმა, რომ ცეცე
არის «комичная фигура» არაფრით არ ამართლებს იმ ყურადღებას, რომლითაც
იკვლევენ მას ამ ბოლო წლების მანძილზე ბიზანტინოლოგიის სპეციალისტები
(H. Hunger, P. Leone, R. Browning, G. Moravcsik, B. Wendel, O. Mas-
son და სხვები, რომელთა ბიბლიოგრაფია იხ. მორავსიკის Byzantinoturcica I,
342 – 355).

¹ ცეცეს „ხილიადების“ ტექსტისათვის ემენდაციები მოუცია *Χ. Χαριτωνί-
δης-ს: Σύμμεικτα κριτικά. Ἐπιστημονική Ἐπετηρὶς τῆς Φιλοσοφικῆς Σχολῆς
τοῦ Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης* I, 35 – 111, ამ ნარკვევში არის ემენდაციები
ანა კომნენეს, მიქელ პსელოსის, ნიკიფორე ბლემიდეს, გიორგი აკროპოლიტეს,
ნიკიფორე გრიგორას ტექსტებისათვის. 82 – 110 გვერდებზე არის ემენდაციები
იოანე ცეცეს „ხილიადების“ ტექსტისათვის.

Pietro M. Leone თავისი სტატიის (Prolegomena ad J. Tzetzae Histo-
rias) ბოლოში ათავსებს ბიბლიოგრაფიას და წერს, რომ ხ. ხარიტონიდეს ემენ-
დაციები არ ემყარება ხელნაწერებს: Nullis codicibus usus Historias emenda-
vit X. *Χαριτωνίδης* (იხ. BZ 54 [1961], გვ. 285).

Iberes, Abasgi et Alani, unum genus

Ἵτι ὁ Τζέτζης κατὰ μητέρα Ἴβηρ τῷ
γένει, κατὰ πατέρα καθαρῶς Ἑλλάδος γένης ἐστὶ

Ἦ τοῦ δὲ μητρομήτωρ μὲν Τζέτζου τοῦ Ἰωάννου,
τοῦ ἱστοριογράφου τε καὶ συγγραφέως πόσων,
(585) Μητρός ἦν Μασσαγέτιδος, ἤγουν ἐξ Ἀβασγίδος·
Ἴβηρες δὲ καὶ Ἀβασγοὶ καὶ Ἀλανοὶ ἐν γένος·
Οἱ Ἴβηρες πρωτεύοντες, οἱ Ἀβασγοὶ δευτέρων,
Οἱ Ἀλανοὶ δ' ἐσχήκασιν τάξιν τριῶν ὑστέρων.
Τῆς Τζέτζου μητρομήτορος ἢ Ἀβασγίς ἢ μήτηρ
(590) Σὺν τῇ θεσποίνῃ Μαριάμ, τῇ Ἀβασγίσσῃ λέγω,
Ἦν οἱ πολλοὶ Ἀλάνισσάν φασιν οὐκ ἀκριβοῦντες,
Ἦλθεν εἰς Μεγαλόπολιν ὡς συγγενῆς καθ' αἷμα,
Οἱ δὲ βασκαίνοντές φασιν ὡς ὑπὸ χεῖρα ταύτης,
Ὡς ἢ Ἀσπᾶν καθ' ἡμᾶς Κατάης ὑπὸ χεῖρα.
Ἄφ' ἧς ὁ περιώνυμος ὁ μέγας Κωνσταντίνος,
(600) Ὁ μέγας ὁ Δρουγγάριος, εἰς Σεβαστὸς ἐν βίῳ,
τοῦ λογοθέτου τοῦ κλεινοῦ πατῆρ τοῦ θρυλλουμένου.
Μετὰ θάνατον τῆς αὐτοῦ παρθενικῆς συζύγου
Γεννᾷ τὴν μητρομήτορα, ἦν ἔφημεν, τοῦ Τζέτζου,
(600) Μιᾶ τῶν πρώην θυγατρῶν τῇ ὑπερφιλουμένῃ,

τῇ συμπαρέυνῃ λέγω δὲ αὐτοῦ τοῦ Ἰασίτου,
Ἰσοτιμῶν, καὶ τῇ αὐτῇ κλουβῇ συνεμβιβάζων,
Τὰς δ' ἄλλας πάσας παρῶν ἄλλης τιμῆς λαγχάνειν.

Ἵσπερ καὶ ἡ βασίλισσα γίνεται θέσει μήτηρ,
(605) Ἦ Εὐδοκία ἡ κλεινὴ, καὶ ζώνην διδοῖ ταύτης
Ἦς τρίτην ἐξαρκέσασαν τὴν γενεάν ἐκτρέφειν.
Ἐφ' ἣ γαμβρὸν ἐξάκτωρα Γεώργιον¹ ἐσχήκει,
Πολλὰς ἀρχὰς ἀνύσαντα πρακτορικὰς θεμάτων·
Οὐ καὶ θανόντος ὄνομα βόσται νῦν ὡς ζώντος·
(610) Τοῦτου θυγάτηρ σὺν δυσὶν ἑτέροις θυγατράσιν
τὴν κλησιν Εὐδοκία μὲν, μήτηρ δ' αὐτοῦ τοῦ Τζέτζου,

¹ Γεώργιον β3. 30609207, γεωργίον Kiessling.

იბერები, აბაზგები და ალანები, ერთი ტომისა [არიან] ¹

რომ ცეცე დედის მხრით იბერია ტომით, მამის
მხრით წმინდა ელადური წარმოშობისაა, იზ' ².

დიდედა (დედის დედა) იოანე ცეცესი,
ისტორიოგრაფოსისა და მრავალი [თხზულების] დამწერისა,
(585) მასაგეტ დედისაგან, ესე იგი აბაზგი ქალისაგან [იყო].
იბერები და აბაზგები და ალანები ერთი ტომისა [არიან];
იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან,
ხოლო ალანებს უკანასკნელი, მესამე ადგილი უჭირავთ,
ცეცეს დიდედის (დედის დედის) დედა აბაზგი ქალი
(590) დედოფალ მარიამთან ერთად, ვამბობ აბაზგ-ქალთან ერთად, –
რომელსაც ბევრნი ეძახიან ალან-ქალს, არა ზედმიწევნით, –
მოვიდა მეგალოპოლისში, როგორც სისხლით ნათესავი,
ხოლო ჭორიკანები ამბობენ, როგორც მისი ხელზე მოსამსახურე,
როგორც ასპაი ჩვენებურად მაშინვე კატაე [ითქმის?].
(595) მისგან [არის] სახელგანთქმული დიდი კონსტანტინე,
დიდი დრუნგარი, ერთი სევასტოსი სიცოცხლეში,
საყოველთაოდ ცნობილი განთქმული ლოგოთეტის მამა.
თავისი ქალწული-მეუღლის სიკვდილის შემდეგ
შვა ცეცეს (დედის დედა), როგორც ვთქვით,
(600) რომელიც ერთ წინანდელ (*ე. ი. პირველი ცოლისაგან*)

ქალიშვილთაგანთან, უსაყვარლესთან,

– ვგულისხმობ იმ იასიტეს მეუღლეს –
თანაბრად პატივდებული იყო, და მასთან ერთად იზრდებოდა,
ხოლო ყველა სხვა ასულებს უგულვებელყოფდა სხვა პატივის
სახვედრად.

დედოფალიც მას დედის ალაგას ჰყავდა,
(605) განთქმული ევდოკია, რომელმაც მზითვად მისცა იმდენი,
რომ მესამე თაობაში ეყოფოდა საცხოვრებლად.
მისთვის სიძედ შეარჩია მეზვერე გიორგი,
რომელიც ბევრ სამოხელეო თანამდებობას ასრულებდა:
მისი სახელი სიკვდილის შემდეგაც ისეთივეა, როგორც სიცოცხლეში.
(610) მისი ასული, ორ სხვა ასულთან ერთად,
რომლის სახელია ევდოკია, დედა იყო ამ ცეცესი.

¹ ეს სათაური, როგორც ჩანს, გამომცემელს კისლინგს ეკუთვნის (ასე აქვს მას საძიებელში).

² ეს არის „ისტორიების“ წიგნის სათვალავი (ე. ი. მე-17 წიგნია).

Ἔγνωε κατὰ μητέρα μὲν Ἴβηρα τοῦτον ὄντα·
 Πατὴρ δὲ τοῦτου Μιχαήλ, ὃς καὶ παιδεύει τοῦτον
 Ἐν λόγοις καὶ τοῖς πράγμασιν ὡς τὸν υἱὸν ὁ Κάτων.
 (615) Γίδς οὗτος ὁ Μιχαήλ ἦν Τζέτζου Ἰωάννου,
 Γράμμα μηδὲν τι μηδαμῶς τὸ σύνολον εἰδότες,
 Εἰς πάντα χρόνον δὲ σοφοὺς τοῖς οἴκοις ἐστιῶντας,
 Οἴκοις ἐν πεντωρόφοις δέ, πλὴν μετ' ἠδῆς ὀργάνων.

Τρυφαῖς ὑπερεχούσαις τε τὰς γάμων πανθαυσίας.
 (620) Καὶ τοῦτου πάλιν ὁ πατὴρ θρέμμα τῆς Βυζαντίδος,
 Ὅς μέχρι νῦν ἀκέραιος νεκρὸς τελῶν ἐν τάφῳ
 Ἐν Εὐφροσύνης τῇ μονῇ τὴν κλησὶν καλουμένη
 Πολίτης ὀνομάζεται ταύτης ταῖς μονοτρόποις,
 Μὴ γνωσκούσαις τίς ἐστίν, ὄνπερ φασὶν πολίτην.

(625) Οἷα δὲ ὄρα θαυμάσια, μοναζουσῶν πυθάνου.
 Οὕτω κατὰ μητέρα μὲν ὁ Τζέτζης ἐστὶν Ἴβηρ.
 Κατὰ πατέρα δὲ μητρὸς καὶ τὸν αὐτοῦ πατέρα
 Γονῆς Ἑλλάδος καθαράς, γονῆς ἀκραιφνεστάτης.

(Chiliades V, 583 — 628)

Ἱστορία ἡ λέγουσα, καὶ τὰς Σακίδας καὶ Μασσαγέτιδας ἡνά

Τοὺς Σάκας ἔθνος γίνωσκε, ὧν εὖρεμα τὸ σάκος,
 Καὶ αἱ γυναῖκες τούτων δὲ συμμάχονται ἀνδράσιν,
 Ὅς καὶ Κτησίαις εἴρηκε, καὶ ἕτεροι μυρίοι.
 «Αἱ τῶν Σακῶν γυναῖκες δὲ μάχονται δὴ ἀφ' ἵππων
 «Καὶ πάλιν δὲ Στρουάλιος ἀνὴρ τις ἐκ τῶν Μήδων
 «Γυναῖκα τῶν Σακίδων μὲν καταβαλὼν ἐξ ἵππου».

Τοὺς Μασσαγέτας νοεῖ δὲ τοὺς Ἀβασγοὺς ὑπάρχειν.
 (900) Καὶ τούτων αἱ γυναῖκες δὲ τοῖς ἀνωτάτοις χρόνοις
 Σὺν τοῖς ἀνδράσι τοῖς αὐτῶν ταῖς μάχαίς ἐκαρτέρουν.
 Καὶ τοῦτο γίνωσκε καλῶς, μηδὲ σε λανθανέτω,
 Ὅς Ἀβασγοὶ καὶ Ἀλανοὶ καὶ Σάκα· δὲ καὶ Δάκαι,
 Οἱ Ῥῶς καὶ Σαυρομάται δὲ καὶ οἱ ἰδίως Σκύθαι
 Καὶ πᾶν ὅποσον πρόσσιον ἔθνος πνοιαῖς Βορέου
 Κοινῶς κατονομάζονται Σκύθαι, Σκυθῶν τῇ κλήσει.

(Chiliades XII, 893—906)

ხომ იცი, რომ დედით ის იყო იბერიელი.
 ხოლო მისი მამა მიხეილი, რომელიც ისე ზრდიდა მას,
 სიტყვიერადაც და საქმიერადაც, როგორც კატონი თავის ვაჟს,
 (615) ეს მიხეილი იყო იოანე ცეცეს ვაჟი,
იმ ცეცესი, რომელმაც სრულებით არ იცოდა რამე ასოც კი,
 ხოლო ყოველთვის ბრძენ ადამიანებს ჰპატიუებდა სახლებში,
 ხუთსართულიან სახლებშიც კი; *არაფერი იცოდა* გარდა
 სასაგალობო საკრავებისა,
 და გაგაჭარბებული ნებივრობისა საქორწილო ზეიმების დროს.
 (620) კვლავ ამის მამა ბიზანტიონის ძველი მკვიდრი,
 რომელიც დღემდე უმწიკვლოდ განისვენებს საფლავში
 ევფროსინეს მონასტრისა, რომელსაც სახელი ჰქვია
 «მოქალაქისა», თუმცა ამ მონასტრის მარტომყოფმა
მოლოზნებმა არც კი იციან, თუ ვინ იყო ის, რომელსაც
 უხმობენ «მოქალაქედ».
 (625) ხოლო თუ რა სასწაულებს ახდენს, მთლბორნებისაგან შეიტყობ.
 ამრიგად, ცეცე დედით იყო იბერიელი,
 ხოლო მამით დედის მხრით და თვით მამაც
 წმინდა ელადური წარმოშობისა იყო, შეურეველი წარმოშობისა.

მასაგეტები არიან აბაზგები

ამბავი, რომელიც მოგვითხრობს საკიდებზე და მასაგეტებზე უნა.

იცნობდე ტომს საკებისას, რომელთაც გამოიგონეს „ფარი“ (σάρκος).
 მათი ქალები კაცებთან ერთად იბრძვიან,
 როგორც კტეზიასმა თქვა, და მრავალმა სხვამაც:
 საკების ქალები იბრძვიან ამხედრებულნი,
 და კვლავ ვინმე სტრიალიოსმა, მიდიელმა კაცმა
 საკების ქალი ჩამოაგდო ცხენიდან».

ის ფიქრობს, რომ მასაგეტები არიან აბაზგები
 (900) და ამათი ქალები, ადრინდელ ხანებში,
 თავიანთ კაცებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ.
 ესეც კარგად იცოდე – ნუ იქნება შენთვის დაფარული,
 რომ აბაზგები და ალანები, საკები და დაკები,
 როსები და სავრომატები და საკუთრივ სკვითები
 და ყველა ის ტომი, რომელნიც ჩრდილოეთით ცხოვრობენ,
 საზოგადოდ, იწოდებიან სკვითებად, სკვითთა სახელწოდების
 მიხედვით.

Περὶ σιδήρου τοῦ Χαλύβου. πλῆ'.

Χάλυρες ἔθνος ἐγγιστα τελοῦν τῆς Τραπεζοῦντος.
 Ἔθνη λέγονται σιδήρον ἐφευρηκέναι πρῶτοι.
 Καὶ τὸν χαλκὸν δὲ χαλυβὸν χαλκὸν τε λέγουσί μοι.
 Οἷα καὶ τοῦτον εὔρεμα τελοῦντα τῶν Χαλύβων.

(Chil. X 523—527)

Ἱστορία ἢ λέγουσα ἀργυρὸν τε τὸν ἐξ Ἀλύβης καὶ Αἰγύπτου
 καὶ τὸν Ἴνδον καὶ μυρμηκίας χρυσόν¹, ἱστορίαί
 τρεῖς ἀπὸ μίας εὐδ'.

Ἀλύβη πόλις ἄριστον τὸν ἄργυρον γενῶσα,
 Ὃς ὁ χρυσοῦς κατέλεξεν Ὅμηρος Βοιωτίζ,
 Ἐγλήθειν ἐξ Ἀλύβης, θῆεν ἀργύρου ἐστὶ γενέθλη.
 Ἀλύβας δ' ἢ Μετάποντος πόλις τῆς Ἰταλίας

(Chil. 322—325)

Περὶ Ἀμαζονίδων καὶ Σκυθίδων καὶ Σαυροματῶν γυναικῶν εν'

Ἵτι τὸ γένος μάχιμον τὸ τῶν Ἀμαζονίδων,
 Τοῦς πάντας ἀφαιμένῳ μοι δεικτέον ἐξ Ὀμήρου².

Ἐτὸ τρίτον αὖ κατέπαρνεν Ἀμαζόνος ἀντιανείρας.

Καὶ αἱ Σκυθίδες πανταχοῦ ἀνδράσι συμπονοῦσι
 Καὶ ταῖς³ μάχαις καὶ ταῖς ἔργοις δὲ σύμπασιν ἑτέροις,
 Μᾶλλον τὰ ἔργα σύμπαντα ἐργῶνται αἱ γυναῖκες.

(880) Καὶ τῶν Σαυροματῶν νοεὶ μοι τὰς γυναῖκας,
 Σκυθῶν καὶ Ἀμαζόνων δὲ γονῆς ἐκπεφυκυίας,
 Ὡσπερ καὶ Διονύσιός φησι Περιηγῆσαι⁴
 Ἐτῆς γάρ τοι φιλότητος Ἀμαζονίδων ἐγένοντο,

¹ μυρμηκίας χρυσός „золото, выкопавшее из индийских муравейников“ („Синдская и Слов.).

² Ilia. 6.186.

³ ταῖς-ὁ σταθροῦ δουροδοξο.

⁴ 208 ομοί: ἐν Περιηγήσει.

ხალიბები

ხალიბის რკინის შესახებ ტ^ლწ

ხალიბები – ტომია, ტრაპეზუნტთან ძალიან ახლოს ცხოვრობენ, ამბობენ, რომ იმათ პირველებმა მოიპოვეს რკინა. და ხალიბური სპილენძი, და „ხალკოს“, მითხრეს მე, რომ ესეც ხალიბების მონაპოვრად ითვლება.

ქალაქი ალიბე

ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ვერცხლზე, როგორც ხ ა ლ ი ბ უ რ ზ ე და ეგვიპტურზე ისე ინდურზე, და ინდურ ოქროზე; სამი მოთხრობა ერთის ნაცვლად უ^ნდ.

ქალაქი ალიბე მშობელია საუკეთესო ვერცხლისა, როგორც მოგვითხრობს ჰომეროსი „ბეოტიაში“:
«შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო»¹, ხოლო ალიბასი არის იტალიის ქალაქი მეტაპონტი.

ამორძალები და სავრომატები

ამორძალების, სკვითელი ქალებისა და სავრომატ ქალების შესახებ უ^ნდ

რომ ამორძალთა მეზრძოლი ტომი, ყველა ჩემ მიერ მოხსენებულნი, უნდა იქნეს ნაჩვენები ჰომეროსის მიხედვით:

«მესამე მან მოკლა ვაჟკაცური ამორძალის მოდგმა». და სკვითი ქალები ყველგან მამაკაცებთან ერთად შრომობენ, ბრძოლებშიაც და ყველა სხვა [ყოველდღიურ] საქმეებშიც, უფრო მეტად კი ქალები აკეთებენ ყველა [ყოველდღიურ] საქმეებს. (880) სავრომატების ქალებს ვგულისხმობ მე, სკვითთა და ამორძალთა მოდგმიდან წარმოშობილებს, როგორც ამბობს დიონისიოსი თავის „პერიეგესში“:
«ისინი ხომ წარმოიშვნენ ამორძალთა სიყვარულისაგან,

¹ II, 2,857 („ილიადის“ II სიმღერას ეწოდება „ბეოტია ანუ ხომალდთა კატალოგი“).

«Τὴν ποτε δὴ μίχθησαν ἐπ' ἀνδράσι Σαυρομάτησι.
(885) Οἱ Σαυρομάται Σκύθαι δέ, οὐς περαντάδας λέγεις.
(Chiliades XII, 874—885)

[Κίρκη — Ὀδυσσεύς]

Πόθεν Αἰσῶνες λέγονται καὶ μέχοι τινος τόπου
ἐστὶν Αἰσωνία¹. 15'

Ἡ Αἰσωνία τὴν κλησιν τῶν Αἰσόνων
Κατὰ τινος ἐξ Αἰσῶνος, υἱοῦ τοῦ Ὀδυσσεύος·
Ἐκ γὰρ τῆς Κίρκης Ὀδυσσεύς τῆς πᾶσι θρυλλουμένης
Αἰσῶνα καὶ Τηλέγονον γεννᾷ καὶ Κασσιφόνην,
Ὡς, πᾶς φησὶν ἱστορικός, φροντίζων ἀληθείας·
Τξέτιζης κἀνταῦθα δὲ φησιν, ἱστορικοὶ κτηνώδεις².

(570) Ἐνα μόνον ἐνικαυτὸν³ συνδιατρίψας Κίρκη
Ὁ Ὀδυσσεύς πῶς ἔτεκε τὰ τρία ταῦτα τέκνα,
Τετραμηναῖα, ἣ γαστρὶ μιᾶ τὰ τρία τίκται;
Ἄλλ' ἐν Λιβύῃ κεραοὺς ἄργας ἐνθῶς γεννῶσι·
(Chil. V, 564—573)

Ἡ κατὰ τὸν Ἰάσον[α]. 15'

Ἰάσων Αἰσῶνος υἱός· δὲ Αἰσῶν παῖς Κρηθίεως.
Τρεῖς δ' ἦσαν τῇ Ἰάσωνι ἀμφίβολοι μητέρας,
Ῥοιὴ καὶ Ἀλκιμέδη δὲ μετὰ τῆς Πολυφύμης⁴,
Ὄν ἣ Ῥοιὴ Σταφύλου μὲν, αἷ δ' Αὐτολύκου παῖδας.

Πελίου δὲ φονεύοντος πάντας τοὺς Αἰολίδας,
Χρησμοῦ θελοῦντος ὑπ' αὐτῶν τινὸς ἀναρεθῆναι.

¹ „ავსონია“ არის იტალიის ძველი სახელწოდება.

² ეს ადგილი შეიძლება დამახინჯებული იყოს: კτηνώδεις („პირუტყულნი“ ან „მინაური საქონლით მდიდარნი“) აქ არაფერ შუაშია. იქნება ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ერთ წელიწადში სამი შვილის ყოლა ემსგავსება იმას, რაც პირუტყვების მიმართ შეიძლება ივარაუდებოდეს.

³ „ოდისეის“ მეათე სიმღერაშია გადმოცემული ეპიზოდი „ოდისევსი კირკეს სამეფოში“, სადაც აღნიშნულია, რომ ოდისევსი და მისი ამხანაგები მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ კირკეს სასახლეში.

⁴ კისლინგს დაბეჭდილი აქვს Πολυφύλης შდრ. P a p e, Eigennam. 1230.

«ოდესღაც რომ სავრომატ მამაკაცებს შეეუღლნენ»¹.
 (885) ხოლო სავრომატები არიან სკვითები, რომელთაც
 გადაღმელებს(?) ემახი.

დედოფალი კირკე – ოდისევსის მეუღლე

საიდან წარმოსდგება სახელი «ავსონები» და რა ადგილამდე
 ვრცელდება ავსონია

ავსონია ავსონთა ქვეყანას ეწოდება
 (565) ზოგიერთების მიხედვით ავსონისაგან, ოდისევსის ვაჟისაგან;
 კირკესაგან, საყოველთაოდ ცნობილისაგან, ოდისევსმა
 იყოლია [შვილები] ავსონი, ტელეგონე და კასიფონე,
 როგორც ამბობს ყველა ისტორიკოსი, ჭეშმარიტებაზე მზრუნავი;
 ხოლო ცეცე აქ ამბობს, ისტორიკოსები პირუტყვთა მსგავსად
ანგარიშობენ.

(570) მხოლოდ ერთ წელიწადს იცხოვრა კირკესთან
 ოდისევსმა და როგორ შეეძლო ჰყოლოდა მას ეს სამი შვილი,
 ოთხთვიანები, ან ერთ ორსულობაზე *კირკეს* სამი დაებადა?
 მაგრამ ლიბიაში ერთბაშად რქიან კრავებს ჰბადებენ.


იასონი და პელიასი

თხრობა იასონისთვის ჟ 3

იასონი ესონის ძეა; ეს ესონი შვილია კრეთევსისა.
 იასონის დედობას სამი ქალი ეცილებოდა ერთმანეთს:
 როდო და პოლიფემესთან ერთად ალკიმედე.
 (980) ამათგან როდო იყო სტაფილეს შვილი, ხოლო ისინი –
 ავტოლიკესი,

პელიასმა რომ მოკლა ყველა ეოლიდები,
 რადგან ნამისნევი იყო, რომ იგი მას ერთი მათგანი დალუპავდა,

¹ Dion. Perieg. 654 – 655. კოსლინგი წერს; ცეცეს ზეპირად მოჰყავსო. მართ-
 ლაც, დიონისიოსის ტექსტი ცეცეს მოჰყავს არა ზედმიწევნით. დიონისიოსის შრო-
 ნაში სწერია:



(იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ
 I. თბ. 1967, გვ. 144).

Τεχθέντα τὸν Ἰάσονα βρέφος εὐθύς αὐτίκα
 Θανεῖν αὐτὸν πλάσάμενοι, φόβῳ τῷ τοῦ Παλίου.
 (985) Ὁ πάππος γὰρ Ἰάσωνος Κρηθεύς, Διόλου γόνος)
 Ἐν λάρνακι τῷ Χείρωνι κομίζουσιν ὡς νέκυν,
 Ὅς αὐξήθεῖς καὶ παιδευθεῖς Χείρωνι τῷ ῥηθέντι,
 Ἐκδικῶς γίνεταί λαμπρὸς Διολιδῶν τοῦ φόνου.

(Chil. VI, 978—988)

Περὶ Σηρικῶν περιβλημάτων. ττη'

Οἱ Σῆρες καὶ οἱ Τόχαροι ἔθνη ἐγγύς Ἰνδίας,
 (840) Ὑφάσματα τὰ κάλλιστα ὑγαίνοντες ἀπάντων,
 Καὶ τὰ πολυτιμότερα τοῖς παλαιοῖς τῶν χρόνων,
 Καὶ Ἰβηρες ἐσπέριοι καὶ Κοραξοὶ ὁμοίως,
 Ὑφάσματα τὰ κάλλιστα εἰσιν ἐριουργοῦντες,
 Νῦν δὲ καταχρησάμενος, ὡς οἱ πολλοὶ εἰρήκειν,
 Τὸ ἐκ Θηβῶν, ἐκ Σηρικῶν, οὐκ ἀγνοῶν ὡς ἄλλοι.

(Chil. XI, 839—845)

იასონი რომ დაიბადა, თოთო ბავშვი მაშინვე გადაწყვიტეს რომ მომკვდარიყო, პელიასის შიშით (985) (რამეთუ იასონის პაპა კრეთევსი წარმოშობით ეოლიელი იყო), ლარნაკში ჩასდეს და ქირონს გაუგზავნეს, როგორც მიცვალებული, ის რომ გაიზარდა და აღიზარდა ხსენებულ ქირონთან, ბრწყინვალე შურისმაძიებელი გახდა ეოლიდთა გაჟლეტისათვის.

იბერიის ქსოვილები

სერული საფარების შესახებ ტ³³

სერები და თოხარები ტომია ინდოეთის ახლოს, საუცხოვო ქსოვილებს ამზადებენ, ყველაზე უკეთესს, და უფრო ძვირფასს, ვიდრე ძველ დროში; და დასავლეთის იბერები¹ და აგრეთვე კორაქსები საუკეთესო ქსოვილების დამმუშავებელნი არიან, ხოლო ამჟამად ცუდს აკეთებენ, როგორც ბევოს უთქვამს: თებედან [მოაქვთ], სერული [ქსოვილები] კი არ იციან, როგორც სხვები [ამბობენ].

¹ ამ ნაწყვეტში ლაპარაკია აბრეშუმის ქსოვილებზე. ამასთან დაკავშირებით მოხსენებული არიან Ἰβηδες ἑσπέρσιοι („დასავლეთის იბერები“). შეიძლება ასეთი ჰიპოთეზა წამოგვეყენებინა: 1) იბერთა გვერდით მოხსენებული „კორაქსები“ ცნობილი არიან თვით ძველი ბერძნული წყაროებით როგორც ამიერკავკასიის მცხოვრებლები, როგორც ქართული ტომის წარმომადგენლები; 2) მაშასადამე, მათ გვერდით მოხსენებული „იბერები“ უნდა იყვნენ არა „დასავლეთის“, არამედ „დასავლეთის“ იბერები; 3) ცნობილია, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბიზანტიურ წყაროებში არის ლაპარაკი იბერულ (ე. ი. ქართულ) აბრეშუმზე.

სქოლიოები ლიკოფრონის «კასანდრასთვის»

კოლხეთის ქალაქი კვტაია

ტ. 174. Κυταΐκη]. Κύν-
ταια, πόλις Κολχίδος, ὅθεν αὐτὴν
τὴν Μήδειαν Κυταΐκην ἔφη. Οἱ
δὲ Κόλχοι Ἰνδοῖκοι Σκῦθαι εἰσίν,
οἱ καὶ Λαῖοι καλούμενοι, πλεγ-
σίον οἰκοῦντες Ἀβραχῶν, τῶν
πρὶν Μασσαγετῶν, ὧν Κόλχων τὰ
φάρμακα ἀνθήμερον ἀναιροῦσιν.

Εἰς δὲ Κόλχους Ἀΐήτης ἀφί-
κετο, ὡς μὴ ἀρεσθῆεις τῆ τῆς
Κορίνθου βασιλείᾳ. Αἰήτης γὰρ
καὶ Ἀλωεύς Ἡλίου παῖδες καὶ
Πέρσης τῆς Ὠκεανοῦ θυγατρός.
Διεῖλε δὲ Ἥλιος τοῖς παισὶ τὴν
βασιλείαν, καὶ τὴν μὲν Ἀρκα-
δίαν Ἀλωεὶ δέδωκε, τὴν δὲ Κό-
ρινθον Αἰήτη. Αἰήτης δὲ μὴ
ἀρεσθῆεις τῆ Κορίνθῳ παρέθετο
ταύτην φυλάττειν Βουνῶ, Ἑρμῶ
καὶ Νύμφης υἱῶ· αὐτὸς δὲ εἰς
Κόλχους ἀφίκετο, ἐντειλάμενος
Βουνῶ φυλάττειν τὴν Κορίνθου
βασιλείαν ἕως οὗ ἢ αὐτὸς ἢ τις
τῶν ἐξ αὐτοῦ ἔκοιτο.

Ἐν Κόλχοις δὲ αὐτὸς γήμας
εἶδυσεν, τὴν Ὠκεανοῦ θυγατέρα,
ἐν Κυταΐᾳ πόλει, Μήδειαν καὶ
Ἄψυρτον γεννᾶ.

Ἀδελφαὶ δὲ Αἰήτου καὶ
Ἀλωεύος, ἦτο: Ἡλίου θυγατέ-
ρες, Κίρκη καὶ Πασιφάη, καὶ
ἑτέρας καὶ Καλυψῶ.

Περὶ δὲ τῆς διαιρέσεως τῆς
τοῦ Ἡλίου βασιλείας εἰς τοὺς

კვტაიელი კვტაია, კოლ-
ხეთის ქალაქია, საიდანაც თვით
მედეას კვტაიელი უწოდა პოეტმა.
კოლხები ინდოელი სკვითები
არიან, მათ ლაზებიც ეწოდებათ
და ცხოვრობენ მახლობლად აბაზ-
გებისა, წინანდელი მასაგეტები-
სა; ამ კოლხების საწამლავები
იმავე დღეს სპობენ ადამიანს.

კოლხების ქვეყანაში ჩავიდა
აეტი, რომელსაც არ მოეწონა
კორინთოში მეფობა. აეტი და
ალოევსი, ჰელიოსის და ოკეანეს
ასულის პერსეს შვილები იყვნენ.
ჰელიოსმა შვილებს გაუყო სამე-
ფო: არკადია მისცა ალოევსს,
ხოლო კორინთო აეტს. მაგრამ
აეტს არ მოეწონა კორინთო და
გადასცა იგი დასაცავად ბუნოსს,
ჰერმესისა და ნიმფეს ვაჟს; თვი-
თონ კი კოლხების ქვეყანაში ჩა-
ვიდა; ბუნოსს კი მიანდო დაეცვა
კორინთოს სამეფო, ვიდრე ან
თვითონ ან სხვა ვინმე მისიანი
მივიდოდა.

კოლხების ქვეყანაში მან შე-
ირთო იდია, ოკეანეს ასული,
ქალაქ კვტაიაში, და შეეძინა
მედეა და აფსირტე.

აეტის და ალოევსის დები,
ესე იგი ჰელიოსის ასულები,
იყვნენ კირკე და პასიფაე, სხვე-
ბის მიხედვით აგრეთვე კალიფსო.

ჰელიოსის სამეფოს გაყოფის
შესახებ მის შვილებს შორის,

αὐτῶν παιδᾶς Αἰήτην καὶ Ἄλωεα
Θεόπομπος ὁ Χίος Εὐμήλου τοῦ
Κορινθίου ἱστορικοῦ ποιητοῦ μέμ-
νηται λέγοντος.

Ἄλλ' ὅτε δ' Αἰήτης καὶ Ἄλωεὺς
ἔξεγένοντο
Ἡελίου τε καὶ Ἀντιόπης τότε
δ' ἄνδιχα χῶρον
λάσσατο παισὶν ἑοῖς Ὑπερίονος
ἀγλαὸς υἱός·
Ἦν μὲν ἐξ Ἀσωπός, ταύτην πόρε
δίω Ἄλωεϊ,
Ἦν δ' Ἐφόρη κτεταῖσσι Αἰήτη
δῶκεν ἄπασαν
Αἰήτης δ' ἄρ' ἐκὼν Βούνη παρέδωκε
φυλάσσειν,
Εἰσόκειν αὐτὸς ἰκαίη ἢ ἐξ αὐτοῖο
τις ἄλλος,
Ἦ παῖς ἢ υἱόνος· ὁ δ' ὄχρεο
Κολχίδα γαῖαν.

Σημείωσαι δὲ τοῦτο, ὅτι οἱ
μὲν λοιποὶ τῶν ἱστορικῶν Πέρ-
σης καὶ Ἡλίου παιδᾶς φασὶ τὸν
Αἰήτην καὶ Ἄλωεα, ὁ δὲ Εὐμη-
λος οὗτος Ἀντιόπης καὶ Ἡλίου.

აეტსა და ალოევსს შორის, თეო-
პომპე ქიოსელი იხსენიებს ისტო-
რიკოს-პოეტის ევმელოს კორინ-
თოელის თხრობის მიხედვით:

«როდესაც „აეტი და ალოევსი
გაჩნდნენ
ჰელიოსისა და ანტიოპესგან,
მაშინ ორად გაუყო
ქვეყანა თავის შვილებს ჰიპერიონის
ბრწყინვალე ძემ;
რომელი [ქ ვ ე ყ ა ნ ა ც] ჰქონდა ასოპეს,
იგი მისცა ღვთაებრივ ალოევს
ხოლო რომელიც შეიძინა ეფორემ,
აეტს მისცა მთლიანად;
ამრიგად, აეტმა თავისი ნუბით
ბუნოსს გადასცა დასაცავად,
ვიდრე თვითონ მოვიდოდა, ან
სხვა ვინმე მისიანი,
ან შვილი, ან შვილიშვილი: თვითონ.

კი კოლხეთის ქვეყანაში წამოვიდა.
შეისწავლე ესეცა, რამეთუ
სხა ისტორიკოსები ამბობენ,
რომ აეტი დაა ალოევსი პერსეს
და ჰელიოსის შვილები არიან,
ხოლო ამ ევმელეს¹ აზრით –
ანტიოპეს და ჰელიოსის შვილები.

ოქროს საწმისი

ⲓ. 175 ... Τὸ χρυσομάλλον
τοῦτο δέρμας ἦν τοῦ κριοῦ, ὃς τὸν
Φρίξον εἰς Κολχίδα διεπύρθιμυ-
σεν· ἐκεῖ δὲ τοῦτον, ὡς φασιν,
ἔθυσεν Φυξίῳ Διί, καὶ ἐν Ἄρεος
ἄλσει περὶ τινα δρῦν τὸ δέρμα
αὐτοῦ ἀπεκρέμασεν· ἐφύλαττε δὲ
τοῦτο δράκων, «ὃς πάχει μάκει

ეს ოქროს-საწმისიანი ტყავი
იყო იმ ვერძისა, რომელმაც ფრიქ-
სე კოლხიდაში გადაიყვანა; იქ,
როგორც ამბობენ, ფრიქსემ ფიქ-
სიელ ზევსს შესწირა, და არესის
ჭალაში ჩამოკიდა მისი ტყავი
ერთ მუხაზე; ამ ტყავს სდარა-
ჯობდა დრაკონი, «რომელიც სი-

¹ ევმელე კორინთელი – ძვ. წ. VIII საუკუნის ეპიკოსი-პოეტი, რომელსაც დაუწერია პოემები *Κορινθιακά, Εὐρωπία* და *Βουγονία*

τε πεντηκόντορον ναῦν κράτει»,
ὡς φησι Πίνδαρος.

სქითაც და სიგრძითაც ორმოც-
დაათნიძიან ხომალდს ჯობნი-
და, როგორც ამბობს პინდარე.

იასონი უკან იბრუნებს ოქროს საწმისს

Κατὰ γοῦν τὴν αὐτοῦ κρίσιν
ὁ Πελίας κελεύει αὐτὸν τὸν Ἰάσονα
ἀπελθεῖν καὶ κομίσει τὸ δέ-
ρας αὐτῷ· ὁ δὲ τῆς Ἀργοῦς ἐπι-
βᾶς... καὶ σὺν αὐτῷ ἑτέρους
ἄνδρας μὴ λαβῶν... ὡς εἶναι
τοὺς πάντας πεντήκοντα, κατέ-
πλευσεν εἰς τὴν Κολχίδα καὶ
παρεκάλει Αἰήτην δοῦναι αὐτοῖς
τὸ δέρας. Ὁ δὲ ἔφη δοῦναι, ἂν
τοὺς Ἑφαιστείους πυρπνόους χαλ-
κόποδας ζεύξῃ ταύρους καὶ σπεί-
ρῃ τοὺς δράκοντος ὀδόντας, οἷς
εἶχεν αὐτὸς ὁ Αἰήτης, τῆς Αἰθη-
νᾶς δούσης αὐτῷ μέρος ἐκ τῶν
ἐν Θήβαις σπαρέντων τῷ Κᾶδμῳ.

Μήδεια δέ, ἡ Αἰήτου θυγά-
τηρ, ἐρασθεῖσα Ἰάσονος, φαρμά-
κοις αὐτὸν χρίσασα καὶ τοῦ πυ-
ρὸς τῶν ταύρων διεφύλαξε καὶ
νυκτὶ περὶ τὸ δέρας τοῦτον ἐπά-
γει καὶ γοητεύσασα τὸν δράκοντα
τοῦτο τὸ χρυσόμαλλον ἀφείλετο
καὶ τοῖς Ἀργοναύταις συναπέ-
πλευσε, λαβοῦσα μὲθ' ἑαυτῆς καὶ
τὸν αὐτῆς ἀδελφὸν Ἄψυρτον.

Διώκοντος δὲ Αἰήτου, μελη-
δὸν τὸν Ἄψυρτον τεμνοῦσα ἔρρι-
πεν εἰς τὴν θάλασσαν. Συλλέγων
δὲ ὁ Αἰήτης τὰ τοῦ παιδὸς μέλη
τῆς διώξεως ὑστέριζεν, εἶτα Κόλ-
χους ἀπέστειλεν εἰς δῖωξιν αὐτῶν.

ამრიგად, მისივე (ე. ი. იასო-
ნის) წინადადებით ჰელიასი ავა-
ლებს თვით იასონს გაემგზავროს
და მოუტანოს მას საწმისი; ხო-
ლო ის ჯდება არგოს ნავში სხვა
ორმოცდაცხრა კაცთან ერთად...
(ასე რომ სულ იყვნენ ორმოცდა-
ათნი), გასცურა კოლხიდისაკენ
და სთხოვდა აეტს მიეცა მათ-
თვის საწმისი. ხოლო იმან უთხრა:
მოგცემ, თუ ჰეფესტოსეულ ცეცხ-
ლისმრქვეველ სპილენძფეხებიან
ხარებს შეაბამ და დასთეს დრა-
კონის კბილებს, რომლებიც მე,
აიეტს, მაქვს ათენასაგან მოცე-
მული თებეში კადმოსის მიერ
დათესილ კბილთა ნაწილიდან.

მედეამ, აეტის ქალიშვილმა,
რომელსაც იასონი შეუყვარდა,
წამლებით დახილა იგი, იხსნა ის
ხარების ცეცხლისაგან და ღამით
მიიყვანა ის საწმისთან, მოაჯა-
დოვა დრაკონი, ოქროს საწმისი
გამოიტაცა და არგონავტებთან
ერთად უკან გასცურა, თან წა-
იყვანა თავის ძმა აფსირტე.

აეტი რომ დაედევნა, მედეამ
ნაკუწ-ნაკუწ დაჭრა აფსირტე და
ზღვაში გადაყარა. აეტი შეუდგა
შვილის ასობის შეკრებას და
დევნას ჩამორჩა, ამიტომ შემდეგ
კოლხები დაადევნა მათ.

Ἦν δὲ διακόντων αὐτοὺς Κόλχων οἱ μὲν ἐν τοῖς Κεραυνίοις ἔρρει κατῆκησαν, οἱ δὲ εἰς τὴν Ἰλλυρίδα καὶ τὰς Ἀψύρτιδας νήσους, τινὲς δὲ εἰς Φαιακίαν.

იმ კოლხთაგან რომელნიც მათ დაედევნენ, ერთნი კერავნეს მთებში დასახლდნენ, სხვები კიდევ ილირიდში და აფსირტეს კუნძულებზე, ზოგიერთები კიდევ ფეაკიაში.

მედეამ თავის მამას სამეფო ტახტი კვლავ მოაპოვებინა

Μήδεια δὲ ἄγνωστος εἰς Κόλχους ἦκε καὶ τῷ πατρὶ τὴν βασιλείαν δίδωσι πάλιν, Πέρσην ἀνελοῦσα, τὸν ἀδελφὸν ἐκείνου, τὸν αὐτὸν ἐκβαλόντα τῆς βασιλείας.

მედეა კოლხეთში ჩავიდა უჩუმრად და თავის მამას კვლავ მოაპოვებინა სამეფო, და მოკლა პერსე, მისი ძმა, რომელმაც აეტს სამეფო ტახტი წაართვა.

კოლხური დრაკონი

ტ. 615. Ἀλούσης τῆς Τροίας Διομήδης... παρεγένετο εἰς Ἴταλίαν· εὐρών δὲ τηγικαῦτα τὸν Κολχικὸν δράκοντα λυμαινόμενον τὴν Φαιακίδα, ἔκτεινε, τὴν τοῦ Γλαύκου χρυσὴν ἀσπίδα κατέχων· ἐνόμισε γὰρ ὁ δράκων τὸ χρυσοῦν εἶναι δέρμας τοῦ κριοῦ.

ტროადის ალების შემდეგ დიომედე... ჩავიდა იტალიაში; იქ მან ნახა კოლხური დრაკონი, რომელიც ანადგურებდა ფეაკიას, და მოკლა იგი: ხელთ ჰქონდა გლავკოსის ოქროს ფარი: რამეთუ დრაკონს ეგონა, რომ ის იყო ვერძის ოქროს საწმისი.

ტ. 630. Οἱ Φαίακες αἰνεσοῦσι καὶ σεβάζονται τὸν Διομήδην, οἵτινές εἰσι περὶ τὸ Ἴόνιον πέλαγος, ὅτι τὸν δράκοντα ἀνείλεν ἐκ Κόλχων ἐκείσε ἐλθόντα πρὸς ζήτησιν τοῦ χρυσοῦ δέρμας. Τινὲς δὲ ληστὴν φασιν εἶναι τὸν δράκοντα.

ფეაკები რომელნიც იონიის ზღვის მიდამოებში ცხოვრობენ, ქებას შეასხამენ და ეთაყვანებიან დიომედეს, რომ მან მოკლა დრაკონი, რომელიც იქ მისულიყო ოქროს საწმისის სამებრად. ზოგიერთები ამბობენ, რომ დრაკონი ყჩაღი იყო.

მედეა აქილევსის მეუღლეა

ტ. 798. Ἡ δὲ περὶ τοῦ Ἀχιλλέως δάμαρτος, ἦτοι γυναικός, ἱστορία ἐστὶ τοιαύτη· Ἀχιλλεὺς μετὰ θάνατον, ὡς ληροῦσιν, ἔγη-

აქილევსის მეუღლის, ესე იგი ცოლის შესახებ ასეთი ამბავია გადმოცემული: აქილევსს, როგორც ლაყბობენ, სიკვდილის შემ-

με Μήδειαν, τὴν Αἰήτου Φυγα-
τέρα. Αἰήτης δὲ καὶ Κίρκη καὶ
Πασιφάη Ἑλλήους παῖδες καὶ Πέρ-
σης τῆς Ὠκεανου καὶ Αἰήτου
μὲν παῖδες καὶ Εἰδύιας Μήδεια
καὶ Ἄψυρτος.

დეგ შეურთავს მედეა, აეტის ქალიშვილი. აეტი, კირკე და პასიფაე ჰელიოსისა და ოკეანეს ასულის პერსეს შვილები არიან; აეტსა და ედევას შვილები არიან მედეა და აფსირტე.

არგონავტების ლაშქრობა

ტ. 886. Ὡς γοῦν ἐκ τῆς Κολ-
χίδος διὰ τῆς ἕξω θαλάσσης καὶ
τοῦ Ἀδρίου τὸν πλοῦν ἐποίησαντο
[οἱ Ἀργοναῦται], διὰ τοῦ Φάσιδος
δὲ εἰς τὸν Ὠκεανὸν ἐνέβαλον,
θῶδεκα πρότερον ἡμέρας ἕξω τοῦ
Ὠκεανου φέροντες ἐν τοῖς νῶτοις
τὴν Ἀργὴν διὰ τῆς ἐρήμου τῆς Λιβύης.

კოლხიდიდან გარეთა ზღვითა და ადრიით გასცურეს [არგონავტებმა] და ფაზისის გავლით ოკეანეში შევიდნენ ისე, რომ წინდაწინ თორმეტ დღეში გადაიტანეს თავისი ზურგიით არგოლიბიის უდაბნოზე გავლით.

კოლხები ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებული

ტ. 887. Κολχίδς ἢ Μήδεια.
Οἱ δὲ Κόλχοι, οἱ καὶ Λαῶν λεγόμε-
νοι, Αἰγυπτίων ἀποικοὶ εἰσιν,
πλησίον οἰκοῦντες τῶν Ἀβασγῶν,
τῶν καὶ Μασσαγετῶν καλουμέ-
νων. Λέγονται δὲ οἱ Κόλχοι καὶ
Σκυθία Ἀσιανοὶ καὶ Λευκόσυροι·
οἰκοῦσι δὲ ἐν τοῖς μέρεσι τῆς
Ἀσίας περὶ Φάσιν ποταμὸν ἢ
δὲ Εὐρωπαϊά Σκυθία ἐστὶ περὶ
Μαιῶτιν καὶ Τάναϊν. Ἰώσηπος
δὲ ὁ Ἑβραῖος καὶ τοὺς Ἀλανοὺς
Εὐρωπαϊῶν Σκυθῶν γένος φησὶν,
οἰκοῦντας περὶ τὴν αὐτὴν Μαιῶ-
τιν καὶ τὸν Τάναϊν κατὰ τὴν
τῶν Ἑρκανίων ἀπόροδον καὶ Κασ-
πίων, ἣν Ἀλέξανδρος ὁ βασιλεὺς
σιδηραῖς πύλαις κλείστην ἐποίη-
σεν.

კოლხელი მედეა. კოლხები, რომლებსაც ლაზებსაც ეძახიან, ეგვიპტელთა ქვეყნიდან არიან გადმოსახლებული, ცხოვრობენ აბაზგების მახლობლად, რომელნიც მასაგეტებადაც იწოდებიან. კოლხებს აზიელი სკვითებიც და ლევკოსირებიც ჰქვიათ; ისინი ცხოვრობენ აზიის მხარეში მდინარე ფაზისის ირგვლივ, ხოლო ევროპული სკვითია მეოტიდის და ტანაისის მიდამოებშია. ებრაელი იოსიპოსი ევროპელი სკვითების ტომს მიაკუთვნებს ალანებსაც, რომლებიც იმავე მეოტიდისა და ტანაისის მიდამოებში და პირკანელებისა და კასპიელების გასასვლელში არიან, რომელიც ალექსანდრე მეფე რკინის კარიბჭეებით ჩაკეტა.

კოლხების ქალაქი პოლები

ტ. 1022. Πόλαι πόλις εἰσὶν Ἡπειρου ὑπὸ Κόλχων κτισθεῖσα τῶν καταδιωζάντων τὴν Μήδειαν καὶ μὴ καταλαβόντων αὐτήν καὶ διὰ φόβον Αἰήτου ἐνταῦθα κατοικησάντων καὶ κτισάντων τὴν πόλιν, ἣτις Κολχίδι φωνῆ Πόλαι καλεῖται. Τὸ δὲ πόλαι Κολχικῶς φυγάδας σημαίνει, ὡς φησι Καλλιμάχος.

პოლები ქალაქია ეპირში, დაარსებული იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაედევნენ და ის ვერ შეიპყრეს, ხოლო აეტის შიშით იქვე (*ეპირში*) დასახლდნენ და ქალაქი დაიარსეს, რომელსაც კოლხური ენით პოლები ეწოდება, ხოლო «პოლა» კოლხურად „ლტოლვილებს“ ნიშნავს, როგორც ამბობს კალიმაქე.

ადა – კოლხეთის ქალაქია

ტ. 1024. Αἶα Κορίνθου τ' ἀρχός] Αἶα πόλις Κολχίδος.

ადას და კორინთოს მფლობელი] ადა კოლხეთის ქალაქია.

ხალიბები – სკვითური ტომია

ტ. 1109. Χαλβδικῶ]. Χάλυβες Σκυθικὸν ἔθνος, παρ' οἷς ἐστὶ σιδηρὸς ἄριστος.

ხალიბური] ხალიბები – სკვითური ტომია; მათთან მოიპოვება საუკეთესო რკინა.

კოლხები – ლაზური ტომია

ტ. 1312. Εἰς Κύταιαν τὴν Λιγυστικὴν]. Ἡ Κύταια πόλις Κολχίδος ἐστίν· οἱ δὲ Κόλχοι ἔθνος ἐστὶ Λαζικόν, ὡς ἔφηγ ἔπισθεν πλατυτέρως, πλησίον Ἀβασγῶν κείμενον. Τὸ δὲ Λιβυστικὸν καὶ τὸ Λιγυστικὸν κλίμα (ὧν τὸ μὲν ἀπὸ Λιβύης τῆς Ἐπάφου θυγατρὸς ἐκλήθη, τὸ δὲ ἀπὸ Αἰγύου τοῦ Ἀλεβίωνος ἀδελφοῦ) τῆς Κυρήνης καὶ Καρχηδόνος καὶ Ἀλεξανδρείας ταῦτό ἐστίν, ὡς ἔπισθεν εἶπον, περὶ τὴν Λιβύην. Ὁ δὲ Λυκόφρων οὗτος, καινοτο-

ლიგვისტიკურ კვტაიაში]. კვტაია კოლხეთის ქალაქია: ხოლო კოლხები ლაზური ტომია, როგორც მე ზემოთ დაწვრილებით გიამზეთ, მოთავსებულია აბაზგების მახლობლად. ლიბისტიკური და ლიგვისტიკური მხარე (რომელთაგან პირველი ატარებს ეპაფეს ასულის ლიბიას სახელს, ხოლო მეორე – ალგიონის ძმის ლიგვიონის სახელს) კვირინისა, კართაგენისა და ალექსანდრიისა, როგორც ზემოთ ვთქვი, ერთიდაიგივეა ლიბიაში,

μῶν τὰ πολλὰ, καὶ τὴν Κολχικὴν Διγυστικὴν καλεῖ.

ხოლო ეს ლიკოფრონი, რომელსაც ბევრ რამეში სიახლენი შე-

მოაქვს, კოლხეთსა ლიგვისტიკურს ეძახის.

კოლხეთის ქალაქი კვტაია ¹

ტ. 174. Τὸν μελλόνουμφον εὐνέτην Κυταϊκῆς] μυθεύονται γὰρ ὅτι μετὰ θάνατον Ἀχιλλεὺς ἠγάγετο Μήδειαν τὴν Αἰήτου ἐν μακάρων νήσοις. Κυταϊκὴ δὲ ἢ Μήδεια, Κύπη γὰρ πόλις Κολχίδος, ξεινοβάκχη δὲ, διότι ξένῳ ὄντι τῷ Ἰάσονι συνεφιλιώθη κατ' ἔρωτα αὐτοῦ καὶ ἐξέβακχεύθη, καὶ δι' αὐτὸν ἀνεῖλε τὸν Ἄψυρτον τὸν ἴδιον ἀδελφόν.

კვტაიელი (ე. ი. ქუთაისელი) მედეას მომავალი ქმარი]: მითებში მოთხრობილია, რომ აქილევსმა გარდაცვალების შემდეგ შერთო ნეტართა კუნძულებზე აეტის ასული მედეა. კ ვ ტ ა ი ე - ლ ი ა მედეა, რადგან კვტე კოლხეთის ქალაქია; ხოლო უ ც ხ ო ს მ ე ტ რ ფ ე ა, რადგან შეეუღლა უცხოელ იასონს მისდამი ტრფობის გამო, ვნებიერად გაცოფდა

და მის (იასონის) გულისთვის მოკლა საკუთარი ძმა აფსირტე.

კოლხების ქალაქი პოლეზი

ტ. 1021. Πόλαι δὲ πόλις Ἠπειροῦ ὑπὸ Κόλχων κτισθεῖσα τῶν καταδιωζάντων τὴν Μήδειαν καὶ μὴ καταλαβόντων αὐτήν καὶ διὰ φόβον ἐνταῦθα κατοικησάντων καὶ κτισάντων πόλιν, ἣτις τῇ Κολχίδι φωνῆ Πόλαι καλεῖται, σημαίνοντος τοῦ ὀνόματος τοῦς φυγάδας, ὡς φησι Καλλιμάχος.

Ἄλλως ὁ δὲ γείτων χῶρος καὶ ποταμὸς ὁ Κραθίς ἐν τοῖς ὄροις τῶν Μυλάκων καὶ ἐν Πόλῃ

პოლეზი ეპირის ქალაქია, და-არსებული იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაედევნენ და ის ვერ შეიპყრეს, ხოლო [აიეტის] შიშით იქვე (ეპირში) დასახლდნენ და დაიარსეს ქალაქი, რომელსაც კოლხური ენით „პოლეზი“ ეწოდება, რადგან ეს სახელი ნიშნავს „ლტოლვილებს“, როგორც ამბობს კალიმაქე.

სხვანაირად: მეზობელი ადგილი და მდინარე კრათისი მილაკების საზღვრებში და პოლეზი,

¹ ვენეციის ხელნაწერში, რომელიც XI საუკუნით თარიღდება (codex Marcianus № 476, seac. , XI) ლიკოფრონის „ალექსანდრას“ იგივე სქოლიოები მოყვანილია ცოტა განსხვავებული რედაქციით. აქვე ვათავსებთ რამდენიმე სქოლიოს.

οὐτως ὀνομασμένη πόλει τῇ ὑπὸ
Κόλχων κτισθείσῃ συνοίκους δέ-
ξεται τοὺς ἰχθυεὺς καὶ θιώνκτας
τῆς θυσιατρῶς Αἰγίου Μηδείας.

რომელ ქალაქსაც ასეთი სახელი ჰქვია და კოლხების მიერ არის დაარსებული, მიიღებს მოახალშენებელ იმათ, რომელნიც აეტის ასულს მედეას კვალს ეძებენ¹.

¹ ჯერ კიდევ სტრაბონისთვის ცნობილი იყო ქალაქი «პოლა», რომელიც კოლხებს დაუარსებიათ და პოეტ კალიმაქეს (ძვ. წ. III საუკ.) მისი სახელწოდების ახსნა უცდია. სტრაბონი წერს (V, 1, 9): «პოლა (ἢ Πόλα) დაფუძნებულია ტბისმსგავს უბეში, რომელსაც კარგი მისადგომები აქვს და რომელიც მდიდარია ნაყოფებით. [პოლა] აშენებულია ძველად კოლხთა მიერ, რომლებიც მედეასთვის იყვნენ გაგზავნილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს საქმე და მიუსაჯეს თავის თავს გამკვება, როგორც კალიმაქე ამბობს; „გრადკოსი უწოდებდა მას ლტოლვილთა ქალაქს, ხოლო კოლხთა ენამ დაარქვა მას პოლა (ὀνόμαυε Πόλας)“ (იხ. თ. ყ ა უ ხ-ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957, გვ. 96). ამასვე იმეორებს სტრაბონი მეორე ადგილასაც (I, 2, 39).

გიორგი აკროპოლიტე

XIII საუკუნის ისტორიკოსი გიორგი აკროპოლიტე (Γεώργιος Ἀκροπολίτης) დაიბადა კონსტანტინეპოლში 1217 წელს. ეს ხომ ის ხანაა, როდესაც ბიზანტიაში ლათინთა ბატონობა (1204 წლიდან). გადარჩენილია მხოლოდ ნიკეის სამეფო, რომლის ცენტრი ქალ. ნიკეა მთელი ბიზანტიის დედაქალაქის მაგიერობას ეწევა. და, აი, გიორგი აკროპოლიტეს მისი მამა გზავნის ნიკეაში სწავლის გასაგრძელებლად. აქ ის სამეფო კარზე იზრდებოდა და სწავლობდა ჯერ თეოდორე ჰექსაპტერიგეს და შემდეგ უფლისწულ თედორესთან ერთად (ეს არის მომავალი მეფე, თეოდორე II ლასკარისი) ნიკიფორე ბლემიდეს ხელმძღვანელობით. 1246 წლიდან გიორგი აკროპოლიტე თვით უფლისწულის მასწავლებელიც იყო.

როდესაც მამის გარდაცვალების შემდეგ (1254 წ.) თეოდორე ავიდა სამეფო ტახტზე, მან გიორგი თავის მახლობელ მრჩეველად და მოსამსახურედ გაიხადა: ჯერ, 1257 წელს მთავარსარდლობაც მისცა ერთ-ერთი ომის დროს; შემდეგ დიპლომატიურ სარბიელზე სამუშაოდ გაამწესა. როგორც მეცნიერი და დიპლომატი იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. 1282 წელს ტრაპიზონში გაიგზავნა ელჩად; იმავე წელს იგი გარდაიცვალა.

გიორგი აკროპოლიტეს ძირითადი ნაწარმოებია *Χρονική συγγραφή*, რომელიც ნიკეტა ხონიატეს „ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენს და 1203 – 1261 წ. წ. ამბებს აგვიწერს.

გიორგი აკროპოლიტეს თავის „ისტორიაში“ უშუალოდ საქართველოზე არაფერი აქვს ნათქვამი: საყურადღებო ცნობაა მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებლებზე, რაც ქვემოთ მოგვყავს.

ლიტერატურა:

Georgii Acropolitae Opera. Recensuit Augustus Heisenberg, I – II. Lipsiae 1903.

Georgii Acropolitae Annales. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnae 1836 (ამავე ტომშია კონსტანტინე მანასე იოილი).

Georgii Acropolitae Annales: M I g n e P G, t. 140, p. 958 – 1220.

ალ. გამყრელიძე, გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 31, თბ. 1954. გვ. 225 – 232.

ΓΕΩΡΓΙΟΝ ΤΟΥ ΑΚΡΟΠΟΛΙΤΟΥ ΧΡΟΝΙΚΗ ΣΥΓΓΡΑΦΗ

სათაური

Ἡ παρούσα χρονική συγγραφή τοῦ μεγάλου λογοθέτου τοῦ Ἀκροπολίτου ἐστίν, ὃς ἔκτισε καὶ τὸ μοναστήριον τῆς ἁγίας τοῦ Χριστοῦ ἀναστάσεως. Περιέχει δὲ τὰ μετὰ τὴν ἄλωσιν τῆς Κωνσταντινουπόλεως ἄχρι τῆς τελευτῆς τοῦ βασιλέως Μιχαὴλ τοῦ Παλαιολόγου (ბელნაწ. Aa).

Τοῦ Ἀκροπολίτου ἱστορικὸν ἀρχόμενον ἀπὸ τῆς ἄλωσης τῆς Κωνσταντινουπόλεως (B).

Τὸ τοῦ σοφωτάτου καὶ λογισμωτάτου λογοθέτου ἱστορημα Γεωργίου τοῦ [Ἀκροπολίτου] ἀρχόμενον ἀπὸ [τῆς ἀλ]ώσεως τῆς πόλεως (H).

Τοῦ φιλοσοφωτάτου μεγάλου λογοθέτου Γεωργίου τοῦ Ἀκροπολίτου Χρονική διήγησις (U).

წინამდებარე «საქრონიკო ისტორია» დიდი ლოგოთეტის აკროპოლიტესია, რომელმაც აღაშენა აგრეთვე ქრისტეს წმინდა აღდგომის მონასტერი. შეიცავს ამბებს კონსტანტინეპოლის აღებიდან ვიდრე მეფის მიხეილ პალეოლოგოსის გარდაცვალებამდე.

აკროპოლიტეს საისტორიო თხზულება, დაწყებული კონსტანტინეპოლის აღებიდან,

უბრძნესი და უწარჩინებულესი ლოგოთეტის გიორგი აკროპოლიტეს საისტორიო თხზულება, დაწყებული ქალაქის აღებიდან.

უფილოსოფოსესი დიდი ლოგოთეტის გიორგი აკროპოლიტეს «საქრონიკო მოთხრობა».

ისტორიის მიზანი და დანიშნულება

1. Τὸ τῆς ἱστορίας χρήσιμον καὶ πρὸς ἡμῶν οἱ συγγραψάμενοι διωρίσαντο, καὶ ἅπερ ἂν ἐκείνοις ἐπὶ γλῶσσῃ εἶπειν, ταῦτ' ἂν καὶ ἡμεῖς ἐρεῖν ἔχωμεν· τί γὰρ ἂν καὶ εὐροιμεν καινότερον νόημα τοσοῦτων ἱστορησάντων καὶ σύμπαν καλὸν τῆς ἱστορίας ἀποφηναιμένων ἐν τοῖς σφετέροις συγγράμμασι; τάχα δὲ, ὃ πλέον ἐκείνων ἐν τοῖς νῦν προκείμενοις

ისტორიის სარგებლობა ჩვენი წინამორბედი აღმწერლების მიერაც არის გამორკვეული და, რაც მათ აზრად არ მოუვიდათ, ამის შესახებ ჩვენ გვინდა ეთქვას: რასღა ვპოვებთ ჩვენ იმაზე უფრო ახალ აზრს, ვიდრე ამდენმა მწერალმა მოგვითხრო და ვიდრე მათ გამოაჩინეს მოსათხრობად მშვენიერი, თავიანთ თხზულებებში? ამას გარდა, რაც ამჟამად ჩვენ

ἡμῖν λέξειν ἄξιον, τοῦτό γε ἂν τῆς ἡμετέρας συγγραφῆς πρόβολουμεθα· τὸ δὲ ἔστιν ὅτι, καινότερων ἡμῖν προκειμένων πραγμάτων, ἂ μήπω τις γραφῆ παραδέδωκε, καινότερον συμβαίνει εἶναι καὶ τὸ ὑφέλιμον, ἐκείνων ἐν γνώσει τῶν ἀνθρώπων γεγενημένων, ἅπερ ὁ χυδῆν ῥέων λόγος οὐκ ἀληθῶς ἀποφαίνεται.

Οἱ μὲν οὖν τὰ καθ' ἡμᾶς ἱστορικῶν συγγραψάμενοι ἄλλην ἄλλος πεποίησται τὴν ἀρχήν· οἱ μὲν γὰρ αὐτῶν ἀπὸ τῆς τοῦ κόσμου γενέσεως ἤρξαντο, οἱ δὲ ἐξ ἀξιολόγου τινὸς ἀρχῆς, ἢ Περσῶν ἢ Ἑλλήνων ἢ Ῥωμαίων ἢ ἄλλου οὐτινοσοῦν τῶν ἐθνῶν, ἕκαστος πρὸς τὸν ἑαυτοῦ σκοπὸν τὸ οἰκεῖον καταρτιζόμενος σύγγραμμα.

Καὶ ἡμῖν οὐχ ἥμισυ οὕτω τὰ τῆς συγγραφῆς τελεσθήσονται. Τὰ μὲν γὰρ ἀπ' ἀρχῆς γεγενημένα τῆς τοῦ κόσμου γενέσεως πολλοῖς τε καὶ πολλάκις ἐξιστορήθη, οὐ χρὴ δὲ λέγειν καὶ ὡς πρὸς ἄλλήλους οἱ πλείους ἴγαντιοφώνησαν τὰ τῶν βασιλέων συγγράφοντες, ἀλλοιώσεις τε χωρῶν καὶ πόλεων στάσεις καὶ πολέμων συρρήξεις καὶ ἀνδραποδισμούς καὶ νίκας καὶ ἤττας καὶ ὅσα τιαυτὰ συμβαίνει τοῖς καθ' ἡμᾶς...

მიერ სათქმელად განზრახულში მათზე უფრო მეტად არის ღირსი, მას ჩვენ წარვუმძღვარებთ ჩვენს თხრობას. ის კი არის, რომ ჩვენ ხომ უფრო ახალი მოვლენები გვიდევს წინ, რაც არავის არ ჩაუწერია, უფრო ახალი და სასარგებლო, ვიდრე ადამიანთა ცნობიერებაში მომხდარი ამბები, რაც უთავბოლოდ წარმოდინარე სიტყვამ ჭეშმარიტებით ვერ გამოავლინა.

ჩვენი ამბების მომთხრობელი მწერლები ერთნი ერთ საწყისს უდებენ საფუძვლად; ზოგნი მათგანნი ქვეყნის გაჩენით იწყებდნენ თხრობას, მეორენი სხვა რომელიმე ღირსშესანიშნავი საწყისიდან, ან სპარსელთა ან ელინთა ან რომაელთა ან რომელი-გინდა სხვა ტომთაგან, თითოეული თავისი მიზნის მიხედვით გამართავდა ხოლმე თხზულებას.

ჩვენც არა ნაკლებად მივსდევთ თხრობის ასეთ წესს. ბევრმა ქვეყნის გაჩენიდან მოგვითხრო მომხდარი ამბები, და ხშირადაც, ხოლო არ არის საჭირო ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ისინი მეტწილად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ მეფეთა საქმეების მოთხრობაში, სხვადასხვა მხარეებსა და ქალაქებში გადატრიალებათა, აჯანყებათა და ომების შესახებ გადმოცემაში, სრვასა და ტყვეობებზე, გამარჯვებებსა და დამარ-

ცხებებზე მოთხრობის დროს და სხვა ამგვარ შემთხვევებზე, რაც ჩვენში ხდება.

Ἐκ τοῦ μᾶλλον δὲ καὶ ὅσα τῆ κοινῆ φήμῃ ᾠαρρίζεται, ταῦτα τὸν ἐξιστοροῦντα παραλήψασθαι θεόν, εἰ μὴ ἀδικεῖν οὐτος ἐπιελήσσειε τὴν ἀλήθειαν ὥς οἱ τοὺς ὀρθοῦς κερματίοις ἐλλυμαινόμενοι ἢ καὶ παραχαράττειν βουλόμενοι.

Οὔτε γοῦν πρὸς χάριν οὔτε πρὸς φθόνον, ἀλλ' οὐδὲ πρὸς μίσος ἢ καὶ πρὸς εὐνοίαν συγγράφειν χρεῶν ἐστὶ τὸν συγγράφοντα, ἀλλ' ἱστορίας μόνον χάριν καὶ τοῦ μὴ λήθης βῆθ¹, ἣν ὁ χρόνος οἶδε γενεῶν, παραδοσιῶναι τὰ ὑπὸ τινων γεγενημένα, εἴτ' ἀγαθὰ εἶτε φασὶν τυγχάνοιεν² (ed. A. Heisenberg I, 3–4, 23).

მეტწილად, რასაც საერთო ხმების და მოთქმა-მოთქმიდან გაიგებს, საჭიროა ისტორიკოსმა ეს მხედველობაში მიიღოს, თუ არ სურს მას უმტყუნოს ჭემმარიტებას, როგორც იქცევან ობოლები (ე. ი. მონეტების) გამყალბებლები ან გადამჭედელნი.

არც მიდგომით, ან შურით უნდა აღწეროს მან, არც სიძულვილით, ან კეთილმიდგომით, არამედ საჭიროა ისტორიკოსმა მხოლოდ ისტორიის გულისთვის სწეროს, რათა არ მიეცეს სიღრმესა დავიწყებისას¹ ის, რაც დრომ წარმოშვა, და გადაეცეს მომავალ თაობებს მომხდარი ამბები, იქნება ის კარგი თუ ცუდი ამბები².

დავითი, ტრაპიზონის მბრძანებლის ალექსის ძმა

7. Ψηφίζεται γοῦν πατριάρχης Μιχαὴλ ὁ Ἀυτοκρατορικός. λόγιος τυγχάνων καὶ πάσης γραφῆς ἔμπειρος τῆς τε ἡμετέρας καὶ ἑσθέρων· δε καὶ τὸν δεσπότην Θεόδωρον τῷ βασιλείᾳ διαδήματι ταινοῖ.

7. ამიტომ არჩეულ იქნა პატრიარქად მიხეილ ავტორიანე³, რომელიც ნასწავლი იყო და მცოდნე მთელი მწერლობისა, როგორც ჩვენი ისე უცხოურისა; სწორედ მან დაადგა სამეფო გვირგვინი ბატონ თეოდორეს⁴.

¹ შდრ. გიორგი მერჩულის სიტყვებს: «მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა» (ცხორება გრიგოლ ხანძთელისა. პ. ინგოროყვას გამოცემა, თბ. 1949, გვ. 13, 8–9).

² სრულიად მართებულად აქვს დოც. ალ. გამყრელიძეს შედარებული გიორგი აკროპოლიტეს ეს დებულება ისტორიკოსის მოვალეობის შესახებ ტაციოტუსის ცნობილ მოსაზრებებთან (sine ira et studio). იხ. ალ. გამყრელიძის ნარკვევი „გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“: მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვეთი 31, გვ. 228.

³ მიხეილ ავტორიანე პატრიარქობდა 1206 – 1212 წლებში.

⁴ თეოდორე I ლასკარისი სამეფო ტახტზე ავიდა 1206 წელს და მეფობდა 1222 წლამდე.

Ἐντεῦθεν βασιλεὺς ὁ Λάσκαρις ἀναγορευθεὶς συντονώτερον ἐφήψατο τῶν πραγμάτων, μάχαις δὲ προσέκυρσεν οὐκ ὀλίγαις καὶ χαλεπαῖς. Οἷ τε γὰρ Ἴταλοὶ κατὰ τὴν ἐφάν τὸν πόρον πεποιηκότας τὰ πλείω ταύτης ὑφ' ἑαυτοὺς ἐποίησαντο· τό τε γὰρ ἅπαν θέμα Ὀψικίου καὶ Αἰγαίου καὶ αὐτὸ δὴ τὸ Ἀτραμύτιον τῶν Ἴταλῶν ἐγεγόνει, Βάρης τε καὶ Ἀδλωνία Ποιμανηγόν τε καὶ Λεντιανὰ μέχρι τοῦ Δοπαδίου αὐτοῦ δεσπότας ἐγίνωσκον Ἴταλοὺς, ἀλλὰ γε δὴ καὶ τὰ τῆς Θυνίας πάντα μέχρι καὶ Νικομηδείας αὐτῆς. Ἐντεῦθεν ἕστενοῦτο πολὺ ὁ βασιλεὺς Θεόδωρος. Οὐδὲν δὲ ἦτρον καὶ πρὸς τῶν Ῥωμαίων κατεβιάζετο. Ἐν γὰρ τῇ συγχύσει τῆς Κωνσταντίνου ἀλώσεως ἄλλοθεν ἄλλος ἡγεμόνας εἶναι τυχόντες ἢ καὶ οἱ τῶν ἄλλων προύχοντες ὡς οἰκείαν ἀρχὴν τὴν ὑφ' ἑαυτοὺς ἐποιοῦντο χώραν, ἢ ἐξ αὐτῶν εἰς τοῦτο ὀρμήσαντες ἢ καὶ παρὰ τῶν οἰκητόρων μετακληθέντες εἰς τὴν τῆς χώρας δεφένδευσιν. Αὐτίκα Θεόδωρός τε, ἐν Μωροθεόδωρον ἀπεκάλου, ἀρχῶν ἦν τῆς Φιλαδέλφου πόλεως ἕτερος δὲ Σάββας τοῦπίκλην τοῦ ἄστεος ἐδέεσποζε τοῦ Σαμφῶν μετὰ καὶ τῶν πλησίον τυχχανόντων αὐτῶ· Παφλαγονίας δὲ πάσης ἐγκρατῆς ἦν Δαυίδ, ἀδελφός

შემდეგ¹ სამეფო ტახტზე ასულმა ლასკარისმა დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი საქმეებს და არა მცირე და მძიმე ბრძოლები გადაიხადა. ხოლო იტალიელები გადმოსული იყვნენ აღმოსავლეთში და არა მარტო მთელი ოფსიკიონის თემი, ეგეოსი და თვით ატრამიტიონი გახდა იტალიელებისა; და აგრეთვე არა მარტო ვარისი, ავლონია, პიმანენონი, ლენტიანა და თვით ლოპადიონი სცნობდნენ ბატონებად იტალიელებს, არამედ მთელი ბითვინიაც (ვარ. თინიაც) თვით ნიკომიდიამდე. ამიტომ ძალიან შეწუხებული ბრძანდებოდა მეფე თეოდორე და არა ნაკლებ წუხდებოდა იგი რომაელებისაგანაც; ვინაიდან კონსტანტინეპოლის დაპყრობის [შემდეგ მომხდარ] არევ-დარეულობაში მრავალი სხვადასხვა ბელადი გაჩნდა, რომელთაგან ზოგიერთმა, ვისაც თავიანთ სამშობლოში ხელისუფლება ადრევე ჰქონდა, თავისთვის დაისაკუთრა ეს ადგილები ან თავისი საკუთარი სურვილით, ან კიდევ მოქალაქეთა მიწვევით იმ ადგილის დაცვისათვის (პატრონობისათვის). მაგალითად, თეოდორე, რომელსაც მოროთეოდორეს ეძახდნენ, ქალაქ ფილადელფიის მთავარი გახდა; მეორე, სახელად საბა, ქალაქ სამპსონსა და მის

¹ ეს პარაგრაფი მოგვყავს დოც. ალ. გამყრელიძის გამოცემის მიხედვით.

ὄν Ἀλεξίου τοῦ τῆς Τραπεζούν-
τος κρατήσαντος, ὃς καὶ Μέγας
ὀνομάζετο Κομνηνός. Οὗ τοῦ βα-
σιλέως Ἀνδρονίκου ὑπῆρχον ἔγγυ-
νοι, Μανουὴλ τῷ τούτου τεχθέν-
τες υἱῶ. Διὰ ταῦτα ἐν πολλῇ
στενοχωρίᾳ τὰ πράγματα ὑπῆρξε
τῷ βασιλεῖ Θεόδωρῳ. Ἀλλὰ τὸν
μὲν Μωροθεόδωρον καὶ τὸν Σάβ-
βαν εὐχερῶς μετήλθε κἀντεῦθεν
ἐδέσποζεν ἀδελῶς Κελβιανῶν τε
παντός, Μαιάνδρου Φιλαδελφείας
καὶ Νεοκάστρων (ed. A. Heisen-
berg I, 11, 15—12, 21).

11. Περιεγένετο δὲ καὶ ὁ βα-
σιλεὺς Θεόδωρος καὶ τοῦ τῆς
Παφλαγονίας κρατοῦντος Δαυίδ,
καὶ Ἡράκλειαν παρεστήσατο καὶ
Ἄμαστριν καὶ τὴν πᾶσαν πέριξ χώ-
ραν καὶ τὰ πολίχνια (ed. A. Hei-
senberg I, 18, 1—4).

მიდამოებზე ბატონობდა; ხოლო მთელი პავლაგონია კი და ა ვ ი თ-
მ ა დაიპყრო, ძმამ ტრაპიზონის მზრძანებლის ალექსისა, რომელსაც დიდ კომნენოსსაც ეძახდნენ: ესენი იყვნენ ანდრონიკე კეისრის შვილიშვილები ¹, მისი ძის მანუელის შვილები. ამიტომ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მეფე თეოდორე. მაგრამ მოროთეოდორეს და საბას ადვილად სძლია და მის შემდეგ უშიშრად ბატონობდა მთელ კელვიანონზე, მეანდროსის ფილადელფიაზე და ნეოკასტრონზე.

11. სძლია აგრეთვე მეფე თეოდორემ პავლაგონიის მზრძანებელ დავითს და დაიპყრო ერაკლეა, ამასტრისი (ამასტრია) და მთელი გარშემო ადგილები და დაბა-ქალაქები ².

¹ გიორგი აკროპოლიტეს მიხედვით დავითი და ალექსი ანდრონიკე კეისრის (ანდრონიკე I კომნენოსი, 1183 – 1185 წ. წ.) შვილიშვილები არიან, ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით – შვილები იყვნენ («მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მამინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი: ქ. ცხ. II [1959], გვ. 142, 22 – 23).

² ამ პარაგრაფში მოცემული ცნობები ადასტურებენ თამარის ისტორიკოსის მიერ მონათხრობს შესახებ იმისა, რომ თამარ მეფემ გამოთიშა ბიზანტიის იმპერიას მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ტრაპიზონის იმპერიაში იქნა შეტანილი. ნაწილი ამ ადგილებისა, გიორგი აკროპოლიტეს ცნობით, თეოდორე ლასკარისმა გამეფების შემდეგ, ე. ი. 1206 წლის მახლობელ ხანებში, ჩამოართვა ტრაპიზონის იმპერიის მმართველს.

თამარის ისტორიკოსი

ხოლო (თამარ) განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი

გიორგი აკროპოლიტე

...მეორე ქალაქ სამსონსა და მის მიდამოებზე ბატონობდა; ხოლო მთელი პავლაგონია კი დავითმა დაიპყრო, ძმამ ტრაპიზონის მზრძანებლის ალექსისა...

სძლია მეფე თეოდორემ პავლაგონიის მზრძანებელ დავითს და დაიპყრო

სიაოში

60. Αὐτόφι γοῦν εἰς ἡγήμο-
νας τᾶξας τὸν τε Λάσκαριν Μα-
νουήλ, ὃν καὶ πρωτοσεβαστὸν κα-
τωνόμασεν, ἀνθρῶπιον ἀφελέστα-
τον καὶ κακῶς εἰδὸς στρατηγεῖν,
καὶ τὸν Μαργαρίτην Κωνσταντι-
νον, ὃν προφθάσας ὁ λόγος ἐδῆ-
λωσεν, ἀνδρα ἀγροῖκου καὶ ἐξ
ἀγροίκων γεγενημένου, μᾶζην καὶ
πιτύροις ἀνατετραμμένον καὶ λα-
ρυγγίξειν μόνον εἰδόμενα—ἐκ Νεο-
κάστρων δὲ οὐτως ἄριμητο, καὶ
ἐτέλει: τὰ πρῶτα ἐν τῇ τοῦ θεί-
ματος τουτουῖ στρατιᾷ εἶτα καὶ
τῷ αὐτοῦ γέγονε, Δόξαν δὲ
παρ᾽ αὐτὸν τῷ βασιλεῖ Ἰωάννῃ ὡς

60. აქ მან (ე. ი. თეოდორე
ლასკარისმა) სარდლებად დაად-
გინა მანუელ ლასკარისი, რომელ-
საც პროტოსევასტოსობაც უბო-
და, სრულიად უნიჭო კაცუნა და
ცუდი მოსარდლევ, და კონსტან-
ტინე მარგარიტე, რომელზედაც
ამასწინათ მოგახსენებდით, კაცი
სოფლიონი და მდაბიო წარმო-
შობისა, რომელიც ქერით და ქა-
ტოთი იყო გამოზრდილი და მხო-
ლოდ ყვირილი შეეძლო; იგი
ნეოკასტრელი იყო და წინათ
იქაურ სათემო ჯარში მსახურობ-
და, შემდეგ კი ჩაუშობამი-
ილო, ხოლო იოანე მეფის ყურა-

ფებლადონისა და პონტოსანი, და მისკა
ნათესავსა თვსსა ალექსის კომნიანოსსა
(ქ. ცხ. II [1959], 142).

ერაკლეა, ამასტრისი და მთელი გარ-
შემოადგილები (იხ. ზემოთ, აქვე
გვ. 44 – 45).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: 1) თამარის ისტო-
რიკოსის ცნობა ეხება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინახანას (ამ დროს
ჩამოაშორეს ბიზანტიის იმპერიას: ს ა მ ი ს ო ნ ი, ა მ ა ს ტ რ ი ა, ა რ ა კ ლ ი ა,
ფ ე ბ ლ ა დ ო ნ ი); 2) გიორგი აკროპოლიტეს ცნობა ეხება უკვე ტრაპიზონის
იმპერიის დაარსების შემდეგ ხანას (ამ დროს ნიკეის მეფემ თეოდორე ლასკა-
რისმა, რომელიც თავის თავს თვლიდა მთელი ბიზანტიის მეფის მემკვიდრედ,
ომი გამოუცხადა ტრაპიზონის მმართველის ძმას დავითს, დაამარცხა იგი და
ჩამოართვა: პ ა ფ ლ ა გ ო ნ ი ა, ე რ ა კ ლ ე ა, ა მ ა ს ტ რ ი ს ი; ამათთან დაკავში-
რებით იხსენიება აგრეთვე ს ა მ პ ს ო ნ ი). თითქმის ზედმიწევნითი დამთხვევაა
ფაქტებისა, რაც მოწმობს ორივე ისტორიკოსის წყაროთა სანდოობას (იხ. ამ ფაქ-
ტის სწორი ანალიზი დოც. ალ. გამყრელიძის ზემოხსენებულ ნარკვევში).

ცნობილი ბიზანტინისტი Leo Allatius (XVII საუკ.) თავის კომენტარებში
გიორგი აკროპოლიტეს ამ ადგილისათვის წერს: «ძმებს დავითსა და ალექსის,
რომაელთა (ე. ი. ბიზანტიელთა) ბატონის (tyranni Romanorum) ანდრონიკეს
ძის მანუელის შვილებს, – ერთს პონტოს ჰერაკლია და პაფლაგონია დაუკავებია,
ხოლო მეორეს ქალაქები ენეონი (Oenaeum) და სინოპი, და ტრაპიზონი. ხოლო
თუ რანაირად მოაწყო ლაშქრობა დავითის წინააღმდეგ, რომელიც ლათინთა
დამხმარე ჯარებს ეყრდნობოდა, და იგი დაამარცხა, ამას გაიგებ ნიკეტასაგან
ბალდუინში» (იხ. C.B. p. 225)

ἐντρεχίς ἐστι καὶ ὑπηρετεῖν ἰκανὸς ἐν τοῖς ἀνακτόροις, ἐκεῖθεν ἐκβαλὼν τὴν αὐτοῦ τῆς αὐτοῦ πεποιήσε τάξεως, εἶτα αὐτῷ καὶ τὸ μέγας προσέθετο ² (ed. A. Heisenberg, I, 123, 3—15).

დღეა რომ მიიქცია, როგორც ყოჩაღმა და სამსახურში გამოსადეგმა სასახლის კარზე, მეფემ იგი თავის ჩ ა უ შ ა დ ¹ დააყენა, ძველი კი გააძევა. შემდეგ მას ეწოდა დიდიც ².

¹ გიორგი აკროპოლიტეს ცნობა „სიაოშის“ შესახებ მოგვყავს იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც „გეორგიკის“ VI ტომის 73 – 79 გვერდებზე მოთავსებული ცნობიდან («იბერიული წარმოშობის სიაოში») ჩანს, „სიაოში“ ზოგიერთ მკვლევართა აზრით საკუთარ სახელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო სხვების მიხედვით – თანამდებობას.

² გიორგი აკროპოლიტეს ამ ტექსტიდან ჩანს, რომ „ჩაუშობა“ სხვადასხვა ხარისხისა ყოფილა: 1) აქ მოხსენებულია, რომ კონსტანტინე მარგარიტე ჯერ მსახურობდა „ჩ ა უ შ ი ს“ თანამდებობაზე; 2) შემდეგ კეისრის ყურადღება მიუქცევია და მეფეს იგი „ს ა მ ე ფ ო კ ა რ ი ს ჩ ა უ შ ა დ“ აღუზევებია; 3) ხოლო შემდეგ კონსტანტინე „დ ი დ ი ჩ ა უ შ ი ც“ გამხდარა.

ამ თურქული წარმოშობის სახელოზე XVI საუკუნის ფილოლოგოსი Ioannes Leunclavius წერს: *Thzaus commissarius aulicus, hoc est eui variae res a sultano et vesiribus committuntur, ut eas expediat* – „ჩაუში სასახლის კარის კომისარია, რომელიც სულტანისა და ვაზირების სხვადასხვა დავალებებს ასრულებს“.

გიორგი პახიმერე

მეცამეტე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიმერე (Γεώργιος Παχυμέρης) დაიბადა 1242 წელს ქ. ნიკეაში. განათლება მიიღო ნიკეაშივე. 1261 წელს იგი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა კონსტანტინეპოლში, სადაც მთელი რიგი წლების მანძილზე ეკავა მაღალი თანამდებობები, როგორც საეკლესიო ისე საერო. ასე, მაგალითად, ის იყო ἱερομύμων (flamen), προτέκδικος („საეკლესიო მოსამართლე“), βασλικός δικαιοφύλαξ („სამეფო კარის მოსამართლე“). გიორგი პახიმერე აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნიონის საკითხის გარშემო წარმოებულ ბრძოლაში და იცავდა ეროვნულ თვალსაზრისს.

გარდაიცვალა 1310 წელს.

მრავალფეროვანი იყო მისი სამწერლო მოღვაწეობა: მას ეკუთვნის რიტორიკული და ფილოსოფიური თხზულებები, ლექსები და წერილები. მაგრამ მისი მთავარი ნაშრომია მისი „ისტორია“, რომელიც ცნობილია სახელწოდებით Συγγραφαὶ ἱστορίαι და შეიცავს 1261 – 1308 წლების ბიზანტიის ისტორიას, ესე იგი ამ „ისტორიაში“ მიმოხილულია ორი კეისრის ეპოქა:

მიხეილ VIII პალეოლოგოსისა (1261 – 1282 წ.წ.)

ანდრონიკე II პალეოლოგოსისა (1282 – 1328 წ.წ.)¹

გიორგი პახიმერეს „ისტორია“ არის გაგრძელება გიორგი აკროპოლიტეს საისტორიო ნაშრომისა (Χρονική συγγραφή, რომელიც, თავის მხრივ, ნიკეტა ხონიატეს შრომის გაგრძელებაა და რომელიც შეიცავს 1203 – 1261 წლის ამბებს). ეს „ისტორია“ შედგება 13 წიგნისაგან: 6 წიგნი მიძღვნილი აქვს მიხეილ VIII პალეოლოგოსის მეფობის აღწერას, ხოლო 7 წიგნი – ანდრონიკე II-ისას.

გიორგი პახიმერეს თხზულების მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, ის გარემოება ზრდის, რომ ავტორი მომსწრე და თვითმხილველი იყო იმ ამბებისა, რომლებსაც აღწერს, და შეკრებილ ცნობებს კეთილსინდისიერად ამოწმებს და სწავლობს.

¹ ე. ი. ამ უკანასკნელის მეფობის ნაწილი, 1308 წლამდე.

როგორც ფართო განათლების მქონე ისტორიკოსი, იგი უხვად იყენებს ბერძნული ისტორიოგრაფიის მიღწევებს; მას უყვარს კლასიკური ფორმების ხმარება და პომეროსისეული გამონათქვამების გამოყენებაც. იქამდე მიდის მისი გატაცება კლასიკური ბერძნულით, რომ ქრისტიანული თვეების სახელთა ნაცვლად მოჰყავს ატიკური სახელები (μηνός Ἑλαφιοβιάνιος, Γαμηλιών δ' ἐνειστίκει μῆν).

გიორგი პახიმერეს სამწერლო მოღვაწეობიდან საჭიროდ ვთვლით საგანგებოდ აღვნიშნოთ მისი პარაფრაზები, დაწერილი ფ ს. - დ ი ო ნ ის ე ა რ ე ო პ ა გ ე ლ ის წერილებისათვის.

ის ცნობები, რომლებიც ჩვენ ამოვკრიბეთ გიორგი პახიმერეს „ისტორიიდან“ და რომლებსაც ქვემოთ ვათავსებთ, ეხება, უმთავრესად, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიას, იმ იმპერიისას, რომელსაც გიორგი პახიმერე ლაზურად თვლის. გარდა ამისა, ისტორიკოსს აქვს ცნობები დიმიტრი თავდადებულის ძის, დავით VII-ის შესახებაც.

ძირითადი ლიტერატურა:

Georgii Pachymeris de Michaele et Andronico Palaeologis libri XIII, rec. I. Bekkerus I – II, Bonnae 1835.

Migne, Patrologia Graeca, t. 143, 145.

Георгия Пахимера История о Михаиле и Андронике Палеологах тринадцать книг. Том I. Царствование Михаила Палеолога (1255 – 1282) Перевод под редакциею профессора Карпова СПб 1862.

K. Krumbacher, GBZ. 288 – 291.

G. Moravesik, Byzantinoturcica I. Berlin 1958, 280 – 282.

Вл. Бенешевич, Очерки... 54 – 56ю

გიორგი პახიმერეს ავტობიოგრაფიიდან

I, 1. Γεώργιος Κωνσταντινου-
πολίτης μὲν τὸ ἀνέκαθεν, ἐν Νι-
καίᾳ δὲ καὶ γεννηθεὶς καὶ τρα-
φεὶς, ἐν Κωνσταντινῶν δὲ κατα-
στάξ ἀνθὶς ὅτε θείῳν νεύματι ὑπὸ
Ῥωμαίων ἐγένετο, ἕτη γεγονῶς
εἴκοσιν ἑνὸς δέοντος, τηλικάδῃ

I, 1. გიორგი, წარმოშობით კონსტანტინეპოლელი, დაიბადა და აღიზარდა ნიკეაში, ხოლო კონსტანტინეს ქალაქში კვლავ დამკვიდრდა, როდესაც ღვთის ნებით ის ისევ რომაელთა ხელქვეითი გახდა. ის ცხრამეტი

καὶ κλήρη σωθεῖς θεῖοι καὶ ἀξίωμασιν ἐκκλησιαστικαῖς διαπρέψας καὶ ἕως καὶ ἐς πρωτεκδικίου φθάσας τιμῆν, ἔτι δὲ καὶ ἐν ἀνακτόρων εἰς δικαιοφύλακκα τιμηθεῖς, τὰδε ξυνέγραψεν, οὐ λόγους λαβῶν ἄνωθεν ἀμαρτύρους, οὐδ' ἀκοῆ πιστεύων μόνον, ὡςπερ πολλάκις συμβαίνει τῷ βουλομένῳ γράφειν, ἦν τις λέγοι ἑωρακῶς ἢ καὶ ἀκούσας αὐτόν, πιστοῦς δ' ἀξιόη τοὺς λόγους, εἰ μόνον λέγοι, λογίζεσθαι, ἀλλ' αὐτόπτης τὰ πλεῖστα οὕτως ξυμβάν γεγόνως, ἢ καὶ μαθῶν ἀκριβῶς παρ' ὧν τὸ πρῶτον ὠράθη³πραχθέντα, πλην δ' οὐκ ἀμάρτυρα ἀλλὰ καὶ πολλοὺς ἄλλοις συνηγοροῦμενα, ὧς ἂν μὴ ὁ ξῆμπαξ χρόνος φῦσιν ἔχων τὰ πολλὰ κρῖπτειν συχναῖς κυκλικαῖς περιόδοις καὶ τὰδ' ἀφανίσῃ κατὰ μικρὸν ἐξῆστηλα τῇ παραδρομῇ γιγνόμενα διὰ τὸ φανέντα κρῖπτεσθαι πάντα ἀνάγκη εἶναι, ὧς πού τις τῶν σοφῶν ἔφη καὶ ἀληθῶς ἐγνομάτευσεν.

რამეს მალავს ჟამთა ხშირ მიმოქცევაში, ამიტომ საჭიროა თანდათან არ გაუჩინარდეს სრბაში მომხდარი ამბები და შენახულ იქნეს

წლისა იყო. მაშინ ის წმინდა სამღვდელობას მიეკუთვნა და საეკლესიო პატივ-თანამდებობით იქნა შემკული, პროტეკდიკის¹ პატივსაც მიაღწია, სასახლეშიც მიეცა პატივი დიკეოფილაქსისა². აი, ამან შეთხზა ეს ისტორია, რომელსაც საფუძვლად დაუდვა არა იმთავითვე შეუმოწმებელი ცნობები, არც მხოლოდ გაგონილს ერწმუნებოდა, როგორც ეს ხშირად ემართება ვინც წერას მოისურვებს, რომელიც, თუ ვინმე იტყვის მე თვითონ ვნახე ან თვით გავიგონეო, ამ სიტყვებს სარწმუნოდ მიიჩნევს, რახან ასე თქვესო. გიორგი კი უმთავრესად თვითმხილველი იყო, რომ ასე მოხდაო, ან ზედმიწევნით გამოიძიებდა ხოლმე, თუ პირველად ვის მიერ იყო ნახული³ ეს ამბები, რათა არა თუ დაუმოწმებელი რამ არ გაჰპარვოდა, არამედ სხვა მრავალ წყაროსთან შეეჯერებინა. რადგან მთელი დრო ისეთი ბუნების მქონებელია, რომ ბევრ

¹ ამ თანამდებობის პირი განაგებდა სამართალში მიცემულ სასულიერო პირთა საქმეებს.

² ეს უდრიდა სახელმწიფო პროკურორის თანამდებობას.

³ უჩვეულო ფორმაა **ὠράθη** („იყო ნახული“); ზმნისაგან **ὄραω** ვნებით აორისტში, ჩვეულებრივ, იხმარება **ὠρῶντο** (ფუძისაგან). მხოლოდ გვიან-ანტიკურ ძეგლებში გვხვდება ხოლმე **ὠραθήντο**. ანტიკური პერიოდის ავტორთაგან დადასტურებულია **ὄραθηται** არისტოტელეს შრომაში „ცხოველთა შესახებ“ 699 b, 19 და პლატონის **Ὀροι 41113** (იხ. **Δημοτεράκης s. v.**): **ὠράθη** კი ჯერჯერობით მხოლოდ გიორგი პახიმერეს ტექსტში შემხვდა.

ყველაფერი, როგორც ეს თქვა ერთმა ბრძენმა და ჭეშმარიტებით შეიცივნო.

Ὁὐ μὴν ὥστε καὶ τὸ ἀληθὲς περὶ ἐλάττωτος τοῦ ψεύδους ποιήσασθαι περὶ τοιοῦτων λέγονται ἱστορίας γάρ, ὡς ἂν τις εἴποι, ψυχὴ ἢ ἀλήθεια, καὶ τὸ τῆς ἀληθείας χρῆμα ἐπάναγκες ἱερόν, ὃ δὲ πρὸ ταύτης τὸ ψεῦδος ἄγων ἀντικρυσ ἱερόσυλος.

ტების მაგიერ სიცრუეს მიმართავს, ის პირდაპირ მკრეხელობას ჩადის.

Ἄλλως τε καὶ ἡμῖν ἦμιστα πρόθεσις πραχθεῖσι μέγεθος ἐντιθέσθαι, ὡσαυτίπερ κινουμένοις ἐκ μίσους ἢ μὴν εὐνοίας, ὡς ἂν πλέον ἢ εἰκόθῃ ἢ τὸ κακῶς ἔξυμβάν διασურείη ἢ τὸ εὖ ἔξυμπεσὸν ὑμνηθεῖη, τοῦ λόγου τὰς ἀκοῆς γοητεῦσθαι.

გი შემთხვევები განდიდებულიყო და ასეთ სიტყვას სმენა მოეჯადოებინოს.

Νικᾶ κατ' ἐμὴν γνώμην τὸ σιωπᾶν ἢ τὸ λέγειν ἄλλως ἢ ὡς ἐπράχθησαν, καὶ κρείττον ὀήπου τοῖς ἀκούουσι τὸ μὴ μανθάνειν ἕλως ἢ τὸ μανθάνειν ἄλλως ἢ ὡς ἢ ὄντως ἱστορία βούλεται, ὡς ἐκείθεν μὲν τῆς ἀπληθῆς εἰσαγομένης ἐκείνης ἀγνοίας, ἐξ ἧς οὐ μῶμος προστριβεται, ἐντεῦθεν δὲ τῆς διπλῆς, ὡς τὸ μὴ εἰδέναι συμφαίνειν τὸν εἰδέναι οἰόμενον, οὐ δὲ καὶ χειρόν οὐδέν (CB I, 11–13).

სხვათა შორის, ვინც ამგვარ ამბებზე ლაპარაკობს, მცირეოდნადაც არ უნდა მიმართოს სიცრუეს; ჭეშმარიტება, როგორც ერთმა ვინმემ თქვა, ისტორიის სულია, და ჭეშმარიტების საგანი აუცილებლად წმინდა, ხოლო ვინც ჭეშმარი-

გარდა ამისა ჩვენ სრულიად არ ვაპირებთ მომხდარი ამბების გაზვიადებას, რამდენადაც შეიძლებოდა ავემოძრავებინეთ სიძულვილს ან კეთილმიდგომილობას და უფრო მეტად, ვიდრე სინამდვილეს შეეფერება, ან ცუდი ამბები გაკიცხულიყო, ან კარ-

ჩემის აზრით, უპირატესობა. უნდა მიეცეს დუმილს, ვიდრე სხვანაირად ამბების მოყოლას, არა ისე, როგორც მოხდა. უმჯობესია, რასაკვირველია, მსმენელებმა სრულიად არ იცოდნენ, ვიდრე იცოდნენ სხვანაირად და არა ისე, როგორც ისტორიას ნამდვილად სურს; იმას მარტივად უცოდინარობა მოჰყვება, რაც სამარცხვინო არ არის, ხოლო იმას ორმაგი უცოდინარობა მოჰყვება – მომხდარი ამბავი არ იცის და ჰგონია რომ იცის; ამაზე უარესი არაფერია.

საქართველოს მეფე დავით VII

III, 21. Ἐπήνθει δὲ καὶ τὸ σῶφρον ἐκείνῳ, ὡς μηδὲν παρὰ μίαν ἀκουσθήναι ὑποταγεῖσθαι αὐτῷ πλὴν τὴν σύζυγον εἰς ἡδονῆς νόθου κλωπεῖαν. Ἐκείνη δ' ἐκ νοθείας καὶ μόνη τοῦτῳ θυγάτριον φυσικὸν ἀλλ' οὐ νόμιμον ἀπεγέννησεν, ὃ καὶ τῷ Μέπει Ἰβηρίας Δαυῖδ εἰς γάμον ἐδίδοτο. Τὰ δ' ἄλλα μέτριος ἦν καὶ καρτερικὸς ἐφ' ἅπαντι, εἰς δ' οἰκειაკήν τάξιν καὶ λίαν φιλότιμος, καὶ τὸ σύμπαν περιφανής. Καὶ ἀκριβῆ σημεῖα τῆς μὲν φιλαγαθίας αὐτοῦ καὶ φιλοκαλίας περὶ τοὺς οἰκείους, ἐξ ὧν ἐκείνους παιδεύεσθαι συνέβαινε ἐς τὸ ἀκριβὲς καὶ εἰς ἀληθινὸς ὑπηρέτας ἀποβαίνειν, τὸ θανόντος ἐκείνου τοὺς ἐκείνου ἑταίρους ἐπ' ἀξιώμασι μεγίστοις ἀξίους λογισθήναι δουλεύειν τῷ βασιλεῖ (CB I 216—217).

მას (იოანეს) ამშვენებდა ¹ აგრეთვე თავისი უბიწოება: არავისგან არას ცნობილი, რომ მას გარდა მეუღლისა ჰყოლოდეს სხვა ქალი, ხასა, თუმცა ეს კანონიერი მეუღლე მას ღალატობდა და ღალატის შედეგად შეეძინა ქალი, რომელიც შემდგომ იბერიის მეფეს დავითს, მიათხოვა. ის (ე. ი. იოანე) იყო ზომიერი და მტკიცე ყველაფერში, ძალიან უყვარდა სახლში წესრიგი და ყველგან [და ყველაფერში] ჩანდა მისი ხელი. ამჟღავნებდა ამკარა ნიშნებს კეთილგანწყობილებისას და სიკეთის მოყვარულობისას შინამოსამსახურეთა მიმართ და ასწავლიდა მათ ზუსტად და პირნათლად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი. რომ ეს მოსამსახურენი მისი სიკვდილის შემდეგ ღირსნი ყოფილიყვნენ დაეჭირათ დიდი თანამდებობანი სამეფო კარზე.

აქ მოთხრობილი ფაქტი რომ ნამდვილ ამბავს უნდა ეხებოდეს, ჩანს ისეთი ბერძნული გამონათქვამიდან როგორც არის τῷ Μέπει Δαυῖδ, ხოლო სარკვევია, თუ რომელ ქართველ მეფეს შეიძლება ეს ეხებოდეს. XIII საუკუნის ქართველ მეფეთაგან ბერძენთა მეფის ასული ცოლად ჰყავდათ დიმიტრი თავდადებულს და დავით ნარინს.

1. დიმიტრი თავდადებულზე, რომელსაც ჰყავდა შვილი დავითი, ჟამთააღმწერელი წერს: დიმიტრი «დაღათუ ჯერეთ ყრმა იყო, არამედ ინებს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა კოსტანტინესა. და მოიყვანეს ასული კომნიანოსისა, მეფისა ტრაპიზონელისა, დიდე-

¹ აქ იგულისხმება იოანე დესპოტი.

ბითა და საჭურჭლითა დიდითა, და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესი-საებრ. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მუცლად ილო დედოფალმან და შვა ძე, და უწოდეს სახელად დავით¹, რომელი უკანასკნელ მეფე იქმნა ქართლს» (ქ. ც. II [1959]), 264, 1 – 7).

იგივე ისტორიკოსი მეორე ადგილას წერს: «ხოლო მეფესა დიმიტრის ესხნეს შვილნი, დედოფალსა ტრაპიზონელთა ასულსათანა პირმშო დავით, ვახტანგ, ლაშა და მანოველ, და ასული რუსუდან. ხოლო თათრის ასულსათანა ძენი ორნი, ბაადურ და იადგარ, ასული ჯიგდა. ხოლო ასულმან ბექასმან ნათელ უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელი უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა» (ქ. ცხ. II [1959] 285 – 286).

2. რუსუდანის ძე დავით ნარინი (1245 – 1293 წ. წ.) იყო საბერძნეთის მეფის სიძე. ამის შესახებ ჟამთააღმწერელი წერს:

1) «ეგრეთვე დედოფალმან, ასულმან მაღლისა ჰელმწიფისამან, პალიალოღოს კოსტანტინეპოლის მეფის ასულმან, ამანცა ეგრეთვე პატივისცა ცოლსა თეგუდარისსა; და გაუშინაურდეს ურთიერთას, და მიენდვნეს, და ზედას-ზედა მივიდის დავით მეფე თეგუდარს წინა და განუჩინის ყოველივე წესი და რიგი მისი» (ქ. ცხ. II [1959], 261 – 262).

2) შვილის ვახტანგის სიკვდილი, «ვითარცა ცნა დავით, განმწარდა სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისათჳს, და იგლოვა წესისაებრ, და ფრიად პატივ-სცა, და წარგზავნა გელათს სამარხოსა მეფეთასა... შემდგომად მცირეთა წელთა მანცა (დავით) შეისუენა, პატიოსნითა სიბერითა აღსავსე[მან], და დაუტევა სამნი ძენი, პირმშო ვიდრემე კოსტანტინე, და მეორე მიქელ, და უმრწამესი ალექსანდრე, რომელი უშვა დედოფალმან დიდისა პალიალოღოსის ასულმან კოსტანტინეპოლისამან და საბერძნეთისა მპყრობელისამან» (ქ. ცხ. II [1959], 295)².

¹ მართალია, ქვემოთ მოყვანილ ტექსტებში ლაპარაკია არა დავით მეფეზე (Μέγτε Δαυΐδ), არამედ დიმიტრიზე, მაგრამ რამდენადაც შეიძლება ბერძნულ წყაროს სახელები არეოდა, მით უმეტეს რომ დიმიტრის ჰყავდა ვაჟი დავითი, რომელიც «მეფე იყო ქართლს» 1292 – 1311 წლებში (დავით VIII), საჭიროდ მიმაჩნია ეს ცნობები გავითვალისწინოთ.

² უკანასკნელ ტექსტში რიგი ხელნაწერები შეცდომით სწერენ: «ვითარცა ცნა დავით, (დიმიტრი მეფის ძემან, სიკუდილი ვახტანგისი), განმწარდა...». როგორც მთელი აზრადიდან ჩანს, აქ მონათხრობი ეხება დავით ნარინს და არა დავითს, დიმიტრი თავდადებულის ძეს. მართლაც, ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში „ქართლის ცხოვრებისა“ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები არ მოიპოვება (იხ. ქ. ცხ. II, 1959 წლის გამოცემა, გვ. 295,8 და სქოლიო).

დავით ნარინის მეუღლის, თამარის, გელათისადმი ბოძებულ ერთ სიგელში ნათქვამია: «მას ჟამსა ოდეს ინება ღმერთმან და ღირს მყო ძლიერისა უძლეველისა მეფეთ-მეფისა რუსუდანის ძემან დავით მეფეთ-მეფემან ემენელას ძისა ასულმა თამარ მათსა სახელსა შიგან მათად ცოლად და დედოფლად მომიყვანეს და ვითა საჯორციელად მათ წინაშე ყოფამან სახელოვან მყო.. ვიყიდე სოფელი კვახჭირი მათისა ამირაჯიზის ქობულისძისა ბელესგან.... და თვთ იგი სიგელი და ბელესგან ჩემთვის მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა კითხვთა, მოკსენებით და მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღურისა დავითის მწირველისა ანტონისითა... (თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 160 – 166).

ამავე ხასიათისაა მეორე სიგელიც:

«სახელითა... მე თამარ დედოფალმან, სულკურთხეულისა და სანატრელისა მეფისა რუსუდანისა ძისა, ყოველთა მეფეთა მეფისა დავითის ცოლმან და ემენელას ძისა ასულმან, ვიყიდე სოფელი ჯიქეფონი ცოტნე გარაყანისძისაგან... და შევწირე და მოვახსენე ყოვლად წმიდასა ღმერთისმშობელსა ხახულისასა, დიდსა მონასტერსა (გელათს) საუკუნოდ სალოცველად და სააღაპოდ სულისა ჩემისად... ესე ჩემ თამარისგან დედოფლისაგან ნასყიდი... ღვთის-სწორისა რუსუდანის ძისა მეფეთ-მეფისა ბრძანებითა და დაჯდომითა... ნასყიდი სოფელი ჯიქეფონი თორმეტი გლეხი მისითა მიწა-წყლითა და მიმდგომითა, მთითა, ბარითა...» (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, 162).

მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკაში“ ვკითხულობთ: «ხოლო 5791 (=1283) წელს, აპრილის ოცდახუთს, მეთერთმეტე ინდიქტიონს, კონსტანტინეპოლიდან ტრაპიზონს ჩავიდა დიდი კომნენოსი ბატონი იოანე, თან ახლდა პალეოლოგოსის ასული, რომელიც ფეხმძიმედ იყო, და დაიბადა დიდი კომნენოსი, ბატონი ალექსი, 6792 (=1284) წელს. მერე მოხდა თავდასხმა და შეპყრობა ბატონ გიორგი კომნენოსისა, რომელსაც მოხეტიალესაც ეძახდნენ; მასთან ერთად მოხდა თავდასხმა სასახლეზე (?) და მოულოდნელი გაქცევა დედოფალ თეოდორა კომნენესი, დიდი კომნენოსის ბატონ მანუელის ასულისა, რომელიც ეყოლა იბერიელი რუსუდანისაგან» (მიქელ პანარეტოსის ტრაპიზონის ქრონიკა 5; ალ. გამყრელიძის გამოცემის გვ. 18 – 19).

¹ Πουσηστάνας (წაიკითხე «რუსუდანას») ფიქრობენ, რომ დამახინჯებულია, უნდა იყოს «რუსუდანის ძისაგან».

აქ მოყვანილი საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი პახიმერეს მიერ მოხსენებული «იბერიის მეფე დავითი» შეიძლება იყოს მხოლოდ დავით ნარინი. კიდევაც რომ დავუშვათ შესაძლებლობა სახელების აღრევისა (დავითის მამის დიმიტრისა და დავით მეფისა), მაინც დიმიტრის შესახები ცნობები მიუთითებენ, რომ ქართველი მეფის ცოლად მოყვანილ იქმნა ტრაპიზონელი მეფის ასული, ხოლო პახიმერეს ცნობაში იგულისხმება კონსტანტინეპოლელი მეფის ასული.

ქართველი მკვლევარები (თ. ჟორდანიას, ივ. ჯავახიშვილი, ალ. გამყრელიძე) ერთხმად აღიარებენ, რომ გიორგი პახიმერეს ცნობაში დავით ნარინი იგულისხმება, ხოლო აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ დავით ნარინის რომელი ცოლი იგულისხმება.

1. თ. ჟორდანიას აზრით (ქრონიკები II, 158 შმდდ.) დავით ნარინის სიგელებში მოხსენებული დედოფალი თამარი „არის იმპერატორის ემმანუილის ქალი (კირ-ემანუილ, მეფე (ტრაპიზონისა 1238 – 1263 წ.) და არა მიხაილ პალეოლოგისა“¹. შემდეგ, თ. ჟორდანიას იშველიებს მიქელ პანარეტოსის ცნობას დედოფალ თეოდორას შესახებ და ამბობს: როგორც ჩანს „თეოდორას თამარის სახელი მიუღია დედოფლობაში (მაშინ მეფეებს ის ჩვეულება ჰქონდათ, რომ სხვა ტომთაგან მოთხოვებულს დედოფლებს სახელს უცვლიდნენ“².

მაშასადამე, თ. ჟორდანიას ფიქრობს, რომ დავით ნარინის სიგელებში მოხსენებული „დედოფალი თამარი“ არის ბერძნის ასული, რომელიც გამოთხოვებული იყო დავით მეფეზე, ხოლო მას ბიზანტიაში ერქვა „თეოდორა“.

2. ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებს თ. ჟორდანიას მოსაზრებებს და ფიქრობს, რომ დავით ნარინის სიგელებში მოხსენებული დედოფალი თამარი „ბიზანტიის კეისრის ასული კი არ არის, არამედ იგი დავით ნარინის პირველი თანამეცხედრე უნდა იყოს, ხოლო პალიალოლოსის ასული – მეორე თანამეცხედრე. ამას – ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით – უნდა ამტკიცებდეს ჟამთააღმწერლის სიტყვები: «მანცა (ე. ი. დავით ნარინმა) შეისუენა, პატიოსნითა სიბერიითა აღსავსე[მან], და დაუტევა სამნი ძენი, პირმშო ვიდრემე კონსტანტინე, და მეორე

¹ ეს მსჯელობა მცდარია, ვინაიდან წყაროში გარკვევით არის ნათქვამი, რომ დავით ნარინის მეუღლე იყო კონსტანტინეპოლელი პალეოლოგოსი მეფის ასული და არა ტრაპიზონელი მეფისა.

² შეგვიძლია, მართლაც, გავიხსენოთ ბიზანტიის დედოფალი „მარიამ მართაყოფილი“, ბაგრატის ასული.

მიქელ, და უმრწამესი ალექსანდრე, რომელი უშვა დედოფალმან დიდისა პალიალოლოსის ასულმან კონსტანტინეპოლისამან და საბერძნეთისა მპყრობელისამან». მამასადამე, ბრძანებს განსუენებული აკადემიკოსი, ბიზანტიელი ქალის შვილი მხოლოდ ალექსანდრე იყო, ყველაზე უმცროსი ვაჟი დავით ნარინისა, პირველი ორი კი (კონსტანტინე და მიქელი) პირველი „ცოლისაგან, დედოფალ თამარისაგან უნდა ჰყოლოდაო (ქ. ერის ისტორია III, 151 – 152).

დოც. ალ. გამყრელიძე ემხრობა ივ. ჯავახიშვილის აზრს (იხ. მისი „მიქელ პანარეტოსის ტრაპიზონის ქრონიკა, გვ. 57 – 58).

ჩვენ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით საბოლოოდ, შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ შემდეგი დაკვირვება დავუმატოთ.

ზემოთ მოყვანილ ტექსტებს შორის ვამჩნევთ დამთხვევის შემდეგ ნიმუშებს:

1) გელათისადმი ბოძებულ სიგელებში დედოფალი თამარი, დავით ნარინის მეუღლე, მოხსენებულია როგორც ემენელას ასული; ორივე სიგელში სწერია «ემენელას ძისა ასულმან». ამის პარალელურად: მიქელ პანარეტოსის „ქრონიკაში“ 1283 – 1284 წლებისათვის არის მოხსენებული დედოფალი თეოდორა კომნენე, დიდი კომნენოსის ბატონმან უელის ასული.

2) გიორგი პახიმერეს ცნობით «იბერიის მეფეს დავითს» მიათხოვეს ქალი, რომელიც კონსტანტინეპოლის სამეფო კარის წევრის ასული იყო; ეს იყო მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროს, შეიძლებოდა ამასთან შეგვედარებინა დავით ნარინის დროინდელ სიგელში მოხსენებული «დედოფალი, ასული მალისა ჯელმწიფისა, პალიალოლოს კონსტანტინეპოლის მეფის ასული».

3) ცოტა ბუნდოვანია, მაგრამ თითქოს ამავე ფაქტს ეხმაურება ის, რასაც გადმოვგცემს მიქელ პანარეტოსი, რომელიც წერს, რომ ა) კონსტანტინეპოლიდან ტრაპიზონს ჩავიდა 1283 წელს დიდი კომნენოსი იოანე; ბ) თან ახლდა პალეოლოგოსის ასული, რომელიც ფეხმძიმედ იყო.

* *
*

დასასრულ, უნდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ ვინ არის დავით ნარინის სიმამრი. გიორგი პახიმერეს ტექსტის მიხედვით ქართლის დედოფლის მამა არის დესპოტი იოანე. ის თავი (III, 21), რომელიც შეიცავს ცნობას დავითის შესახებ (Μέγτε Ἰβηρίας Δαυίδ), იწყება ასე:

*Τὸν μὲντοι γε δεσπότην Ἰωάννην
μετακαλεσάμενος ἐκ Θεσσαλονίκης ὁ*

მეფემ გამოიძახა თესალონიკიდან
დესპოტი იოანე, ცოტა ხანს თავისთან

βασιλεὺς, μικρὸν ὄσον διατηρήσαντά σί, ἕνα ταῖς θυνάμεισι πρὸς ἀνατολῆν ἐκπέμψει, τοῖς Πέρσαις ἄς ἦν συμμύζαντα (CB I, 215).

გაჩერა და შემდეგ ჯარით გაგზავნა ის აღმოსავლეთისაკენ სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ წინა თავებში ვკითხულობთ, რომ:

1) მეფე მიხეილ პალეოლოგოსი ძალიან შეშფოთებული იყო დასავლეთში დატრიალებული საქმეებით და დიდძალი ჯარით გაგზავნა იქ «თავისი ძმა იოანე, რომელიც ჯერ კიდევ დიდი დომესტიკოსი იყო» (II, 10).

2) იოანემ გმირული საქმეები შეასრულა, აიღო ციხე-სიმაგრეები პელაგონიის მხარეში და დაბრუნდა დიდძალი ნადავლით. მეფემ გამარჯვებული მხედართმთავრები დააჯილდოვა; მათ შორის, თავის ძმას იოანეს მიანიჭა „დესპოტის“ „წოდება (τὸν μὲν γοῦν Ἰωάννην δεσπότην ἐγκάμυστα); მას უკვე ჰქონია სევასტოკრატორისა და კესარის წოდებები (II, 12 – 13).

3) მეფე დესპოტ იოანეს გზავნის აჯანყებულ მიხეილ დესპოტის წინააღმდეგ. იოანემ თესალონიკეში შეაგროვა ჯარები და გაემართა მიხეილთან შესაბრძოლებლად. გამარჯვებულ იოანეს მიხეილმა ზავი შეაძლია.

აი, სწორედ ამის შემდეგ მეფემ (მიხეილ VIII პალეოლოგოსმა) გამოიძახა თესალონიკიდან იოანე დესპოტი.

მთელი ეს ეტაპები ისტორიული თხრობისა ეხება იოანე დესპოტს, რომელიც, როგორც კონტექსტიდან ჩანს, არის მიხეილ VIII პალეოლოგოსის ძმა. და ეს თხრობა გრძელდება III, 21-ში იოანეს დახასიათებით.

ამ მსჯელობის გამართვა დაგვჭირდა ჩვენ იმიტომ, რომ მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროს იხსენიება რამდენიმე იოანე: ა) იოანე II ანგელოსი, თესალიის დესპოტი (1278 წლის მახლობელ ხანებში); ბ) იოანე თესალიის დესპოტი (1274 წლის მახლობელ ხანებში) და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოტანილი მასალები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დავით ნარინის სიმაგრე იყო მიხეილ VIII პალეოლოგოსის ძმა იოანე პალეოლოგოსი.

კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე¹, წარმოშობით ლაზი

IV, 12. Οἱ ἀρχιερεῖς δὲ τὸ ἐνδόσιμον λαβόντες ψηφίζεσθαι τὸν δοκούντα σφίσι ἐπὶ τῇ μεγίστῃ προστασίᾳ τὸν ἐπιτίθειον, ἐν ταῦτῳ συνίασι πάντες κατὰ τὸ ἱερὸν καὶ μέγα τῶν Βλαχερνῶν τέμενος, καὶ ἄλλον ἄλλου προβαλλομένου τέλος ἐφ' ἐνὶ πάντας συμφωνοῦσι, τῷ Ἀδριανουπόλεως Γερμανῷ, ἀνδρὶ ἐλευθέρῳ τὸν τρόπον καὶ ἱεραῖς διεξάγωγαῖς πρέποντι, ἔτι δὲ καὶ τῆν ἐκ βασιλείης ἐκ παλαιῶν πλουτοῦντι διάψισιν. Ὡν γὰρ ὁ ἀνὴρ ταῖς

IV, 12. როდესაც მღვდელმთავრებს საშუალება მიეცათ აერჩიათ ისეთი კაცი, რომელიც მათი აზრით შესაფერისი იყო ეკლესიის უმაღლესი მეთაურობისათვის (*ე. ი. პატრიარქობისათვის*), ყველანი შეიკრიბნენ ამ მიზნით ვლახერნის წმინდა და მაღალ ტაძარში; ზოგი იმას უჭერდა მხარს, ზოგი ამას და, ბოლოს, ყველანი შეთანხმდნენ და აირჩიეს გერმანე ადრიანოპოლელი, კაცი თავისუფალი აზროვნებისა, მღვდელმსახურებათა

¹ გერმანე III პატრიარქობდა 1267 წლის 5 ივნისიდან 14 სექტემბრამდე. იმის წინ კონსტანტინეპოლის პატრიარქად იჯდა არსენი (1255 – 1260 და 1261 – 1267 წლებში), მეტსახელად ავტორიანე. კეისარსა და არსენის შორის მტრული ურთიერთობა იყო. ეს ურთიერთობა გამწვავა კიდევ ორმა საბაზმა: 1) 1262 წელს კეისარმა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით დააპირა ცოლად შეერთო მანფრედ ჰოჰენშტაუფენის და ანნა, ხოლო დედოფალმა თეოდორამ წინააღმდეგობა გაუწია, პატრიარქი არსენიც დედოფალს უჭერდა მხარს და მიხეილ VIII-ის გაყრას დედოფალთან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია; 2) როგორც ცნობილია, 1258 წელს გარდაიცვალა ნიკეის მეფე თეოდორე II ლასკარისი, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი იოანე (იოანე IV ლასკარისი), რომლის მეურვედ იყო პატრიარქი არსენი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ლათინთა ბატონობის ხანა, როდესაც ბიზანტიის იმპერიის გადარჩენილი ძალები ცდილობენ ლათინთა გამეფებას, პირველ რიგში ამ საქმის ინიციატივა ნიკეელების ხელშია. გამწვავებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ მოითხოვა მმართველობის სათავეში დაეყენებინათ მიხეილ პალეოლოგოსი, გამოჩენილი მხედართმთავარი, და 1259 წელს მიხეილ VIII პალეოლოგოსი თანაკეისრად იქნა გამოცხადებული, ხოლო პატრიარქმა არსენიმ ფიცით ჩამოართვა მიხეილს იმის გარანტია, რომ იოანე IV ლასკარისი უვნებელი იქნებოდა. 1261 წელს კი იოანე დააბრმავეს და სადილეგოში მოათავსეს, რასაკვირველია, მიხეილ VIII-ის ბრძანებით. პატრიარქმა მიხეილი შეაჩვენა, ბევრჯერ სცადა მიხეილმა არსენის შემორიგება, მაგრამ ვერაფერს გახდხა. მაშინ კეისარმა მოაწვევინა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა არსენი პატრიარქობიდან.

აი, ასეთ პირობებში მოხდა არსენის გადაყენება და მის ადგილას კეისრის ძველი მეგობრის მიტროპოლიტ გერმანეს დანიშვნა.

ἀληθείαις φιλόκαλος μὲν καὶ φι-
 λολόγος ἐς ἄκρον, καλὸν δ' ἅπαν
 εἰδὼς θ' ἂν καὶ εἰς τὰ πράγματα
 χρησιμεύει, μὴ μόνον εἰς ἀρετὴν,
 ἐν προτιμήσει πολλάκις τῶν ἐπαί-
 νων ἐτίθει τὸν μετ' ἐντραχείας
 καὶ τὸ ἐς ψυχὴν ἀσφαλὲς ἔχοντα
 τοῦ θλῶς ἀρετῆ συζῶντος γυμνῆ,
 εἰ κατὰ βίον καὶ μὴ ἐπ' ἐρημίας
 διάγοι. "Ὅθεν λόγιος μὲν οὐκ ἦν,
 λογίος δὲ μετ' αἰδοῦς καὶ τοῦ
 πρέποντος προσεφέρατο, καὶ λό-
 γου ἀκούων ἠγάπα, καὶ φίλος
 ἦν ἐς τὰ μάλιστα τῶν τοιούτων,
 ὡς καὶ αὐτὸς τοῦ καλοῦ μετέχοι
 ὡς ἀριστα. Ἀρετῆς δὲ μετῆν τῷ
 ἀνδρὶ οὐκ ἦν ἂν οἱ παρόντες
 αἰνοῖεν, ἢ μᾶλλον οἱ παρ' ἑαυτοῖς
 προύχοντες δοκοῦντες τῶν ἄλλων,
 βρώματα καὶ πόσεις φιλοκρινού-
 ντες καὶ ἡμέρας τούτων ἐκάστη
 πρεπούσας καὶ παρὰ τὸ εἶκος
 προσνέμοντες, πεζῇ τε καὶ βάλαν-
 ται ἀίρουμένοι διέρχασθαι τὰς ὁδοὺς,
 ἀνιπτόποδες καὶ χαμαεῦναι καὶ μο-
 νοχίτωνες, ἐν δευτέρῳ δὲ τούτων
 τὸν οἶκτον καὶ τὴν ἀγάπην τιθέ-
 μενοι, ἔτι δὲ καὶ τὴν φιλανθρω-
 πίαν καὶ τὴν συμπάθειαν καὶ τὸ
 ὅλον εἰπεῖν τὴν διάκρισιν, σκλη-
 ροὶ τινες ὄντες καὶ τοῖς ἄλλοις
 μνημητικοὶ καὶ μεμψίμοιροι, ὡς
 ἑαυτοῖς σφίσι καὶ μόνοις τὴν
 ἀρετὴν περιποιεῖν αἰρούμενοι, κἂν
 ὅ τι ἕκαστοι καὶ πράττοιεν, ἀλλ'
 ἀρετῆς τῆς κατ' ἀνθρώπον ὄντως,
 κατ' ἦν ἂν καὶ ὁ ἀληθινὸς χα-
 ρακτηρίζοιτο ἄνθρωπος, καὶ μάλ-

ჩინებული შემსრულებელი, რო-
 მელიც ჯერ კიდევ ძველიდანვე
 უხვად სარგებლობდა კეისრის
 ყურადღებით. ეს იყო ჭეშმარი-
 ტებისადმი მეგობრულად გან-
 წყობილი კაცი, უაღრესად გან-
 სწავლული, და მან კარგად იცო-
 და ყველა ის სიკეთე, რაც საქ-
 მისათვის გამოსადეგია და არა
 მხოლოდ სათნოებისათვის; ის
 ხშირად უპირატესობას აძლევდა
 და აქებდა იმას, ვინც მკვირცხ-
 ლად და სულიერი სიმტკიცით
 მთლიანად მისცემოდა ხალას სა-
 თნოებას, შუაგულ ცხოვრებაში
 ატარებდა დროს და არა უდაბ-
 ნოში, თუმცა ის არ იყო მჭევრ-
 მეტყველი, მაგრამ მჭევრმეტყ-
 ველთ მოწიწებით და ჯეროვანი
 ყურადღებით ეპყრობოდა, უყვარ-
 და მათი სიტყვის მოსმენა და
 მეგობრობდა უმთავრესად ასეთ
 ადამიანებს, რადგან თვითონაც
 უაღრესად მოზიარე იყო მშვე-
 ნიერებისა. ამ კაცს ვაჟკაცობა
 ახასიათებდა არა ისეთი, როგო-
 რითაც თავი მოაქვთ ახლანდე-
 ლებს ან ფიქრობენ რომ, მათი
 აზრით, სხვებთან შედარებით
 უპირატესობა აქვთ იმით, რომ
 საქმელ-სასმელებში კარგად ერ-
 კვევიან და თითოეულ ამათგანი-
 სათვის სათანადო დღეები აქვთ
 შესაფერისად განკუთვნილი, ნე-
 ლი ნაბიჯით დადიან გზებზე.
 ფეხუბანელნი, და ცარიელ მიწა-
 ზე წვეებიან ქიტონის ამარა, ხო-
 ლო დაბალ საქმედ მიაჩნიათ შე-

λον ὁ ἐπ' ἐξουσίας, ἢ δὲ καὶ τὸ
μετριοπαθὲς τοῦ ἀπαθιοῦς μᾶλλον
ὀφείλεται· οὐ δὲ βίου ἐξ ἄρεϊς
τὴν διακρίσιν, τὸ πᾶν ἀπώλεσας
ἐξ ἑνός.

სხვებისადმი გამქირდავნი და გამკიცხავნი, თითქოს მხოლოდ თავიანთ თავს თვლიან სათნოების მქნელებად, რასაც არ უნდა აკეთებდნენ; მაგრამ ჭეშმარიტად ვაჟკაცური იყო იმ კაცის (*ე. ი. გერმანეს*) სათნოება, რის მიხედვითაც ის ნამდვილ ადამიანად ხასიათდებოდა, განსაკუთრებით ძალაუფლებით აღჭურვილი რომ იყო მაშინ, როდესაც ზომიერება უფრო ესაჭიროება ვიდრე გულცივობა, ამ ცხოვრებიდან თუ გამოთიშავ გარჩევს უნარს, ამ ერთის გამო ყველაფერს დალუპავ.

Τοιαύτη τοίνυν κοσμοῦμε-
νος ἀρετῆ, ἦν δὲ καὶ πολιτι-
κὴν τινες λέγουσι καὶ τὸν κατ'
αὐτὴν βίον πολιτικόν, μέσον ὄντα
θεωρητικῶν τε καὶ ἀπολαυστι-
κῶν, ὃ δηλωθεὶς τῆς Ὁρεστιάδος
ἀρχιερεῦς προκριθεὶς τῶν ἄλλων
(καὶ γὰρ ἐλέγετο καὶ τῷ κατ'
ἀνατολήν ὄρει τῷ μέλανι καὶ τῇ
κατ' ἐκείνου μονῇ ἐγχορονίσας ἀσκή-
σαι τὸ πάλαι τὰ μέγιστα) παρὰ
τῶν λοιπῶν ἠξιοῦτο τὴν τῆς
Κωνσταντινουπόλεως προστασίαν
ἀναδεδέσθαι. Σὺν οἷς καὶ ὁ βασι-
λεὺς τὴν ψήφον ἀποδεδέχμενος
κατηντιβόλει τὸν ἄνδρα, καὶ ἐφ'
ἡμέραις προσιῶν ὄλαις ὄρμαϊς
παρῶτρυνε καὶ ἠξίου μὴ ἀποπέμ-
ψασθαι τὰ τῆς κλήσεως (CB I,
278, 17—280, 15).

ყოველდღე მიდიოდა მათთან და მთელი შემართებით აიძულებდა და თხოვდა არ გადაედოთ მისი მოწვევის საქმე.

წყალება და სიყვარული, აგრეთვე კაცთმოყვარება და თანაგრძნობა და მოკლედ რომ ვთქვათ, ყურადღებიანობა: ისინი რაღაც მკაცრნი არიან და

აი, ასეთი სათნოებით იყო შემკული *გერმანე*; ზოგიერთები ამას პოლიტიკურ სათნოებას ეძახიან და მის მიხედვით აგებულ ცხოვრებასაც ეძახიან პოლიტიკურს, რომელიც საშუალოა მჭვრეტელობითსა და განცხრომითს ცხოვრებას შორის, – აი, ეს ზემოხსენებული მღვდელმთავარი ორესტიადისა¹ გამორჩეულ იქნა დანარჩენებში (ამბობდნენ რომ ის აღმოსავლეთში, შავ მთაზე ცხოვრობდა დიდ ხანს და იქაურ მონასტერში დიდად უღვაწია) და ღირსად იქნა ცნობილი კონსტანტინეპოლის ეკლესიის მეთაურად აღიარებულიყო. კეისარიც მათ (*ე. ი. მღვდელმთავრების*) არჩევანს ეთანხმებოდა და ამ კაცს მოითხოვდა დაჟინებით,

¹ Ὁρεστιάς არის ადრიანოპოლის ძველი სახელწოდება. ხომ ზემოთაც იყო აღნიშნული «ადრიანოპოლელი გერმანე» აირჩიესო.

IV, 13. Καὶ δὴ παρακληθεῖς εἰς. Καὶ μὴνός Μαριμακτηριῶνος ἐν τῇ τοῦ ἁγίου πνεύματος ἑορτῇ ὑπὸ τόμῳ κοινῶ γεγονότι πατριάρχῃς ἐπικηρύσσεται, καὶ σφίσιν ἅμα συλλειτουργήσας τῷ ἱερῶ ἐπιζῆνει θρόνῳ καὶ τῶν ἄλλων προίσταται.

Ἄμα δὲ τῷ προσβῆναι τῷ θρόνῳ ἔργον ἐκείνῳ ἀποχολίας πάσης ὑπέρτερον τιμᾶν τε τοῖς προσήκουσι τοὺς ἀρετῇ δοκοῦντας ἢ καὶ λόγῳ προέχειν τῶν ἄλλων, τοὺς μὲν ἀξιώμασι τοὺς δὲ φιλοτησίαις ἀπάσαις καὶ θῶροις παντοίοις. Ἦν γὰρ καὶ περιφρονητῆς χρυσίου τὰ μάλιστα, ὡς μὴδὲ κερτῆσθαι βλαάντιον, ἀλλὰ τὸ προσαχόμενον ἔκποθεν ἐπὶ τῆς σιμᾶδος ἐκείνου κελεῦειν τίθεσθαι, ὡς ἔτοιμον εἶναι ταῖς χρεῖαις τῆς εὐποιίας ὅπου ἂν ἐκείνος κελεῦσεται. Τοιοῦτῳ δ' ἔντι: ἐκείνῳ τὸ τῆς μὲν ἀπλότη-

IV, 13. და მართლაც მოწვეულ იქნა. მემაქტირიონის თვეში, სულიწმიდის დღესასწაულზე იგი¹ საერთო გადაწყვეტილებით გამოცხადებულ იქნა პატრიარქად, მათთან (ე. ი. მღვდელმთავრებთან) ერთად ჟამისწირვა შესრულა, აბრძანდა წმინდა ტახტზე და წინამძღვრობდა სხვებს.

როგორც კი ავიდა ტახტზე, ყოველგვარ საქმიანობაზე უფრო მაღლა დააყენა პატივი ეცა იმათთვის, ვინც სათნოებით გამოირჩეოდა ან სწავლულობით სხვებს აღემატებოდა; ერთნი ღირსებით დაეჯილდოებინა, ხოლო სხვები ყოველგვარი წყალობითა და სხვადასხვაგვარი საჩუქრებით, ყველაზე უფრო ოქრო ეზიზღებოდა ისე, რომ ქისაც კი არ შეუძენია, მაგრამ თუ კი საიდანმე გაუჩნდებოდა, ნაბრძანები ჰქონდა მის საწოლზე დაედვათ, რათა მზადყოფილიყო კეთილი საქმის საქმროებათათვის, როგორც კი იგი

¹ «მემაქტირიონის თვე» (μηνός Μαριμακτηριῶνος) არის ატიკური წლის მეხუთე თვე (ჰეკატომბეონი, მეტაგეიტნიონი, ბოედრომიონი, პიანოფსიონი, მ ე მ ა ქტირიონი, პ ო ს ი დ ე ო ნ ი, გამელიონი, ანთესტერიონი, ელაფებოლიონი, მუნქიონი, თარგელიონი და სკიროფორიონი). ძველებური თვლით ის უნდა ხვდებოდეს ნოემბრის მეორე ნახევარსა და დეკემბრის პირველ ნახევარს. გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ ლათინურ თარგმანში იმ. ბეკერი წერს: mense Iunio, ე. ი. ი ვ ნ ი ს ის თვეშიო. მართლაც, სულიწმიდის დღესასწაულს მართლმადიდებელთა ეკლესია იხდის მაის-ივნისის დღეებში. ხოლო თვით გერმანეს პატრიარქობაც ბიზანტიური წყაროების მიხედვით თარიღდება 1267 წლის 5 ივნისიდან 14 სექტემბრამდე. მაშასადამე, გიორგი პახიმერე რომ ამბობს გერმანე პატრიარქად აირჩიეს „მემაქტირიონის თვეშიო“, რასაკვირველია, მხედველობაში აქვს ივნისის თვე“. ჩანს, მემაქტირიონის თვეს ადგილი გადაუნაცვლებია, სამწუხაროდ, ამის შესახებ ჩვენ ვერ ვიპოვეთ ცნობები ვ. კუბიჩეკის წიგნში: W. K u b i t s c h e k Grudriss der antiken Zeitrechnung. 1928. იბ. გვ. 148 – 149.

τος πλεονέκτημα εἰς κατηγορίαν ἀδιανοητοῦ περιήσταντο, τὸ δὲ τῆς εἰς βασιλέα αἰδοῦς τε καὶ κυβερνήσεως εἰς ἔγκλημα κολακείας καὶ ψεύδους πρὸς τοὺς πολλοὺς ἀντικρυσ. Τῷ γὰρ ἀπλῶ τοῦ τρόπου καὶ ἀνυπόκλητῳ καὶ ἐλευθερίῳ πρὸς τὸ τοῖς παροῦσι χρήσασθαι μὲν καὶ ἀπτόν, ἐφείναι δὲ καὶ τοῖς ἰδίῳις χρήσασθαι, τὴν τοῦ καταχρησθαι προσεληφει δόξαν.

თვალეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად.

Τῷ¹ δὲ κυβερνᾶν τὸν κρατοῦντα, καὶ μάλλον ἐφ' ἰκετείαις, ὅτε ἐκείνος μὲν προσαναφέρων ἤξειο, ὁ δὲ κρατῶν οὐ βραδείως κατένευε, ἀντεῖθεν κατὰ τὸ δοκοῦν ἰκονόμει τῷ θεομένῳ τὸν ἐλπισμόν, ὡς μὴ ἀπογοίῃ ἀποπεμφθεῖς, ἐλπίζων ἴσως ἀνύειν ἐσῶστερον, καὶ λέγων πολλὰ κίς οὐκ ἦνυε, τὴν τοῦ ψεύδους ὑποψίαν προσκτώμενος κατακρίνετο.

რად ჯერჯერობით ვერ შეგისრულეო, – ყველაფერმა ამან ეჭვები დაჰზადა სტყუისო.

Τὰ δὲ ἐγκλήματα ταῦτα κατ'ἀπαξ ταῖς τῶν πολλῶν ψυχαῖς ἐνιζήσαντα ἐξήπτε τὸ ἀπὸ τῶν πολλῶν μῖσος, ὅτι τε ἀντίζηλος εἶη τῷ πατριάρχῃ τὴν ἐκείνου κατασχῶν ἐκκλησίαν, καὶ ὅτι ἀπὸ θρόνου τῆς θυσγατρὸς τῷ θρόνῳ τῆς μητρὸς (οὕτω γὰρ τὰς ἐκκλησίας ἐκάλλουν) ἀνέδηγ οὕτω

უბრძანებდა. ის რომ ასეთი იყო თავისი გადაჭარბებული უბრალოებით, ამას უდარდებლობის დანაშაულად უთვლიდნენ, ხოლო კეისრის წინაშე მოწიწებას და მთავრობისადმი პატივისცემას პირმოთნეობის დანაშაულად და აშკარა სიცრუედ ბევრის მიმართ. ქვევის უბრალოება და გულლია და თავისუფალი მოპყრობა იმათადმი, ვინც მას ხვდებოდა, და შინაურებისადმი ღმობიერება ჩაუ-

მისი ურთიერთობა კეისართან, განსაკუთრებით კი თხოვნათა შემთხვევებში, როდესაც იგი (*გერმანე*) მოახსენებდა ხოლმე და სთხოვდა, ხოლო (*თვით*)-მპყრობელი არც თუ ადვილად ეთანხმებოდა, და საფიქრებელია, რომ ზოგავდა მთხოვნელის იმედს, რათა გაწბილებული არ გაესტუმრებინა, იქნება იმედიც ჰქონდა რომ ახლო მომავალში შეუსრულებდა, ეუბნებოდა კი ხშირ-

ყველა ამ ბრალდებებმა ერთხელ და სამუდამოდ მრავალთა სულში დაბუდებულებმა, ბევრში გამოიწვია სიძულვილი გერმანესადმი და ამბობდნენ, მოქიშპე იყო იმ პატრიარქისა (*ე. ი. არსენისა*), რომელსაც ეკლესიის მესაჭეობა წაართვაო, და ქალიშვილის ტახტიდან დედის ტახტზე

¹ τῷ] τό P.

καὶ ἀντιθέτως εἰσπηδήσειεν, εἶπεν
καὶ δυσὶν ἐνισχομένου ἐγκλήμα-
σιν οὐκ ἦν ὅστις ἀγαθὸν ἐλάλει
περὶ ἐκείνου, τῶν μὲν προσκειμέ-
νων τῷ πατριάρχῃ, τῶν δὲ καὶ
ἐπομένων Ἰσως ταῖς γνώμαις
ἐκείνων. Ἦσαν δὲ καὶ τῶν πε-
ριτῶν καὶ εἰς κατηγορίας εὐκό-
λων, οἱ καὶ προσονειδίζοντες
Μαριμουτζᾶν προσωνόμαζον, προ-
σάπτοντες ὄνομα Περσικὸν ἐξ
αἰτίας τῆς ὅτι ἐκείνος τὸ γένος
τὸ σύνεγγυς Λάζος ἦν, τὸ δ'
ἀνέκαθεν καὶ Γαβρᾶς. Τέως τὸν
τρόπον μεμφόμενοι τὸν ἐκείνου
δῆθεν τοῦτο μὲν ὡς ἀπερίσκεπ-
τον καὶ φρασὴν μὴ εἰδότος ἦς
οὐ μετὸν ἐπιβαίνει τιμῆς, τοῦτο
δὲ καὶ ὡς ἐπὶ κολακείᾳ διαβαλ-
λόμενον τῇ πρὸς βασιλείᾳ, προσε-
μωκῶντο τὸ γένος ὡς ἐκείθεν
ὄν ὀπόθεν καὶ τὸ Περσικὸν εἶναι
διωμολογεῖτο. Ὅμως γέρων ὢν
καὶ παιδευσὶν ἀρχαίαν ἔχων
ἐκκλησιαστικῇ Γερμανοῦ τοῦ μα-
καρίτου, πολλὰ τῶν τῆς τάξεως
τῆς ἐκκλησίας καθίστα πρὸς τὸ
ἀρχαιότερον παρηρημένα καὶ χρο-
νῷ καὶ ἀμελείαις (CB I, 280, 15—
282, 18).

გადაბრძანდა (ასე ეძახდნენ ეკლე-
სიას) ¹ ასე დაუბრკოლებლივ და
თავხედურადო; და ამ ორი ბრალ-
დების გამო არავინ დარჩა ისე-
თი, რომელსაც მის შესახებ კარ-
გი რამ ეთქვა: ერთნი მხარს
უჭერდნენ პატრიარქ არსენის,
ხოლო სხვები იმათ აზრებს იზი-
არებდნენ. იყვნენ უკიდურესთა-
განაც და ცუდსიტყვაობაში ამსუ-
ბუქებულთაგან ისეთები, რომ-
ლებიც დამატებითი გაქირდვის
მიზნით ეძახდნენ მას მარმუწას
და ამ სპარსულ სახელს იმ მიზე-
ზით ურთავდნენ, რომ ის (*გერ-
მანე*) ტომით სრულიად
ნამდვილად ² ლაზი იყო,
სწორედ ისევე, როგორც გაბრა.
ერთ ხანს ამნაირადვე ჰკიცხავდ-
ნენ მის (*ე. ი. გერმანეს*) წინ-
დაუხედავსა და თავხედ ხასიათს,
მას არ ესმის თუ რა პატიებე
იქნა აღზევებულიო; ამას უკიჟი-
ნებდნენ მას კეისრისადმი მლი-
ქვნელობის გამო; ამასთანავე
ერთად სასაცილოდ იგდებდ-
ნენ მის ტომობრივ წარმოშობას,
ისეთივეა როგორც სპარსული
ტომიო. თუმცა მოხუცი იყო და
ძველი საეკლესიო აღზრდა ჰქონდა

მიღებული ნეტარი გერმანესგან ³, მან ბევრი რამ საეკლესიო წესით

¹ ე. ი. გერმანეს ადრიანოპოლის ეკლესიის („ქალიშვილის“) ტახტი ეკავა და პატრიარქის („დედის“) ტახტი დაიპყრა.

² საგანგებო ყურადღების ღირსია, თუ როგორი გამოთქმით ახასიათებს გიორგი პახიმერე გერმანეს წარმოშობილობას. ის არ კმარობს თქვას τὸ γένος Λζος ἦν («ტომით ლაზი იყო»), არამედ უმატებს τὸ γένος τὸ σύνεγγυς («სრულიად ნამდვილად», «უმახლობელესად ლაზი იყო»).

³ აქ, როგორც იმ. ბევრი ფიქრობს, უნდა იგულისხმებოდეს პატრიარქი გერ-
მანე II (1220 – 40); *μακαρίτου* იმას მოწმობს, რომ ლაპარაკია მიცვალებულზე.

გათვალისწინებული აღადგინა ძველებური სახით, რაც გამქრალიყო დროთა ვითარებაში და დაუდევრობითაც.

IV, 14. Το δὲ μείζον ἔτι καὶ φιλοσόφος ὢν τὰ μάλιστα τῇ Ὀλοβόλῃ εὐφραεῖ γέ ὄντι καὶ πλήρει λόγων καὶ προσετατήκει ὡστ' ἀποχρῶν κατὰ τὸ παραστῶς ἡγούμενος, τοῦτο μὲν εἰς τὴν ἐκείνου παρακμήναι παθόντος οἷα παρόνῃται, τοῦτο δὲ καὶ εἰς τὴν τῶν ἐκκλησιαστικῶν ἀγωγὴν εἰς παιδείου λογικῆν, τὸ ἐκεῖνον ἐκ τῆς τοῦ προδρόμου μονῆς ἐξελεῖσθαι καὶ προσοκείλαι τῇ ἐκκλησίᾳ. Ἔργον πάσης ἀρχουλίας ἐπέκεινα τίθεται τὸ ὑπὲρ τοῦτου πρᾶξασθαι τῇ βασιλεῖ καὶ τὸ τῆς πρᾶξεως ἐπαγωγὸν προβαλέσθαι, ὡς „ἦδη μὲν ὁ Ἀκροπολίτης καὶ μέγας λογιότης Γεώργιος, ἐφ' ἱκανὸν ἐκ προστάξεως σῆς, βασιλεῦ, ἐνδρώσας παραδιδόνς τὰ μαθήματα, ἦδη καὶ ἀποκακαίμῃται, καὶ χρεῖα ἔστιν ἄλλους ἀνάγεσθαι, καὶ τῶν ἄλλων οὐχ ἦττον τοὺς τῆς ἐκκλησίας, παρ' ὅσον καὶ ἀνάγκη προβαίνειν τοῦτους τῇ λόγῳ ταῖς ἐκκλησιαστικαῖς χρεῖαις ὡς μάλιστα χρησιμεύσοντας. Κατάνευε τοίνυν ἡμῖν ἀξιοῦσιν ὡς ὑπὲρ τῆς ἐκκλησίας πρᾶξέουσι, καὶ ἐξευμενίζου τῇ Ὀλοβόλῃ, καὶ δέχομαι τοῦτον καὶ κατὰ τὸ εἶδος τιμῆσαι καὶ εἰς διδασκαλὸν καταστήσαι τοῖς προσφωιτῶσι τῆς λογικῆς παιδείας“. Καὶ ταῦτα μὲν τὸν πατ-

IV, 14. მთავარი მის მოღვაწეობაში ის იყო, რომ იგი, როგორც ნასწავლი კაცი, ნიჭიერსა და ცოდნით სავსე ოლოვოლოსს განსაკუთრებით სწყალობდა; არსებულ ვითარებაში გამოსადეგ კაცად მიაჩნდა, აგრეთვე როგორც ნუგეში განცდილი წვალეებისათვის, და როგორც ბავშვთა მეცნიერული აღზრდისათვის საეკლესიო მიზნებით საჭირო კაცი იოანე წინამორბედის მონასტრიდან გამოიყვანა და ეკლესიაში მოათავსა და იქ საყოველთაო მნიშვნელობის საქმე მიახლო; ამ მიზნით მოციქულად დაუდგა კეისართან და ასეთი წინადადება მისცა მეფეს: „დიდი ლოგოთეტი გიორგი აკროპოლიტი, შენი ბრძანებით, მეფევ, დაყენებული, საკმაოდ დამაშვრალი მეცნიერებათა გადაცემაში, უკვე დაიღალა და საჭიროა სხვების დაწინაურება, ისეთებისა, რომლებიც ეკლესიის საქმეებისათვის არა ნაკლებ ილუაწებენ; ამიტომ საჭიროა წამოწევა მეცნიერებისათვის და განსაკუთრებით საეკლესიო მოთხოვნილებათათვის გამოსადეგი პირებისა. დაგვეთანხმე ჩვენ, რომლებიც ეკლესიის საქმეებისათვის ვშუამდგომლობთ და მწყალობელ ეყავ ოლოვოლოსს. მე მას ვღებულობ, რათა დავნიშნო მასწავლებლად იმ მოწაფეებისა, რომლებმაც მეცნიერული განათ-

ριάρχην ἐκείνον εἶπειν, καὶ εἰπόν-
τος εὐθὺς κατανεύσαι τὸν βασι-
λέα καὶ τῇ ἀξιώσει καθυποκλι-
ναι: (CB I, 282, 18—283, 18).

ლება უნდა მიიღონ“. ეს რომ
თქვა პატრიარქმა, კეისარი მა-
შინვე დაეთანხმა და მისი თხოვ-
ნა შეიწყნარა ¹.

მონღოლების შემოსევა შავი ზღვის სანაპიროებზე

V, 4. Ὁ δὲ Νογᾶς αὐτὸς
κράτιστος ἦν ἀνὴρ τῶν Τοχάρ-
ρων, εἰς στρατηγίαν τε ξυνετός
καὶ τρίβων τοῖς πράγμασι, ὃς
ἅμα πλείσταῖς δυνάμεσιν ἐξ ὁμο-
γενῶν Τοχάρων, οὓς αὐτοὶ Μου-
γουλῖους λέγουσιν, ἐξαποσταλείς
ἐκ τῶν κατὰ τὰς Κασπίας ἀρχόν-
των τοῦ γένους, οὓς Κάνιθας
ὀνομάζουσιν, ἐσβᾶλλει τοῖς ἀνὰ
τὸν Εὐξείνιον βορείως ἔθνεσιν, ἃ
δὴ τὸ πάλαι τοῖς Ῥωμαίοις ὑπή-
κουε, τῆς πόλεως δ' ἀλούσης
καὶ τῶν πραγμάτων εἰς στενὸν
καταστάντων Ῥωμαίοις, τῶν κυ-
ρίων ἀπολειφθέντα, αὐτόνομα ἦν.
Ταῦτ' ἄρα καὶ ἀκονίτι φανείς
προσελάμβανε καὶ κατεδουλοῦτο.

V, 4. თოხარელი ნოღა ძლი-
ერი ვაჟკაცი იყო, სამხედრო საქ-
მიანობაში გონიერი და მართვის
საქმეებში გამოცდილი, ის დიდ-
ძალი ჯარით ადგილობრივი თო-
ხარელებისა, რომელთაც თვითონ
ისინი მ უ ლ უ ლ ე ბ ს ² ეძახიან,
გაგზავნილ იქმნა კასპიის მხარეში
მცხოვრები ტომის არქონტების
მიერ, რომელთაც ყაენებს (Κά-
νιθας) უწოდებენ, და დაესხა ევქ-
სინის პონტოს ჩრდილო სანაპი-
როების ტომებს, რომლებიც ძვე-
ლად რომაელებს ემორჩილებოდ-
ნენ, ხოლო მის შემდეგ რაც ქა-
ლაქი (კონსტანტინეპოლი) აღე-
ბულ იქნა (ლათინთა მიერ) და
რომაელთა საქმეები გაჭირებულ

¹ ამ პარაგრაფში მოხსენებული ო ლ ო ვ ო ლ ო ს ი, რომელსაც ეგზომ სწყა-
ლობს პატრიარქი გერმანე, არის მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროინდელი
ცნობილი მწერალი (პოეტი და პროზაიკოსი) და საზოგადო მოღვაწე Μανουήλ ὁ
Ολβῆσιος, რომელმაც დიდი ტანჯვა-წვალება გადაიტანა იმის გამო, რომ იგი
საეკლესიო უნიის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს ბრძოლა კი ერთგვარად აბრკოლებდა
პოლიტიკურ სიმშვიდეს, მით უმეტეს რომ მიხეილ VIII-ს საზოგადოებამ ასე
ადვილად არ აპატია იოანე IV ლასკარისისათვის თვალების დათხრა. ეს უკანასკ-
ნელი გარემოებაც ხდებოდა საბაზი დიდი რეპრესიებისა. და ახალგაზრდა ოლო-
ვოლოსი, წარჩინებული გვარიდან, ამ რეპრესიების მსხვერპლი გახდა: მოჭრეს
ცხვირი და ტუჩები და მონასტერში დაამწყვდიეს. აი, ეს გარემოებები აქვს მხედ-
ველობაში გიორგი პახიმერეს ზემოთ მოყვანილი ცნობების მოწოდების დროს
ოლოვოლოსის შესახებ (იხ. K. Krumbacher GBZ 770 – 773: A. Heisen-
berg. Aus der Geschichte und Literatur der Palaiologenzeit SB d.

Bayer. AW, 1920, 10. Abhandlung, 112 – 132).

² შდრ. ჟამთააღმწერლის სიტყვები «არა კეთილად მეცნიერ ხარ ნათესავსა
ჩუენ მოლოლთასა» (ქ. ცხ. II (1959), 193. 9).

ვითარებაში აღმოჩნდა, თავიანთ ბატონებს ჩამოშორდნენ და თვით-თავადნი გახდნენ. აი ეს ტომები, გამოჩენისთანავე დაიპყრო მან და დაიმონა.

Ἰδὼν δὲ χώρας ἀρετώσας καὶ ἔθνη εἰς ἀρχὴν κατὰ σφᾶς αὐτάρκη, ἀφῆνιάζει μὲν τῶν πεμφάντων καὶ ἑαυτῶν τὰ ἔθνη προσκτάται. Ὡς δὲ χρόνου τριβομένου, ἐπιμυγνύντες σφίσιν οἱ περὶ τὴν μεσόγειον κατωκημένοι, Ἀλλανοὶ λέγω, Ζίγχοι, καὶ Γότθοι, Ῥῶσοι καὶ τὰ προσοικουῦντα τούτοις διαφορα γένη, ἔθνη τε τὰ ἐκείνων μανθάνουσι καὶ γλῶσσαν τῶν ἔθνευ μεταλαμβάνουσι καὶ στολήν, καὶ εἰς συμμαχίους αὐτοῖς γίνονται.

ჩვეულებისამებრ გადაიღეს ჩაცმა-დახურვაც, და გახდნენ მათი მოკავშირეები.

Καὶ μετ' οὐ πολὺ εἰς πληθὺς ἀριθμοῦ κρείττον ὁ ἀπελθὼν τῶν Τοχάρων λαὸς ἐνδίδῳσι, καὶ ἀνυπόστατοι ἔπου ἰοιεν γίνονται ταῖς δυνάμεσιν, ὡς καὶ τινὰς τῶν ἄνω κυρίων πολέμου νόμῳ ἐπ' αὐτοὺς ἀποστάτας ἰόντας οὐχ ἔπως περιγενέσθαι, ἀλλὰ καὶ σφαλῆναι τὰ πλείστα πεσόντας.

Ἔστι τὸ ἔθνος ἀπλότῃ μὲν χαίρον καὶ φιλαλληλίᾳ, καὶ ὀξύ τε πρὸς πολέμους καὶ πονηρόν, καὶ τὴν ζῶην αὐταρκές, καὶ γε τὰ κατὰ βίον ἀνεπινόητόν τε καὶ ἀπρομύθητον (CB I, 344,13—345,16).

ეს აყვავებული მიწები რომ დაინახა ნოღამ და აქაური ტომებიც რომ სრულიად კმაყოფილნი აღმოჩნდნენ მისი ძალაუფლების ქვეშ, ის გადაუდგა გამომგზავნით და ეს ტომები დაიქვემდებარა. დროთა ვითარებაში მათთან ურთიერთობა გააბეს იმ ქვეყანაში მცხოვრებლებმა – ა ლ ა ნ ე ბ მ ა, ჯ ი ქ ე ბ მ ა, გ უ თ ე ბ მ ა, რ ო ს ე ბ მ ა და მათ მეზობლად მცხოვრებმა სხვადასხვა ტომებმა, გაიცნეს მათი ადათები და ენა,

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ თოხარელთა ეს მოსული ხალხი მრავალრიცხოვანი და ძლიერი შეიქნა, უძლეველი გახდნენ თავიანთი ძალებით, ისე რომ, როდესაც ზოგიერთებმა მათ ბატონთაგან ომი გაუმართეს მათ როგორც განდგომილებს, ისინი არა თუ იძლივდნენ, არამედ მეტი წილი მათგანი დაანარცხეს კიდევაც.

ამ ტომს თოხარელებისა ახასიათებს უბრალოება და ურთიერთობაში ავკარგიანობა, ომში ფიცხია და მედგარი, სიცოცხლის თვითკმაყოფილი, საყოფაცხოვრებო საკითხებში უდარდელი და უზრუნველი.

ლაზთა არქონტი იოანე ¹

VI, 34. Βασιλεὶ δὲ οὐ μόνον τῶν αὐτοῦ ματῆν εἰς κόσμον σφᾶς ἄγειν τὰ πρόποντα, ἀλλὰ καὶ τοὺς μηδὲν προσήκοντας κατὰ τινα δεσποτεῖαν ὑπερηγμένους τὰ μέτρα συστήλλειν διὰ σπουδῆς ἦν. Καὶ τοὺς μὲν ἄλλους δόρυ κινῶν ἠγάγκαζε τοῖς μετρίοις χρῆσθαι, τὸ μὲν αὐτόνομον ἐκ τύχης ἔχοντας σφᾶς καὶ συμμάματος, τὸ δ' ἄλλως ὑπὲρ τὰ ἐσκαμμένα πηδᾶν καὶ βασιλείας δικαίοις κατοφρυσθῆναι κινδυνώδες ἑαυτοῖς μαθόντας· τῷ δὲ γε τῆς τῶν Λαζῶν ἄρχοντι Ἰωάννη παρασήμοις βασιλικαῖς ἐμπομπέοντι, οὐ μετὸν ἔλας βασιλείας ἐκείνῳ, πέμπων πολλὰς ἐπήγελλε τῆς μὲν κατ' αὐτὸν ἐξουσίας ἀνέδην ἔχειν ὡς βούλεται, ὀνομάτων δὲ καὶ παρασήμων βασιλικῶν φείδεσθαι· μηδὲ γὰρ ἄξιον, αὐτοῦ βασιλέως ὄντος, ἐπ' αὐτοῦ βασιλείου θώκου καὶ πόλεως, καὶ τινας, ἄλλους ἐπὶ τοῦ μείζονός τε καὶ ὑπερτάτου φημίζεσθαι ἀξιώματος, ἀλλὰ μέρος ὄντα κἀκείνον ἐπισυνάπτειν τῷ ἔλα, μηδ' οὕτως βασιλικῆ τάξει

VI, 34, მეფე არა მხოლოდ იმის შესახებ ზრუნავდა, რომ მისი ხელქვეითები წესიერად მოქცეულიყვნენ, არამედ იგი ცდილობდა შეენელებინა იმ ხალხის თავგასულობაც, რომელნიც მის სამფლობელოში არ შედიოდნენ. ზოგიერთებს აიძულებდა, იარაღის საშუალებით, ზომიერ ჩარჩოებში მოთავსებულიყვნენ: ერთს ბედი გაღიმებოდა და შემთხვევით თვითთავადი გამხდარიყო, სხვა კიდევ წელს ზევით ხტოდა ² და სამეფო ძალაუფლებას ელოლიავებოდა ქედმაღლურად და თავისთვის საფრთხის შექმნით; ხოლო ლ ა ზ თ ა არ ქ ო ნ ტ ს ი ო ა ნ ე ს, თავი რომ მოჰქონდა მეფური ნიშნებით (მას კი სრულიად არ ეკუთვნოდა მეფობის მითვისება), ხშირად უგზავნიდა მითითებას – რა ძალაუფლებაც გეკუთვნის, მოიხმარე როგორც გინდოდეს, ხოლო მეფური წოდებების და ნიშნების ხმარებისაგან თავი შეიკავეო: რამეთუ სანამ მე ვარ მეფე ქალაქში (ე. ო. კონსტანტინეპოლში) და სამეფო ტახტზე ვზივარ, ვინმე სხვებს არა აქვთ

¹ ეს თავი ეხება ტრაპიზონის იმპერიის მეფეს იოანე II კომნენოსს (1280 – 1297 წ. წ.). საერთოდ, გიორგი პახიმერე, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ისტორიკოსიც, ტრაპიზონის კეისარს ეძახის „ლ ა ზ თ ა მ ე ფ ე ს“, „ლ ა ზ თ ა მ თ ა ვ ა რ ს“, ან „ლ ა ზ თ ა არ ქ ო ნ ტ ს“.

² გამოთქმა *ὑπὲρ τὰ ἐσκαμμένα πηδᾶν* სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „თხრილზე, გადახტომას“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით იხმარება იმის გამოსახატავად, რომ ვინმე „საზღვარს გადადის“, „ზომიერებას ჰკარგავს“.

τὴν σύγχυσιν ἐπιφέρειν. Τοῦτο γοῦν πολλάκις ποιῶν οὐδὲν πλεον ἦγυτεν ἢ τὸ δοχεῖν μηδὲν ἔχων ἀνύτειν.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეტმასნო მეფურ დიდებასო. ხშირად უთვლიდა კვისარი ასე, მაგრამ იმის მეტს ვერაფერს მიაღწია, რომ დაერწმუნებინა, რომ ვერაფერს მიაღწევდა.

Ἰπερηφάνει γὰρ βάρβαρος ὢν καὶ ὑπερεώρα τὴν πρόσταξιν, καὶ τινὰς προφάσεις τοῦ μὴ αὐτὸς κατάρξαι τῆς ἐπὶ τοῦτοις παραβασίας, ἀλλ' ἀπὸ πατέρων ἔχειν ἐπιλάττετο· προσέτι δὲ μηδὲ τοὺς περὶ αὐτὸν ἐὰν ἔλεγε κολοῦσιν οὕτως ἀξίωμα πατρικὸν ἐκ πλείστου καὶ ἐς αὐτὸν κατιόν, μηδ' ἀκλεεῖς καὶ αὐτοὺς εἶναι τὸ μέρος ἐκλείας στερηθέντος ἐκείνου βασιλικῆς. Μείω γὰρ φθόνον πεδίλων εἶναι κοκκοβάφων καὶ βασιλείας ὀνόματος τῶν τὰ μείζω ἔχοντι· τὰ δ' ἦν, ὡς ἔλεγε, ὑπόπτωσίς τε καὶ δουλικὴ ἐντυχία καὶ εἰρηναῖα σπονδαὶ καὶ πρὸς τὸ συγκεχωρηκὸς ἐφ' ἄπασιν.

თავყანს გცემენ, მონურად გელაპარაკებიან, სამშვიდო ხელშეკრულებას დაგადებინებენ და ყოველგვარი ურთიერთობა შეიძლება დაიჭირო.

Ἔγνων γοῦν ὁ κρατῶν διὰ ταῦτα μεταλθεῖν ἄλλως τὸν Ἰωάννην, καὶ μάλλον ὅτι καὶ νέον ἐπὶ τῆς ἀρχῆς καθίστατο. Κήδει γοῦν θέμενος εἰσποιήσασθαι· καὶ τὸ δι' ὑποψίας εἶναι τοῦ κολοῦσιν ἄλλως θέλειν τὴν ἐξουσίαν καὶ μὴ κατ' αὐτὸ τὸ τῆς βασιλείας δίκαιον ἐπ-

უფლება ამ დიდი და უზეშთაესი პატივ-ღირსებებით იწოდებოდნენ; ამიტომ როგორც ნაწილი შენ უნდა მიუერთდე მთელს და

იოანე ბარბაროსი იყო, კაცი ამაყი, და ამ ბრძანებებს არაფერად აგდებდა; საბუთად მოჰყავდა ის, რომ მე კი არ დამიწყია ამეების შემოღება, არამედ წინაპართაგან მაქვს მიღებულიო, მოიგონა. გარდა ამისა, ამბობდა ის, რომ თავისიანები ნებას არ მისცემდნენ ის პატივ-ღირსება შეებღალა, რომელიც მამეულია და მასზე გადმოსული: არც ისინი არიან არა სახელოვანნი, რომ ჩემი მეფური დიდების დაკარგვით თავისი დიდების ნაწილი დაკარგონო. დიდი შურის საგანი არ არის წითელი წაღების და მეფის სახელის ტარება იმისთვის, ვისაც უფრო მეტი აქვს.

ეს იყო, როგორც მან თქვა, რომ თვითმპყრობელი მიხვდა ამით, რომ იოანესთვის სხვანაირად უნდა მოეწყო, მიხვდა უფრო, რომ სახელმწიფოს სათავეში ახალგაზრდა დამჯდარიყო, მან განიზრახა დანათესავებოდა იოანეს და მაშინ ეჭვი აღარ ექნებოდა იმისა, თითქოს სურდათ მისი ძალაუფლების შეღბალვა, და არც

αγγέλλειν τὴν μεταμπίασιν ἀναίρειν (παῖσι γὰρ οἰκείοις μὴ ἂν ἔχειν χώραν βούλεσθαι τὸ τῶν δικαίων σφίσι καθυφαικός), πρῶτον μὲν ἐκ πλείστου μεγαίστασι καὶ σοφοῖς τὰς πρὸς ἐκείνους πρεσβείας ἐκπληροῦν ἔγνω, ὡς ἂν ἅμα μὲν τῷ τῶν προσώπων ἀξιωματικῷ ἱκανοῦς τὰ ἐς πίστιν ἔχη τοὺς λόγους δεικνύειν ὄντας, ἅμα δὲ καὶ τῇ κατ' αὐτοὺς ἐπιστήμῃ τῶν λόγων πείθειν οἷς λέγει καὶ πᾶσαν χειρίστην ἐκκρούειν ὑπόνοιαν.

Διὰ ταῦτα καὶ ὁ μέγας λογοθέτης ὁ Ἀκροπολίτης ἔτι ζῶν ἀπεστέλλετο καὶ ὁ τῆς μεγάλης ἐκκλησίας μέγας οἰκονόμος ὁ Ἐπιφύλιος, μεσολαβήσοντες μὲν καὶ τὰ τοῦ κήδους (ἦν γὰρ καὶ τρίτη θυγάτηρ τῷ βασιλεῖ Ἡύδοκίᾳ, ἦν δὴ συναρμόζειν εἰς γάμους τῷ Ἰωάννῃ ἐβούλετο), πείσοντες δὲ αὐτὸν δὴ καὶ τοὺς περὶ αὐτόν, ἐκείνους μὲν ἐφείναι τῷ νέῳ τὴν πρὸς βασιλέα ἀφίξιν, αὐτόν δὲ πιστὰς ἔχοντα τὰς ἐλπιδὰς ὡς ἐπὶ καλοῖς προσκαλούμενον ἀπαντᾶν μετὰ θάρρους.

ის, რომ მეფის უფლებასთან ერთად ეუწყებინათ სამოსელის გამოცვლაც (რამეთუ საკუთარ შვილებს არავინ ისურვებს წართვას მათი უფლებები). ამიტომ მან ჯერ დაავალა უწარჩინებულეს დიდებულებსა და ჭკვიან ადამიანებს მასთან (*ე. ი. იოანესთან*) მოციქულობა: იმათ თავიანთი პირადი ღირსებებით და თავიანთი სიტყვებით ნდობა უნდა ჰქონოდათ, ამავე დროს სიტყვათა მომარჯვებით დაერწმუნებინათ და ყოველგვარი ცუდი ეჭვები გაექარწყლებინათ.

ამ მიზნით გაიგზავნა დიდი ლოგოთეტი [*გიორგი*] აკროპოლიტე, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ¹, და [*წმ. სოფიოს*] დიდი იკონომოსი ქსიფილინოსი, რომელნიც შუამავლებად უნდა ყოფილიყვნენ საქორწინო საქმისა (კეისარს მესამე ქალიშვილი ჰყავდა, ევდოკია, რომელიც უნდოდა იოანესთვის მიეთხოვებინა). იმათ უნდა დაერწმუნებინათ იოანე და მისიანებიც, რათა ამ უკანასკნელთ გამოეშვათ ჭაბუკი კეისართან, ხოლო თვითონ იოანეს სარწმუნო იმედები ჰქონო-

¹ პეტრე პოლინი (XVII საუკუნის კომენტატორი) ამ ადგილის განმარტებაში წერს: «ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ პახიმერემ [თავისი „ისტორია“] დასწერა ანდრონიკეს დროს [ანდრონიკე II მეფობდა 1282 – 1328 წლებში], მიხეილ VIII კეისრის სიკვდილის დიდი ხნის შემდეგ. რამეთუ გიორგი აკროპოლიტე გარდაიცვალა ციხეში, სადაც იგი ჩააგდო ანდრონიკემ თავისი მეფობის დასაწყისში...» (იხ. CB I: Petri Possini... Notae, გვ. 686). პოლინის ეს ვარაუდი არ მართლდება: აკროპოლიტე გარდაიცვალა 1282 წელს, მიხეილ VIII-ის გარდაცვალების რამდენიმე თვით ადრე, იხ. Georgius Acropolita, ed. A. Heisenberg, II, p. XIII.

და, რომ კარგი რამისთვის ეძახდნენ კონსტანტინეპოლში და ლაღად შეხვედროდა ამ სიკეთეს.

Ὁ μὲν οὖν βασιλεὺς ταῦτα, τοὺς δὲ μήτ' ἐκείνους ἐφίεναι τὸ παράπαν μήτ' αὐτὸν προσιμαίνειν ἴκλειν· πολλοὺς γὰρ πρότερον χρόνοις τοὺς ἐκ γειτόνων πρὸς τοὺς ἄρχοντας αὐτῶν ἐγκαμίξασθαι καὶ καθ' αὐτοὺς εἶναι, τὰ βασιλέως ἐν ἄστροις μαυθάνοντας, καὶ γε πρὸ τῶν ἀπ' αὐτῆς καλῶν καὶ μεγίστων τὰ κατὰ σφᾶς αἰρουμένους μέτρια.

ვებში მოზინადრეთ და კონსტანტინეპოლის სასახლის სიკეთისა და დიდებულობის წინაშე უპირატესობას ანიჭებდნენ თავიანთ ზომიერ-უბრალოებას.

Ὡς γοῦν ποικίλαις συμβουλίαις οἱ πρέσβεις οὐκ ἔπειθον λέγοντες πάντα δεύτερα τιθεμένους τῆς σφῶν ψελήσεως, πρὸς βασιλέα ὑπέστρεψον μηδὲν τὸ παράπαν ἀνύσαντες. Οὐ μὲν δὲ καὶ ἐς τέλος πειρᾶν διαφήκεν ὁ βασιλεὺς, ἀλλὰ προσαποστέλλων συγχάκις τὸ μὲν ἠπειλεῖ τὸ δὲ καὶ τοῖς ἀφ' ἑαυτοῦ γενησομένοις ἐκείνους καλοῖς ἐδωλέαζεν, ἂν μόνον πεισθίνετες ἴκωιεν.

იტყუებდა თავის მხრით სიკეთეთა დაპირებებით, ოღონდ დაჰყოლოდნენ და მოსულიყვნენ.

Τέλος στέλλει τὸν λογιθέτην τῶν οἰκειακῶν Ἰατρόπουλον, σὺν

აი, ასე ფიქრობდა კეისარი, ხოლო ისინი სრულიადაც არ აპირებდნენ მის გაშვებას, არც თვითონ იოანეს გაუვლია გულში წასვლა: რამეთუ იმთავითვე ასე იყო, რომ მათ მთავრებს ცოლები მოჰყავდათ მეზობლების მხარეებიდან და თავის ადგილზე რჩებოდნენ, ხოლო კეისრის ოჯახს უყურებდნენ როგორც ვარსკვლავ-ებში.

ბევრნაირი თათბირი გამართეს ელჩებმა, მაგრამ ვერ დაიყოლიეს ისინი (ე. ი. ლაზები), რადგან ესენი მეორეხარისხოვნად თვლიდნენ ყველაფერს თავიანთ სურვილთან შედარებით, და დაბრუნდნენ კეისართან ისე, რომ სრულიად ვერაფერს მიადწიეს, ხოლო კეისარმა საბოლოოდ არ აიღო ხელი თავის ცდაზე; დამატებით და ხშირად აგზავნიდა ელჩებს: ხან ემუქრებოდა, ხან

ბოლოს, გზავნის სასახლის ლოგოთეტს¹ იატროპულოსს, მას-

¹ ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, თუ რა ფუნქციები ჰქონდა ზედმიწევნით იმ თანამდებობის პირს, რომელსაც ერქვა λογιθέτης τῶν οἰκειακῶν. რამდენადაც ცნობილია, ὅ ἐπί τῶν οἰκειακῶν -ს ებარა საუფლისწულო ქონების გამგებლობა (იხ. Н. С к а б л а н о в и ч, Византийское государство и церковь в XI веке. СПб 1884, გვ. 177). საფიქრებელია, რომ „სამეფო კარის ლოგოთეტის“ იმგვარივე თანამდებობის პირი იყო. მართლაც, ფრ. დ ე ლ გ ე რ ი თავის სპეციალურ მონოგრაფიაში Beiträge zur Geschichte der byzantinischen Finanz-

αὐτῶν δὲ καὶ τῆς ἐκκλησίας πρεσβύτερον, τὸν μὲν κατὰ τιμὴν τοῦ προσκαλούμενου καὶ τῶν ἀπὸ τοῦ βασιλέως καλῶν ἀγγελίαν, τὸν δὲ κατὰ τινα πληροφορίαν καὶ πίστιν τῶν λεγομένων, ὡς ἐπὶ τούτοις καὶ τῆς ἐκκλησίας πρεσβευούσης, μηδὲν εἰδύας κατὰ τὸ εἶδος, ἔπειθε λέγων, ἔφ' οἷς ἂν καὶ συνομολογήῃ ψεύδεσθαι, ὥστε παρέντας τὰς ὑποψίας αὐτοῖς τοῖς πράγμασιν κρίνειν εἰ παιδαῖμα ποιεῖν ἐκείνον καὶ κακὸν βούλοιο.

თან ერთად ეკლესიის უზუცესს: პირველს გზავნის მოსაწვევი იოანესადმი პატივის აღსანიშნავად და კეისრის წყალობათა საუწყებლად, ხოლო მეორეს შეთვლილი სიტყვების დასამოწმებლად და ამას გარდა ეკლესიის მოციქულობის საჩვენებლად, რადგან ეკლესია არ სჯის პირმოთნეობით (ასე ამბობდა და ირწმუნებოდა კეისარი), არც თანხმდება მოატყუოს, ასე რომ თავი უნდა გაანებონ ეჭვებს და საქმეების მიხედვით განსაჯონ დასაჯერე-

ბელია თუ არა, რომ იგი (იოანე) შვილად უნდოდეს და ამავე დროს მისთვის ცუდი უნდოდეს.

Παῦτα λέγοντες ἔπειθον, καὶ ἄρκους ταμόντες ἢ μὴν καὶ γαμψρὸν γενέσθαι τοῦ βασιλέως τὸν Ἰωάννην καὶ μετὰ πλείστων τῶν ἀγαθῶν ἐπανήξειν, καλῶς καὶ τῶν περὶ ἐκείνον δεχθησομένων, μακρὰς νηδὺς ἐπιβάντες ἐς πόλιν κατήγοντο.

ასეც ილაპარაკეს ელჩებმა და დაარწმუნეს, ფიციც დასდეს, რომ კეისრის სიმეც გახდებოდა იოანე და მრავალი სიკეთით დასაჩუქრებული დაბრუნდებოდა უკან, მისი ამაღაც ბრწყინვალედ იქნებოდა მიღებული; ამის შემდეგ ჩასხდნენ გრძელ ხომალდში და ქალაქში (ე. ი. კონსტანტინეპოლში) გაემგზავრნენ.

verwaltung, besonders des 10 und 11 Jahrhunderts (Teubner 1927, გვ. 44)

ამბობს: X – XI საუკუნეებში ὁ ἐπί τῶν οἰκειακῶν, რომელიც ქრისობულებში ხშირად იხსენიება, სამეფო მამულების გამგეა, თუმცა დრო-და-დრო ის თავის ფუნქციებს იფართოებს. უფრო გვიან ხანებში მისი ტიტულია λογιმῆτης τῶν οἰκειακῶν. და კიდევაც ასახელებს დელგერი პახიმერეს „ისტორიის“ ამ ადგილს, რომ 1282 წელს დემეტრიოს იატროპულოსი, რომელიც იყო λογιმῆτης τῶν οἰκειακῶν, იგზავნება მოციქულობის დავალებით ტრაპიზონის მთავრობასთან, ხოლო 1273 წელს დიდ ლოგოთეტ გიორგი აკროპოლიტესთან ერთად მოსამართლის ფუნქციებს ასრულებდა. ამ თანამდებობის სახელწოდებას ლათინურად თარგმნიან Logotheta domesticorum, ხოლო XIX საუკუნის რუსი მთარგმნელები – логотет домашцев (არც ერთი და არც მეორე არ შეეფერება ამ ტერმინის ნამდვილ მნიშვნელობას).

Ἐπεὶ δὲ ὁ βασιλεὺς μὲν ἔτυχεν ἐπὶ τοῦ παρόντος ἀπὸν, διατρέψων ἐν Λοπαδίῳ (ἐκεῖ γὰρ τὰ κατὰ Σάγγαριν διεληθὼν καὶ γ' ὡς ἦν κατασφαλισάμενος ἔστησε τὴν πορείαν, ὡς ἐκείθεν κατοχυρώσων καὶ τὰς κατὰ τὴν Ἀχυράουσι ἀκρας), ἐκεῖνος δὲ τῶν ὀρίων τῆς Ῥωμαίων ἐπιβαίνων, βασιλῆν καὶ οἱ πρέσβεις εἰσάγουσι τοῖς ἀμφὶ τὸν Ἰωάννην ἀποθέσθαι τοῦτον τὰ ἐρουθρά καὶ πεδίλους μέλασιν ὑποδήσασθαι, ὡς δὴ παντὸς εὐθύς παρὰ βασιλείας γενησομένου τοῦ κατ' αὐτὸν ἀξιωματοῦ. Ἦν γὰρ συγκεκριμένον σφίσιν καὶ τὰ τῆς δεσποτείας ἐκείνων ἀμφιβαλλόμενος σύμβολα, ἀμὰ τῆ παιδα γενέσθαι, περιφανῶς ἐσαυθις κλειζέσθαι. Τὸ δ' ἐπ' ἐρουθροῖς μεταλαμβάνειν τὰ ἐκ πορφύρας δίχροα μὴ καὶ ὅλως ἀπρεπὲς ἦ, πρὸς τῆ καὶ ἄλλως δυσχερὲς φανῆναι τῷ βασιλεῖ. Ταῦτα λέξαντές τε καὶ πράξαντες τῆ πόλει προσίσχουσι, καὶ κατὰ τὸν λιμένα τὸ Κέραι ἀποβάντες νηδὸς ἔναγχοῦνται πολυτελῶς ἐν τισι τοῖς κατὰ τὴν πόλιν οἰκίμασι.

Καὶ γ' ἐφ' ἡμέραις τὸν ἀπὸ τῆς θαλάσσης ἀποσκευασάμενοι ἰθόρυβον, ἐντολὰς δεξάμενοι βασιλείας, πρὸς τὸ Λοπάδιον γίνονται. Καὶ δὴ τὰ εἰκότα φιλοφρονηθέντες, ἀμ' αὐτῷ βασιλεῖ πλήρῃ χρησάμενοι, τὴν πόλιν καταλαμβάνουσιν.

რადგან ისე მოხდა რომ კეისარი ქალაქიდან გასული იყო და ლოპადიონში იმყოფებოდა (მან მოიარა სანგარის გასწვრივ, გაამგრა აქაურობა და გზად აქ ლოპადიონში გაჩერდა, რათა იქაც გაემგვრებინა მალლობები. ახირათა გასწვრივ), ხოლო იგი (*ე. ი. იოანე*) ამასობაში რომელთა საზღვრებში შევიდა. ელჩებმა რჩევა მისცეს იოანეს მხლებლებს: გაიხადოს წითელი წაღები და შავები ჩაცვასო, რათა მეფის წინაშე წარდგეს პირდაპირ ყოველგვარი მომავალი ღირსების მისაღებადო. მათ შეთანხმებული ჰქონდათ, რომ ის დესპოტის ნიშნებით იქნებოდა მოსილი, ამასთან ერთად კეისრის შვილი გახდებოდა და სახელმოხვეჭილი შეიქნებოდა. მთლადაც არ არის შეუფერებელი წითელის შეცვლა ორფერი ფარჩით(?), სხვანაირად არც არის მოსახერხებელი კეისრის წინაშე გამოჩნდეთ. ეს თქვეს და შეასრულეს კიდევ და ქალაქს (*ე. ი. კონსტანტინეპოლს*) მიადგნენ, რქის ნავსადგურზე გადმოვიდნენ ხომალდიდან და საუცხოვოდ დააბინავეს ქალაქის ერთ გარეუბანში.

რამდენიმე დღის შემდეგ ზღვის რწევისაგან რომ მოსულიერდნენ, კეისრის ბრძანებით ლოპადიონში გაემგზავრნენ. შესაფერისად რომ სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი, თვით კეისართან ერთად ჩასხდნენ ხო-

Ἡπειγον γὰρ αὐτὸν τοῦτο μὲν οἱ γάμοι τῆς θυγατρὸς, τοῦτο δὲ καὶ ἐκ δύσεως Τοχάροι ἀγγεληθέντες ἐξέρχασθαι, οὓς αὐτὸς βασιλεύς, Νογᾶν ἀξιώσας κατὰ τοῦ σεβαστοκράτορος Ἰωάννου, ἐκείνου πέμψαντος ἐξεδέχετο. Τῷ τέως γοῦν μηγὸς Γαμηλιῶνος λήγοντος ἐπιστὰς τοὺς γάμους ἐτέλει τῇ θυγατρὶ. Ὅλον δ' Ἐλαφρηβωλιῶνα διαγαγὼν ἐξήρτυε δυνάμεις καὶ πρὸς ἕξοδον ἠτοιμάζετο.

და მთელი ელაფებოლიონი სამხედრო ძალების საქმეს აგვარებდა და სალაშქროდ ემზადებოდა.

VI, 35. Τῷ γὰρ σεβαστοκράτορι Ἰωάννην οὐκ ἦν ἡρεμεῖν, ἀλλὰ καὶ αὐτὸς σπονδὰς ἐκείνας συγγέας ἐπεχειρεῖ τοῖς μὴ προσήκουσιν. Ἄλλως δ' ἐπισχεῖν αὐτὸν τῶν βουλευμάτων βασιλεύς οὐκ ἔχων (τὸ γὰρ θερμουργὸν ἐκείνου καὶ αὐθιὰδες μέχρι καὶ ἐς ἀποκήρυξιν ἐκείνον ὡς ἀποστάτην ἐτίθει) εἰ μὴ γε Τοχάρους ἐπαγαγὼν πᾶσαν μὲν τὴν ἐκείνου λήϊσεται, αὐτὸν δ' ἐν στενῷ καταστήσει πραγμάτων τε καὶ ἐλπίδων, εἰ τέως διαδράσει τὸν κίνδυνον, ταῦτ' ἐπὶ νοῦν στρέψων Τοχάρους ἐπῆγεν. Εὐκαιρον δ' εἶχε καὶ τὸν ἐφεστῶτα χειμῶνα· χειμῶνος γὰρ καὶ σύνηθες ἐκείνοις στρατεύειν ἔν καὶ προκαταλαβείν ἠπειγέτο, ὡς ἕξω πόλεως συμβαλεῖν Τοχάροις CB I, 519, 12 — 525, 4).

სწვევით ზამთარში ლაშქრობა, ოღონდ კეისარს უნდა დაესწრო ზამთრის დადგომისათვის, რათა თოხარელებს ქალაქის გარეთ შეერთებოდა.

მაღდში და ქალაქში დაბრუნდნენ. კეისარს აჩქარებდა ჯერ ერთი ქალიშვილის ქორწილის საქმე, მეორე კიდეც ის, რომ დასავლეთიდან თოხარელები შემოდიანო აცნობეს, რომელნიც კეისარმა ნოლას სთხოვა გამომიგზავნე სევასტოკრატორ იოანეს წინააღმდეგო; იმანაც გამოგზავნა და კეისარს ისინი უნდა მიეღო. და, აი, გამელიონის თვის ბოლოს მან ქორწილიც გადაიხადა

VI, 35. იოანე სევასტოკრატორი ვერ ისვენებდა; მან კვლავ დაარღვია დადებული ხელშეკრულება და ისეთ ადგილებს ხელჰყოფდა, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა. მეფემ უკვე აღარ იცოდა როგორ შეეკავებინა იგი მისი გეგმებისაგან (იოანე სევასტოკრატორის კადნიერება და თვითნებობა აიძულებდა მეფეს ჩამოეგდო იგი სამფლობელოდან როგორც განდგომილი). ამიტომ მოიწვია კეისარმა თოხარელები და მთელ მის ქვეყანას დაარბევდა, ხოლო მას (იოანეს) საქმეებისა და იმედების ვიწრო ჩარჩოებში ჩააყენებდა; თუ რამენაირად ხიფათს აიცილენდა, თოხარელების მოყვანაც ამიტომ განიზრახა. ამისათვის ხელსაყრელ დროდ მომავალი ზამთარი იქნა მიჩნეული, რადგან თოხარელებს

*
* *
*

გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ VI, 34 ეხება უაღრესად საყურადღებო საკითხს, სახელდობრ იმას, თუ რა სახისა და რა ეთნიკური ხასიათისა იყო ტრაპიზონის იმპერია, რომელიც 1204 წელს დაარსდა საქართველოს მთავრობის ჩარევის შედეგად.

გიორგი პახიმერე ტრაპიზონის იმპერატორს ეძახის „ლაზს“ და ასაბუთებს კიდევ, თუ რატომ ეძახის ასე. და გადმოგვცემს საქმის ისეთ ვითარებას, რომელიც სხვა წყაროებითაც დასტურდება. სახელდობრ:

1) ტრაპიზონის იმპერიის მმართველი თავის თავს ეძახის „მეფეს“ (βασιλεύς), რადგან კონსტანტინეპოლის „მეფე“ უკვე აღარ არსებობს 1204 წლიდან, როდესაც ლათინებმა მოსპვეს ბიზანტიის იმპერია.

2) ერთ-ერთი კუთხე, სადაც გადარჩა „ბიზანტიური“ ხელისულება, „ეს არის ნიკეის სამეფო, რომლის მმართველი თავის თავს თვლის ბიზანტიის კეისრად.

3) როდესაც 1261 წელს ნიკეის მეფის წყალობით ლათინები განდევნეს კონსტანტინეპოლიდან, კონსტანტინეპოლში მეფედ დაჯდა ნიკეის სამეფოს უკანასკნელი მმართველი მიხეილ VIII პალეოლოგოსი და ის თვლის თავის თავს ბიზანტიის ნამდვილ მეფედ, ანუ კეისრად.

4) ტრაპიზონის იმპერია, რომელიც კომნენოსების მეთაურობით დაარსდა 1204 წელს, კვლავაც განაგრძობს თავის არსებობას. ნიკეის სამეფოს მეთაურები, რასაკვირველია, არ სცნობდნენ ტრაპიზონელთა უფლებებს და, როგორც გიორგი აკროპოლიტე გადმოგვცემს, ნიკეელები, სადაც კი შეეძლოთ, ამჟღავნებდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას ტრაპიზონელებთან. «სძლია აგრეთვე მეფე თეოდორემ (ე. ი. თეოდორე I ლასკარისმა) დავითს (ტრაპიზონელი მბრძანებლის ძმას)» და ჩამოართვა მის მიერ დაკავებული ადგილები (იხ. ზემოთ, გიორგი აკროპოლიტე, გვ. 45).

5) აუცილებლად ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ტრაპიზონელებს, სადაც კი შესაძლებელია, შველიან ლათინები, რომლებიც ნიკეელების მოსისხლე მტრები არიან. ხომ სწერს Leo Allatius-ი, რომ «დავითი ...ლათინთა დამხმარე ჯარებს ეყრდნობოდა» (იხ. ზემოთ, გვ. 46 შენიშვნა).

6) ამიტომ გასაგები, რომ ბიზანტიის იმპერიის აღმდგენელი (1261 წელს) მიხეილ VIII პალეოლოგოსი მარტოოდენ კონსტანტინეპოლელ მმართველს თვლის მეფედ და სხვა არავის აქვს უფლება „მეფის“ სახელი ატაროს.

ყველაფერი ეს ნათელჰყოფს მიხეილ VII პალეოლოგოსის ცდას დაიმორჩილოს ტრაპიზონელი მეფე იოანე II კომნენოსი. გზავნის მას-

თან ელჩებს წინადადებით უარი თქვას «მეფურ ნიშნებზე, რომლებიც მას სრულიად არ ეკუთვნოდა» (იხ. ზემოთ. გვ. 67). და ამით რომ ვერაფერი გააწყო, მიხვდა, «რომ იოანესთვის სხვანაირად უნდა მოეველო» (ზემოთ, გვ. 68) და გადაწყვიტა მასთან დანათესავება: სურს მიათხოვოს მას თავისი და ევდოკია.

გიორგი პახიმერეს ცნობით ელჩები რამდენჯერმე გაიგზავნენ ტრაპიზონელ მეფესთან. იოანე II ტრაპიზონელისა და სეფეწულ ევდოკიას ქორწილი მოხდა 1282 წლის სექტემბერში; ამის წინ, ყოველ შემთხვევაში, ორჯერ გაიგზავნენ მოციქულები: პირველი ელჩები (დიდი ლოგოთეტი გიორგი აკროპოლიტე და აია სოფიის დიდი იკონომოსი ქსიფილინოსი) უნდა იყვნენ გაგზავნილი იოანეს გამეფების უმაღლვე (1280), ან შემდეგ წელს, ხოლო მეორე ელჩები, სამეფო კარის ლოგოთეტი იატროპულოსი და აია სოფიის ხუცესი – მომდევნო წელსვე (იხ. Fr. D ö l - g e r, Corpus d. griechischen Urkunden. 3 Teil (1932), გვ. 73 და 74).

ეს ეპიზოდი ტრაპიზონის იმპერიის ისტორიიდან, ტრაპიზონის მეფის იოანე II კომნენოსისა და კონსტანტინეპოლელი კეისრის მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროს წარმოჩენილი ურთიერთობა ამ ორ სამეფოს შორის, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია. აკადემიკოსმა ი. ვ. ჯავახიშვილმა, რომელმაც გარკვეული დებულება წამოაყენა ტრაპიზონის იმპერიის ეთნიკური სახის შესახებ, განიხილა ეს ეპიზოდი და თქვა: „ნათლად ჩანს, რომ საქართველო XIII ს. მეორე ნახევრითგან მოყოლებული ტრაპიზონის საკეისროს, რომელიც მისი წყალობით იყო შექმნილი და რომლის მოსახლეობაც უმთავრესად ქართველთა მოძმე ტომის, ლაზების ანუ ჭანებისაგან შესდგებოდა და ამიტომ მის ბედიღბალს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ფიხილად ადევნებდა თვალყურს და იქ თავისი წინანდელი უპირატესი უფლების დაცვას ცდილობდა“¹.

თვით ეპიზოდი ი. ვ. ჯავახიშვილს დაწვრილებით აქვს განხილული. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთლიანად მოვიყვანოთ ამ ეპიზოდის ჯავახიშვილისეული გადმოცემა.

«ბიზანტიის კეისარმა და მთავრობამ სცადეს ტრაპიზონის სამეფო ჯერ თავისი უშუალო გავლენის ქვეშ მოექციათ, რომ ამით იმპერიის ოდინდელ მთლიანობის აღდგენა დაეწყოთ. გულის მოსაგებად კონსტანტინეპოლის პატრიარქმა 1260 წ. ტრაპიზონის მიტროპოლიტს თავისი სამწყსოს სამღვდელთა ხელდასხმის უფლებაც-კი დაუთმო. ბიზანტიას-

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III (1966 წლის გამოც.), გვ. 208.

Ταῦτ' εἰς νοῦν βαλλομένῳ, τὸ μὲν σκότος εὐθύς ἐλύετο· λαμπρὰ δ' αἰθήρα μετέβαλλε, τῆς ἀκτίως προσβαλλούσης τῆ ἕλη.

ბულ მდგომარეობაში რჩებიან და უღირსნიც სააშკაროოზე გა-

ტყვე-ქალი რომ ასე ამზობდა, იბერიის წინამძღოლი თანდათან ლმობიერი ხდებოდა ამ სიტყვების გავლენით; ხოლო მაინც მერყეობდა, ეჭვით უყურებდა სიახლეს და ვერ ბედავდა მშობლიური სარწმუნოება შეეცვალა.

და, აი, ერთხელ [ქსანთოპულოსი] გავიდა თავისი ამალით სანადიროდ. რაღაც სქელი ნისლი ჩამოწვა მთებიდან და დიდი სიბნელე ჩამოვარდა; უღრანი ტყეც აბრკოლებდა; დღეს ღამედ აქცევდა. შეუძლებელი იყო ნადირობა, გზაც აღარ ჩანდა სასიარულოდ. მხლებლებს შეეშინდათ და თითოეული სადაც მოხვდა, დაიქსაქსნენ. აგრეთვე მეფეც მარტოდ-მარტო აღმოჩნდა და მშობლიურ ღმერთებს მოუწოდებდა დასახმარებლად.

რადგან [ამ ლოცვა-ვედრებიდან] არაფერი გამოვიდა, როგორც ხდება ხოლმე, როდესაც მოულოდნელად უბედურება დაატყდებათ, მეფეს გაახსენდა იმ ტყვე-ქალის ღმერთი; და გონებაში გაივლო: ამიერიდან მას ვცემ თავვანს, თუ ახლანდელ უბედურებას ამაცდენსო.

ეს რომ გაიტარა გონებაში, წყვილიანი მაშინვე გაქრა; მბრწყინავმა ცამ გამოანათა და ტყეს სტყორცნა შუქი.

Καὶ χαίρων ἐπὶ τὸν οἶκον ἔλθῶν, τῇ γυναικὶ τὸ συμβάν ἠδέως κατέλεγε. Καὶ αὐτίκα τὸ γύναιον μετεστέλλετο· καὶ τὴν τρόπον φησικαίειν φερμότερον ἦται διδάσκεισθαι. Τῆς δ' εἰσηγουμένης, ὅσα γε ἦν εἰκὸς λέγειν, τοὺς ὑπ' αὐτὸν ἀθροίσας, ἐπὶ κοινῷ τῷ πλήθει δημηγορῶν, τὰς διὰ τῆς αἰχμαλώτου γεγενημένης τῷ ἐκείνου οἴκῳ εὐεργεσίας ἐξηγγελλε. Μήπω δὲ μνηθεὶς τὰ τοῦ θόγγματος, τοῖς ὑπηκόοις μετεδίδου τὰ τῆς βουλής· καὶ ἀροῦν τὸν Χριστὸν ὁμοῦ σέβειν φιλοτίμως ἡροῦντο.

ბის წესებს, მაგრამ ქვეშევრდომებს მოახსენა თავისი სურვილი; და იმათაც მყის აირჩიეს დიდის სწრაფვით ქრისტეს თაყვანისცემა.

Καὶ τάχος ὅσον τῆς γυναικὸς τὸ σχῆμα διαγραψάσης, ἐκκλησίαν ἀνίστων περιφανῆ. Κἀκεῖνος μὲν τοὺς ἀνδρας, ἡ δὲ γυνὴ σὺν τῇ αἰχμαλώτῳ τὰς γυναίκας σπουδαίως ἐπὶ τὴν φησικαίαν ἐνήγον.

Περικύκλω δὲ καὶ περιβόλον ἔβαλον. Ἐπεὶ δὲ καὶ τοὺς κίονας σχοινοῖς δὴ τισιν ἀνιμῶντας ταῖς βάσεσιν ἦδραζον, ὁ μὲν πρῶτος καὶ δεύτερος κίων εὐπετῶς κατὰ χώραν ἐγένετο· τῷ δὲ τρίτῳ δυσχερῆς ἦν καὶ ἐργώδης ἡ στάσις. Οὕτε γὰρ ἐπήρχει τέχνη τῷ μηχανήματι, οὔτε μὴν τῇ βία τῶν ἑλκόντων ὑπήκοος ἦν, καὶ ταῦτα πολλῶν ἐφελκομένων τοῖς μηχανήμασιν.

როდესაც მეფე გახარებული შინ დაბრუნდა, სიამოვნებით უამბო ცოლს ყველაფერი, რაც გადახდა. და მაშინვე ის დედა-კაცი დაიბარა და დაბეჯითებით მოსთხოვა ესწავლებინა, თურა წესით იყო საჭირო ღვთის თაყვანისცემა. როდესაც [იძქალმა] განმარტა, თურა იყო საჭირო რომ ეთქვათ, მეფემ შეკრიბა თავისი ქვეშევრდომები, სიტყვით მიმართა ხალხს კრებაზე და განუცხადა, თურა კეთილი საქმეები უყო ტყვე-ქალმა მის ოჯახს. თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო ზიარებული ახალი სარწმუნოე-

და მაშინვე, როგორც კი ტყვე-ქალმა გეგმა დაუხაზა, ბრწყინვალე ეკლესია ააგეს და მეფემ ვაჟკაცები, ხოლო მისმა მეუღლემ ტყვე-ქალთან ერთად დედაკაცები დიდის მონდომებით [ახალ] სარწმუნოებას აზიარეს.

გარშემო გალავანიც შემოარტყეს. ხოლო როდესაც სვეტები რაღაც თოკებით ზევით ასწიეს და საფუძვლებზე დაუშვეს, ერთი სვეტი და მეორე სვეტი მაშინვე დაეშვნენ თავიანთ ფუძეებზე; ხოლო მესამის დაშვება თავის ადგილას ძნელი და მძიმე შეიქმნა. არც მანქანური საშუალება გამოდგა, ვერც მთრეველთა ძალას დაემორჩილა; ბევრნი იყვნენ, რომელნიც მანქანებით ათრევდნენ [ამ სვეტს].

Ὡς δ' ἐπεγένετο νύξ, οἱ μὲν ἄλλοι πάντες οἴκαδε ἦσαν· μόνη δὲ ἡ αἰχμαλώτος τῷ χώρῳ παρέμενε, εὐχαῖς ἰλεουμένη τὸ θεῖον, ὡς ἂν εὐχερῆς ἢ στασίς τῷ κίονι γένοιτο. Ἄχρι γὰρ τοῦ μέσου ὀρθωθεὶς, ἐγκάρσιος ἔμενε, τῆς ἄλλης ἀρχῆς προσερεισθείσης τῆς καὶ πάμπαν ἀκινήτου μενούσης. Τοῦτο δὲ προυχῶρει, ἔν' ἡ τοῖς Ἰβηρσι τὰ πρότερα βέβαια καὶ τὰ περὶ τὸ θεῖον μᾶλλον ἐν ἀσφαλεῖ καταστασίῃ. Περὶ γὰρ τὴν ἕω εἰς τὴν ἐκκλησίαν ἰόντες, θαυμασίον οἶον καὶ ὀνειρῶ προσεοικὸς ἄντικρυς καθέωρων. Ὁ γὰρ πρὶν ἀκίνητος κίων ὀρθὸς ἦν μικρῷ διαστήματι, ὑπεράνω τῆς ἰδίας βάσεως ἀνωρούμενος. Ἐν ἐκκλησίῃ δὲ πάντων γεγενημένων, καὶ τὸν Χριστὸν μόνον ἀληθινὸν ὁμολογούντων Θεόν, ἐπ' ὄψει πάντων ἡρέμα διολισθήσας αὐτόματος, καὶ κρείττον τέχνης προσηρμόσθη τῇ βάσει. Ἐπειτα δὲ καὶ οἱ λοιποὶ κίονες εὐχερῶς ἐστηρίζοντο.

ვისთავად ჩამოცოცდა და უფრო უკეთ, ვიდრე მანქანებით, თავის საფუძველს მიერთო. შემდეგ დანარჩენი სვეტებიც ადვილად მოერგო.

Οἱ δ' Ἰβηρες ἐντείνθη σπουδῇ τῇ πάσῃ τὸ ἔργον ἐτέλουν. Ἰποτιθείσης δὲ τῆς αἰχμαλώτου πρέσβεις πέμποντες Κωνσταντῖνῳ, σπονδὰς ἤτουν, καὶ συμμαχεῖν ἤροῦντο Ῥωμαίοις. Ἀνθ' ὧν ἱερέας καὶ Θεοῦ λειτουργοὺς τῷ ἔθνῃ ἐδέοντο καθιστᾶν. Ἦν δὲ πρέσβειων ἐπὶ κοινὸν τὰ παρ'

რომ დადამდა და სხვები ყველანი სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ ის ტყვე-ქალი ადგილზევე დარჩა და ლოცვით ევედრებოდა ღვთაებას, რათა გაეადვილებინა სვეტის დადგმა თავის ადგილას. შუამდე რომ გაიმართა, მოღრეცილად დარჩა. ხოლო როდესაც მეორე ბოლო მიუსწორეს, პირველიც მთლად უძრავად დარჩა. ეს რომ მოგვარდა [ამან შეუწმო ხელი იმას], რომ იბერთათვის წინათ მომხდარი უეჭველი გამხდარიყო და ღმერთის რწმენაც უფრო მტკიცედ დადგენილიყო. რომ გათენდა და ეკლესიაში მოვიდნენ, დაინახეს რაღაც საკვირველი და პირდაპირ სიზმრის მსგავსი რამ: წინათ რომ უძრავად იყო სვეტი, [ახლა] პირდაპირ იყო, ოდნავ დაშორებული, ზედ საკუთარ საფუძველზე დაკიდებული. ყველანი განცვიფრებამ მოიცვა, და ერთად-ერთ ჭეშმარიტ ღმერთად მხოლოდ ქრისტე აღიარეს, ყველას დასანახავად ნელ-ნელა თავისთავად ჩამოცოცდა და უფრო უკეთ, ვიდრე მანქანებით, თავის საფუძველს მიერთო.

ხოლო იბერებმა შემდეგ მთელი თავისი სწრაფვით საქმე ბოლომდე მიიყვანეს. შემდეგ ტყვე-ქალის რჩევით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინესთან და სთხოვდნენ ზავს და რომაელებთან მოკავშირეობას ირჩევდნენ. სამაგიეროდ სთხოვდნენ დაედგინა [იბერთა] ტომისთვის მღვდელნი

ἐκείνοις γενόμενα διελθόντων, καὶ ὡς ἔτοιμοι εἶεν πανδημίῃ σέβειν Χριστὸν τὸ πᾶν ἔθνος, ὑπερφυσῶς ἦδετο βασιλεύς· καὶ τάχος ἦσαν ὀπίσω ἀνέπεμπε τοὺς πρέσβεις τὰ κατὰ γνώμην ἐκείνοις ἅπαντα διαπεπραγμένους.

რაც შეიძლებოდა მალე უკანვე გაგზავნა ელჩები; შეასრულა ყველაფერი, რასაც ისინი მოითხოვდნენ.

Καὶ τοῦτον τὸν τρόπον Ἰβήρες τὸ κατὰ Χριστὸν ἠσπάσαντο κήρυγμα· καὶ εἰσέτι νῦν προϊόντι χρόνῳ ἐπιμελῶς ἐξέχονται τοῦ σεβασματός (Migne, PG 146, 125—129).

და ღვთისმსახურნი. როდესაც ელჩებმა საჯარო კრებაზე უამბეს ყველაფერი, რაც მათთან მოხდა, და რომ მთელი ხალხი მზად იყო საყოველთაოდ ეცნოთ ქრისტეს თაყვანისცემა, მეფე ძალიან ნასიამოვნები დარჩა; და

აი, ამგვარად მოხდა, რომ იბერებმა მიიღეს ქრისტეს მოძღვრება. ამდენი ხანი გავიდა და დღემდე დიდი სწრაფვით მისდევნენ ქრისტეს თაყვანისცემას.

ევაგრი პონტოელი

Περὶ Εὐαγρίου τοῦ φιλοσόφου καὶ τοῦ βίου καὶ τῆς ἀγωγῆς αὐτοῦ

XI, 42. Μετὰ γε μὴν τὸν Σύρον Ἐφραῖμ ἐπισημοτάτω ἐγενέσθη καὶ τὴν κατ' ἄμφω φιλοσοφίαν Δίδυμος ὁ Ἀλεξανδρεὺς καὶ Εὐάγριος ὁ Αἰγύπτιος. Ἀλλὰ περὶ μὲν Διδύμου, τίς τε ἦν, καὶ ὅσα συγγράμματα καταλέλοιπεν, ἐν τῇ ἐνάτῃ μοι δείληται τῶν ἱστοριῶν· περὶ δὲ Εὐαγρίου βραχεία διεξελθεῖν δίκαιον, εἰ καὶ ἄμφω περὶ τὸ ἰγιές τῆς πίστεως δόγμα χωλαίνοντες ἦσαν, καίπερ πλείστα λόγων βέλη κατὰ τῶν τῆς ἀληθείας ἀφιέντες ἐχθρῶν.

ლობენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ ჭეშმარიტების მტრების წინააღმდეგ.

Οὗτος ἐξ Ἰβήρων εἶχε τὸ γένος, οἱ περὶ τὸν Εὐξείνιον οἰκοῦ-

ევაგრი ფილოსოფოსის შესახებ, მისი ცხოვრებისა და ყოფაქცევის შესახებ

XI, 42. ევრემ ასურის შემდეგ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყენენ ფილოსოფიის ორივე დარგში დიდძალ ალექსანდრიელი და ევაგრი ეგვიპტელი. მაგრამ დიდძალის შესახებ – თუ ვინ იყო ის და რა თხოულებები დაგვიტოვა – ამაზე მე მოთხოვნილი მაქვს „ისტორიების მეცხრე წიგნში; ხოლო ევაგრის შესახებ კი მართებული იქმნებოდა მოკლედ [მაინც] შეამზნა. თუმცა ისინი ორივენი სარწმუნოების სალი დებულების მიმართ კოჭლობენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ ჭეშმარიტების მტრების წინააღმდეგ. ეს იყო თავისი შთამომავლობით იბერთაგან, რომლებიც

σι πόντον. Σοφός δὲ λίαν καὶ
ἐλλόγιμος ὁ ἀνὴρ ἐγερόνει· καὶ
λεπτός μὲν νοῆσαι, φράσαι δὲ τὸ
νοηθὲν καὶ λίαν δευός (Migne,
PG 146, 717).

ცხოვრობენ ევქსინის პონტოს
მიდამოებში. იყო კაცი ბრძენი
და ბრწყინვალე; დახვეწილი იყო
ჭკუით, ხოლო ნააზრევის გამო-
თქმაში იყო მეტად მკაცრი.

ნიკიფორე ქსანთოპულოს ცნობები ევგარი პონტოელის შესახებ

1959 წლის აპრილში აკად. ვ. კეკელიძემ აკადემიის ერთ-ერთ სხდო-
მაზე საჯარო მოხსენება წაიკითხა „მეოთხე საუკუნის უცნობი ქართ-
ველი მწერალი“, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც
თვით იმ სხდომაზე, ისე შემდეგაც ჩვენს პრესაში და აგრეთვე უცხოე-
თის სამეცნიერო პრესაშიც.

ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველებს გავაცნობთ ამ, აქამდე უცნობ
ქართველს, რომელიც IV საუკუნეში წამყვან როლს ასრულებდა ბიზან-
ტიის საზოგადოებრივი აზრის მოძრაობაში.

ამ გამოჩენილ მოღვაწეზე ბევრს ლაპარაკობენ თვით ბიზანტიაში
ჯერ კიდევ IV – VI საუკუნეებში. შემდეგ საუკუნეებშიც აგრეთვე დიდი
მითქმა-მოთქმაა მის მოღვაწეობაზე, მის პიროვნებაზე, მის ეროვნებაზე.

შეგვიძლია დავიწყოთ XIV საუკუნის იხტორიკოსით, ნ ი კ ი ფ ო რ ე
ქ ს ა ნ თ ო პ უ ლ ო ს ი თ. ის თავისი იხტორიის XI წიგნში ამბობს:

„ეფრემ ასურის (IV საუკ.) შემდეგ ყველაზე უფრო შესანიშნავი
იყვნენ ფილოსოფიის ორივე დარგში დიდიმოს ალექსანდრიელი და
ევ ა გ რ ი ე გ ვ ი პ ტ ე ლ ი. მაგრამ დიდიმოსის შესახებ – თუ ვინ იყო
ის და რა თხზულებები დაგვიტოვა – ამაზე მე მოთხრობილი მაქვს
„ისტორიების“ მეცხრე წიგნში; ხოლო ევგარის შესახებ კი მართებული
იქნებოდა მოკლედ მაინც მეამბნა. თუმცა ისინი ორივენი სარწმუნოე-
ბის საღი დებულების მიმართ კოჭლობენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ
სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ ჭეშმარიტების მტრების წინა-
აღმდეგ.

„ევგარი იყო თავისი შთამომავლობით იბერთაგან,
რომლებიც ცხოვრობენ ევქსინის პონტოს მიდამოებ-
ში. იყო კაცი ბრძენი და ბრწყინვალე, დახვეწილი იყო
ჭკუით, ხოლო ნააზრევის გამოთქმაში იყო მეტად
მკაცრი“.

ასე ახასიათებს ევგარის XIV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი
ნიკიფორე კალისტე ქსანთოპულოსი. ნიკიფორე სწერს ამას იმ ცნო-

ბების მიხედვით, რომლებიც მრავლად მოიპოვებოდა წინა საუკუნეების მწერალთა ნაშრომებში. ასე მაგალითად, IV – VI საუკუნეთა მწერლები ხშირად ლაპარაკობენ ევაგრიზე. ეს ცნობები ჩვენ შეგვიძლია შემდეგ მუხლებად ჩამოვაცალიბოთ:

1) ევაგრი, ბიოგრაფების ცნობით, დაიბადა პონტოს ერთ-ერთ ქალაქში 345 წლის მახლობელ ხანებში მღვდლის ოჯახში. მეორე მხრით ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ევაგრი შთამომავლობით იბერიელი იყო (ὁὐτος ἔξ Ἰβήρων εἰλαε τὸ γένος). ეს ორი ცნობა რომ ერთიმეორეს შევეუთანხმოთ და შევაერთოთ, ადვილად მივიღებთ შემდეგ დასკვნას: ევაგრი პონტოს ერთ-ერთ ქალაქში დაბადებულა, მამა მისი მღვდელი ყოფილა, მამასადამე, 345 წლისათვის საქართველოს იმ კუთხეში, სადაც ევაგრი დაბადებულა, ქრისტიანობა უკვე კარგა ფესვ-გადგმული ყოფილა, იმდენად ფესვ-გადგმული, რომ ქართველი კაცი მღვდლად ყოფილა.

2) იგივე ბიოგრაფები აღნიშნავენ რომ ბასილი კესარიელის მიერ ევაგრი ნაკურთხი იყო მედავიტინედ (ἀναγνώστης, lector), ხოლო შემდეგ გრიგოლ ნაზიანზელის (თუ გრიგოლ ნოსელის) მიერ – დიაკონად. 381 წლის შემდეგ ის კარგა ხანი ყოფილა კონსტანტინეპოლში, და მერე ეგვიპტეში ცხოვრობდა ბერად, და ამიერიდან გარდაცვალებამდე (400 წლის მახლობელ ხანებში) თავგამოდებით ჰქადაგებდა მონაზვნურ იდეებს. ჰ ი ე რ ო ნ ი მ ე თავის ცნობილ თხზულებაში (De viris illustribus) ევაგრიზე არაფერს ამბობს, ხოლო თავის ერთ წერილში¹ და პელაგის წინააღმდეგ დაწერილ დიალოგის² პროლოგში იხსენიებს მას საკმაოდ უდიერად. ეს იმით აიხსნება, რომ ევაგრი ცნობილი იყო როგორც ორიგენისტი; მას წამოყენებული ჰქონდა ორიგენისტული მოძღვრება სულთა წინასწარი არსებობის შესახებ³. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ნიკიფორე კალისტეს მიერ მოცემული დახასიათება ევაგრის მოღვაწეობისა. ის ამბობს: „თუმცა ისინი (დიდიმოს ალექსანდრიელი და ევაგრი) ორივენი სარწმუნოების საღი დებულების მიმართ კოჭლობენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ ჭეშმარიტების მტრების წინააღმდეგ“. მამასადამე, ევაგრი ცნობილი ყოფილა როგორც ერთგვარი მწვალებელი. ამიტომაც იყო, რომ მისი შრომები ლათინურად თარგმნა რუფინუსმა, რო-

¹ Epist. 133, 3.

² Dialogi adversus Pelagum.

³ Praeexistenz der Seelen.

მელიც ორიგენისტი იყო, და ნახევრად პელაგინელი გენადიოსიც ევაგორის მოწიწებით იხსენიებს ¹.

3) ევაგრი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ ნიკიფორე კალისტე მას იხსენიებს დიდძალ ალექსანდრიელის გვერდით, როგორც მის ბადალს, და მასთან ერთად თვლის ეფრემ ასურის შემდეგ ყველაზე უფრო შესანიშნავ მოღვაწედ.

4) ევაგრის შრომები ადრევე ითარგმნა ლათინურად ²; უკვე გენადიოს მასილიელმა (V საუკ. მეორე ნახევარი) დაიწუნა ძველი თარგმანი, გადაამუშავა და შეაკეთა ის (ეს ეხება ევაგრის სამ მთავარ ნაშრომს). რადგან ევაგრი ორიგენესთან ერთად ოფიციალურად შეაჩვენეს VI საუკუნეში, მისი შრომები ბერძნულ ენაზე დაიკარგა.

5) ნიკიფორე კალისტე ქსანთოპულოსი უქებს ევაგრის მის სიბრძნეს და ჭკუას, აგრეთვე ნააზრვეის გამოთქმის ოსტატობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ჩანს, დიდი ხანია იწერება იმის შესახებ, რომ ევაგრი თავისი წარმოშობით იბერიელია. მაგალითად:

1) სოკრატე სქოლასტიკოსს (V საუკ.) თავის „საეკლესიო ისტორიაში“ რამდენჯერმე ჰყავს მოხსენებული ევაგრი როგორც ავტორი შრომებისა „მონაზონთა შესახებ“. Migne-ის „პატროლოგიაში“, სადაც სოკრატეს „საეკლესიო ისტორია“ არის დაბეჭდილი, გამომცემელი ერთ ადგილას ასეთ შენიშვნას ურთავს. „ევაგრი, მღვდლის შვილი, წარმოშობით იბერთა ქალაქიდან, რომელიც ევქსინის პონტოსთან მდებარეობს, წმ. ბასილის მიერ კესარიის ეკლესიის მედავითნედ დანიშნული, მისი გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ ნოსელის მიერ დიაკონად დადგენილი ბრწყინავდა 380 წლიდან. გრიგოლ ნაზიანზელისაგან საღმრთო წერილის ცოდნა მიიღო, მის მიერ დაწინაურებულ იქმნა კონსტანტინეპოლის ეკლესიის მთავარდიაკვნად. ამ შემთხვევის გამო რომ ეზიარა მონაზვნურ ცხოვრებას, ამის შესახებ გადმოგვცემს სოზომენე „საეკლესიო ისტორიის“ VI, 30-ში“ (PG 67, 521 შენიშვნა).

Migne-ი ამ შენიშვნის წყაროდ მიუთითებს: Guil. Cave ³, Historia, vol. 1, p. 227 et Ant. Pagi ⁴ ad ann. 388, n. 16).

¹ RE VI, 832 – 33, Julicher-ის სტატია.

² ლათინურად უთარგმნია რუფინუსი, იხ. Jordan, Geschichte der altchristlichen Liceratur. Lpz. 1911, გვ. 438.

³ Cave (Guillaume), 1637 – 1713, ინგლისელი ისტორიკოსი, მისი მთავარი შრომა; Scriptorum ecclesiasticorum historia litteraria (1688), საუკეთესო გამოცემაა ოქსფორდის (1740 – 43; 2 vol. in folio).

⁴ Pagi (Antoine), 1624 – 1690; ბერი, ფრანგი ქრონისტი.

Migne-ის მიერ მოყვანილი ეს შენიშვნა მკვლევარებს მიღებული აქვთ, როგორც ძირითადი წყარო ევაგრის ბიოგრაფიისათვის. შევადაროთ ზემოთ მოყვანილი სიტყვები პაულის RE-ში მოყვანილ ცნობებს.

Migne

Evagrius, presbyteri filius, Ex Iberium urbe quae ad Euxinum Pontum sita est, oriundus, a. S. Basilio Ecclesiae Caesariensis lectgor ordinatus, post eius mortem a Gregorio Nysseno diaconus factus, claruit ab auno 380.

Payly's RE

Euagrius Pontcus geboren als Sohu eines Priesters in einer kleinenen pontischen Stadt wohl um 345. Von Basilius zum lector, von Gregor von Nazianz (oder Nyssa?) zum Diaknen geweiht, hat er sich nach 381 Langere Zeit in Constantinopel Aufgehalten.

ისტორიკოსი სოზომენე დაწვრილებით ლაპარაკობს ევაგრის მოღვაწეობაზე თავისი „საეკლესიო ისტორიის“ VI წიგნში (თავი 30) და ამბობს:

Ἐγένετο δὲ τῷ μὲν γένει Ἰβήρων πολιτῆς πρὸς τῷ καλουμένῳ Ἐβξείνω πόντῳ.

იგი წარმოშობით იყო იბერთა ქალაქიდან, რომელიც [მდებარეობს] ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტოს [სანაპიროზე].

კომენტატორი Valesius-ი¹ ამ ადგილის შესახებ წერს;

«Ἰβήρων πόλεως. In codice Fuketiano scriptum est πολιτῆς quemadmodum Christophorus ac Savilius in suis codicibus repererant. Vulgatam tamen lectionem confirmat Palladius cap. 86, his verbis: Οὗτος τῷ μὲν γένει Ποντικός ἦν, πόλεως Ἰβήρων. Ex quo apparet Ibera nomen fuisse urbis in Ponto. Ac Fortasse ea est quam Iberam vocat Constantinus Porphyrogenetus, in libro primo *De thematibus*, ubi eam tertiae Coppadociae ascribit. Hieronymus in *Epistola ad Ctesiphontem* hunc Evagrium Ponticum Hyperboritam appellat; corrupte, ni fallor, pro Hyborita. Certe in concilio Chalcedonensi inter episcopos qui subscripserunt, resensetur Uranius Iborensis, proviunciae Heleno-

¹ Valios (Henri di), 1603 – 1676 სამეფო კარის ისტორიკოსი. ცნობილია მისი გამოცემები ევსევისა, სოკრატესი, სოზომენესი თეოდორიტე კვირელისა და ევაგრისა.

Ponti: Et in actione prima eiusdem concilii mentio fit Pauli presbyteri agentis vices Uranii episcopi Ἰβήρων. Et ita in sequentibus actionibus, licet interdum Latini codices Iberorum vel Imerorum nomen substituant. Inter episcopos quoque provinciae Ponti qui Synodo Constantinopolitanae subscripserunt, recensetur Pantophilus Iberorum. Eadem varietas occurrit in Notitiis Graecis quae leguntur ad calcem *Geographiae, sacrae* (Migne, PG t. 67, 1384 – 135).

Ἰβήρων πάλαι. ფუკეტის ხელნაწერში სწერია „პოლიტეს“ (და არა „პოლეოს“)... გავრცელებულ წაკითხვას მხარს უჭერს პალადიოსი (თავი 86: „ის იყო წარმოშობით პონტოელი, πάλαι Ἰβήρων“). აქედან ჩანს, რომ იბერა ყოფილა პონტოს ქალაქის სახელი. შესაძლებელია ეს იყოს ის ქალაქი, რომელსაც კონსტანტინე პორფიროგენეტი ეძახის იბორას (Iboram vocat)... ჰიერონიმე ამ ევაგრი პონტოელს ეძახის Hyperborita; მე ვფიქრობ შეცდომით ეძახის ასე ნაცვლად იმისა, რომ თქვას Hyborita. მართლაც, ქალკედონის კრებაზე ეპისკოპოსთა შორის, რომლებიც ხელს აწერენ დადგენილებას, აღნიშნულია ურანიუს იბორელი, ელენოპონტის პროვინციიდან. იმავე კრების პირველ სხდომაზე მოხსენებულია ურანიუსი, ეპისკოპოსი Ἰβήρων. და ასე შემდეგ მოხსენებებშიც. საფიქრებელია, რომ ხანდახან ლათინური ხელნაწერები ამის მაგიერ სწერენ Iberorum ან Imerorum. აგრეთვე პონტოს პროვინციის იმ ეპისკოპოსთა შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონსტანტინეპოლის კრებას, აღნიშნულია პანტოფილ ებერთა (Pantophilus Iberorum). იგივე ვარიანტი გვხვდება ბერძნულ ნოტიციებში, რომლებიც იკითხება „წმინდა გეოგრაფიის“ ბოლოს.

Valerius-ის მსგავსად წერს: *Gaulland, Veterum putrum Bibliotheca tom. VII, Proleg. p. XX: Notitia historica et litteraria:*

Evagrius circa medium saeculi IV ortum habuit Ibors (ხაზი ჩემია), quae est urbs ad Euxinum Fontum sita, Gregorio Nysseno eiusdem Evagri amico prae ceteris memorata his verbis: Κάμης τις ἔμοι προσήκουστος – ἔστι τις πολίχνη ἢ γείτων, Ἰβάρα καλοῦσιν αὐτήν „Est ad me pertinens vicus. –

ევაგრი მეოთხე საუკუნის შუაწლებში [ცხოვრობდა], წარმოშობით არის ქალაქ იბორიდან, მდებარეობს ევქსინის პონტოსთან; გრიგოლ ნოსელი, იმავე ევაგრის მეგობარი, ამ ქალაქს იხსენიებს შემდეგი სიტყვებით: «ეს დაბა მე მექვემდებარება. – მეზობლად არის ერთი პატარა ქალაქი, რომელსაც იბორა–ს ეძახიან». ასე იქნა შექ-

Nou procul abest parvit civitas,
quam Iborā vocaut“. Sic ver-
tendum fuerit, quod alii for-
tasse minus recte „Tboram“ red-
dunt. Est enim vox XXX nu-
mero multitudinis accipienda,
ut probe advertit. cl. Lequiue-
-niu!. Atqtie huiosmodi lectio
restituenda videtur Palladio et
Sozomeno, de auctore nostro
sermonem habentibus, iubi per-
peram XXX hodie hodie legi-
mus: quod quidem nuper post
alios Wesselingius vir eruditus
admoauit- Evagrius itaque civis,...
(M I g n e, PG 40, 1213 – 1214).

ცეული ის, რასაც სხვები, შეიძ-
ლება არა მართებულად იბორა-დ
გადმოგვემენ. სიტყვა Ἰβωρα თა-
ვისი სიმრავლის რიცხვით უნდა
იქნეს მიღებული, როგორც ღირ-
სეულად მიაქცია ყურადღება Le-
quen-მა. აგრეთვე ასეთივე წაკი-
თხვა აღსადგენი ჩანს პალადის-
თან და სოზომენესთან, რომელ-
თაც ლაპარაკი აქვთ ჩვენს ავტორ-
ზე; იქ დღეს უმართებულად იკით-
ხება «იბერთა ქალაქიდან ან მოქა-
ლაქე», ნაცვლად იმისა, რომ იყოს
«იბორთა ქ.» ახლახან სხვების
შემდეგ ვესელინგმა მეცნიერმა
კაცმა, იგივე გვირჩია. ამრიგად,
ევაგრი, იბორიელი მოქალაქე, წო-
დებული «პონტოელად»...

ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ კიდევ ერთი ცნობა (არსები-
თად, მთავარი ცნობა, ყველა დანარჩენ ცნობათა წყარო) და შემდეგ
ვიმსჯელებთ კომენტატორთა მიერ წამოყენებულ თეორიებზე. ეს ცნობა
ეკუთვნის პალადიოსს:

3) პ ა ლ ა დ ი ო ს ე ლ ე ნ ო პ ო ლ ე ლ ი (363 – 430), ევაგრის მიმ-
დევარი, თავის „ლავსაკონში“ საგანგებო თავს უძღვნის ევაგრი პონ-
ტოელს და წერს (თავი 86):

Οὗτος τῆ μὲν γένει γέγονε
Ποντικός, πόλεως Ἰβήρων, σὺν
πρεσβυτέρου, ἀγαγνῶστης προαχ-
θεις παρὰ τοῦ ἁγίου Βασιλείου
τοῦ ἐπισκόπου τῆς Ἐκκλησίας
Καισαρείας τῆς πρὸς τὸ Ἄργεω.
Μετὰ δὲ τὴν κοίμησιν τοῦ ἁγίου
ἐπισκόπου Βασιλείου προσέχων
αὐτοῦ τῆ ἐπιτηδεύτητι ὁ σοφώ-
τατος, καὶ ἀπαθέςτατος καὶ πάση
παιδείᾳ λάμπων ὁ ἅγιος Πρηγό-
ριος ὁ Νυσσαεὺς ἐπίσκοπος ἀδέλ-

ეს იყო წარმოშობით პონ-
ტოელი, იბერთა ქალაქიდან,
მღვდლის შვილი, წმიდა ბასილის,
კესარიის (არგეოსთან რომ არის)
ეკლესიის ეპისკოპოსის მიერ მედა-
ვითნედ დაყენებული. წმიდა ეპის-
კოპოსის ბასილის მიძინების შემ-
დეგ მის ნიჭს ყურადღება მიაქცია
უბრძნესმა და ფრიად მიუდგომელ-
მა და ყოველი სწავლულობით
მზრწყინავმა წმინდა გრიგოლ ნო-
სელმა, ეპისკოპოსმა, და მოცი-

φὸς τοῦ ἐν τιμῇ τῶν ἀποστόλων
Βασιλείου τοῦ ἐπίσκοπου, προχει-
ρίζεται τοῦτον διάκονον (Migne,
PG 34, 1188).

ქულთა პატივის მქონე ბასილი
ეპისკოპოსის ძმამ და აკურთხა იგი
დიაკვნად.

თუ როგორ ესმოდათ მაშინდელ ბერძნულ წყაროებს „იბერია“ და „იბერნი“, ე. ი. რომ „იბერია“ მარტო ქართლს კი არ ნიშნავდა, არამედ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ზღვისპირა მხარესაც, ეს ნათლად ჩანს ეპიფანე კონსტანტინეპოლელი სთხულებიდანაც.

მერვე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსმა ეპიფანე მონაზონმა დაგვიტოვა „ანდრია მოციქულის ცხოვრება“, რომელშიც აღწერილია მოციქულთა ქადაგება საქართველოს მხარეებშიც.

ქვემოთ მოგვყავს ის ადგილები ეპიფანეს შრომიდან, სადაც მოთხრობილია მოციქულთა ქადაგების შესახებ საქართველოს მხარეებში:

ნაწყვეტი პირველი: „ხოლო ეპიფანე კვიპრელი ამბობს – გადმოცემის მიხედვით – რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოდვრა სკვითები, სოგდიანები და გორსინები დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსაროსის ბანაკი, და ნავსადგური ისოსი, და მდინარე ფაზისი. იქ ცხოვრობენ იბერები, და სუსები, და ფუსტები, და ალანები“.

ნაწყვეტი მეორე: „ხოლო იგი [ანდრია] წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში; მის შემდეგ რაც მან ზღვის პირის მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“.

ნაწყვეტი მესამე: „ხოლო დანარჩენებმა [მოციქულებმა] მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ – სუ(ს)ანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მზრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ [მოციქულთა მოძღვრებას]. მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში. იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს, მრავალნი დამოდვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდ სებასტოპოლში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღვთის სიტყვა“.

ამ ნაწყვეტებში გარკვევით არის ნათქვამი:

1) იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლი, აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი [ეს ხომ სულ დასავლეთი საქართველოა, ლაზიკის ადგილებია], „მოსახლეობენ იბერიელები,

სუსები, ფუსტელები და ალანები“ (ნაწყვეტი პირველი). ამ ნაწყვეტში მოხსენებულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დასახლებული ადგილები; ამიტომ ის ტომები, რომლებიც აქ მოსახლეობენ. რასაკვირველია, დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომები არიან. ასე რომ აქ მოსახლე „იბერიელები“ ქართლის იბერიელები კი არ არიან, არამედ დასავლეთ საქართველოში მოსახლე იბერიელები.

2) მეორე ნაწყვეტი ეპიფანეს შრომისა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ანდრია მოციქულმა ქრისტიანობის ქადაგების მიზნით მოიარა ამისო და ტრაპეზუნტი, ლაზიკის ქალაქი, და იქიდან წავიდა ი ბ ე რ ი ა შ ი. აქვე ნათქვამია: „მის შემდეგ, რაც მან ზღვის პირის მცხოვრებნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმშიო“. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ი ბ ე რ ი ა შ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ ნ ი ც არ ი ა ნ ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა ს მ ც ხ ო ვ რ ე ბ ნ ი.

3) მსგავსად პირველი ნაწყვეტისა მესამე ნაწყვეტიც აღნიშნავს, რომ იბერია დასავლეთ საქართველოშია. სახელდობრ, იქ ნათქვამია: „ჩავიდნენ ი ბ ე რ ი ა შ ი და ფ ა ზ ი ს შ ი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუანიაში. მაშასადამე, ერთ კუთხეში არიან მოხსენებული: იბერია, ფაზისი და სვანეთი. ამის შემდეგ სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, აქედან გადავიდნენ ა ბ ა ზ გ ი ა შ ი, სადაც არის დიდი სებასტოპოლი.

მაშასადამე: ამ მესამე ნაწყვეტში სამი სამარშრუტო ერთეულია:

ა) ი ბ ე რ ი ა, ფ ა ზ ი ს ი და ს ვ ა ნ ე თ ი. აქ ამათზე ნათქვამია, რომ „ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობენ ქალები“. ამის დამწერს, უთუოდ, მხედველობაში ჰყავს ამორძალები, რომელთაც მითები ათავსებენ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში.

ბ) ა ლ ა ნ ი ა და ქ ა ლ ა ქ ი ფ უ ს ტ ა. ძველი ფუსტის მხარე უნდა იყოს დაახლოვებით მისიმიელთა მხარეში ან მის მეზობლად; შეიძლება უფრო მიახლოვებით გვეთქვა – ფუსტა უნდა ყოფილიყო სოხუმის რაიონის მეზობელ მხარეში.

გ) ა ბ ა ზ გ ი ა. აქ იყო დიდი სებასტოპოლისი.

ეს სამი სამარშრუტო ერთეული რომ მოიარა ანდრია მოციქულმა, მერე წავიდა ჯიქეთში, რომელიც აბაზგიის ჩრდილოეთით მდებარეობდა:

აქვე მოგვყავს ეპიფანე კონსტანტინეპოლელის შრომიდან ის სამი ნაწყვეტი, რომლებიც აქ აღძრულ საკითხს ეხება¹.

¹ ეს ნაწყვეტები ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია 1941 წელს: „გეორგიკა“, ტ. IV, ნაკვეთი პირველი, გვ. 57 – 59.

ანდრია მოციქული საქართველოში

Τοῦ δὲ ἁγίου Ἐπιφανίου ἐπισκόπου Κύπρου λέγοντος ὡς ἐκ παραδόσεως ἔχειν, τὸν μακάριον ἀπόστολον Ἀνδρέαν διδάξει Σκύθας, Κοσογδιανούς¹ καὶ Γορσινοὺς ἐν Σεβαστοπόλει τῇ μεγάλῃ, ὅπου ἐστὶν ἡ παρεμβολὴ Ἀφάρου καὶ Ὑσσαν λιμὴν καὶ Φάσις ποταμός· ἐνθα οἰκοῦσιν Ἰβηρας καὶ Σοῦσοι καὶ Φοῦστοι καὶ Ἄλανοί (PG 120, 221).

Ἀπάρας δὲ ἀπὸ Ἀμισσὸν ἦλθεν εἰς Τραπεζοῦντα, πόλιν τῆς Λαζικῆς... Ἐκείθεν ἀπάρας εἰς Ἰβηρίαν διέτριψεν καὶ πολλοὺς φωτίσας διὰ τῆς παρὰ θάλασσαν ὁδοῦ ἦλθεν εἰς Ἱεροσόλυμα (PG 120, 228—229).

Καὶ μετὰ τὴν Πεντηκοστήν Ἀνδρέας καὶ Σίμων ὁ Χανανίτης καὶ Ματθίας καὶ Θαδδαῖος ἕμειναν ἐκεῖ πρὸς Ἀφάρου· οἱ δὲ λοιποὶ διερχόμενοι τὰς πόλεις διδάσκοντες καὶ θανματοῦργοῦντες κατήλθον εἰς Ἰβηρίαν καὶ εἰς τὸν Φάσιον, καὶ μεθ' ἡμέρας εἰς Σου(σ)ανίαν. Οἱ δὲ ἄνδρες τοῦ ἔθνους ἐκείνου ὑπὸ τῶν γυναικῶν ἐκρατοῦντο. Εὐπειθῆς δὲ ἡ γυναικεία φύσις, καὶ τάχῃ ὑπήκουσαν.

Ἔμεινε δὲ ὁ Ματθίας σὺν μαθηταῖς εἰς τὰς χώρας ἐκείνας διδάσκων καὶ ποιῶν θαύματα πολλὰ.

Ὁ δὲ Σίμων καὶ Ἀνδρέας ἀπῆλθον εἰς (Σ)αλανίαν καὶ εἰς Φοῦστιαν πόλιν. Καὶ πολλὰ θαύματα ἐργασάμενοι καὶ πολλοὺς μαθητεύσαντες ἀπῆλθον εἰς Ἀβασγίαν. Καὶ εἰσελθόντες εἰς Σεβαστόπολιν τὴν μεγάλην ἐδίδαξαν τὸν λόγον τοῦ θεοῦ (PG 120, 242—244).

ხოლო წმინდა ეპიფანე, კვიპრელი ეპისკოპოსი ამბობს – გადმოცემის მიხედვით – რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოდღვრა სკვიტები, სოგდიანები და გორსინები დიდ სევასტოპოლში, სადაც არის აფხაროსის ბანაკი, და ნავსადგური ისოსი და მდინარე ფაზისი. იქ ცხოვრობენ იბერები, და სუსები, და ფუსტები, და ალანები.

ხოლო იგი წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... იქიდან წამოვიდა და შერქრდა იბერიაში; მის შემდეგ რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში.

სულიწმიდის მოფენის შემდეგ ანდრია და სიმონ კანანელი და მათე და თადეოსი დარჩნენ იქ ავგაროსთან; ხოლო დანარჩენებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მზრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ (მოციქულთა მოძღვრებას).

მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა.

ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში. იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს, მრავალნი დამოდღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდს სევასტოპოლში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა.

¹ ასეა ხელნაწერში (Κοσογδιανούς), ხოლო საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ეწერა καὶ Σογδιανούς.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა ევაგრი პონტოელის წარმომავლობისა და ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგი დებულებების სახით.

1. მეოთხე საუკუნის მოღვაწის ევაგრი პონტოელის ბიოგრაფიაში მოხსენებულია, რომ ევაგრი წარმოშობით პონტოელი იყო, იბერთა ქალაქიდან (τὰ γένει Ποντικὸς ἦν, πάλεα ἐ Ἰβήρων) (პალადიოსი თ. 86).

2. მეხუთე საუკუნის ისტორიკოსებიც, მსგავსად პალადიოსისა, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევაგრი იბერიელი იყო (ἐγένετο δὲ τὰ μὲν γένει Ἰβήρων πολίτης πρὸς τὰ καλοῦμένων Ἐξείνυ πόντυ – სოზომენე VI, 30).

3. საშუალო საუკუნეების ზოგი ფილოლოგოსი დაექვდა დასავლეთ საქართველოში იბერთა არსებობის საკითხში და წარმოადგინა კონიექტურა: (Ἰβήρων-ის ნაცვლად Ἰβόρων). ამით მათ თქვეს, რომ ევაგრი იბერიელი კი არ იყო, არამედ ქალაქ იბორიდან.

4. ამ ფილოლოგოსთა ეს მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა: იბორა, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, შედიოდა მესამე კაპადოკიაში და ის არ შეიძლება ყოფილიყო შავი ზღვის ნაპირას (πρὸς τὰ καλοῦμένων Ἐξείνυ πόντυ).

5. როგორც წყაროებიდან ჩანს, ბერძენ-რომაელ მწერლებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ იბერია ერქვა არა მარტო ქართლს, არამედ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მხარესაც იბერია ეწოდებოდა. ასე, მაგალითად:

ა) პლინიუსით XI, 11: „ამ მხარეში მთებს იქით მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები... კოლხთა ტომები“;

ბ) ისტორიკოსი ეპიფანე (VIII ს.): „ანდრია მოციქულმა იქადაგა სკვითებს შორის, სოგდიანებთან და გორსინებთან დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარი, ნავსადგური ისოსი და მდინარე ფაზისი. იქ ცხოვრობენ იბერები, სუსები, ფუსტები და ალანები“;

გ) იმავე ეპიფანესთან სწერია: „დანარჩენმა მოციქულებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და მოვიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ჩავიდნენ სვანეთში“.

6. მეხუთე მუხლში მოხსენებული მასალები იბერიისა და იბერთა ქვეშე გულისხმობენ დასავლეთ საქართველოს მხარეს და ამ მხარის მცხოვრებლებს.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ უაღრესად შემცდარია დღემდე მოქმედი თეორია დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ: დასავლეთი საქართველო დასახლებული იყო არა მარტო მეგრულ-ქანური ტომებით, არამედ იბერიელებითაც ¹.

აბაზგების გაქრისტიანება

XVII, 13. Ἱστορεῖ δὲ καὶ Ἀβασγοὺς τήν·καὶ τὰ Χριστιανῶν ἐλέσθαι, καὶ πρὸς τὸ ἡμερῶτερον τὴν δίαίταν μεθαρμοσασθαι· καὶ τινὰ δ' εὐνοῦχον Εὐφρατᾶν ὄνομα, ἐκ τοῦ γένους ἐκείνων σφίσι διαπέμψαι· ἀπαγορευόντα μηδὲνα τοῦ λοιποῦ τῆς ἀβρῆνωπίας στερεῖσθαι, σιδηροῦ κατὰδικάζοντος. Καὶ γὰρ οἱ πλείστοι τῶν ἐν τοῖς βασιλικοῖς διαπονουμένων κοιτῶσιν, οὓς εὐνοῦχους θέμις καλεῖν, ἐκ τοῦ ἔθνους τούτου καθεστῶτες ἦσαν.

ოთახებში მსახურებენ, რომელთაც ჩვეულებრივ ევნუხებს ვუწოდებთ, სწორედ ამ ტომის კაცთაგან არიან დაყენებული.

Τότε δὲ καὶ Ἰουστινιανὸς ἱερὸν τῇ Θεοτόκῃ ἐν τῇ Ἀβασγῶν δευμάμενος, κάλλει δὲ καὶ μεγέθει ἐξέχον, ἱερέας τε καὶ τᾶλλα τῆς θρησκείας καλῶς κατέστησατο· ἐξ οὗ συνέβη κακείνοις ἐς ἀκρίβειαν τὰ τῶν Χριστιανῶν δόγματα ἐξασκησαί (Migne, PG 147, 256).

XVIII, 13. (პროკოპი) მოგვითხრობს, რომ მაშინ აბაზგებმა აირჩიეს ქრისტიანთა მოძღვრება, და თავიანთი ცხოვრება უფრო უმჯობესად გარდაქმნეს, და ერთი ევნუქი გაუგზავნა მათ [იუსტინიანემ], სახელად ევფრატა, მათივე ტომისა; მას უნდა აეკრძალა, რომ ამიერიდან არავისთვის წაერთმიათ მამაკაცობა, არ უნდა ეხმარათ რკინა, ამისთვის ს ი კ ვ დ ი ლ ი თ და ს ჯ ა ი ყ ო განკუთვნილი. და მეტიწილი იმათგან, ვინც სამეფო საწოლ

მაშინ იუსტინიანემაც ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარი ააგო აბაზგთა ქვეყანაში, რომელიც გამოირჩეოდა სილამაზით და სიდიდით, და როგორც მღვდლები ისე სხვა ყველაფერი, რაც სარწმუნოებას ეხება მშვენივრად მოაწყო, ამიტომაც არის, რომ მათში ქრისტიანული დოგმატები ზედმიწევნით სრულდება.

¹ ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. მასალები, გამოქვეყნებული: „გეორგიკა“ ტ. II (თბ. 1965), გვ. 25 – 26; „გეორგიკა“ ტ. VI (თბ. 1966), გვ. 131 – 132 შენ.

ნიკიფორე ქსანთოპულოსის ცნობა
აბაზგების მოქცევაზე

XVI წიგნის მეცამეტე თავში, სადაც ლაპარაკია სხვადასხვა ტომთა მოქცევაზე, ნიკიფორე გადმოგვცემს აბაზგთა გაქრისტიანებაზედაც. ეს ცნობები ამოღებულია პროკოპი კესარიელის „ისტორიიდან“. ამას ის თვითონ წერს: *...Προκοπίου και ταυτα καθιστορησαντος..: 'Ιστορειν δε και 'Αβασγους τηριαατα τα Χριστιανων ελεσθαι.*

ესეც რომ არ იყოს, საკმარისია ადამიანმა შეადაროს ნიკიფორეს ცნობა „სპარსთა ომის“ II წიგნში მოთავსებულ ტექსტს, რომ დარწმუნდეს იმაში, რომ ნიკიფორე მთლიანად ემყარება, ამ შემთხვევაში, პროკოპი კესარიელს.

ნიკიფორე	პროკოპი
<p>... 'Αβασγους τηριαατα τα Χριστιανων ελεσθαι, και προς το ημερωτερον την διαιταν μεθαρμოსασθαι, Και τινα δ' ενοσυχον Εϋφραταν ὄνομα, εκ του γένους εκείνων σφίσι διαπέμφαι' απαγορευοντα μηδένα του λοιπου της ἀρρενωπίας σιερείσθαι, σιδήρου καταδικάζοντος.. Τότε δε και Ιουστινιανός ιερὸν τῆ Θεοτόκου ἐν τῆ 'Αβασγῶν δειμάμενος ..ιερέας τε και ἄλλα τῆς θρησκείας καλῶς κατεστήσατο.</p>	<p>'Επί τούτου δὲ 'Ιουστινιανὸς βασιλευόντος ἅπαντα 'Αβασγοὺς ἐπὶ τὸ ἡμερωτέρον τετύχηκε μεταμπίσασθαι. Τὰ τε γὰρ Χριστιανῶν δόγματα εἰλοντο και αὐτοῖς 'Ιουστινιανός βασιλεύς τῶν τινα ἐκ Παλατίου εθνούχων στείλας, 'Αβασγὸν γένος, Εϋφρατᾶν ὄνομα, τοῖς αὐτῶν βασιλεύσι διαρρηθῆναι ἀπέπειπε μηδένα τὸ λοιπὸν ἐν τούτῳ τῷ ἔθνεϊ τὴν ἀρρενωπίαν ἀποφιλοῦσθαι, σιδήρῳ βιαζομένης τῆς φύσεως.. Τότε δὲ Ιουστινιανός βασιλεύς και ιερὸν τῆς Θεοτόκου ἐν 'Αβασγοῖς οἰκοδομησάμενος, ἱερεῖς τε αὐτοῖς καταστήσάμενος.</p>

ნიკიფორე გრიგორასი

ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიფორე გრიგორასი (Νικηφόρος ὁ Γρηγοράς) XIV საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალთაგანია. მისი ნაწერები ეხება ცოდნის მრავალ დარგს: თეოლოგიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, ისტორიას, რიტორიკასა და გრამატიკას. გარდა ამისა თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ დროს გაცხოველებულ საეკლესიო დავაში და გარკვეული რეპრესიებიც განიცადა.

გრიგორასი დაიბადა 1290 – 91 წელს პონტოს ჰერაკლეაში ¹. ჯერ კიდევ ბავშვი იყო რომ დაობლდა და მისი აღზრდა იკისრა მისმა ბიძამ (დედის ძმამ) იოანემ, ჰერაკლიის ეპისკოპოსმა. პირველი განათლება გრიგორასმა მიიღო ჰერაკლეაში თავისი ბიძის ხელმძღვანელობით, ხოლო ოცი წლის რომ შეიქმნა იგი, ბიძამ კონსტანტინეპოლში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. აქ ორმა პიროვნებამ ითამაშა დიდი როლი გრიგორასის განათლების საქმეში და მისი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური ცხოვრების წარმართვაში; ესენი იყვნენ იო ა ნ ე გ ლ ი კ ა და დიდი ლოგოთეტი თ ე ო დ ო რ ე მ ე ტ ო ხ ი ტ ი. იოანე გლიკა სწავლული გრამატიკოსი და რიტორი იყო და მისგან ისწავლა გრიგორასმა გრამატიკა და

¹ გრიგორასის ცხოვრების შესახებ ცნობები მოიპოვება თვით მისსავე თხზულებებში, უმთავრესად მის „ისტორიაში“ და „წერილებში“. ეს ცნობები თავმოყრილია R.Guilland-ის მიერ მის ნარკვევში: *Essei sun Nicéphore Grégoras. L' homme et l' oeuvre*. Paris, Geuthner 1926. XL+308. ამ ნაშრომში კრიტიკამ აღნიშნა მთელი რიგი შეცდომები და შეუსაბამობანი, დაიწერა რამდენიმე დაწვრილებითი რეცენზია:

George O s t r o g o r s k y: *Deutsche Literaturzeitung* 4 (1927), Sp. 1679 – 1701.

F. D ö l g e r : *Historisches Jahrbuch* 47 (1927), 760 – 766.

L. B r é h i e r : *Journal des Savants* 1928, S. 35 – 40.

N. I o r g a, *Revue hist, du Sud – Est Européen* 4 (1927), 385 – 389.

A. "Α μ α ν τ ο ς : *Ἐπιστηνικὴ Ἐταιρεία Βυζαντινῶν Σπουδῶν* 4 (1927), 365 – 369.

R. D r a g u e t : *Revue d' histoire eccl.* 23 (1927), 876 – 879.

V. L a u r e n t : *Échos d' Orient* 27 (1928), 123 – 126.

რიტორიკა, ხოლო XIV საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა თეოდორე მეტოხიტმა ასწავლა მას ფილოსოფია და ასტრონომია.

გრიგორასს ყურადღება მიაქცია, თეოდორე მეტოხიტის წყალობით, კეისარმა ანდრონიკე II-მ (1282 – 1328 წ. წ.), რომელიც დიდად სწავლობდა მეცნიერებასა და ლიტერატურას. გრიგორასი 27 წლისა იყო, როდესაც იგი წარუდგინა კეისარს მეტოხიტმა. აქ მან სახოტბო სიტყვით მიმართა ანდრონიკეს¹:

«მე რომ ვიცოდე, უძლიერესო მეფევ – უთხრა გრიგორასმა – რომ ჩვენს დროში არიან ისეთები, რომელთაც შეუძლიათ ღირსეულად ადიდონ შენი სიდიადე, მე არასგზით არ გავბედავდი გამომეთქვა ის, რის თქმასაც ვაპირებ, და დუმილს ვამჯობინებდი. მე სიამოვნებით დავუთმობდი ამ საქმეს იმათ, რომელთაც შესწევთ უნარი ღირსეულად შეაქონ შენი საქმენი. მაგრამ ვინაიდან შენი ღირსებების სიმრავლის წინაშე უძლურია ადამიანის ყოველივე სიტყვა და ვინაიდან მე არ მეგულება არავინ, ვისაც შეეძლოს მიახლოვებით მაინც ჩასწვდეს შენს ღირსებებს, ამიტომ, ვფიქრობ, არავინ დამძრახავს, თუ მე ვიკისრებ ამ მოვალეობას. უცნაური კია, რომ მე ვკიდებ ხელს ისეთ საქმეს, რაც ჩემს ძალღონეს აღემატება, მაგრამ, მეორე მხრით, არ იქნება გასაკვირალი, თუ მე უძლური აღმოვჩნდები სხვებთან ერთად. ვინც შენი საქმეების ღირსეულად შექებას განიზრახავს, მას უნდა ვუსურვოთ ჰქონდეს ისეთივე ნიჭი მჭევრმეტყველებისა, როგორიც გაქვს შენ...». ასე დაიწყო თავისი სიტყვა გრიგორასმა და შემდგომ შეადარა ანდრონიკე ყველა ცნობილ მოაზროვნეს და მოღვაწეს (პლატონს, სოკრატეს, ზენონს, თემისტოკლეს, მილტიადეს...), რომლებიც ყველანი ანდრონიკეზე უფრო სუსტნი აღმოჩნდნენ; ანდრონიკეს სასახლე, თავშესაფარი აზრისა და სიტყვისა, სიბრძნისა და განათლებისა, შეადარა აკადემიას, ლიკეიონს, სტოას, რომლებიც არარანი აღმოჩნდნენ ანდრონიკეს სასახლის წინაშე.

1326 წ. ანდრონიკე II-მ სერბიაში გააგზავნა გრიგორასი ელჩად. 1328 წ. ნიკიფორემ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მთავრობის რისხვა დაიმსახურა და იძულებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორებოდა. მხოლოდ 1330 წელს საშუალება მიეცა დაბრუნებოდა

¹ გრიგორასი თვითონ წერს ამის შესახებ: «და, აი, მე გავემგზავრე მეფესთან, უკვე 27 წელი მისრულდებოდა დაბადებიდან. ყოველი მოლოდინის გარეშე მიღებულ ვიქმენ მეფის მიერ, და მე მაშინვე მისი მჭევრმეტყველებისა და სიბრძნის შესაქებად სიტყვა წარმოვთქვი» (ისტორია VIII, 8).

საზოგადოებრივ ცხოვრებას; იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ეკლესიათა უნიის გარშემო წარმოებულ მოლაპარაკებაში და იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა გრიგოლ პალამას წინააღმდეგ.

ნიკიფორე გრიგორასი გარდაიცვალა 1360 წელს.

ნიკიფორეს მთავარი ნაწარმოებია Ἰστορία Παμῶν, რომელიც 1204 – 1359 წლების ამბებს აგვიწერს და რომელიც, ერთგვარად, გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ გაგრძელებასა და შევსებას წარმოადგენს.

ნიკიფორე გრიგორასის „ისტორია“ იწყება ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებით, ე. ი. 1204 წლით. „ისტორიას დავიწყებ-ამბობს გრიგორასი – სამეუფო ქალაქის აღებით, რაც მოხდა ვაი, უბედურებავ! – ლათინთა წყალობით“. რაც ჩემზე წინ მოხდა და რაც მე გავიგე ჩემი უფროსი თანამედროვეებისაგან, იმას მოკლედ გადმოგცემთო – ამბობს ისტორიკოსი, იმიტომ რომ ის ძველი ამბავი ან სხვების მიერ ¹ უკვე არის მოთხრობილი, ან რადგან მეშინია რამე შეცდომა არ დავუშვაო. ხოლო ის, რისი თანამხილველიც ჩვენ ვიყავით, ვეცდებით გადმოგვცეთ რაც შეიძლება უფრო დაწვრილებითო. მისი პირადი დაკვირვებები ეხება 1351 – 1359 წლების ამბებს.

მიუხედავად ზოგიერთი საკითხის დროს გრიგორასის მიერ გამოთქმულ უადრესად აკვიატებული აზრებისა, მისი „ისტორია“ მაინც უნდა ჩაითვალოს ძირითად წყაროდ XIV საუკუნის პირველი ნახევრისათვის.

*
* * *

საგულისხმოა ნიკიფორე გრიგორასის შეხედულება ისტორიკოსის დანიშნულებაზე. გრიგორასის აზრით, ისტორიკოსისათვის ჭეშმარიტება იგივეა, რაც ცხოველისათვის თვალი. ისტორიკოს ჭეშმარიტების საკითხი უნდა ახსოვდეს ყოველთვის ორი მიზეზის გამო:

1. პირველ ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რასაც მომავალ თაობებს გადავსცემთ როგორც ნიმუშსა და წესს, არ აღმოჩნდეს მავნე და დამღუპველი.

2. ისტორიკოსს ყველაფერი სწორად და ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს მოთხრობილი, მცირეოდენი რამ სიყალბე, შემჩნეული ისტორიკოსის მონათხრობში, საბაბს მისცემს სხვებს მთელი ნაშ-

¹ აქ ის გულისხმობს, ალბათ, გიორგი აკროპოლიტეს, გიორგი პახიმერეს და ზოგიერთ ჩვენთვის უცნობ ისტორიკოსსაც.

რომი აიგდონ სასაცილოდ და ილაპარაკონ, რომ არაფერი მართალი არ სწერია ამ ნაშრომშიო (I, 1).

ასეთ მოთხოვნებს უყენებს გრიგორასი ისტორიკოსს და პასუხისმგებლობის შეგნებით აფრთხილებს მას ყალბი ცნობები არ გაეპაროს თავის ნაშრომში. „ძალიან მიკვირდა მე იმათი საქციელი – ამბობს გრიგორასი, – რომლებიც ასე იოლადად სწერენ ხოლმე ყალბ სააუგო და სალანძღავ ამბებს; მარტო ენით გამოთქმულ ლანძღვას მამინვე იტაცებს ქარი და ფანტავს ჰაერში; ხოლო ის ლანძღვაგინება, რომელიც ხელნაწერებსა და წიგნებში იწერება, მძიმე ტვირთად აწვება იმათ, რომელთაც ლანძღავენ, რადგან დაწერილი უფრო მეტ მნიშვნელობას პოულობს და დიდი ხნით რჩება ძალაში“ (I, 1).

გრიგორასს სამარცხვინო საქციელად მიაჩნია ისტორიკოსისათვის ასეთი ყალბი ცნობების მიწოდება მკითხველისათვის, უსამართლოდ ლანძღვა და გინება. გრიგორასის აზრით, მკითხველი ადვილად ხვდება, რომ ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსები იმის მაგიერ, რომ ჭეშმარიტებას დასაბუთებდნენ, ფიქრობენ ფონს გავიდნენ იმ ადამიანთა გაკიცხვით და მიწასთან გასწორებით, რომელთაც არაფერი დაუშავებიათ. ეს იმას ჰგავსო – ამბობს გრიგორასი – რომ ადამიანს საშუალება ჰქონდეს მიწაზე არხეინად იცხოვროს და ამის მაგიერ ატლანტის ზღვაში გავიდეს და ქარიშხალის ნავარდს მისცეს თავი.

ის ისტორიკოსი, რომელიც სააუგო და სალანძღავ სიტყვებს სწერს სხვებზე, არა მარტო ამ უკანასკნელთ ვნებს, არამედ თავის თავსაც, რადგან მკითხველთა შორის ხომ მოიპოვებიან საღი გონების მქონენიც, რომლებსაც ძალუბთ გაარჩიონ ავი და კარგი. ამათ თვალში ყალბი ლანძღვის ჩამწერი ისტორიკოსი უთუოდ ცუდ ადამიანად ჩანს.

მაგრამ ასეთი რამ მოსდის უთუოდ ცუდ ისტორიკოსს, ნაკლები ნიჭის მქონეს, სუსტს ან ჩლუნვს. „მე გამიგონია ძველი ბრძენი ხალხის ნათქვამი, რომ, ვინც ხელს ჰკიდებს კალამს, უნდა მიბადოს კარგ მხატვარს; კარგი მხატვარი კიდევაც რომ ხედავდეს დასახატ დედანში რაიმე ბუნებრივ ნაკლს, სხეულის რომელიმე ნაწილის რაიმე მანკს, ყველაფერს ზედმიწევნით კი არ გადაიტანს სურათზე; ზოგს წაუმატებს, რომ უფრო მეტი იყოს მსგავსება, ზოგ რამეს მიჩქმალავს, რომ მნახველს თვალში არ ეცეს ბუნებრივი მანკი და ამით საბაბი მისცეს ოხუნჯობისა და დაცინვისათვის. ის ჭკუის კოლოფები კი (ლაპარაკია ზემოთ ხსენებულ ისტორიკოსებზე), თავისი უვიცობით თუ ჭეშმარიტებისადმი მტრული დამოკიდებუ-

ლების გამო, არა თუ მცირე ცოდვებს დუმლით არ ჩაუვლიან ხოლმე, არამედ ისეთ რამეებსაც კი სწერენ, რაც ნამდვილად არ მომხდარა. აი, ასე ამჟღავნებენ ისინი თავის მტრულ დამოკიდებულებას ჭეშმარიტებისადმი¹.

ნიკიფორე გრიგორასის „ისტორიის“ შემდეგი გამოცემებით ვსარგებლობდით:
Niciphori Gregorae Byzantina historia, cura L. Schopeni I – II,
Bonnae 1829 – 30 (აქ არის I – XXIII წიგნები).

Niciphori Gregorae historiae Byzantinae libri postremi ab I. Bek-
Kernunc primum editi, Bonnae 1855 (აქ არის XXIV – XXXVII წიგნები).

Migne. PG, t. 148 (120 – 1449). 149 (9 – 502).

Византийские историки: «Римская история Никифора Григоры», т. I, СПб 1862 (1204 – 1341 წლები).

კოლხიდის მკვრობელი ალექსი კომნენოსი

1, 2. Τῆς γὰρ τοῖ Κωνσταν-
τινουπόλεως ὑπὸ τῶν Λατίνων
ἀλοῦσης συνέβη τὴν τῶν Ῥω-
μαίων ἡγεμονίαν. καθάπερ ἄκρά-
θα μεγάλην, ἀνέμοις ἀγρίοις καὶ
κύμασι θαλαττίοις συνειλημμέ-
νην, κατὰ τεμάχια καὶ μέρη
πλεῖστα διαιρέτηναι, καὶ ἄλλον
ἄλλοιθι κατὰ μόρια, καὶ ὡς ἕκασ-
τοι τύχοιεν, ταύτην διαλαχόντας
κληρώσασθαι, ἕως ὅφῃ καὶ μόλις
περὶ τὴν Νικαέων μητρόπολιν
ἀναγορευομένην συμπέπτωκε βασι-
λέα Θεόδωρον τὸν Ἀδάκαριν, τρι-
ακοντούτη ἤδη ταρχάνοντα.

1, 2. როდესაც კონსტანტი-
ნეპოლი ლატინების მიერ იქმნა
აღებული, მოხდა ისე, რომ რო-
მელთა სახელმწიფო მსგავსად
დიდი ხომალდისა, რომელიც გა-
იტაცეს აბობოქრებულმა ქარებმა
და ზღვის ტალღებმა, დაიშალა
მრავალ ნაფლეთად და ნაწილად,
ისე რომ ერთმა ერთნაირად,
სხვამ სხვანაირად, ვისაც როგორ
არგუნა ბედმა, იგი (ე. ი. ეს სა-
ხელმწიფო) წილად ირგუნეს და
გაიყვეს, სანამ ბოლოს, თეო-
დორე ლასკარი მოახერხებდა
იმას, რომ იგი გამოცხადებულ

იქნა მეფედ ნიკეელთა მეტროპოლიაში. მაშინ იგი ოცდაათი წლი-
სა იყო.

¹ ნიკიფორე გრიგორასის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. K. Krum-
bacher, GBZ 293 – 293; G. Moravcsik, Byzantinoturcica I (1958),
450 – 453; В. Бенешевич, Очерки III, 56 – 59.

Τηγνικαυτα γὰρ οἱ μὲν ἡττη-
θέντες, οἱ δ' ὑποπεπτωκότες χρη-
σάμενοι σχήματι, τούτῳ προσε-
ρήσαν μάλα ἐθέλονται πλήν τοῦ
τῆς Κολχίδος κρατήσαντος γῆς
Ἀλεξίου τοῦ Κομνηνοῦ, καὶ ὅς
κατὰ τὴν Εὐρώπην Θεσσαλίας τε
ἤρξε καὶ ἦν παλαιὰν ὠνόμασταν
Ἕπειρον· ὁ ἐξ Ἀγγέλων οὗτος
ἦν Κομνηνὸς Μιχαήλ. Οὗτοι γὰρ
βσον πλείστον ἦν τῆς βασιλευ-
σης ἀπρωκισμένοι, καὶ αὐτὰ γε,
ὡς εἶπειν, τῆς Ῥωμαϊκῆς ἡγε-
μονίας τὰ πέρατα λαχόντες ἐκ
διαμέτρου, καὶ ἅμα τοῖς τῶν
τόπων ὀχυρώμασι σφόδρα τεταρ-
ρήκοτες, τυραννικώτερον ἐπεπή-
δησαν τῇ ἀρχῇ, καὶ ἰσχυσαν
ἄχρι καὶ τῆμερον πασι· τε καὶ
ἀπογόνοις αὐτῶν, καθάπερ τινὰ
πατρῶον κληρον, αὐτὴν παραπέμ-
ψαντες (PG 148, 132).

და თავიანთ შვილებსა და შვილთა-შვილებს გადასცეს იგი, ვითარცა რაღაც მამისეული მემკვიდრეობა.

მაშინ ზოგიერთები დამარცხებულ იქნენ, სხვები კიდევ თავისი ნებით დაემორჩილნენ და, ამგვარად, მიემხრნენ მას, გარდა ალექსი კომნენოსისა, რომელიც კოლხიდის ქვეყანას ფლობდა, და იმის გარდა, რომელიც ევროპაში განაგებდა თესალიასაც და იმასაც, რასაც ძველად ეპირს ეძახდნენ, – ეს იყო ანგელთა გვარიდან მიხეილ კომნენოსი. ისინი ხომ (ე. ი. კოლხიდის მფლობელი და თესალია-ეპირის მმართველი) ძალიან დამორებული იყვნენ სამეუფო ქალაქს, ისინი, ასე ვთქვათ, რომის სახელმწიფოს სრულიად საპირისპირო კიდევებზე იყვნენ და ძალიან გათამამებული იყვნენ თავიანთი ადგილების სიმტკიცით და მიითვისეს ძალაუფლება. დღემდე ფლობენ მას

სკვითები

II, 4. Ἐνταυτοῖς δὲ γενομένῳ
τῆς ἱστορίας, οὐκ ἀρεστόν ποί-
ῆδοξεν εἶναι σιγῇ παρελθεῖν τὰ
περὶ Σκυθῶν, ἐν τούτοις τοῖς
χρόνοις ἐπιδραμόντων Ἀσίας τε
καὶ Εὐρώπην· βιάσεται γὰρ ἡμᾶς
ὁ λόγος προῖον εἰς τὰ αὐτῶν
πολλάκις ἐμπίπτειν διηγήματα,
καὶ χρεῶν ἀνακεφαλαιωσαμένους
ἡμᾶς, καθόσον οἶόν τε, διαλευ-
κᾶναι τὰ περὶ αὐτῶν, καὶ ἑναρ-

II, 4. თხრობის ამ ადგილას რომ მოვედი, არ იქნება, ჩემის აზრით, მოსაწონი, რომ დუმლით გვერდი ავუარო სკვითების საკითხს, რომლებიც იმ ხანებში თავს ესხმოდნენ როგორც აზიას, ისე ევროპას. მომდევნო თხრობაში ჩვენ ხშირად მოგვიხდება მათ შესახებ ლაპარაკი, და ამიტომ საჭიროა ზოგადად ვთქვათ ჩვენ, რამდენადაც

γέστερα παραπέμψαι ταῖς ἐφεξῆς ὑποθέσεσιν, ἵνα μὴ αὐτοὶ γε εἰδότες, εἶτα ἐπὶ τῶν οὐκ εἰδότην ὡς εἰδότην διεξιόντες, ἀμαρτάνειν ποιῶμεν αὐτούς ταῖς ἐπιβολαῖς τῶν ἐνοίων, καὶ συχνὰ μετακαίνειν ἐξ ἐτέρων εἰς ἐτέρας ἀναφοράς, ὡσπερ αἱ κυνηγετικαὶ κύνες, ὅποτε τὰς τῶν λαγῶν ἰχνηλατοῦσι νομάς, συχνὰ τὴν ῥίνα πρὸς ἕτερα ἐξ ἐτέρων ἰχνη μεταΐουσαι.

ეს შესაძლებელია, და ნათელ-
ვყოთ მათ შესახებ [ცნობები] და
გავაშუქოთ წინასწარ ის, რაც
მომდევნო მოთხრობებისთვის და-
გვჭირდება, რათა არ მოხდეს
ისე, რომ ჩვენ თვითონ რომ რამე
ვიციოთ და ამის არმცოდნეთა შე-
სახებ რომ გვგონია რომ იციან,
შეცდომაში შეგვყავს ისინი, რო-
მელთაც სხვადასხვა აზრები უჩნ-
დებათ, და ხშირად ერთი ცნო-
ბიდან მეორე ცნობას ეცემიან,

როგორც მონადირე ძაღლები, როდესაც ისინი კურდღლების კვალს
მისდევნენ და ხან ერთ კვალს დასუნავენ, ხან მეორე კვალს.

Ἔθνος ἐστὶ πολυανθρωπότα-
τον, βροιστέραν πολλῶν τὴν οἴκη-
σιν ἔχον ἢ κατὰ πᾶσαν τὴν καθ'
ἡμᾶς οἰκουμένην, οὐδαμῶς μὲν ἐς
ἀκρίβειαν ὑπὸ τὸν ἀρκτικὸν πό-
λον, παρὰ τοὺς ἀρκτικωτάτους
δ' οὖν ἕμῳς ἐνδιαιωμένον παρ-
ἀλλήλων ἀπάντων, ὅπόσοι τὴν
οἰκουμένην ἅπασαν περιγράφου-
σιν, ὡς οἱ τὰς παλαιὰς τε ἱστο-
ρίας συνθέντες παρῆδοσαν τοῖς
ἐπιγενομένοις ἡμῖν, καὶ αὖ ἡμεῖς,
καθόσον ἐξῆν, ἐκ τῆς τοῦ χρό-
νου ξυνήκαμεν πείρας.

ეს არის ტომი მეტად მრავალრიცხოვანი, ცხოვრობდა გა-
ცილებით უფრო ჩრდილოეთით,
ვიდრე მთელს ჩვენდროინდელ
მსოფლიოში [ვიწმე სხვა ცხოვ-
რობს], თუ ზედმიწევნით ჩრდი-
ლო პოლუსთან არა, ყველაზე
უფრო ჩრდილოეთით მცხოვრებ-
თა გვერდით იყო მოთავსებული,
იმ მცხოვრებთა, რომლებიც კი
მთელი მსოფლიოს განაპირა სა-
ზღვრებზე არიან, როგორც ამას
ძველი ისტორიის მთხზველნი
გადმოგვცემენ მემკვიდრე თაო-

ბებს, და ჩვენც კარგად ვიციოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენი
ხანგრძლივი გამოცდილებით.

Τούτους γαλακτοφάγους μὲν
καὶ δικαιοτάτους ἀνθρώπων Ὁμη-
ρος ἔφησεν· ἐν τούτοις γὰρ οὐ
μαγεύρων μαγγανεία, οὐδὲ τρα-
πέζης ἐπιπενόηται πολυτέλεια.
φυττοκομίαι δὲ καὶ ἀρόσεις γῆς
οὐδ' ἐν οὐδαμῶς, ὅ τί ποτέ εἰσιν,
ἐφαντάσθησαν. Ἄλλὰ τροφή μὲν

ამათ (ე. ი. სკვითებს) ჰომე-
როსმა უწოდა გალაქტოფაგები
და ყველაზე უფრო სამართლიანი
ადამიანები: მათ წარმოდგენა არა
აქვთ არც მზარეულთა ოსტატო-
ბაზე, არც სუფრის მრავალმკუ-
ლობაზე. მათ სიზმარშიც კი არ
ზმანებიანთ, მეზაღეობა-მეზოსტენ-

αὐτοῖς ἢ τῆς γῆς αὐτοφυῆς πόα, καὶ τὰ τῶν ὑποζυγίων καὶ τῶν ἄλλων βοσκημάτων αἵματά τε καὶ σώματα. Καὶ εἴ τι δὲ τῶν ἀγρίων ζώων καὶ πετεινῶν ἄλων αὐτοῖς γένοιτο, καὶ τοῦτο δ' αὐτοῖς αὐτοσχέδιός ἐστι τροφή. Ἐνδύμα δ' ἀπορίητον τὰ τῶν ζώων θέριματα.

ხელდახელო საკვებია. მათი ტანსაცმელი არ არის გაკეთებული [ხელით], ცხოველთა ტყავია მათი ტანსაცმელი.

Ἄργυρος δὲ καὶ χρυσὸς καὶ μάργαρος καὶ λίθος λυχνίτης ἴσα καὶ κόνις ἐκείνοις ἐστίν.

Ὅν πανηγύρεις ἐκεῖ καὶ φιλοτιμίαις θέατρα, οὐδὲ βουλευτήρια περὶ ναυστάθμων καὶ τριηραρχῶν καὶ ἀγορανομῶν, ἀλλ' εἰρήνη πᾶσα τὸ ἀπὸ τούτων, καὶ βίος πάμπαν ἀστασίαστος...

სუფეს სრული სიმშვიდე ამათგან და ცხოვრება სრულიად უშფოთველი...

...Ὅντω καὶ τοῖς ἀνθρώποις ἐκείνοις, τῶν πραγμάτων οὐκ ὄντων, ἐξ ὧν φιλονεικίαι καὶ ἔριδες φύονται καὶ κατ' ἀλλήλων ἐπιβουλαὶ καὶ χύσεις αἱμάτων ἐπιγούονται, οὐδὲ δικαστήρια συγκροτούνται λοιπόν, οὐδὲ βουλευτήρια καὶ ἀναγνώσεις νομίμων, οὐδὲ πιθαναὶ γλώσσαι, καὶ λόγων διαστρωφαὶ καὶ ἐγνωῶν λαβύρινοι· ἀλλὰ δικαιοσύνη τις αὐτοφυῆς ἐπινέμεται τούτους καὶ ἀνεπίφθονος αὐτονομία.

გვარი თვითმყოფი სამართლიანობა განაგებს მათ და უშურველი თვითკანონიერება.

ობა და მიწის დამუშავება თუ რა არის. საზრდოდ მათ აქვთ ბალახი, რომელსაც თავისთავად იძლევა მიწა, აგრეთვე ტვირთ-მზიდავი ცხოველების და სხვა საქონლის სისხლი და ხორცი. და თუ რასმე გარეულ ცხოველთაგან ან მფრინველთაგან დაიჭერენ ხოლმე, ესეც მათთვის სა-

ვერცხლი და ოქრო, მარგალიტი და ლიხნიტის ქვა იგივეა მათთვის რაც მტვერი.

არც დღეობები იციან მათ და არც პატივმოყვარეობის [აღმძღვრელი] სანახაობები, არც თათბირები ნავსადგურების, ხომალდების უფროსთა და ბაზრის ზედამხელველთა შესახებ, არამედ

... ასევე ამ ადამიანებსაც რადგან ისეთი საქმეები არა აქვთ, რომელთაგან აღმოცენდებიან დავა და შუღლი, ერთმანეთის წინააღმდეგ ბოროტი ზრახვები და სისხლის ღვრანი წარმოიშობიან, – აი ამ ადამიანებს არც სასამართლოები შეუქმნიათ, არც საბჭოები, არც ესაჭიროებათ კანონთა ჩაკითხვა, არც დამარწმუნებელი ენა, არცა სიტყვათა ტრიალი და არც საბუთების ლაბირინთები, არამედ ერთ-

Διὰ μὲν δὴ ταῦτα δικαιοτά-
τους ἀνθρώπων καὶ Ὀμηρος τού-
τους ὠνόμασε.

Τὴν γε μὴν προσηγορίαν
αὐτῶν διαφόρως ἦμῖν οἱ πάλαι
σοφοὶ διεπόρθημευσαν. Ὀμηρος
μὲν γὰρ Κυμμερίους αὐτοὺς κα-
λεῖ, Ἡρόδοτος δὲ ὁ τὰ Περσικὰ
συγγραψάμενος Σκύθας πολυαι-
θεῖς, ὁ δὲ Χαιρωναῖς Πλούταρ-
χος Κίμβρους καὶ Τεύτονας, οὐκ
οἴκοθεν μὲν, ὀνομάζει δ' οὖν,
ὡσπερ ἀμφιβάλλων καὶ ἀπιστῶν
αὐτὸς ἑαυτῷ. Τὴν μὲν γὰρ κυ-
ρίαν αὐτῶν προσηγορίαν αὐτοὶ
ἂν κατὰ τὴν σφῶν αὐτῶν εἶδειεν
διάλεκτον. Οἱ δ' Ἑλληγνικοῖς ὀνό-
μασιν ἐπ' αὐτῶν χρώμενοι ἄλλοτε
ἄλλως, ὡς ἕκαστοι βούλοιντο,
τούτους προσαγορεύουσιν, ὁπόσοι
ἐκεῖθεν χειμάρρου δίκην εἰς τὴν
καθ' ἡμᾶς οἴκουμένην ἐπιρρέον-
τες, ἄλλοτε ἄλλους ἐπιλαμπά-
νουσι τόπους...

Τούτων τινὲς πολλάκις ἐκεῖ-
θεν ἀποσπασθέντες, πολλοὺς ἐλυ-
μῆγαντο χώρους, καὶ πλείστοις
ἔθνεσι ζυγὸν δουλείας ἐπήνεγκαν,
ὡσπερ ἂν εἰ μεγάλου πελάγους
ἀποτομῇ χυθεῖσα κατὰ πρᾶνοῦς
παντ' ἐπικλάνζοι καὶ παρασύροι
ὁπόσοις ἂν ἐπιδράμοι.

Ἄλλ' ἐκεῖθεν μὲν γυμνηταί
τε καὶ ἄσκειοι ἐξιώντες, εἶτα
ἀμείβουσι τὴν διαίταν, μεταλαμ-

ამიტომ უწოდა მათ ჰომე-
როსმა ყველაზე სამართლიანი
ადამიანები.

მათი სახელწოდების შესახებ
ძველი ბრძენი ადამიანები სხვა-
დასხვანაირად გადმოგვცემენ. ჰო-
მეროსი, მაგალითად, მათ კიმე-
რიელებს უწოდებს, ჰეროდოტე,
სპარსული ამბების აღმწერი –
სხვადასხვაგვარ სკვითებს, ხოლო
პლუტარქე ქერონეველი – კიმბ-
რებს და ტევტონებს უწოდებს,
ხოლო არა დაბეჯითებით, არა-
მედ თითქოს მერყეობს და არ
ერწმუნება თავის თავს. თავიანთ
საკუთარ სახელწოდებას ისინი
ამბობენ თავ-თავის დიალექტზე,
რომელნიც ელინურ სახელებს
იყენებენ მათ მიმართ, ზოგი ასე
ემახის, ზოგი ისე, როგორც თი-
თოეულს მოესურვება, ისე უწო-
დებს მათ, იმისდა მიხედვით, თუ
იქიდან, მსგავსად მთის ჩანჩქე-
რისა, როგორ მოედინებიან ქვეყ-
ნებზე და ვის და სად როგორი
ადგილები უჭირავს...

ზოგიერთი ამათგანი ხშირად
იქიდან მოსწყდებოდა ხოლმე და
ბევრის ქვეყანს ანადგურებდა,
მრავალ ხალხსაც მონობის უღელს
ადგამდა; ისე გამოდიოდა, თით-
ქოს დიდი ზღვის ერთი ნაწილი
დაქანებით გადმოხეთქილა და
ყველაფერი წაუღეკავს და გადა-
უთელავს, რასაც კი წასწყდომია.

მაგრამ ისინი იქიდან გამო-
დიოდნენ ტიტვლები და უსახს-
რონი, შემდეგ კი იცვლიდნენ

βάνοντες τὴν τῶν τόπων ἐκείνων, ἐν οἷς ἰδρῶσυσιν ἑαυτοῦς.

“Ὡσπερ γε μὴν οἱ ἐξ ὁρῶν τῶν μεγίστων ἀναρρήγνυμένοι ποταμοὶ καὶ τὸ ρεῖθρον εἰς τὴν θάλασσαν ἀποπτύοντες, οὐκ εὐθὺς παρὰ τὴν αἰγιαλίτιδα ψάμμον ἐς ἄλμην τὸ πότιμον αὐτῶν ἐξάλ- λάττουσιν, ἀλλὰ μέχρι πολλοῦ τῆς θαλάττης εἰσρέοντες ἀκοιῶ- νηται, ἔπειτα ἐσπείσαντο, καὶ τοῦ κράτους τοῖς πλουσιωτέροις παρεχώρησαν ὕδασιν· οὕτω καὶ τούτων οἱ τὴν ἔγγιστα τῆς πρώ- τῆς οἰκήσαντες Σκυθικῆς, ἀφ’ ἧς τὸ πρῶτον ἐρρήσαν, τὴν προ- τέραν προσηγορίαν ἐφύλαξαν ἕτι ἀκήρατον, αὐτοὶ γε ὀνομαζόμενοι Σκύθαι καὶ ἡ τούτους τρέφουσα γῆ Σκυθική. Οὗτοι δ’ εἰσὶν ὅσοι τε τὴν ὑπὲρ τὰς πηγὰς τοῦ Ταν- αΐδος ῥῆκῃσαν γῆν καὶ ὅσοι τὸν Τάναιν ἔπειτα διαβάντες ἐκείθεν ἐξεχύθησαν ἐς Εὐρώπην, τὰ ἐς ζέφυρον ἄνεμον βλέποντα πλευρὰ τῆς μεγίστης Μακίτιδος διανεμη- θέντες.

ნენ ევროპას და დაბინავდნენ დიდი მეოტიდის დასავლეთის ქარი- საკენ მიმართულ სანაპიროზე.

Μετὰ δὲ μακρὰν μακρῶν ἀνθις ἐνιαυτῶν περίοδον ἕτεροι, καθάπερ ἐκ μεγάλης πηγῆς τῆς πρώτης ἀπορραγέντες Σκυθικῆς, ἐς δύο σχίζονται μοίρας· καὶ ἡ μὲν, τοὺς πρὸς τῇ Ἀσίᾳ Σαυρο- μάτας καταστρέψασα, ἔδραμε μέχ- ρι· καὶ ἐς θάλασσαν τὴν Κασ-

ცხოვრების წესს და ითვისებდნენ იმ ადგილების წესებს, რომლებ- შიც თვითონ მკიდრდებოდნენ.

ნიკიფორე გრიგორასის „ისტორიის“ XI და XIII წიგნებში დაწვრილებით არის გადმოცემული ის ბრძოლა ორ დასს შორის, რომელიც სამოქალაქო ომით დამთავრდა (εἰς μάχην ἐμφύλιον ἐτέλεῦτα τὸ πρᾶγμα). ეს ბრძოლა ხომ უკვე XIII საუკუნეში დაიწყო მწვავედ, როდესაც ბიზანტიის კეისარმა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა (1261 – 1282) შემოუტია ტრაპიზონის მეფეს იოანე II კომნენოსს (1280 – 1297). ბიზანტიის კეისარი უკანონოდ მიიჩნევდა ტრაპიზონის მმართველის მიერ „მეფის“ სახელის მიკუთვნებას «ლაზთა მმართველს იოანეს... არა ერთხელ შეუთვალა – შენი კუთვნილი ძალაუფლება, როგორც გინდოდეს ისე გამოიყენე, ხოლო თავი შეიკავე სამეფო პატივთა და წოდებათაგანო» (იხ. ზემოთ გვ. 67 და შმდდ., აგრეთვე გვ. 140).

ბიზანტიის კეისარი ვერაფერს გახდა ამგვარი შეთვლით და სხვა გზას მიმართა; ლაზთა მმართველთან გამართა მოლაპარაკება, წარჩინებულ მოღვაწეთა შუამავლობით, მასთან დანათესავების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ტრაპიზონის მეფე იოანე II კომნენოსი დიდ უარზე იყო, კონსტანტინეპოლელმა მოციქულებმა პირდაპირ მიიტყუეს იოანე ბიზანტიის დედაქალაქში და ჯვარი დასწერეს მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასულზე, ევდოკიაზე.

ამ გზით მოახერხა ბიზანტიის კეისარმა ტრაპიზონის მართვის საქმეებში შეჭრა, ამის შემდეგ მჭიდრო მისვლა-მოსვლა კონსტანტინეპოლელ სამეფო კარიდან ტრაპიზონში და პირიქით: «მომდევნო ზაფხულში ტრაპეზუნტიდან კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა მეფის (ე. ი. ანდრონიკე II-ის) დაა ევდოკია, რომლის ქმარი იოანე ლაზი ტრაპეზუნტში გარდაცვლილიყო (1297 წელს); ევდოკიამ თან ჩამოიყვანა თავისი მეორე ვაჟი. ხოლო პირველ (ე. ი. უფროს) ვაჟს იქ სტოვებს, რათა ჩაიბაროს მამისეული ტახტი» (ნიკიფორე გრიგორასის „ისტორია“ VI, 9; იხ. ზემოთ გვ. 136).

რასაკვირველია, საკითხი იზადება – რად დასჭირდა ევდოკიას ქმრის, იოანე ლაზის, გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინეპოლში წასვლა და თან ერთი შვილის წაყვანა, მეორის კი ტრაპიზონში დატოვება? ცხადია,

ტრაპიზონში გაბატონებული დასის წყალობით ევდოკიას, როგორც კონსტანტინეპოლის პალეოლოგოსთა ოჯახის წევრს, ტრაპიზონში გართულეული ჰქონდა საქმე და წავიდა კონსტანტინეპოლში თავის ძმასთან, ანდრონიკე II-სთან, მოსათათბირებლად.

რთულია ვითარება და კონსტანტინეპოლ-ტრაპიზონის ურთიერთობაში დამაფიქრებელი მდგომარეობაა მომდევნო ხანაში, ბასილ I კომნენოსის დროს (1333 – 1340 წ. წ.). ბასილი, წერს ნიკიფორე გრიგორასი, «მრავალი ბრძოლების შემდეგ გახდა მამისეული ძალაუფლების მემკვიდრე, მას მეუღლედ გამოუგზავნეს ევდოკია, კეისრის უკანონო ქალიშვილი» (ნიკიფორე გრიგორასის „ისტორია“ XI, 3; იხ. ზემოთ გვ. 142).

რომ ტრაპიზონის მეფეს ბასილ I-ს დაბრკოლებები შეხვედრია ტრაპიზონში, კარგად ჩანს მიქელ პანარეტოსის „ქრონიკიდანაც“. «6841 წელს (ე. ი. 1333 წ.) – წერს პანარეტოსი - კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ბასილი, დიდი კომნენოსის უფალ ალექსის ძე, ბატონ ანდრონიკეს მომდევნო ძმა, და დაიპყრო მეფობა. მაშინ მან დიდი დუქსი ლეკის ჭაჭინჭეოსი და მისი ძე, დიდი დომესტიკოსი ჯაბა სიცოცხლეს გამოასალმა, თავისი ძმისწული მანუილი გააძევა, ხოლო დიდი დუქსის მეუღლეც, სირიკენა, ჩააქოლვინა» (იხ. ქვემოთ გვ. 174 – 175).

ცხადია, ბასილი ბიზანტიური ორიენტაციისა ყოფილა, იძულებული გამხდარა, ტრაპიზონში მის წინააღმდეგ წარმოებული შეტევის გამო, კონსტანტინეპოლში გაქცეულიყო; იქ აღჭურვილიყო ნდობით და დახმარებით, დაეპყრო მეფობა (παρέλαρε τό βασιλειον) და მოწინააღმდეგენი მოესპო. ვინ ჩანან მოწინააღმდეგეებად? ესენი არიან ქართული ორიენტაციის დასის წარმომადგენლები: დიდი დომესტიკოსი ჯ ა ბ ა, მისი მამა დიდი დუქსი ჭ ა ჭ ი ნ ჭ ე ო ს ი და ამის მეუღლე სირიკენა.

გასაგებია ისიც, რომ ცოლიც ირინე კონსტანტინეპოლიდან მოუყვანია, კეისარ ანდრონიკე II პალეოლოგოსის ასული¹, მაგრამ, როგორც ჩანს. ბასილის ბიზანტიური ორიენტაცია ურყევი არ იყო. ბიზანტიელ ირინესთან დიდი უსიამოვნება ჰქონია ბასილ მეფეს. ნიკიფორე გრიგორასს ნათქვამი აქვს, რომ ბასილმა «კეისრის ასული ირინე რომ შეირთო, ცოტა ხანს წესიერად და მართებულად ექცეოდა, შესაფერისი თანხმობით და გულისხმიერებით, შემდეგ კი მეუღლური სიყ-

¹ არის ერთგვარი გაუგებრობა ბასილის მეუღლის სახელის შესახებ. ნიკიფორე გრიგორასს უწერია (XI, 3; ზემოთ 142): ბასილს «მეუღლედ გამოუგზავნეს ევდოკია, კეისრის უკანონო ქალიშვილი». მაგრამ ეს უთუოდ ხელნაწერის გადამწერის შეცდომაა. იმავე წიგნის XI, 8-ში ნიკიფორე დაწვრილებით წერს ბასილის მეუღლეს და მას ირინეს ეძახის. სხვაგანაც ბევრგან სწერია, რომ ბასილის ცოლი იყო ანდრონიკე კეისრის უკანონო შვილი ირინე.

ვარული გადაიტანა ერთ საყვარელზე, რომელსაც აგრეთვე ირინე ერქვა. და ამასთან რომ უკანონოდ ცხოვრობდა, კანონიერი მეუღლე შეიძულა» (იხ. ზემოთ გვ. 143). ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ უთანხმოება ბასილსა და ირინეს შორის, მეფესა და დედოფალს შორის მხოლოდ მათი რომანიული ვნებათღელვით აიხსნებოდეს. ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, ამტკიცებს, რომ უთანხმოება მეფე-დედოფალთ შორის პოლიტიკურ დასთა ურთიერთ ჭიდილის შედეგია.

ეს ჭიდილი კარგად მოჩანს როგორც ნიკიფორე გრიგორასის, ისე მიქელ პანარეტოსის შრომებიდან. ჯერ ერთი, ნიკიფორე გრიგორასს ეჭვი ეპარება ბასილის გარდაცვალების ამბავში: «ბასილი – ამბობს ნიკიფორე – გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ რაღაც ღვთის-განრისხებამ ანაზღეულად გამოასალმა იგი სიცოცხლეს» (ზემოთ, გვ. 143). არსებობს ეჭვი, რომ ბასილი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა.

თუმცა ბასილს ჯვარი დაუწერია ტრაპიზონელ ირინეზე (და, მაშასადამე, დედოფლად ის უნდა ჩათვლილიყო), მაგრამ ბასილის „გარდაცვალების“ შემდეგ მთელი ძალაუფლება ხელთ უგდია ირინეს, პალეოლოგოსის ასულს. მას მოციქულებიც გაუგზავნია ბიზანტიის კეისართან, თავის მამასთან, და უთხოვია «მეურჩიონ მას კანონიერი მეუღლებისათვის საქმრო, რომელიც მისი სამეფოს მართვაში მონაწილეობას მიიღებს» (ნიკიფორეს „ისტორია“, XI, 8, ზემოთ გვ. 144).

რომ ყველაფერი ეს პოლიტიკურ საკითხს უკავშირდება, მტკიცდება ირინეს შემდგომი ღონისძიებებით: «ირინე მთელი სამეფო ძალაუფლებით შევიდა სასახლეში; ხოლო იქიდან მაშინვე გააძევა თავისი სეხნია (*ტრაპიზონელი ირინე*), უცხოთესლი და უკანონო მეუღლე ბასილისა. კიდევ მეტი: ტრაპიზუნტელთა საზოგადო დადგენილებით გაძევებულს გზავნის მას შვილებითურთ ბიზანტიონში» (ნიკიფორე გრიგორასი; იხ. ზემოთ გვ. 144). მიქელ პანარეტოსის სიტყვითაც: ბასილის «შვილები უფალი ალექსი და უფალი კალოიოანე დედიტურთ გაიგზავნა კონსტანტინეპოლში, მეფობა კი დაიპყრო დაქვრივებულმა ქალბატონმა ირინე პალეოლოგოსმა. მაშინვე აჯანყდნენ მთავრები და წარმოიშვა ორი ბანაკი» (იხ. ქვემოთ გვ. 177).

ორი დასის დაპირისპირება მოჩანს აგრეთვე იმ ეპიზოდში, რომელიც გადმოცემულია ალექსი II კომნენოსის (1296 – 1330) დაქორწინებასთან დაკავშირებით.

ალექსი იყო შვილი იოანე II კომნენოსისა და ევდოკიასი (ევდოკია იყო ანდრონიკე II პალეოლოგოსის [1281 – 1328 წ. წ.] და ქმრის

იოანე II-ის გარდაცვალების შემდეგ ევდოკია ჩავიდა კონსტანტინეპოლში, ხოლო მისი ვაჟი, ალექსი II, ლაზთა მთავარი (*ე. ი. ტრაპიზონის მეფე*) ტრაპიზონში დარჩა, თუ რად იყო ჩასული ალექსის დედა კონსტანტინეპოლში, ამის შესახებ არაფერი სწერია, მაგრამ ისტორიკოსი გიორგი პახიმერე გადმოგვცემს, რომ ალექსი არ იყო დალხინებულ მდგომარეობაში. ისტორიკოსი წერს: «თავისი და ევდოკია (ლაზთა მთავრის ქვრივი) კეისარმა (ანდრონიკემ) მიიღო; ევდოკიამ თავის დედასთან ერთად ძალიან გამოიგლოვეს, ჯეროვანისამებრ, თავიანთი უბედურება (*იოანეს გარდაცვალება*), ჯერ თავისთან იყოლიეს (*კეისარმა და მისმა დედამ*), რათა კვლავ გაეგზავნათ მის ვაჟთან (*ლაზთა მთავართან, ალექსისთან*) და მას რომ გაჭირება ჰქონდა მთავრობაში, განუმტკიცეს მდგომარეობა, რადგან შვილი (*ალექსი*) მამამ კეისარს ჩააბარა ყურის-საგდებად» (გიორგი პახიმერეს „ისტორია“ IX, 29; იხ. ზემოთ გვ. 80).

კეისარი ანდრონიკე II პალეოლოგოსი, მართლაც, „ყურს უგდებდა“ თავის დისწულს, ალექსის, და ერთ-ერთი გამოვლინება ამ ყურისგდებისა გამოიხატა იმაში, რომ მას დაგეგმილი ჰქონდა – ალექსის შეერთო ცოლად კეისრის ერთგული მოხელის წარჩინებულ თანამდებობის პირის ხუმნოსის ასული. გიორგი პახიმერე გადმოგვცემს: «კეისარმა (*ანდრონიკე II პალეოლოგოსმა*) ისურვა გაეხარებინა კანიკლიონის მცველი (*ἐπί του κανικλείου*) ხუმნოსი, თავისი ერთგული მოსამსახურე და უაღრესად გამოცდილი მოკვლე, რომელსაც გამზადებული ჰქონდა თავისი ქალიშვილისთვის დიდძალი თანხის შემცველი მზითევი, და წინადადება მისცა ლაზთა მთავარს ალექსის, თავის დისწულს, რომლის მეურვე, მამის ანდერძით, ის (*ე. ი. ანდრონიკე*) იყო და რომლის დედა იმ დროს კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, ხუმნოსის ასული შეერთო» (გიორგი პახიმერეს „ისტორია“ X, 71; იხ. ზემოთ გვ. 81).

ალექსის დედამ, ე. ი. კეისრის დამ ევდოკიამ, მოიწონა თავისი ძმის ეს გეგმა და უნდოდა ქორწილის მოსამზადებლად შვილთან მისულიყო, მაგრამ ალექსიმ «უარყო ეს ქორწინება ან იმიტომ რომ ვინღაცამ დაარწმუნა, თუ სხვა რამემ იმოქმედა მასზე, და იბერთა ერთი წარჩინებულის ასული მოიყვანა ცოლად» (ზემოთ, გვ. 81 – 82).

ალექსიმ მოიყვანა ცოლად სამცხის მთავრის ბექას (1285 – 1306). ასული, ეს ფაქტი ნათლად მოწმობს ალექსი მეფის ქართულ ორიენტაციას, რომ ბიზანტიის კეისარი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ალექსის დანათესავებას ბიზანტიის წარჩინებულ გვართან, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, კეისარი ანდრონიკე ალექსის დაქორწინების შემდეგაც ცდი-

ლობს გაყაროს ალექსი და მისი ცოლი, ბექას ასული. «მან კაცი გაუგზავნა პატრიარქს – წერს გიორგი პახიმერე – და მასთან არსებულ საკრებულოს და როგორც მეფე და მამა და როგორც იმ ყრმაზე (ალექსიზე) უფლების მქონე ცდილობდა დაემტკიცებინა ამ შეუღლების უკანონობა და მოითხოვდა დაერღვიათ იგი როგორც მისი ნების წინააღმდეგ მომხდარი» (იხ. ზემოთ გვ. 82).

ალექსის პოლიტიკა ნათელია: ის კონსტანტინეპოლის მომხრეთა დასის მოწინააღმდეგეა, ის ქართული ორიენტაციის მქონე დასის მომხრეა. ასეც ესმის ბიზანტიის ისტორიკოსებს. თ. უსპენსკი წერს ალექსის შესახებ: „Он сверг опеку Андроника Палеолога, которому поручил его умирающий отец, взял в жены грузинскую княжну, а не дочь византийского сановника Хумна, сильного при дворе Палеолога“ (Ф. Успенский, История Византийской империи, т. III, ЛНГР. 1948, стр. 741).

ამგვარად, სურათი ნათელია: ტრაპიზონის სამეფოში XIII – XIV საუკუნეებში ორი დასია გამოვლენილი, ბიზანტიური და ქართული.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ქართულ-ლაზური ელემენტის გავლენა ტრაპიზონის სამეფოს სახელმწიფოებრივ საქმეებზე. როდესაც, მაგალითად, გამოქვეყნდა აკადემიკოს თ. უსპენსკის წიგნი „Очер из истории Трапезунтской империи“ (ЛНГР. 1929), ჟურნალმა Byzantinische Zeitschrift რეცენზია უძღვნა მას და ამ რეზენციის ავტორი F. Epstein-ი წერდა: „Niemals vom Hellenismus ganz durchdrungen, wurde Trapezunt namentlich von Georgien und Armenien her kulturell und politisch stark beeinflusst, bis in der zweiten Hälfte des XIV. Jahrhunderts die Konstantinopoler paläologischen Tendenzen über die lokalen georgisch-lazistanischen Einflüsse obsiegten“ („ელენიზმის მიერ არასდროს არ ყოფილა ტრაპიზონი სრულად შთანთქმული, ხოლო კულტურულად და პოლიტიკურად განსაკუთრებით საქართველოს და სომხეთის ძლიერი გავლენის ქვეშ იყო, ვიდრე XIV საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინეპოლის პალეოლოგოსურმა ტენდენციებმა არ დაჩრდილეს ადგილობრივი ქართულ-ლაზური გავლენა“: Byz. Zeitschr. 31, 1931, 101 – 109).

ამაზე უფრო ადრეც თ. უსპენსკი სვამდა კითხვას: „ტრაპიზონის კულტურა ბიზანტიურ-კონსტანტინეპოლური კულტურის შემდგომს გაგრძელებას წარმოადგენს, თუ ატარებს ადგილობრივი ხასიათის ორიგინალურ თვისებებს, დაკავშირებით ამ კულტურის თავისებურ ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ პირობებთან უკანასკნელ შემთხვევაში

თავისთავად იბადება საჭიროება გულდასმით იქნეს შესწავლილი ის ელემენტები, რომლებიც როგორც ჩანს, არა უსაფუძვლოდ იქნა შეთვისებული იმპერატორთა ტიტულში და ნათლად მიგვითითებენ იმაზე, რომ ეს იმპერია თავისი წარმოშობითა და არსებობით ემყარებოდა როგორც ქართულ ეროვნებას, ისე ჯერ ნაკლებ შესწავლილ ეკონომიურ და სავაჭრო-სამრეწველო კავშირს ყირიმთან და კავკასიასთან“ («...что эта империя в своем происхождении и существовании опиралась как на грузинскую народность, так и на весьма мало еще выясненные связи – экономические и торгово-промышленные – с Крымом и Кавказом» ВВр. XXII, გვ. 135 – 136) ¹.

თ. უსპენსკის შრომათა წყალობით ტრაპიზონის სამეფოს საკითხთა კვლევა ახალი გეზით წარიმართა. რუსმა ბიზანტინისტმა ა. ვასილიევმა ორი გამოკვლევა უძღვნა ტრაპიზონის სამეფოს საკითხს (1936 წელს და 1941 წელს) რომლებშიაც ის აღნიშნავს თ. უსპენსკის მიღწევებს იმაში, რომ მან ხაზი გაუსვა ადგილობრივი ლაზური ელემენტების განსაზღვრულ გავლენას ტრაპიზონის იმპერიის ისტორიაზე, ამ ისტორიის უფრო ახლო კავშირს თბილისთან და საქართველოსთან, ვიდრე კონსტანტინეპოლთან და ბიზანტიასთან; ამით აიხსნება ადგილობრივი ფეოდალური საფუძვლების თავისებური განვითარება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ყურადღება ექცევა ტრაპიზონის სამეფოს. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის სხვადასხვა ნაშრომში ² ეხება ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს და ამბობს: „საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისაგან შესდგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები“.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. თბ. 1948, გვ. 12.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II (1965) გვ. 381. წიგნი III (1966), 202 – 208, 363 – 365, 390 – 391; საქართველოს ისტორია, XI – XVI საუკუნეები, თბ. 1949.

Περὶ τῶν τῆς Τραπεζοῦντος βασιλείων,
τῶν μεγάλων Κομνηνῶν,
ὅπως καὶ πότε καὶ πόσον ἕκαστος ἐβασίλευσεν.

Βασιλεία κυρ Ἀλεξίου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ.

1. Ἦλθεν ὁ μέγας Κομνηνός ὁ κυρ Ἀλέξιος, ἐξελθὼν μὲν ἐκ τῆς
ἐυδαίμονος Κωνσταντινουπόλεως, ἐστρατεύσας δ' ἐξ Ἰθρίας σπουδῆ
καὶ μεθ' αὐτῆς πρὸς πατρός θείας αὐτοῦ Θάμαρ, καὶ παραλαβὴ τὴν
2. Τραπεζοῦντα καὶ Ἀπριλίῳ ἰνδικτιῶνος ζ', ἔτους ςψδ', ἡτῶν ὧν κδ'.
Καὶ βασιλεύσας ὀκτωκαίδεκα, ἐκοιμήθη Φεβρουαρίου α'', ἡμέρας α'
τῆς Ὀρθοδοξίας, ἔτους ςψλ', ἡτῶν γινόμενων τεσσαράκοντα.

Βασιλεία κυρ Ἀνδρονίκου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ.

3. Ἐτους ςψλ' ἐβασίλευσεν ὁ ἐπὶ τῆς θυγατρὶ γαμβρός αὐτοῦ κυρ
10 227¹⁰ Ἀνδρόνικος Γίδων ὁ Κομνηνός. Ἢ Ἐν δὲ τῷ ςψλα' ἔτει, τῷ δευ-
τέρῳ χρόνῳ τῆς τοῦ Γίδωνος βασιλείας, ἦλθεν ὁ Μελίκ σουλτάν κατὰ
τῆς Τραπεζοῦντος καὶ ἐγκώθησαν ὅσοι ἦσαν ἅπαντες. Ἐβασίλευσε
δὲ ὁ Γίδων ἑπτὰ τριεκαίδεκα, καὶ ἐκοιμήθη ἐν ἔτει ςψμγ'.

Βασιλεία Ἰωάννου τοῦ Ἀξούχου.

15 καταλείψας τὸ βασιλεῖον τῷ αὐτοῦ μὲν γυναικαδέλφῳ, υἱῷ δὲ πρω-
τοτάτῳ Ἀλεξίου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ κυρῷ Ἰωάννῃ Κομνηνῷ τῷ
Ἀξούχῳ. Ὅς καὶ βασιλεύσας ἑπτὰ ἐξ ἐκοιμήθη ἔτους ἐξακχιχίλια
ἐπτακόσια τεσσαράκοντα ἐξ. Λέγεται δὲ, ὅτι ἐν τῷ τζυκακιστηρῷ
παύζῳν ἐκρημνίσθη, καὶ σπαρχθῆς ἀπέθανε.

1. κυρ M: κυρίως TF 2. κυρ M: κύριος TF 3. Ἰθρίας TF: ἰθρίας M σπουδῆ Φ: σπουδή M: σπουδῆ T 5. ἔτους M: ἔται TF 6. αη M: α TF ἡμέρα (βραχ.) M: ἡα TF 7. γινο-
μένων M: γινόμενος TF 8. κυρ M: κυρίου 9. κυρ M: κύριος TF
10. Γίδων TF: γίδος M 13. τριεκαίδεκα. Ἦε s. 267, 12 ἑπτὰ τρεῖς.
15. αὐτοῦ Ἰραφα: αὐτοῦ TF 16. κυρῷ M: κυρίῳ TF 17. ὅς ἰραφα Ἦε s. 267, 14. ὁ M: ὁ TF 18. TF 19. ἐκρημνί-
σθη TF: ἐκρημνίσθη M

4316^o 52. || Μηνὶ Ὀκτωβρίῳ κδ'. ἡμέρᾳ ι', ἰνδικτιώνος ι' τοῦ ρωμῆ' ἔτους κινήσας ὁ τοῦ βασιλέως γαμβρός ὁ ἐκ τῶν Λαμνίων ἀμπρὸς ὁ Τατζιαντίνης κατὰ τοῦ ἑτέρου γαμβροῦ τοῦ βασιλέως, υἱοῦ τοῦ ἐκ Χαλιόδικας Χατζιμορη, τοῦ λεγομένου Σουλταμπακ, ἔχων φωσσοῦτον χιλιέδας ιβ', καὶ τῆ Χαλιόδικη εἰσελθὼν, ἔπειτα πρῶτος αὐτός ὁ Τατζιαντίνης, καὶ κρουγγηθὲς ἐκεῖ τεθνήκεν. Οἱ δὲ περὶ αὐτὸν ἰταλίσθησαν ὡς γ', οἱ δὲ λοιποὶ γυμνοὶ ἔφυγον, ἀποβαλλόμενοι ἵππους ζ' καὶ ἴσπλη ἀσπίρα.

53. Ἀμπρὸς τῆς Τάταρος, ἔχων καὶ χάννην, ὡς λέγουσιν, ὁ δὲ Τάταρος Τομουρλάγκης ὡς τὸ ἑσῶμα, ἐκ τῶν ὀρίων εἰσελθὼν Χαταίας, ἔχων, ὡς φασὶν οἱ εἰδότες, φωσσοῦτον || ὑπὲρ τῆς ἰταλικῆς χιλιέδας, ἔλαθε καὶ παρελθὼς τὴν πόσιν Περσίαν. Εἶτα, εἰσελθὼν καὶ ἐν τῆς ἀκρωσίου Ἰβήρων, παρέλασε πολλοῦτον νόμον τὸ θαυμαστὸν Τορλίσιον, ζωγράφας καὶ τὸν βασιλεῖα Παχλαστὸν τὸν στρατηγικώτατον καὶ τὴν ἰβ' ἑσῶζον αὐτοῦ, τὴν θυγατέραν τοῦ ἡμετέρου βασιλέως, τὴν ὠρακιότατην κυρίαν Ἀντιν, καὶ τὸν υἱὸν αὐτῆς Δαβίδ, τὸν δὲ καὶ ἴσπλη μαχαίρα καὶ ἀσπίρα. Ὅποσα δὲ πρᾶγματα εἶπε καὶ ἔσας εἰκόνας ἔγδαρε καὶ ἀπέκρυψε, καὶ λίθους τιμίους καὶ μαργαριτάρια καὶ χρυσὸν καὶ ἄλλα ἄπεριερίετο οὐ δύναται τις γραφῆ παραδοῦναι, μὴν Νοεμβρίου κκ' ἔτους ρωμῆ'.

4317^o 54. Ἐκινήθη ὁ βασιλεὺς κῆρ Ἀλέξιος || ὁ μέγας Κομνηνός, ὁ υἱὸς τοῦ κῆρ Βασιλείου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ ὁ δευτέρου, μὴν Μαρτίου

1. κδ' ἰ' M. λείπουνσι ΓΦ ρωμῆ' MΦ: ρωρ' T 2. ἀμπρὸς M: Ἀμπρὸς TΦ 3. ἑτέρου TΦ ἑτέρου M 4. Χατζιμορη ἱεράφη: χατζιμορη MTΦ Σουλταμπακ MT: Σουλταμπακ Φ 5. ὁ Τατζιαντίνης ἱεράφη: Τζιαντίνης MTΦ ἴα α, β, γ, δ, ε, ζ καὶ τὸ θ, δ. 6. περὶ αὐτὸν TΦ: περὶ αὐτὸν M 7. γ' M: ζ T, ε Φ γυμνοὶ TΦ: γυμνὸν M ἀποβαλλόμενα ἱεράφη: ἀποβαλλόμενοι MTΦ ζ M: λείπουν TΦ 8. τῆς TΦ: τῆς M 9. χάννην M: χάννην T, χάννην Φ 10. τομουρλάγκης M: Τομουρλάνης TΦ χαταίας M: Χαταίας TΦ 11. ὡς φασὶν TΦ: ὡς φασὶν M 12. ἀκρωσίου ἱεράφη: ἀκρωσίου M: ἀκρωσίου TΦ παρέλασε MT: παρέλασε Φ τὸ θαυμαστὸν Τυφλίσιον ἱεράφη: τὸ θαυμαστὸν τυφλίσιον M: τὸ θαυμαστὸν Τυφλίσιον TΦ 14. στρατηγικώτατον TΦ: στρατηγικώτατον M 15. θυγατέραν M: θυγατέρα TΦ 16. μαχαίρα TΦ: μαχέρα M 17. ἔγδαρε M: ἔγδαρε T: ἔγδαρε Φ 18. δύναται τις Φ: δύναται τῆς M: δύναται τῆς T 20. ρωμῆ' MΦ: ρωρ' T

მიქელ პანარეტოსი

მიქელ პანარეტოსის ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შემონახული. იგი, როგორც ჩანს, ტრაპიზონის მკვიდრი მცხოვრები იყო. მოღვაწეობდა XIV საუკუნის მეორე ნახევარში და XV საუკუნის პირველ მეოთხედში. თვით მისი შრომიდან („ტრაპიზონის ქრონიკიდან“) ჩანს, რომ იგი დაახლოებული ყოფილა ტრაპიზონის სამეფო კართან: მას ჰქონია პროტოსევასტოსისა და პროტონოტარის წოდებები¹; ტრაპიზონის მეფეებთან ერთად მონაწილეობა მიუღია სხვადასხვა ბრძოლებში; 1356 წელს მიქელ პანარეტოსი ახლდა მეფეს, ალექსი III-ს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში²; ხოლო 1361 წელს – ხალიბიაში³.

როგორც „ტრაპიზონის ქრონიკის“ 39 თავიდან ჩანს, მიქელ პანარეტოსი საქართველოშიც ყოფილა. იგი სამეფო კარის წევრებთან ერთად გაჰყოლია მეფის ასულს ანნას, რომელიც მიჰყავდათ ბაგრატ V-ზე მისათხოვებლად: «ჩავედით ლაზიკეში... მეფესთან და დედამის დედოფალთან ერთად; თან გვყავდა აგრეთვე მეფის ასული ქალბატონი ანნა, დიდი კომნენე, რომელიც მისთხოვდა ცოლად იბერთა და აფხაზთა მეფეს ბატონ ბაგრატ ბაგრატიონს. *(ჩავედით)* მაკრიალის ქვეყანაში» (იხ. ქვემოთ გვ. 027).

მიქელ პანარეტოსის სხვა ბიოგრაფიული ცნობებიდან ის შეგვიძლია მოვიხსენიოთ, რომ მას ორი ვაჟი დალუპვია, ერთი 1368 წელს, ხოლო მეორე მომდევნო ხანებში: «მაშინ – წერს მიქელ პანარეტოსი – ჩემი საყვარელი შვილი კონსტანტინე ზღვაში ჩავარდა

¹ „ტრაპიზონის ქრონიკის“ 32 – 33 თავში ავტორი წერს: «6871 (ე. ი. 1363 წელს მეფის კატარღით წავედით დიდ ქალაქში (ე. ი. კონსტანტინეპოლში) დიდი ლოგოთეტი უფალი გიორგი სხოლარისი და პროტოსევასტოსი და პროტონოტარი მიქელ პანარეტოსი, სწორედ ის, ვინც ამას წერს».

² «6864 (ე. ი. 1356) წელს, მეფესთან ერთად ეშმაკის წაქეზებით გავემგზავრეთ ხერიანას წინააღმდეგ. პირველად მოვაოხრეთ, დავიპყარით და წარვტყვევნეთ, ხოლო მეექვსე საათზე უთავბოლოდ გამოვიქეციეთ» (იხ. ქვემოთ, თავი 20).

³ 13 დეკემბერს (6869=1361 წელს) წავედით ხალიბიაში მეფესთან ერთად ხაჯიმირის, ბაირამის ძის, ციხე-კოშკში.

ფერისცვალება დღეს და დაიღუპა 15 წლისა. იმის შემდეგ ჩემი მეორე უსაყვარლესი შვილი რომანოზი, 17 წლისა... გარდაიცვალა) (თავი 40, იხ, ქვემოთ გვ. 028).

*
* *
*

მიქელ პანარეტოსი არის ავტორი საისტორიო „ქრონიკისა“, რომლის სათაურია «ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოსებისა, თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა». იგი წარმოადგენს ტრაპიზონის სამეფოს „ქრონიკას“ და მოიცავს 1204 – 1426 წ.წ. ამბებს, უკანასკნელი წლების მოვლენებს ავტორი აგვიწერს როგორც თანამედროვე, თვითმხილველი და ამ მოვლენათა თვითმონაწილეც. წინადროინდელი ამბებისათვის თუ რა წყაროები ჰქონდა, გამორკვეული არ არის.

„ტრაპიზონის ქრონიკა“ წარმოადგენს ძვირფას წყაროს ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის შესწავლისათვის. ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი სხვა ნაშრომი, რომელშიც გადმოცემული იყოს ტრაპიზონის სამეფოს ისტორია მისი დაარსებიდან (1204 წელს) XV საუკუნის პირველ მეოთხედამდე. მართალია XIII – XV საუკუნეთა ბიზანტიელი ისტორიკოსები (გიორგი პახიმერე, ნიკიფორე გრიგორასი და სხვები) ეხებიან ტრაპიზონის სამეფოს თავგადასავლის ცალკეულ ეპიზოდებს, მაგრამ მიქელ პანარეტოსის „ქრონიკის“ უპირატესობა მის თანამიმდევრულ თხრობაშია.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ჯეროვანად აფასებდა მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკას“, რომელსაც იგი ხშირად ემყარება თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ II – IV წიგნებში და ტრაპიზონის სამეფოს დაარსებასთან და მის ისტორიასთან დაკავშირებით ფუძემდებელი დებულებები აქვს წამოყენებული და დასაბუთებული, ივ. ჯავახიშვილი წერს:

„1204 წელს თამარი იძულებული გახდა საქართველოს სამხედრო მოქმედება შორეულ მანძილზედაც-კი გადაეტანა. უცხოეთითგან ჩამოსულ ქართული სავანეების წარმომადგენლებს თამარ მეფემ 1204 წელს დიდი ქონებრივი შეწირულება გადასცა, მაგრამ უკან დაბრუნებისას ამ მონასტრების წარმომადგენლებს ბიზანტიის კეისარმა ეს ფული ჩამოართვა და დაისაკუთრა. ასეთი გაუგონარი საქციელისა და კადნიერების დასასჯელად, თამარმა საქართველოს მხედრობა წარგზავნა და ბიზანტიის სახელმწიფოს იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველთა მონათესავე ლაზებისა და ჭანების ტომები ცხოვრობდნენ.

„ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა ლაზიკა დაიპყრო, ტრაპიზონი, სამისონი, სინოპი, კერასუნი, კოტიორა აიღო და ერაკლიამდის მიაღწია. მთელი ეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე საკეისრო შექმნა. ამ საკეისროში მან შთამომავლობით ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი გაამეფა, რომელიც დედის მხრით ქართველ მეფეთა ბაგრატიონიანთა მონათესავე და საქართველოში ნამყოფი იყო.

„ამნაირად, საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისაგან შესდგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები.

„ბიზანტიის საკეისროს დაარსების შემდეგაც, ქართული ჯარი იქითგან მთლად არ წამოსულა, რადგან თამარისა და საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული მოქმედება მხოლოდ დასაწყისი იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართ დასახული პოლიტიკის გეზისა, რომლის ანარეკლი შემდეგშიც ჩანდა და რომლის გარშემო ბრძოლაც ბიზანტიასა და საქართველოს შორის მთელი XIII და XIV საუკუნის განმავლობაში წარმოებდა“.

მკითხველი დარწმუნდება, მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკას, რომ გაეცნობა, თუ რა მნიშვნელოვანი ცნობებია იქ დაცული როგორც ტრაპიზონის სამეფოს შიგნით წარმოებულ სოციალური და პოლიტიკური ბრძოლების შესახებ, ისე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე.

პირველ რიგში უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ქრონიკის“ პირველ თავშივე ხაზგასმულია საქართველოს როლი ტრაპიზონის სამეფოს დაარსების საქმეში. აი, „ქრონიკის“ პირველი სიტყვები: **«მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინეპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი»**, ამით უკვე ნათქვამია, რომ „ტრაპიზონის სამეფო“ შეიქმნა სა-

ქართველოს მთავრობის «ღვაწლით». ეს მოხდა 1204 წელს, როდესაც ბიზანტიაში ლათინთა ბატონობა დამკვიდრდა და, მაშასადამე, კონსტანტინეპოლი აღარ იყო ცენტრი ბიზანტიისა ხოლო როდესაც 1261 წელს ლათინები განდევნეს და კონსტანტინეპოლში აღდგა ბიზანტიის ხელისუფლება მიხეილ VIII აალეოლოგოსის მეთაურობით და ეს ხელისუფლება შეუდგა ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ნაწილების მოგროვებას, აღმოჩნდა, რომ „ტრაპიზონის სამეფო“ განცალკევებით დგას, ის თავს არ თვლის ბიზანტიის ნაწილად, რით უნდა ავხსნათ ის, რომ ლათინთა ბატონობის გადაგდებისა და ბიზანტიური ხელისუფლების აღდგენის შემდეგ, თანდათან მოხერხდა ბიზანტიურ ორბიტში დაბრუნება ყოფილი ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებისა (მაგალითად, თესალიისა და ეპირისა), „ტრაპიზონის სამეფომ“ კი განაგრძო დამოუკიდებელი არსებობა 1461 წლამდე. ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა ის იქნება, რომ ჩვენ ვაღიაროთ: „ტრაპიზონის სამეფოს“ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული ტომისაგან, ჭანებისაგან, შესდგებოდა და ეს სამეფო პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან იყო დაკავშირებული. და მიქელ პანარეტოსის „ქრონიკაში“ უხვად არის მასალა ბიზანტიის მთავრობის ბრძოლის შესახებ ტრაპიზონის სამეფოს წინააღმდეგ მის ჩამოსაშორებლად საქართველოს სახელმწიფოებრიობისაგან.

*
* *
*

„ტრაპიზონის ქრონიკა“ ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (Vebetis-Marcianus, XV საუკუნისა), იგი გამოცემული აქვთ ნაწილობრივად და სრულადაც ლ. ტაფელს, ი. ფალმერაიერს, სპ. ლამბროსს, ალ. ხახანაშვილს და უკანასკნელად ი. პამბუკესს. ამ გამოცემათა (უკანასკნელის გარდა) და ძირითადი ნუსხის (Marcianus) წაკითხვები შესწავლილი აქვს და დაწვრილებით აღწერილი დოც. ალ. გამყრელიძეს თავის 1960 წლის გამოცემაში. ქვემოთ მოყვანილი ტექსტი „ქრონიკისა“, თავისი თარგმანითა და შენიშვნებით, უმთავრესად ემყარება დოც. ალ. გამყრელიძის ნაშრომს, რომელშიც დაწვრილებით და საფუძვლიანად არის გაშუქებული მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკასთან“ დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი დ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


I. T. P a m p u k e s, Τοῦ πρωτοσεβαστου καὶ πρωτονοταρίου
Μιχαήλ Παναρέτου περί τῶν τῆς Τραπεζούντος βασιλέων, τῶν μεγάλων

λων Κομνηνών, ὅπως καὶ πότε καὶ πόσον ἕκαστος ἐβασίλευσεν (1204 – 1426). ათენი 1947 (ჩვენთვის მიუწვდომები იყო).

ალ. გამყრელიძე, მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33. თბ. 1960, გვ. 98 (ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანი, კრიტიკული აპარატი სხვადასხვა გამოცემებიდან და მ-ხელნაწერიდან ვარიანტების ჩვენებით, და კომენტარები).

Трапезундская Хроника Михаила Панарета. Греческий текст с переводом, предисловием и комментариями издал А. Х а х а н о в. Москва 1905; XXXIV+51+ XI стр.

Ф. У с п е н с к и й, Очерки из истории Трапезунтской империи. Лгр. 1929.



ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოსებისა თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა

დიდი კომნენოსის ბატონ ალექსის მეფობა (1204 – 1222)

1. მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო. დიდებულ ქალაქ კონსტანტინეპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის ¹, გულმოდგი-

¹ ბიზანტიურ მწერლობაში, დღეს-დღეობით, ეს პირველი შემთხვევაა თამარ მეფის მოხსენებისა, თარიღი 1204 წელი ლათინთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების თარიღია და ტრაპიზონის სამეფოს დაარსებისა საქართველოს მთავრობის ინიციატივით და მისი თაოსნობით. თამარის ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: თამარი «განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმიონი, სამილონი, სინოპი, კერასუნდი. კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანნი, და მისცა ნათესავსა თვსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი» (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 142, 19 – 23).

თამარის ისტორიკოსმა ისიც კარგად იცის, რომ ამ დროს იყო რომ ლათინებმა (1204 წელს) ბიზანტიის სამეფო დაიპყრეს, ისტორიკოსი წერს «ხოლო

παρέλαβε τὴν Τραπεζοῦντα μὴν Ἀπριλλίῳ, ἰνδ. ζ', ἔτει ,ρψβ' (6712), ἐτῶν ὠν κβ'. Καὶ βασιλεύσας ὀκτωκαίδεκα, ἐκοιμήθη Φεβρουαρίου α', ἡμέρα α' τῆς ὀρθοδοξίας ἔτους ,ρϗλ' (6730), ἐτῶν γενόμενος τεσσαράκοντα.

Βασιλεία κϣρ
Ἀνδρονίκου τοῦ
μεγάλου Κομνηνοῦ

2. Ἐτους ,ρϗλ' ἐβασίλευσεν ὁ ἐπὶ τῇ θυγατρὶ γαμβρὸς αὐτοῦ κϣρ Ἀνδρόνικος Γ' Ἰδων, ὁ Κομνηνός. Ἐν δὲ τῷ ,ρϗλ' ἔτει, τῷ δευτέρῳ χρόνῳ τῆς τοῦ Γ' Ἰδωνος βασιλείας, ἦλθεν ὁ Μελίχ Σουλτάν κατὰ τῆς Τραπεζοῦντος καὶ ἐχάσθησαν ὅσοι ἦσαν ἅπαντες. Ἐβασίλευσε δὲ ὁ Γ' Ἰδων ἔτη τρεῖσκαίδεκα καὶ ἐκοιμήθη ἐν ἔτει ,ρϗμγ' (6743).

ნებითა და ღვაწლით, და 22 წლისამ დაიაცრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონს, 6712¹ წელს. იმეფა 18 წელიწადს, გარდაიცვალა ორმოცი წლისა 6730 წელს, 1 თებერვალს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის კვირას.

დიდი კომნენოსის
ბატონ ანდრონიკეს
მეფობა (1222–1235)

2. 6730 წელს გამეფდა მისი (ე. ი. მეფე ალექსის) ასულის მეუღლე ბატონი ანდრონიკე გიდონ-კომნენოსი.² ხოლო 6731 წელს, გიდონის მეფობის მეორე წელს, მოვიდა მელიქ-სულტანი, დაესხა თავს ტრაპიზონს და ყველაფერი მოაოხრა. გიდონმა კი იმეფა 13 წელიწადს და გარდაიცვალა 6743 წელს.

ესმა ესე ფ რ ა ნ გ თ ა (ე. ი. ლათინთა, ს. ყ.), რამეთუ მოელო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუდეს სამეუფო ქალაქი, მეფობისა თანა» (იქვე), ესე იგი: აიღეს კონსტანტინეპოლი და მთელი სამეფო. მაშასადამე, თამარის ისტორიკოსი ამას სწერს 1204 წლის შემდეგ.

ტრაპიზონის სამეფოს პირველი მეფე, მაშასადამე, არის ალექსი კომნენოსი, ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე I კომნენოსის (1183 – 1185) შვილი, როგორც წერს თამარის ისტორიკოსი, ხოლო ისტორიკოს გიორგი აკროპოლიტეს აზრით იგი იყო ანდრონიკეს შვილიშვილი (იხ. აქვე ზემოთ გვ. 45), ე. ი. ის იყო ანდრონიკე I-ის შვილის, მანუილის, შვილი.

¹ თარიღები ნაანგარიშვია ყველგან ბიზანტიური წელთაღრიცხვით, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე ითვლის 5508 წელს, ე. ი. 6712 წ. უდრის ახალი წელთაღრიცხვით 1204 წელს.

² გაურკვეველი მიზეზების გამო ალექსი I-ის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი სიმე, ასულის ქმარი, ან დ რ ო ნ ი კ ე გ ი დ ო ნ ი და არა ალექსის ვაჟი იოანე აქსუხოსი. ანდრონიკეს დროს ტრაპიზონის სამეფო მოაოხრა იკონიის სულთანმა მელიქმა, დახარკა ტრაპიზონი და ჯარის გამოყვანა დაავალა სასულტნოს დასახმარებლად.

Βασιλεία Ἰωάννου τοῦ
Ἀξούχου

Καταλείψας τὸ βασίλειον τῶ
αὐτοῦ μὲν γυναικαδῆλφω, σὺν δὲ
πρωτοτόκῳ Ἀλεξίου, τοῦ μεγάλου
Κομνηνοῦ, κυρῶ Ἰωάννη
Κομνηνῶ τῶ Ἀξούχῳ¹ ἔδωκε βα-
σιλεύσας ἕτη ἑξέκοιμήθη ἔτους
ἑξακισχίλια ἑπτακόσια τεσσαρά-
κοντα ἕξ. Λέγεται δὲ, ὅτι ἐν τῶ
τῆς κακιστηρίῳ² παύσων ἐκρημνί-
σθη καὶ σπαραχθεὶς ἀπέθανε.

Βασιλεία Μανουήλ, τοῦ
μεγάλου Κομνηνοῦ

3. Ἀπεκάρη γοῦν κατὰ μονα-
χοὺς Ἰωαννίκιος καὶ διεδέξατο
τὴν βασιλείαν ὁ δευτέρως ἀδελφὸς
αὐτοῦ, κῆρ Μανουήλ, ὁ μέγας
Κομνηνός, ὁ στρατηγικώτατος
ἄμα καὶ εὐτυχέστατος, τῶ αὐτῶ
,σψμσ' (6746) ἔτει. Ἐν δὲ τῶ
πέμπτῳ ἔτει τῆς αὐτοῦ βασιλείας
'σψνα' ἔτει, ἰνδικτίωνος ιε', μηνί

იოანე აქსუხოსის
მეფობა (19535 – 19538)

გიდონმა სამეფო დაუტოვა თავის ცოლისძმას, დიდი კომნენოსის ალექსის პირმშო ძეს, ბატონ იოანე¹ კომნენოს-აქსუხოსს, რომელმაც იმეფა ექვს წელიწადს და გარდაიცვალა 6746 წელს. ამბობენ, ცხენბურთის მოედანზე თამაშის დროს ცხენიდან გადმოვარდა, დაიმტვრა და მოკვდაო.

დიდი კომნენოსის
მანუილის მეფობა
(1988 – 1968)

3. ხოლო იოანიკიოსი ბერად აღიკვეცა³ და მეფობა იმავე 6746 წელს ერგო მის მეორე ძმას, ბატონ მანუილს, დიდ კომნენოსს, ყველაზე სახელოვანსა და უბედნიერეს სარდალს. მისი მეფობის მეხუთე წელს, 6751 წელს, მე-15 ინდიქტიონს, იანვარში, დიდი ხანძარი გაჩნდა. იმეფა კი

¹ თარიღები ერთმანეთს არ ეფარდება: იოანე I აქსუხოსი გარდაიცვალა 6746 წელსო, ე. ი. 1238 წელს (გამეფდა 1235 წელს). მაშასადამე, მან იმეფა სამ წელს და არა „ექვს წელიწადს“.

² ეს უნდა იყოს ჩოგანბურთი, რასაც ადასტურებს სახელწოდებაც *τῆς κακιστηρίῳ*. ამ სიტყვის ძირითადი ნაწილი τῆς κακ (თუ τῆς κακ) უნდა იყოს «ჩოგან». რომ ამ სიტყვაში „Ο“ უნდა იყოს, ჩანს იქიდან, რომ წყაროების მიხედვით დადასტურებულია და მისგან წარმოებული სხვა სიტყვები (მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტის შრომაში „ცერიმონიათა შესახებ“, იხ. სოფოკლესის ლექსიკონი, გვ. 1080 – 1081). „ჩოგანი“ სპარსული სიტყვაა (tshu-qan) და, საბას განმარტებით ნიშნავს: «საბურთალი კავი (კაკვი)».

³ აქედან ჩანს, რომ იოანე I აქსუხოსს ჰყოლია ორი ვაჟი: იოანიკიოსი და მანუილი (იოანიკიოსის «მეორე ძმა»). იოანიკიოსი ბერად შემდგარა და სამეფო ტახტი 6746 (ანუ 1238) წელს მიუღია მანუილ I კომნენოსს.

Ἰανουαρίῳ, ἐγένετο μεγάλη πυρ-
καϊά. Βασιλεύτας δὲ καλῶς καὶ
θεαρέστως ἔτη εἰκοσιπέντε, ἐκοι-
μήθη μηνὶ Μαρτίῳ ἔτους ςψοα' (6771).

კეთილად და ღვთის საამებლად
25 წელიწადს ¹. გარდაიცვალა
6771 წლის მარტში.

Βασιλεία Ἀνδρονικοῦ
τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ

4. Καὶ ἐβασίλευσε προτροπῇ
τούτου καὶ ἐκλογῇ ἐκ τῆς δεσ-
ποίνης κυρᾶς Ἀννης, τῆς Ξυλα-
λόης, υἱὸς αὐτοῦ, κνρ Ἀνδρό-
νικος ὁ Κομνηνός, ἔτη τρία, καὶ
ἐκοιμήθη ἔτους ςψοδ' (6774).
Καὶ ἐβασίλευσεν ὁ ἐκ τῆς κυρᾶς
Ἐιρήνης, τῆς Συριαίνης, υἱὸς
τοῦ κνρ Μανουήλ κνρ Γεώρ-
γιος, ὁ Κομνηνός, ἔτη δεκατέσ-
σαρ' ἔς καὶ παρεδόνθη παρὰ τῶν

დიდი კომნენოსის
ანდრონიკეს მეფობა
(1263 – 1266)

4. იმეფა სამ წელიწადს ამი-
სივე (ე. ი. მანუილის) მოწვევითა
და არჩევით, დედოფალ ქალბა-
ტონ ანნა ქსილალოესთან ნაყოლ-
მა მისმა ძემ ბატონმა ანდრო-
ნიკე კომნენოსმა და გარდაიც-
ვალა 6774 წელს. და იმეფა
თოთხმეტ წელიწადს ბატონ მა-
ნულის ძემ, ქალბატონ ირინე
სირიკენესთან ნაყოლმა, ბატონ-
მა გიორგი კომნენოსმა ², რო-

¹ როგორც აღნიშნულია ჩვენს ნუზიზმატიკურ ლიტერატურაში, მანუილის სახელით ცნობილია მონეტა, რომელიც საქართველოში (განსაკუთრებით კი დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში) ხმარებაში იყო «კირმანაულის» (ισσο Μανουήλ) სახელწოდებით. (იხ. დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, 1955, გვ. 94 – 96, რუს. გამოც.; თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქ. მუზეუმის ბიზანტიური მონეტები; თბ. 1966).

² მანუილ I-ს ჰყოლია სამი ცოლი:

მანუილ+ანნა ქსილალოე	მანუილ+ირინე, სირიკენი	მანუილ+ქართველი
მეფე ნერონის II კომნენოსი (1263-1266)	მეფე ათამაა I კომნენოსი (1265-1280)	ასული თეოდორა

გიორგი I კომნენოსმა 14 წელი იმეფა (1266 – 1280), მან ილაშქრა თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ, რომლებიც სასაზღვრო მხარეებს არბევდნენ; შუა ბრძოლაში, ტავრეზიონის მთაში, მას უღალატეს მთავრებმა, სარდლებმა და მეთაურებმა, და იგი მტერს ჩაუვარდა ტყვედ.

მანუილის ერთ-ერთი ცოლი იყო რუსუდან ქართველი, რომელთანაც ეყოლა ასული თეოდორა (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1966, გვ. 206). ივ. ჯავახიშვილი წერს; „მანუილ პირველის მესამე თანამეცხედრეს რუსუდანი ერქვა და ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ მასაც საქართველოსთან კეთილმოყვრობა უმჯობინებია. სამხედრო დასს, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ იმდენი ძალა ჰქონდა, რომ კონსტანტინეპოლის გაბატონებისათვის წინააღმდეგობა გაეწია“.

ἀρχόντων ἐπιβοήθως ἐν τῷ ὄρει
τοῦ Ταυρεζίου καὶ ἐξωγρήθη μη-
νὸς Ἰουνίου.

Βασιλεία Ἰωάννου τοῦ
μεγάλου Κομνηνοῦ

ὁ. Τῷ γούν ἀστῶ ἔτει διεδέ-
ξατο τὰ σκήπτρα ὁ δεύτερος
ἀδελφὸς ἀστῶν, ὁ κῆρ Ἰωάν-
νης, ὁ μέγας Κομνηνός· καὶ μετὰ
ἐνιαυτὸν ἔνα ἐπέκληθεν ἀστῶ ἡ

მელსაც ვერაგულად უღალატეს:
მთავრებმა ტავრეზიონის მთაში-
და ტყვედ ჩავარდა ივნისში.

დიდი კომნენოსის
იოანეს მეფობა (1280–1297)

5. იმავე წელს სკიპტრა ერგო
მის მეორე ძმას ბატონ იოანეს,
დიდ კომნენოსს. ერთი წლის
შემდეგ მოხდა პაპადოპულოსის
აჯანყება¹, მაგრამ [იოანემ] თავი

¹ ლაპარაკია პ ა პ ა დ ო პ უ ლ ო ს ი ს აჯანყებაზე. ეს უნდა იყოს შედეგი იმ ბრძოლისა, რომელიც წარმოებს ამ დროს, XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყისში, ორ დასს შორის. ერთი დასი, მეტად ძლიერი და ავტორიტეტული, შედგება ადგილობრივი ლაზური ელემენტებისაგან; ეს დასი ავითარებს თავის პოლიტიკაში ქართულ სახელმწიფოებრივ ტენდენციებს, რომელთაც მხარს უჭერს თბილისის მთავრობა (Успенский გვ. 60). ამ დასს, რომელსაც ტრაპიზონის სამეფოში უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული, უპირისპირდება კონსტანტინეპოლის მთავრობის პროპაგანდის და მისი ძირგამომთხრელი მოქმედების წყალობით შექმნილი პრობიზანტიური დასი.

ჩვენ სხვა არაფერი ვიცით პაპადოპულოსის აჯანყებაზე, მაგრამ ჩვენი ისტორიკოსის სიტყვები «იოანემ თავი განითავისუფლა, ჩავიდა კონსტანტინეპოლში, შეერთო კეისრის, ბატონ მიხეილ პალეოლოგოსის ასული... ევდოკია», მოწმობს იმას, რომ პრობიზანტიურ პოლიტიკას დაუძლევია მოწინააღმდეგე დასი და „ლაზთა მთავარი“ (ე. ი. ტრაპიზონის მეფე) იოანე II კომნენოსი ჰხლებია კონსტანტინეპოლში ბიზანტიის კეისარს მიხეილ პალეოლოგოსს, რომლის ასულიც ცოლად შეურთავს. მართებულად წერს თ. უსპენსკი: «До конца XIII в. трапезунтские цари женились большею частью или на туземках, или на тифлисских принцессах. Первые попытки приводить в Трапезунт невест из Палеологовской династии знаменуют уже начало константинопольского застоя, встречая протест среди придворных кругов с преобладанием местных симпатий» (Очерки 67).

გიორგი პახიმერეს დაწვრილებით აქვს აღწერილი იოანეს მიერ ევდოკიას შერთვის ამბავი, თუ რა პირობებში მოხდა და რა ღონისძიებებს მიმართა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა ტრაპიზონის მეფის გადასაბირებლად (იხ. აქვე, ზემოთ გვ. 67 – 73).

საფიქრებელია, რომ პაპადოპულოსის აჯანყება დაკავშირებულია ტრაპიზონში გაძლიერებულ პრობიზანტიურ პოლიტიკასთან. ამ ამბების შესახებ პ. ინგოროყვა წერს: „1281 წელს ტრაპიზონში მოხდა გადატრიალება ორგანიზებული ქართული პარტიის მიერ. მეფე იოანე II, რომელიც სიძე გახდა ბიზანტიელ პალეოლოგთა სამეფო სახლისა, მეფობიდან გადააყენეს და დაატყვევეს კიდეც, შემდეგ იგი თუმცა განათავისუფლეს პატიმრობიდან, მაგრამ ტრაპიზონში დარჩენის ნება აღარ მისცეს და გადაყენებული მეფე გაემგზავრა კონსტანტინეპოლში“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 286).

ἀποστασία τοῦ Παπαδοπούλου. Ἄλλ' ἐλευθερωθεὶς ἀπῆλθεν εἰς τὴν Πόλιν καὶ συνεζεύχθη τῇ θυγατρὶ μὲν κῆρ Μιχαὴλ βασιλέως τοῦ Παλαιολόγου, ἀδελφῆ δὲ κῆρ Ἀνδρονίκου βασιλέως τοῦ Παλαιολόγου, κυρᾶ Εὐδοκίᾳ Κομνηνῇ τῇ Παλαιολογίνῃ, τῇ Πορφυρογεννήτῃ. Ἰστέον δὲ, ὅτι ἔτι ζῶν ὁ κῆρ Μιχαὴλ ὁ βασιλεὺς ἐγένετο ὁ γάμος τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ Ἰωάννου μετὰ τῆς Παλαιολογίνης. Καὶ τοῦ μὲν Παλαιολόγου ἀποθανόντος Δεκεμβρίου ἢ διεδέξατο αὐτὸν ὁ υἱὸς αὐτοῦ κῆρ Ἀνδρόνικος, στηλιτεύσας τὸν αὐτοῦ πατέρα διὰ τὸ λατινόφρον.

Μετὰ δὲ τὸ 'σψϛ' (6790) ἔτος, Ἀπριλλίου μηνός, ἦλθεν ὁ βασιλεὺς Ἰβηρίας Δαυῖδ καὶ ἐπεριώρισε τὴν Τραπεζοῦντα ἄλλὰ ἀπεστράφη κενός.

Ἐν δὲ τῷ 'σψϛα' (6791) ἔτει, μηνὶ Ἀπριλλίῳ, εἰκοστῇ πέμπτῃ ἡμερᾶς, κατέλαβεν ἐκ τῆς

განითავისუფლა, ჩავიდა კონსტანტინეპოლში, შეერთო კეისრის, ბატონ მიხეილ პალეოლოგოსის, ასული, კეისარ ბატონ ანდრონიკე პალეოლოგოსის და, ქალბატონი ევდოკია მოწითშობილი კომნენოს-პალეოლოგოსი. უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი კომნენოსის იოანეს და პალეოლოგოსის ასულის შეუღლება ჯერ კიდევ კეისარ უფალ მიხეილის დროს მოხდა; ხოლო როდესაც 10 დეკემბერს პალეოლოგოსი გარდაიცვალა, მის მემკვიდრედ დარჩა მისი ძე უფალი ანდრონიკე¹, რომელმაც გაკიცხა თავისი მამა ლათინთმომხრეობის გამო.

შემდეგ, 6790 წლის აპრილში მოვიდა იბერიის მეფე დავითი², შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა უკან.

ხოლო 6791 წელს, აპრილის ოცდახუთს, მე-11 ინდიქტიონს, კონსტანტინეპოლიდან ტრაპი-

¹ მიხეილ VIII პალეოლოგოსის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ანდრონიკე II პალეოლოგოსი, რომელიც მეფობდა 1282 – 1328 წლებში. მან უარყო თავისი მამის უნიატური პოლიტიკა (იხ. ზემოთ გვ. 80, შენ. 1) და გამეფებისთანავე საერთო ენა გამოანახა მართლმადიდებელ სამღვდლოებასთან. ამიტომ წერს ჩვენი ავტორი: «გაკიცხა თავისი მამა ლათინთმომხრეობის გამო».

² როგორც ზემოთ ვწერდით, იოანე II-ის გარშემო მომხდარი ამბები უნდა მოასწავებდეს პრობიზანტიური ტენდენციების გაზრდას ტრაპიზონში და ქართული ორიენტაციის მომხრეთა დაჩრდილვას. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული «იბერიის მეფის დავითის» (რუსუდანის ძის) ლაშქრობა. დავით ნარინს ულაშქრია ტრაპიზონის სამეფოს წინააღმდეგ. ტრაპიზონისათვის ალყაც შემოურტყამს, მაგრამ ის ვერ აუღია: უკან გაბრუნებულა რიზეს მხარეში (ანუ ლ ა - ზ ი ა შ ი), რომელიც ტრაპიზონისათვის ალყის შემორტყმის წინ დაიჭირა მან (პ. ინგოროყოვა, იქვე გვ. 287).

Κωνσταντινουπόλεως ἐν Τραπεζοῦντι ὁ μέγας Κομνηνός, κῆρ Ἰωάννης σὺν τῇ Παλαιολογίνῃ οὐσῆ ὑπεγύψῃ· καὶ ἐγεννήθη ὁ μέγας Κομνηνός, ὁ κῆρ Ἀλέξιος τῷ ρϕϚβ' (6792) ἔτει. Εἶτα ἐγένετο ἡ τοῦ Κομνηνοῦ κῆρ Γεωργίου ἐπιδρομὴ καὶ κατάσχεσις δὲ καὶ Πλάνον ἔλεγον, καὶ μετ' αὐτοῦ ἡ ἐπίθσις καὶ τὸ βασιλεῖον, καὶ ἡ ἐξάλφιης φυγὴ κυρᾶς Θεοδώρας τῆς Κομνηνῆς, θυγατρὸς πρώτης τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ κῆρ Μανουὴλ ἐκ τῆς ἐξ Ἰβηρίας Ῥουσαντάνας. Καὶ πάλιν ἀπεκατέστη εἰς τὸ σκάμνιν ὁ Καλοῖωάννης ὁ Κομνηνός καὶ βασιλεύσας τὰ πάντα ἔτη ὀκτωκαίδεκα, ἐκοιμήθη ἐν τοῖς Λιμνίοις μηνὸς ἀγούστου εἰς τὰς ιϛ', ἡμέρα ς', ἰνδικτιῶνος ιεῖς, ἔτους ςωε' (6805). Ἐν γὰρ τῇ βασιλείᾳ αὐτοῦ παρέλαβον οἱ Τοῦρκοι τὴν

ზონში ჩამოვიდა დიდი კომნენოსი უფალი იოანე პალეოლოგოსის ასულით, რომელიც ფეხმძიმედ იყო და 6792 წელს იშვა დიდი კომნენოსი ბატონი ალექსი. მერე მოხდა კომნენოსზე, ბატონ გიორგიზე, ანაზდეული თავდასხმა და შეიპყრეს იგი, რომელსაც მოხეტიალესაც ეძახდნენ; ამის შემდეგ კი [მოხდა] ტახტიდან ჩამოგდება და მოულოდნელი გაქცევა ქალბატონ თეოდორა კომნენოსისა, დიდი კომნენოსის უფალ მანუილის პირველი ასულისა, რომელიც იბერიიდან მოყვანილ რუსუდანთან ეყოლა, და კვლავ დაჯდა ტახტზე კალოიოანე¹ კომნენოსი. იმეფა სულ თვრამეტ წელიწადს, გარდაიცვალა ლიმნიაში², 16 აგვისტოს, პარასკევ დღეს, მე-15 ინდიქტიონს, 6805 წელს. ხოლო ამის მეფობაში დაიპყრეს თურქებმა ხალიბია³ და

¹ „კალოიოანე“, ე. ი. „კარგი იოანე“; ამ შემთხვევაში ეს არის იოანე II. მის შესახებ სწერია აქ, რომ ის «კვლავ დაჯდა [სამეფო] ტ ა ხ ტ ზ ე», ეიς τὸ σκάμνιν. ამ უკანასკნელი სიტყვის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: იგი უნდა იყოს კნინობითი ფორმა სიტყვისა τὸ σκάμνον (ლათ. scamnum „სკამი“), რომლისაგან კნინობითი ფორმა იქნება σκάμνιον, ხოლო ხალხური წარედუქციული ფორმა უნდა იყოს σκαμνίν და არა σκάμνιν. გამოცემულ ტექსტში კი სწერია σκάμνιν „ამასვე იმეორებს თ. უსპენსკი, Очерки 91). ამ ფორმიდან არის ახალბერძნული τὸ σκαμνί. ამგვარად:

σκάμνον კნ. σκάμνιον → σκάμνιν → σκάμνί. ისევე როგორც
 παις კნ. παιδίον → παιδί → „ზავში“
 cella. კნ. κελλίον → κελλίν → κελλί „სკანა“

² ლ ი მ ნ ი ა (τὰ Λιμνία) – ტრაპიზონის სამეფოს სასაზღვრო ციხე-სიმაგრე და ნავსადგური (თ. უ ს კ ე ნ ს კ ი, Очерки 90 – 99).

³ ხალიბია – ხალიბების ქვეყანა, ამ სახელით (Χαυβία) ეს ქვეყანა ძველბერძნულ მწერლობაში მოკსენებულა მხოლოდ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიოებში.

Χαλσίδαν και γέγονε παρ' αὐτῶν
μεγάλη ἐπιδρομή, ὥστε ἀοίκους
γενέσθαι τὰς χώρας ἑλᾶς· ἔπειτα
δὲ σὼν ἔτι ἐκομίσθη τὸ λείψα-
νον αὐτοῦ ἐν Τραπεζοῦντι, καὶ ἐτά-
φη ἐν τῷ ναῷ τῆς Χρυσοκαφάλου.

Βασιλεία Ἀλεξίου τοῦ
μεγάλου Κομνηνοῦ

6. Καὶ ἐβασίλευσεν ὁ υἱὸς
αὐτοῦ, ὁ κῆρ Ἀλέξιος, ὁ μέγας
Κομνηνός, καὶ ἤγαγε γυναῖκα
αὐτῷ τὴν θυγατέρα τοῦ Πεκᾶί
ἐξ Ἰβηρίας. Ἀπῆλθεν ἡ Παλαιο-
λογίγη χήρα εἰς τὴν Πόλιν μηγὸς
Ἰουνίου ἰγ', ἔτει ,σως' (6806),
ἰνδικτιῶνος ια', καὶ πάλιν ἤλθεν
χήρα ἔτους ,σων' (6809), μηγὸς
Μαρτίου, ἰνδικτιῶνος ιδ'.

Ἐκστράτευσεν ὁ βασιλεὺς κῆρ
Ἀλέξιος κατὰ τῶν Τοῦρκων καὶ ἐν
τῇ Κερασσοῦντι καταλαβὼν ἐπίασε
τὸν Κουστουγᾶν ἔτει ,σων' (6810),
μηγὸς Σεπτεμβρίου, ὅτε καὶ ἐσκο-
τώθησαν Τοῦρκοι πολλοί. Ἐν δὲ
τῷ αὐτῷ ἔτει, Δεκεμβρίῳ ἰγ', ἡμέ-

მოახდინეს ისე დიდი თავდასხმა,
რომ მთელი მხარე გაპარტახდა.

შემდეგ მისი (ე. ი. კალიოთანეს)
ნემტი უვნებლად გადმოასვენეს
ტრაპიზონში და დაკრძალეს ხრი-
სოკეფალოსის ტაძარში.

დიდი კომნენოსის
ალექსის მეფობა
(1297 – 1330)

6. გამეფდა მისი ძე, უფალი
ალექსი, დიდი კომნენოსი¹, და
ცოლად მოიყვანა ბექას ასუ-
ლი იბერიიდან. პალეოლოგოსი
ასული, ქვრივი წავიდა კონს-
ტანტინეპოლში 6806 წლის 13
ივნისს, მეთერთმეტე ინდიქტიონს
და უკან დაბრუნდა ქვრივი 6809
წელს, მარტში, მე-14 ინდიქ-
ტიონს.

მეფემ უფალმა ალექსიმ გა-
ილაშქრა თურქებზე, შევიდა
კერასუნტში, შეიპყრო კუსტუ-
განი 6810 წლის სექტემბერში
და მამინ დაიხოცა მრავალი
თურქი. ამავე წლის 13 დეკემ-
ბერს, ხუთშაბათ დღეს გარდა-

¹ ალექსი II კომნენოსი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, ბექა I სარგისისძის ასული: «ბექა განდიდებულ იყო – წერს ჟამთააღმწერელი, – და აქუნდა ტასისკართგან ვიდრე სპერამდე. ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კირ მიხაილ (ივ. ჯავახიშვილის კონიექტურით; კ ი რ ა ლ ე ქ ს ი), და ასული ბექასი ცოლად მოიყვანა» („ქაოთლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 304,10). ამის შესახებ გადმოგვცემს გიორგი პახიმერეც, რომელიც აღნიშნავს, რომ ბიზანტიის კეისარი ანდრონიკე II პალეოლოგოსი თავის დისწულს ალექსის სხვა ქალს უმზადებდა საცოლედ, მაგრამ მან «იბერთა ერთი წარჩინებულის ასული მოიყვანა ცოლადო» (იხ. ზემოთ, გვ. 81 – 82).

ρα ε', ἐκοιμήθη ἡ δεσποίνα, κυρὰ
Εὐδοκία ἡ Παλαιολογίνα.

Μηνὶ Νοεμβρίῳ λ', ἡμέρᾳ α',
ἔτει ςωια' (6811), ἐγένετο πυρκαϊὰ
μεγάλῃ ἐντὸς τοῦ κάστρου. Ἐν
δὲ τῷ ἐπιόντι ἔτει ἐπυρπολήθη
ἡ ἐξάρτισις² μῆνος Ἰουίνου παρὰ
τῶν Λατίνων, ὅτε καὶ ἐγένετο
μέγας πόλεμος.

Ἦρπαξεν ὁ Παριάμης τὰς
τξέργας ἔτει ςωκβ' (6822), μῆνος
Ἰουλιού εἰς τὴν β'.

Ἦμέρᾳ β' Σεπτεμβρίῳ ἔτους
ςωκζ' (6827) ἐγένετο μεγάλη πυρ-
καϊὰ παρὰ τῶν Σινοπιτῶν³ καὶ ἐλυ-
μήνατο τὸ πῦρ πάντα τὰ ὠραια³
τῆς πόλεως, τὰ τε ἐντὸς καὶ ἐκτὸς.

7. Ἐκοιμήθη ὁ μέγας Κομνη-
νὸς ὁ κῆρ Ἀλέξιος, μηνὶ Ματίῳ
γ', ἡμέρᾳ ε', ἰνδ. ιγ', ἔτει ςωλη'
(6838), βασιλεύσας ἔτη λγ' παρὰ
μῆνας γ'.

8. Καὶ ἐβασίλευσεν ὁ υἱὸς
αὐτοῦ, ὁ κῆρ Ἀνδρόνικος, ὁ μέ-
γας Κομνηνός, καὶ ἐφόνευσε τοὺς
δύο ἀδελφούς αὐτοῦ, τὸν τε
Ἀζαχουτλον, κῆρ Μιχαήλ, καὶ
κῆρ Γεώργιον, τὸν Ἀχπουγάν.

იცვალა დედოფალი ქალბატონი ევდოკია¹, პალეოლოგოსის ასული.

6811 წლის 30 ნოემბერს კვირა დღეს ციხის შიგნით გაჩნდა დიდი ხანძარი. მომდევნო წლის ივნისში ხანძრით გაანადგურეს ლათინებმა საზღვაო საწყობი, როდესაც დიდი ბრძოლა მოხდა.

6822 წლის 2 ოქტომბერს ბაირამ-ბეიმ გამარცვა საქონლის სადგომები.

ორშაბათს, ... სექტემბერს, 6827 წელს, სინოპელებმა გააჩინეს დიდი ხანძარი და ცეცხლმა გაანადგურა ქალაქის ყველა ბელაღები შიგნით და გარეთ.

7. დიდი კომნენოსი, უფალი ალექსი გარდაიცვალა 3 მაისს, ხუთშაბათს, მე-13 ინდიქტიონს, 6838 წელს; იმეფა 33 წელიწადს 3 თვით ნაკლებ.

8. გამეფდა მე მისი, დიდი კომნენოსი, უფალი ანდრონიკე⁴ და დახოცა თავისი ღვიძლი ორი ძმა: უფალი მიხეილი – აზახუტლუ და უფალი გიორგი – აღბულა. ხოლო ბატონმა ანდრონიკემ იმე-

¹ ესე იგი იოანე II-ის მეუღლე, დედოფალი ევდოკია, მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასული (Παλαιολογίνη), რომელიც, როგორც ქვევით სწერია, გარდაიცვალა 6810 (1302) წლის 13 დეკემბერს.

² ἐξάρτισις codd. ob. Sophocles s. v.

³ ὠραιῶν ანუ ὄρειον, ლათ. horreum.

⁴ ანდრონიკე III კომნენოსი (1330 – 1332), ალექსი II-ის ვაჟი. ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი ერთ-ერთი ძმის სახელი „ა ღ ბ უ ღ ა“. უთუოდ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთან იქნებოდა დაკავშირებული ანდრონიკეს შეტაკება ძმებთან, რომლებიც მას დაუხოცავს.

Ἐβασίλευσε δὲ ὁ κςρ Ἀνδρόνικος ἔτος α' καὶ μῆνας η', καὶ ἐκοιμήθη μὴν Ἰανουαρίῳ ἡμέρᾳ θ', ἰνδ. ιε' ἔτει ,σωμ' (6840).

9. Καὶ ἐδέξατο τὴν βασιλείαν ὁ υἱὸς αὐτοῦ ὁ κςρ Μανουήλ, ὀκταέτης ὢν καὶ ἐκράτησε μῆνας η'. Ἐν τῇ γὰρ βασιλείᾳ αὐτοῦ ἦλθεν ὁ Παριάμης μετὰ φασσάτου πολλοῦ ἕως τὸν Ἀσώματον. Καὶ ἐσκοτώθησαν Ἰουδαῖοι πολλοὶ καὶ ἔφυγον ἀκόσμως· ὅτε καὶ ἤρπάγησαν ἄλογα πολλὰ Τουρκικὰ, μὴν Ἀδγούστῳ, ἔτει ,σωμ' (6840).

Κατὰ δὲ τὸν Σεπτέμβριον μῆνα κβ', ἡμέρᾳ β', ἔτει ,σωμ' (6841), ἦλθεν ὁ μέγας Κομνηνός, κςρ Βασίλειος, ἐκ τῆς Κωνσταντινουπόλεως, υἱὸς μὲν τοῦ μεγάλου Κομ-

ფა წელიწადსა და 8 თვეს და გარდაიცვალა 8 იანვარს, ოთხშაბათს, მე-15 ინდიქტიონს, 6840 წელს.

9. ჩაიბარა მეფობა მისმა ძემ. რვა წლის ბატონმა მანუილმა ¹ და იმეფა მან 8 თვეს, ხოლო მის მეფობაში მოვიდა ბაირამ-ბეი დიდი ჯარით თვით ასომბატოსამდე. მრავალი თურქი გაწყდა და ჯარი გაიფანტა. მაშინ ბევრი თურქული ცხენი იალაფეს, 30 აგვისტოს, კვირას, 6840 წელს.

22 სექტემბერს, ორშაბათს, 1-ლ ინდიქტიონს. 6841 წელს კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ბასილი ², დიდი კომნენოსის უფა-

¹ მანუილ II კომნენოსი (1332 წ.). ანდრონიკე III-ის ვაჟი.

² ბასილ I (1330 – 1340) ალექსი II-ის ვაჟია. მაშასადამე, ალექსი II-ს ოთხი ვაჟი ჰყოლია: ანდრონიკე, ბასილი, მიხეილი და გიორგი-ალბულა.

ალექსი II კომნენოსი-ბექას ასული

ანდრონიკე III (1330–1332) ბასილ I(1333–1340) მიხეილი გიორგი-ალბულა

პირდაპირი ცნობა არაა იმის შესახებ, ეს ოთხივე ვაჟი ბექას ასულისგან ჰყავდა ალექსის, თუ სხვადასხვა ცოლისაგან. ის გარემოება, რომ ჯერ ანდრონიკემ გამეფებისთანავე თავისი ორი ძმა (მიხეილ II მიქელი და გიორგი || ალბულა), ორი ღვიძლი ძმა (აύταδέλφους) მოკლა და ამ დროს, როგორც ჩანს მესამე ძმა ბასილი (საფიქრებელია, პრობიზანტიური ორიენტაციისა) კონსტანტინეპოლში იყო, ხოლო შემდეგ ჩამოვიდა კონსტანტინეპოლიდან და გამეფდა, იმის დასკვნის საბუთს იძლევა, რომ ყველაფერი ის, რაც 1332 – 1340 წლებში ხდება, შედეგია სხვადასხვა ორიენტაციის ტრაპიზონელებს შორის ბრძოლისა. ამ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ ბასილმა სიცოცხლეს გამოასალმა ტრაპიზონის სამეფოს დიდი დომესტიკოსი ჯ ა ბ ა, სახელის მიხედვით ქართული ორიენტაციისა ჩანს. ბერძნული Τζάμπαν, როგორც ეს მართებულად აქვს გადმოცემული ალ. გამყრელიძეს, „ჯაბა“ უნდა იყოს და არა Παμπა, როგორც წერს ალ. ხახანაშვილი და

νηνοῦ, τοῦ κῆρ Ἀλεξίου, ἀδελ-
φός δὲ δεῦτερος κῆρ Ἀνδρονίκου
καὶ παρέλαβε τὸ βασίλειον, ὅτε
καὶ τὸν μέγαν δοῦκαν Λέκην,
τὸν Τζατζιντζαῖον καὶ τὸν υἱὸν
αὐτοῦ, τὸν μέγαν δομέστικον, τὸν
Τζάμπαν, τοῦ ζῆν ἀπεστέρησε.
Τὸν δὲ ἀνεψιὸν αὐτοῦ κῆρ Μα-
νουήλ ἐπεριώρισε· τὴν δὲ καὶ
μεγάλην δουκαῖναν, τὴν Συρικαί-
ναν, ἐλίθασαν.

Ἐν δὲ τῷ Φεβρουαρίῳ μηνὶ
γ' ἡμέρα α' τῆς ὀρθοδοξίας, τῷ
αὐτῷ ἰωάννῃ (6841) ἔτσι, ἰνδικ-
τικῶν α', ταραχθεὶς ὁ ἑκτο-
μίας, μέγας δούξ Ἰωάννης, ἐσφά-
γη ὁ κῆρ Μανουήλ μαχαίρα.

Μηνὶ Σεπτεμβρίῳ ιβ', ἡμέρα
γ', ἰνδικτικῶν δ', ἔτους ἰωάννῃ
(6844), ἦλθεν ἡ δέσποινα, κυρὰ
Εἰρήνη ἡ Παλαιολογίνα, ἡ θυγά-
τηρ κῆρ Ἀνδρονίκου τοῦ Παλαι-
λόγου· καὶ εἰς τὰ ιζ' τοῦ αὐτοῦ
μηνός, ἡμέρα α', ἐβλογηθῆ τὸν
βασίλεα κῆρ Βασίλειον.

Κατὰ δὲ τὴν ε' τοῦ Ἰουνίου
μηνός, ἡμέρα σ', ἔτους ἰωάννῃ

ლი ალექსის ძე, ბატონ ანდრო-
ნიკეს მომდევნო ძმა, და დაიბ-
ყრო მეფობა. მაშინ მან დი-
დი დუქსი ლევის ჭაჭინჭეოსი და
მისი ძე, დიდი დომესტიკოსი ჯა-
ბა სიცოცხლეს გამოასალმა, თა-
ვისი ძმისწული უფალი მანუი-
ლი გაამევა, ხოლო დიდი დუქ-
სის¹ მეუღლეც სირიკენა, ჩააქოლ-
ვინა.

13 თებერვალს, მართლმადი-
დებლობის კვირას, იმავე 6841
წელს, პირველ ინდიქტიონს, ამ-
ბოხება მოაწყო საჭურისმა დიდ-
მა დუქსმა იოანემ და მახვილით
მოიკლა ბატონი მანუილი.

12 სექტემბერს, სამშაბათს,
მე-4 ინდიქტიონს, 6844 წელს
ჩამოვიდა დედოფალი ქალბატო-
ნი ირინე, უფალ ანდრონიკე
პალეოლოგოსის ასული, და იმავე
თვის ჩვიდმეტს, კვირას, იკურთ-
ხა მეფედ ბატონი ბასილი.

5 ივლისს, პარასკევს, 6844
მოვიდა ტრაპიზონში შეიხ-ჰასა-

იმეორებს თ. უსპენსკი: რადგან β ბიზანტიურ პერიოდში ვინი იყო, ამიტომ „ბ“-ს
გამოსახატავად იხმარებოდა μπ.

ბასილ I კომნენოსის ბიზანტიურ ორიენტაციას ისიც ამჟღავნებს, რომ ის
კონსტანტინეპოლში „გაქცეულა“ და ცოლიც (ირინე) იქიდან მოუყვანია, ანდრო-
ნიკე II პალეოლოგოსის ასული ირინე.

¹ დიდი დუქსი (dux) ანუ ტრაპიზონის დუქსი. ტრაპიზონის სამეფო გაყო-
ფილი იყო სამ სამხედრო ოლქად ანუ ვანდად (Βάνδιον, ვანდი; ასეა პეტრიწონის
ტიპიკონში. იხ. მ. თარხნიშვილის გამოც. გვ. 12,16); მაცუკის ვანდა, გიმორის
ვანდა და ტრაპიზონის ვანდა (თ. უსპენსკი გვ. 82). ტრაპიზონის ვანდის მეთაური
იოანე საჭურისი, რომელსაც დიდი დუქსის წოდება ჰქონდა, დიდძალი ჯარით
მოვიდა ტრაპიზონში და დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი. და, როგორც ცოტა
ქვემოთ არის ნათქვამი, მოკლა მცირეწლოვანი მანუილი.

(6844), ἤλθεν ὁ Σιχασάν, ὁ υἱὸς τοῦ Ταμαρτᾶ, εἰς τὴν Τραπεζοῦντα· καὶ γέγονε πόλεμος εἰς τὸν Ἀχάντακον τοῦ ἁγίου Κηρίκου, καὶ εἰς τὸν Μινθρίον. Καὶ θεοῦ εὐδοκοῦντος ἐτρέπη ὑποβρύχιος, καὶ ἔφυγεν, ὅτε ἐσκοτώθη ὁ αὐτοῦ ραβίης, ὁ υἱὸς τοῦ Ῥουστάμη.

Μηνὶ Μαρτίῳ β', ἡμέρᾳ β' τῆς ἀρχιεπιστομῆς τῆς ἁγίας μ', ἐγένετο ἔκλειψις τοῦ ἡλίου ἀπὸ ἄρας δ' ἕως ἄρας ζ', καὶ ἐταράχθη τὸ κοινὸν κατὰ τοῦ βασιλέως, ὥστε καὶ ἔξωθεν τὸν κοῦλᾶ συναχθέντες λίθους ἔσυραν εἰς αὐτὸν ἔτους ρωμῆ'.

Ἔτους ρωμᾶ' (6847), μῆνός Ὀκτωβρίου ε', Ἰνδικτιῶνος ζ' ἐγεννήθη ὁ Κομνηνὸς κῆρ Ἰωάννης ὁ ἐπονομασθεὶς Ἀλέξιος, ὁ υἱὸς τοῦ κῆρ Βασιλείου ὁ δευτε-

ნი ტამარტას-მე, და მოხდა ბრძოლა წმიდა კვირიკეს ახანტაკასა და მინთრიონთან. მაგრამ ღვთის წყალობით თავდასხმა უკუგდებულ იქმნა და [მტერი] აოტეს. მაშინ მოიკლა [იბ]რაიმ რუსტამის ძე.

2 მარტს, წმიდა ორმოცდღიანი დიდმარხვის მეორე დღეს, 4 საათიდან 7 საათამდე მოხდა მზის დაბნელება 5845 წელს აუჯანყდა მეფეს ხალხი იმდენად, რომ ციხის გარეთ შეიკრიბა და ქვების სროლა დაუწყო მას.

5 ოქტომბერს, მე-7 ინდიქტიონს, 6848 წელს დაიბადა უფალი იოანე კომნენოსი ალექსით წოდებული, ბატონი ბასილის მეორე ძე¹. იკურთხა გვირ-

34. Μηνὶ Ὀκτωβρίῳ κζ', ἡμέρα ς', ἰνδικτιῶνος β', ἔτους ἰωσφ' (6872), καθεζομένου τοῦ βασιλέως ἐν τῷ ποταμῷ τοῦ Ἁγίου Γρηγορίου κατὰ τὸν καταβατόν¹, αἰφνης περιέπεσον αὐτῷ οἱ ἐκ τῶν ἀρχόντων Καβαζῖται, ὁ μέγας λογοθέτης κδρ Γεώργιος ὁ Σχολάρις καὶ ἕτεροι, καὶ ἐδίωξαν αὐτὸν ἀπ' ἐκεῖ μέχρις αὐτοῦ τοῦ κουλᾶ. Καὶ οἱ μὲν Καβαζῖται διὰ ξηρᾶς φυγόντες συελήφθησαν καὶ ἐκρατήθησαν, ὁ δὲ μέγας λογοθέτης σὺν τοῖς περὶ αὐτὸν ἀπῆλθεν εἰς τὴν Κερασούντα, εἶτα εἰς τὴν Ἀμυσούν. Ὅτε καὶ ὁ μητροπολίτης Τραπεζούντος Νίφων ὁ Πτερυγιανίτης, κοινωνὸς ὢν τῆς βουλῆς, περιωρίσθη ἐν τῇ μονῇ τῆς Σουμελᾶς ἐν Τραπεζούντι.

ლოზაზე, რომ კეისარ პალეოლოგოსის ძეს წამოეყვანა ცოლად ტრაპიზონის მეფის, დიდი კომნენოსის ბატონი ალექსის ასული. წამოვედით 5 ივნისს, იმავე, 6871 წელს, რათა 15 აგვისტოს შევხვედროდით მის (ე. ო. ტრაპიზონის მეფის) სიძეს ხუტლუბეგს, თურ-ალის ძეს. მაგრამ ვერ შევხვდით მაშინ თურქებში გაჩენილი შავი ჭირის გამო. 27 დღის შემდეგ კვლავ დავბრუნდით ტრაპიზონში.

აἰφνίδιον θάνατον, μεθ' ἡμέρας

34. 27 ოქტომბერს, პარასკევს, მეორე ინდიქტიონს, 6872 წელს, როცა მეფე იმყოფებოდა მდინარეზე წმ. გრიგოლის სახელობის წყალვარდნილთან, უეცრად დაესხნენ მას თავს მთავარ კავაზიტისების გვარისანი, დიდი ლოგოთეტი ბატონი გიორგი სხოლარისი და სხვანი, და სდიეს მას იქიდან თვით ციხე-დარბაზამდე. კავაზიტისები ხმელეთით რომ ილტვოდნენ, მაშინ დაეწივნენ მათ და შეიპყრეს, ხოლო დიდი ლოგოთეტი თავისიანებით კერასუნტში მივიდა, მერე კი ამინსუში. მაშინ ტრაპიზონის მიტროპოლიტი ნიფონ პტერიგიონიტისიც, შეთქმულების მონაწილე, სუმელის მონასტერში მოათავსეს ტრაპიზონში. ხოლო 29

¹ καταβατόν M (და პავადოპულოსი; ლამბროსი წერს καταβατόν) – „წყალვარდნილის ერთი სახე“ (ὁ καταβατός).

Τῇ δὲ κθ' τοῦ Δεκεμβρίου μηνός, ἡμέρα ε' πάλιν ἦλθεν ὁ μέγας λογοθέτης, μεσάζοντας εἰς τοῦτο τοῦ Ντζιανώτου Σπίνουλα καὶ Στεφάνου τοῦ Δακνοπίη.

35. Τῷ αὐτῷ ἔτει, ἦτοι ρωσ' (6872), ἰνδικτιῶνος β', μηνὶ Μαρτίῳ ιθ' ἐν ἡμέρᾳ τῇ μεγάλῃ Τρίτῃ ἐκοιμήθη ὁ μητροπολίτης Τραπεζοῦντος κθρ Νίφων, νόσῳ προσπαλαίσας πλευρίτιδι, ἔτι ὄν ἐν τῇ Σουμელᾷ· καὶ ἐνεταφιάσθη ἀρχιερατικῶς εἰς τὴν Χρυσοκέφαλον, εἰς τὸν τάφον τοῦ μητροπολίτου κθρ Βαρνάβα. Καὶ ἐψήφισθη ὁ σκευοφύλαξ Ἰωσήφ ὁ Λαζαρόπουλος, καὶ ἀπήλθεν εἰς τὴν Πόλιν.

36. Μηνὶ Δεκεμβρίῳ ιε', ἡμέρα β' περὶ τὸν θρόνον, ἰνδικτιῶνος γ' τοῦ ρωσ' (6873) ἔτους ἐγεννήθη τῷ βασιλεῖ σὺός, δε ἐκλήθη Μανουήλ.

37. Μηνὶ Ἀπριλίῳ ιγ', τῷ αὐτῷ ρωσ' (6873) ἔτει, τῇ μεγάλῃ Κυριακῇ τοῦ Πάσχα, ἰσταμένου τοῦ βασιλέως εἰς τὸ ματάνιν, ἐγένετο δόγλησις μέσον τοῦ κονσοῦλου καὶ τοῦ παίλου, ὅτε ἦλθε καὶ ὁ μητροπολίτης κθρ Ἰωσήφ, χειροτονημένος εἰς τὸν θρόνον Τραπεζοῦντίων· καὶ τῇ Τρίτῃ τῆς διακαινησίμου γέγονεν ἡ εἰσέλευσις αὐτοῦ.

დეკემბერს, პარასკევს დიდი ლოგოთეტი, ჯიანოტო სპინოლას და სტეფანე დაკნოპინის შუამავლობით უკან დაბრუნდა.

35. აგრეთვე იმავე 6872 წელს, მეორე ინდიქტიონს 19 მარტს, დიდ-სამშაბათ დღეს ჯერ კიდევ სუმელაში მყოფი გარდაიცვალა პლევრიტით დასნეულებული ტრაპიზონის მიტროპოლიტი ნიფონი. დაკრძალეს მღვდელმთავრობის შესაბამისად ხრისოკეფალოსში, მიტროპოლიტ ბარაბას საფლავში. დაადგინეს [მიტროპოლიტად] სკევოფილაქსი იოსებ ლაზაროპულოსი და წავიდა იგი კონსტანტინეპოლში.

36. 16 დეკემბერს, ორშაბათს, ცისკრისას, მესამე ინდიქტიონს, 6873 წელს, მეფეს შეემინა ვაჟიშვილი, რომელსაც მანუილი¹ დაარქვეს

37. 13 აპრილს, იმავე 6873 წელს, აღდგომის დიდ კვირას, როცა მეფე მოედანზე იყო, მოხდა შეხლა-შემოხლა კონსულსა და ბაილს შორის. მაშინ ჩამოვიდა ტრაპიზონის [სამიტროპოლიტო] ტახტზე ხელთდასხმული მიტროპოლიტი ბატონი იოსებიც და ნააღდგომევეს, სამშაბათს, მოხდა მისი კურთხევა.

¹ ეს არის მანუილ III, რომელიც შემდეგ მეფობდა 1390 – 1412 წლებში. იგი დაბადებულია 1365 წლის 16 დეკემბერს.

38. Μηνη' Ἰουλίῳ δ', ἰνδικ-
τιῶνος γ', τοῦ ρωσ' (6873)
ἔτους κατέβη ὁ τοῦ βασιλέως γαμβ-
ρὸς Χουτλουπέκ ὁ ἀμηνῶς μετὰ τῆς
αὐτοῦ ὀμοζύγου κυρᾶς Μαρίας δέ-
σποινα χατ[οῦμ] τῆς μεγάλης Κομ-
νηνῆς ἐν ταύτῃ τῇ εὐδαίμονι πό-
λει Τραπεζοῦντι καὶ ἠγάθη τῶ
βασιλεῖ καὶ εἰσῆλθεν εἰς τὸ πα-
λάτιον. Καὶ σκηνώσας κατὰ τὸν
Ἅγιον Ἰωάννην τὸν Ἁγιοστήν
ὥσει ἡμέρας ἡ', πάλιν μετ' εἰρή-
νης ἀπῆλθε τιμηθεὶς μεγάλως.

39. Εἰς δὲ τὸ ἐπιὸν ἔτος
ἀνήλθεν ὁ βασιλεὺς εἰς τὸν Παρ-
χάριν. Καὶ ἡμεῖς ἅπαντες σὺν
αὐτῷ ἀναβάντες ἐκ Σπελίας εἰς
τὴν Φιανόην καὶ παροδεύσαντες
τὸ Γαντοπέδιον καὶ Μάρμαρα καὶ
διαβάντες τὸν Ἅγιον Μαρκοῦριον,
ἀνήλθομεν εἰς τὸν Ἀχάντακα πε-
ζοὶ καὶ καβαλλάριοι ὑπὲρ τοὺς
δισχιλίους. Καὶ ποιήσαντες μετὰ
τοῦ ἀμηνῶ ἡμέρας δ', πάλιν ὑπε-
στρέψαμεν μνη' Ἰουλίῳ ἰνδικτιῶ-
νος ε' τοῦ ρωσ' (6875) ἔτους,
καταβάντες ἐν τῇ Λαζίκῃ μετὰ

38. 14 ივლისს, მესამე ინ-
დიქტიონში, 6873 წელს, ჩამო-
ვიდა ამ სვებედნიერ ქალაქ
ტრაპიზონში მეფის სიძე ამირა
ხუტლუ-ბეგი თავისი მეუღლით,
დიდ კომნენე ქალბატონ დედო-
ფალ-ხათუნ მარიამით ¹ და ეს-
ტუმრა მეფეს და შევიდა სასახ-
ლეში. ბინად იდგა კარვებში
წმიდა იოანე ნათლისმცემელთან
დაახლოებით 8 დღეს და მერე,
დიდად პატივცემული, მშვიდო-
ბით წაბრძანდა უკან.

39. შემდეგ წელს მეფე ავიდა
პარხარში და ჩვენ ყველანი მას-
თან ერთად ავედით სპელიიდან
ფიანოეში, ავუარეთ განტოპე-
დინსა და მარმარას, განვვლეთ
წმიდა მერკურიოსი და მივედით
ახანტაკას ქვეითნი და ცხენო-
სანნი ორიათასზე მეტი. და-
ვყავით ამირასთან ოთხი დღე
და უკან გამოვბრუნდით ივნის-
ში, მეხუთე ინდიქტიონს, 6875
წელს, და ჩავედით ლაზიკეში,
ადგილს, სახელად მაკროსეგია-
ლოსს, ჯარითურთ, ხმელეთითა

¹ ქალბატონი დედოფალ-ხათუნი (δέσποινα χατოῦμ) მარიამი მოხსენებული იყო ზემოთაც (იგი არის ამიდელი მთავრის ხუტლუ-ბეგის მეუღლე): ა) **თავი 17**: «1362 წელს მოვიდა მეფის და, ქალბატონი მარიამი, დიდი კომნენე, და მისთხოვდა აგვისტოში ხუტლუ-ბეგს, თურ-ალის ძეს, ამიდელთა ამირას» (იხ. ზემოთ, გვ. 188); ბ) **თავი 26**: 1358 წელს მოვიდა ტრაპიზონში დედოფალი-ხათუნი, ქალბატონი მარიამი, მეფის და, რომელიც ამიდელ ხუტლუ-ბეგს ჰყავდა ცოლად» (იხ. ზემოთ, გვ. 193); გ) **თავი 38**: «1365 წელს ჩამოვიდა ამ სვებედნიერ ქალაქ ტრაპიზონში მეფის სიძე ამირა ხუტლუ-ბეგი თავისი მეუღლით, დიდ კომნენე ქალბატონ დედოფალ-ხათუნ მარიამით და ესტუმრა მეფეს». მარიამი არის, მამასადამე, იოანე-ალექსი III-ის და, ბასილ I-ის ასული.

δυναμεις δια τε ξηρας¹ και δια
 θάλασσης ἅμα βασιλεῖ και τη
 τούτου μητρι τη θεσποίνη, κατέ-
 χοντες ἅμα και την του βασιλέως
 θυγατέρα κυράν Ἄννην την μεγά-
 λην Κομνηνήν. ἥτις συνεζεύχθη
 τῷ βασιλεῖ τῶν Ἰβήρων και
 Ἀβασγῶν² κθρ Παγκρατίῳ τῷ
 Παγκρατιανῷ ἐν τη χώρᾳ Μακ-
 ροῦ αἰγιαλοῦ. Ἐλθόντες δὲ πα-
 ρευσθὺς ἀνήλθεν ὁ βασιλεὺς εἰς
 τὸν Παρχάριον της Ακρρχαχνης εἰς
 Χαλδίαν.

40. Μην: Νοεμβρίῳ 13', Ἰνδοκ-
 τιῶνος σ', ἔτους 1000' (6876)
 ἐξήλθεν ὁ μητροπολίτης κθρ
 Ἰωσήφ ἐκ τοῦ θρόνου της Τρα-
 πεζούντος και εἰσήλθεν ἐν τη

და ზღვით, მეფესთან და დე-
 დამის დედოფალთან ერთად;
 თან გვყავდა აგრეთვე მეფის
 ასული ქალბატონი ანნა, დიდი
 კომნენე, რომელიც მისთხოვდა
 ცოლად იბერთა და აფხაზთა
 მეფეს ბატონ ბაგრატ ბაგრა-
 ტიონს³ მაკრიალში⁴, ხოლო როცა
 წამოვედით, მეფე ლარახანიდან
 ლიმანით პირდაპირ ავიდა პარ-
 ხარში და მიაღწია ხალდიამდე.
 თბ Ἀμμόνιον και ἀπήλθεν εἰς

40. 12 ნოემბერს, მეექვსე
 ინდიქტიონს 6876 წელს, მიტ-
 როპოლიტი ბატონი იოსები გა-
 დადგა ტრაპიზონის ტახტიდან და
 შედგა [ბერად] ელეუსის მონას-

¹ δια τε ξηρας και δια θάλασσης „ხ მ ე ლ ე თ ი თ და ზღვით“. სიტყვა
 ξηρός ნიშნავს „ხმელს“ და ἡ ξηρά (გ. ო. 77) არის „ხმელეთი“, მაგრამ გამო-
 თქმისათვის „ხმელეთითა და ზღვით“ ძველ ბერძნულში, ჩვეულებრივ, იხმარება
 καιά γήν και κατά θάλασσαν. პირველად ბიბლიაში გვხვდება ἐποίησεν τήν
 θάλασσαν και τήν ξηράν (იონ. 1,9: შექმნა ზღუა და ჳ მ ე ლ ი), ἐν τῷ θάλα-
 σση και ἐπὶ της ξηρας (1 მაკ. 8,23 ზღუათა ზედა და ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზედა),
 περιάγετε την θάλασσαν και την ξηράν (მთ. 23,15: მიმოხვალთ ზღუასა ზედა),
 და ჳ მ ე ლ ს ა). შდრ. ქართული გამოთქმა „ზღვა და ხ მ ე ლ ე თ ი“.

² ხელნაწერში αβαζγών.
³ ალექსი III-ის ასულის ანნას გათხოვების შესახებ იხ. ზემოთ გვ. 192, შენ. 1.
⁴ მ ა კ რ ი ა ლ ი, ეს არის ადგილი ლაზეთში გონიასა და ხოფას შორის,
 ზღვის სანაპიროზე (ალ. გამყრელიძე). მის ბაღლად ბერძნულ ტექსტში სწერია
 ἐν τη χώρᾳ Μακροῦ αἰγιαλοῦ. უკანასკნელი გამოთქმის დასაწყისი ფორმა
 იქნება Μακροῦ αἰγιαλός „გრძელი სანაპირო“. იგივე ადგილი იხსენიება „ქრონი-
 კის“ 48. თავში, სადაც ვკითხულობთ: «ლაზიკეში რომ მივედით, მთელი ზაფხული
 იქ გავატარეთ, ადგილში სახელად მაკრეგიალუსს (κατά τὸ χωρίον Μακροαι-
 γιαλοῦς). მაშინ წამოზრმანდა იგი გონიიდან მაკრეგიალუსს (εἰς τὴν Μακ-
 ροαἰγιαλοῦν). Μακροῦ αἰγιαλός და Μακροαἰγιαλός. რასაკვირველია, ერთი და
 იგივე სიტყვაა, ხოლო ამოსავალი ფორმა უნდა იყოს Μακροαἰγιαλός, რომელიც
 მისი ფონეტიკური ტრანსკრიფციით მოგვცემს ფორმას „მაკრეალუს“, რაც, ცხა-
 დია, თუ ოც-დაბოლოებას ჩამოვამორებთ, უდრის ქართულ სიტყვას „მ ა კ რ ი ა-
 ლ ი“. აი, ასეა ეს ადგილობრივი სახელი შესული ბერძნულში, სადაც შემდეგ
 მომხდარა მისი ბერძნული გააზრება Μακροῦ αἰγιαλοῦს „გრძელი სანაპირო“,
 მით უმეტეს რომ „მაკრიალი“ მართლაც სანაპიროზე მდებარეობს.

μονή της Ελεούσης. Καί περί τὰς ἐπ' τοῦ Ἰουλίου μηνὸς τοῦ αὐτοῦ ἡμέρας (6876) ἔτους ἀπῆλθεν εἰς τὴν Κωνσταντινούπολιν διὰ τὸ καθύρσον ἃ ἐποίησαν τὰ ἀζάπικα παρασχάμια τοῖς Ἀρμενιώταις. Ὅτε καὶ ὁ περιηγημένος μου εὐδὲς Κωνσταντίνος, φεθ, φεθ μοι τῷ ἀθλίῳ καὶ ἀμαρτωλῷ, ἐν τῇ θαλάσῃ πεσὼν τῇ ἑορτῇ της Μεταμορφώσεως κατὰ τὴν μονὴν της Ἀγίας Σοφίας, τέθνηκεν, ἐτῶν ὧν ἐε' μεθ' ἐν καὶ ὁ ἑτερός μου ποθεινότητος εὐδὲς Ῥωμανός, ἐτῶν ὧν ἐζ', δυσουρικῶ προσπαλαίσαζ νοσήματι, κεκοιμήται. Λεῖποντος μου μηνὸς γ' ἡμίσην ἠπέστρεψα.

41. Τῷ αὐτῷ ἡμέρῳ (6873) ἔτει μηνὶ Μαρτίῳ εἰσελθὼν ὁ

ტერში. ცხრამეტ ივლისს, იმავე 6876 წელს, იგი წავიდა კონსტანტინეპოლში იმ თავდასხმის გამო, რომელიც მოახდინეს მეკობრეებმა არანიელებზე. აგრეთვე მაშინ ჩემი საყვარელი შვილი კონსტანტინე, – ზღვაში ჩავარდა ფერისცვალება დღეს წმიდა სოფიის მონასტერთან და დაიღუპა 15 წლისა. იმის შემდეგ ჩემი მეორე უსაყვარლესი შვილი რომანოზი, 17 წლისა, შარდის შეკავების სენით დამაბუნებული, გარდაიცვალა¹. სამთვენახევარს დავრჩი და შემდეგ დავბრუნდი.

41. იმავე 6873 წელს, მარტში, მოვიდა ქილიჯ-არსლანი² და

¹ მიქელ პანარეტოსის შვილების შესახებ იხ. ზემოთ გვ. 161 – 162.

² ორ ადგილას აქვს მიქელ პანარეტოსს მოხსენებული ყიზილ-არსლანის ლაშქრობის შესახებ: ა) «6873 (ე. ი. 1365) წელს, მარტში, მოვიდა გლიჯათმლანის და თავს დაესხა ჩვენს ქვეშევრდომობაში მყოფ ხალდიას» (თ. 41); ბ) «ტრაპიზონიდან ამბავი მოვიდა, ზლიაათმლანის-ს განხრახული აქვს ტრაპიზონს თავს დაესხას... ეს მოხდა 6888 (ე. ი. 1380) წელს» (თ. 49). ამ სახელით ცნობილი არიან ბიზანტიურ წყაროებშიაც და ქართული წყაროებთანაც სელჯუკთა სულტნები. იოანე კინამოსს იკონიის სულტანი მოხსენებული ჰყავს სახელით კლიჯათმლან, ხოლო ნიკეტა ხონიატეს – კლიჯათმლან (იხ. გეორგიკა, ტ. VI [1966]. გვ. 149 – 151). მიქელ პანარეტოსთან იკონიის სულტნის სახელია გლიჯათმლანის და ზლიაჯათმლანის. საეკვო არ უნდა იყოს, რომ აქ ერთი და იგივე სახელია. ამ სახელს ატარებენ (იხ. G. M o r a v c s i k, Byzantinoturcia II [1958] (, 161):

- 1) ყიზილ არსლან I, სელჯუკთა სულტანი (1092 – 1106);
- 2) მელიქ-შაჰი, სელჯუკთა სულტანი (1106 – 1116);
- 3) ყიზილ-არსლან II სელჯუკთა სულტანი (1156 – 1192);
- 4) თურქთა სარდალი (1365 – 1380 წლებში), მიქელ პანარეტოსთან, ქართულ წყაროებში ამ სახელის ფორმაა: ყიზილ-არსლანი.
- ა) «ყიზილ-არსლან ათაბაგსა» (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 40,1);
- ბ) «ამას ჟამსა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი. და აწ გასულტნებული მუჰლიდთა მიერ» (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 62,13: თამარის ისტორიკოსი);
- გ) «სულტნისა ყიზილ-არსლანის შვილთაგანი ერთი» (იქვე, გვ. 42.11).

Γλιτζιασθλάνης ἐπολιόρκει τὴν καθ' ἡμέρας Χαλδίαν ὅτε καὶ ἐκστρατεύσας ὁ βασιλεὺς ἀνέβη ἐκεῖ.

Μηνὶ Ἰανουαρίῳ, ἰνδικτιῶνος ζ', ἔτους ς'ωσζ' (6877) κατὰ τὴν ἡμέραν τῶν Φώτων ἐπιείσθη ἡ Γότθαι παρὰ τῶν Τούρκων κλοπικῶς· οἱ ἦν αἰτίαν ἠφηνίσθη ἡ Χαλδία, οἱ μὲν ἐν τοῖς πολέμοις, οἱ δὲ ἐν τῷ ἐκείσῃ θολίῳ σπηλαίῳ.

42. Τῷ αὐτῷ ς'ωσζ' (6877) ἔπει περὶ τὴν ἐκβασιὶν τοῦ Ἰανουαρίου ἀπῆλθεν ὁ βασιλεὺς εἰς τὰ Λιμνία μετὰ στόλου καλοῦ, καὶ λείψας τετραμηνιαῖον ἐπέστρεψεν.

43. Μηνὶ Μαίῳ, ἰνδικτιῶνος η', ἔτους ς'ωσθ' (6878) ἐξῆλθεν ὁ βασιλεὺς μετὰ τινων ὀλιγοστῶν στρατιωτῶν εἰς τὸν Παρχάριν περὶ τὰ μέρη τοῦ Μαρμάρου. Καὶ κατὰ τὴν κ' τοῦ αὐτοῦ μηνός, ἡμέρᾳ ε' ἐξαίφνης συνήτησαν Τούρκους ὡσεὶ καβαλλάρους πεντακοσίους καὶ πεζοὺς τριακοσίους. Ἦσαν δὲ περὶ τὸν βασιλεῖα ὡσεὶ ἑκατὸν καβαλλάρους· ὅτε καὶ κροτήσας πόλεμον νικᾷ κατὰ κράτος ὁ βασιλεὺς καὶ δυνάκει αὐτούς, σταίλας καὶ κεφαλὰς ἀγκρηνικὰς ἐνταῦθα καὶ τῶν τούτων σημαίαν.

44. Μηνὶ Ἀυγούστῳ γ', ἡμέρᾳ γ', ἰνδικτιῶνος η', τῷ ς'ωσθ' (6878) ἔπει εἰσῆλθεν ὁ μητροπολίτης κύρ Θεοδόσιος εἰς τὴν Τραπεζοῦντα, καὶ ἐνεθρονίσθη· δεῦρον μὲν ἐκ Θεσσαλονίκης, μο-

თავს დაესხა ჩვენს ქვეშევრდომობაში მყოფ ხალდიას. მაშინ მეფემ გაილაშქრა და იქ ავიდა.

იანვარში, მეჩვიდმეტე ინდიქტიონს, 6877 წელს, ნათლიღების დღეს ქურდულად აიღეს გოლახა თურქებმა. ამის გამო აოხრებულ იქმნა ხალდია, ერთნი დაიღუპნენ ომებში, მეორენი კი იქაურ მუხთალ გამოქვაბულებში.

42. იმავე 6877 წელს, იანვრის დასასრულს მეფე კარგი ფლოტით ჩავიდა ლიმნიაში, დარჩა იქ ოთხ თვეს და უკან დაბრუნდა.

43. მაისში მერვე ინდიქტიონის, 6878 წელს, მეომართა მცირე რიცხვით წავიდა მეფე პაირხარში მარმარის მხრიდან. ხოლო იმავე თვის 21-ს, პარასკევს, მოულოდნელად წააწყდა თურქებს, დაახლოებით ხუთას ცხენოსანს და სამას ქვეითს. მეფეს ჰყავდა დაახლოებით ასი ცხენოსანი. ამტყდარ ბრძოლაში გაიმარჯვა მეფემ, სდია მათ და იქიდან აგარიანთა თავები და მათი დროშა გამოგზავნა.

44. 13 აგვისტოს, სამშაბათს, მერვე ინდიქტიონს 6878 (1370) წელს მოვიდა ტრაპიზონში მიტროპოლიტი ბატონი თეოდოსი და დაჯდა [სამიტროპოლიტო] ტახტზე. ის წამოსული

νάξει δὲ ἐν τῷ Ἁγίῳ ὄρει χρό-
 νους κ'. Καταλαμβάνει δὲ τὴν
 εὐδαίμονα Κωνσταντινούπολιν, γε-
 νόμενος ἡγούμενος ἐν τῇ μονῇ
 τῶν Μαγγάνων· εἶτα φήρει συν-
 οδικῇ χειροτονεῖται καὶ στέλλε-
 ται. Μηνὶ Αὐγούστου α' ἀπήλθα-
 μεν ἐν τῇ Λαζική καὶ πρὸς τὸ
 ἔκβαν τοῦ μηνὸς περὶ τὰ εἰσιτή-
 ρια τοῦ σῶπα (6881) ἔτους ἐσμί-
 γαμεν τὸν βασιλέα τὸν Παγκρά-
 τιν. Εἶτα ἀπήλθαμεν εἰς τὸ Βα-
 θῆν², στήσαντες τὰς τένας ἔξω,
 ἔχοντες καὶ κάτεργα β' καὶ ξυλά-
 ρια ὡσεὶ μ'. Ἐκεῖ γοῦν ὁμιλήσαν-
 τες καὶ τῷ Γουρίλῃ, ἐλθόντι εἰς
 προσκύνησιν τοῦ βασιλέως, καὶ
 ἐξ ἡμέρας ποιήσαντες, πάλιν
 ἐστράφημεν ἰνδικτιῶνος ια'.

45. Μηνὶ Ἰανουαρίου γ', ἀπελ-
 θόντος τοῦ βασιλέως κατὰ τῆς
 Χερσιάνης καὶ χιόνος πολλῆς γε-
 νομένης καὶ χειμῶνος πολλοῦ ἐπι-
 εισπεσόντος, γέγονε τροπῆ, καὶ
 ἐπὶ ἀρήσαν Χριστιανοὶ ρμ', οἱ μὲν

იყო თესლონიკიდან და 20 წე-
 ლიწადს მონაზვნობდა მთაწმი-
 დაზე. მერე ჩავიდა სვებედნიერ
 კონსტანტინეპოლში და გახდა
 მანგანის მონასტრის წინამძღვა-
 რი. მას შემდეგ კი სინოდისაგან
 იქნა ხელთდასხმული და [ტრა-
 პიზონში] გამოიგზავნა. 6 აგვის-
 ტოს წავედით ლაზიკაში და
 თვის ზოლოს, 6881 წლის და-
 საწყისში შევხვდით ბაგრატ მე-
 ფეს¹. მას შემდეგ მივედით ბათუმ-
 ში², კარგები გარეთ, ცის ქვეშ
 დავდგით. გვქონდა 2 კატარღა
 და 40-მდე ნავი. იქ ვებასეთ
 გურიელს, რომელიც მეფის პა-
 ტისაგან მოვიდა. დავრჩით
 ექვს დღეს და უკან დავბრუნ-
 დით მე-11 ინდიქტიონს.

45. 13 იანვარს, მეფე წავიდა
 ხერსიანას, მაგრამ მოვიდა დიდი
 თოვლი, ატყდა დიდი ქარბუქი
 მოხდა უკანდახევა და 140 ქრის-
 ტიანი დაიღუპა; ზოგი მახვილის
 მსხვერპლი გახდა, ზოგი კი, უმე-

¹ ბაგრატ V-სთან შეხვედრა ხომ დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მასთან ჯვარის დასაწერად წამოიყვანეს ტრაპიზონიდან მეფის ასული ანნა (იხ თ. 39). ეს მოხდა 1367 წელს. წინამდებარე თავიდან ჩანს, რომ 1373 წელსაც მიქელ პანარეტოსი ტრაპიზონის მეფესთან ერთად კვლავ შეხვედრია საქართველოს მეფეს ბაგრატს.

² მივედით ბათუმში – εἰς τὸ Βαθῆν. ლამბროსი ასწორებს Βαθῆν . ასეთი შესწორება, რასაკვირველია, შესაძლებელია: η და υ ორივე იწად გამოითქმოდა. ლამბროსი ამ შესწორების დროს, ალბათ, იმას ეყრდნობოდა, რომ ძველი ბერძნ-
 ები „ბათუმის“ სახელს უკავშირებდნენ ბერძნულ სიტყვას Βαθῆς („ღრმა“), მაგ-
 რამ ჩვენს შემთხვევაში εἰς τὸ Βαθῆς არ იქნება მართებული; თუ აქ მხედვე-
 ლობაში აქვთ „ღრმა“, მაშინ ეს უნდა ყოფილიყო εἰς τὸ Βαθῆν (შდრ. βαθῆς, βα-
 θεία, βαθῆ). მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ τὸ Βαθῆν-ში ν აკუზატის
 დაბოლოება კი არ არის, არამედ იგი სახელობით ბრუნვაშიც არის და იქნებ ν
 ასახავდეს ქართულ „მ“-ს (Βαθῆν || ბათუმ-ი).

ἔργον σπάθης γενόμενοι, οἱ δὲ, καὶ μᾶλλον οἱ πλείονες, ὑπὸ τοῦ κρύου ἀπέθανον ἰνδικτιῶνος

46. Μηνὶ Νοεμβρίῳ ια', ἡμέρα ς' τοῦ ςωπῆ' (6882) ἔτους, ἰνδικτιῶνος ιβ': ἦλθεν ὁ τοῦ βασιλέως τῶν Ῥωμαίων κῆρ Ἰωάννου τοῦ Παλαιολόγου υἱός, ὁ κῆρ Μιχαήλ, μετὰ δύο μεγάλων κατέργων καὶ ἐνός μικροτέρου κατὰ τοῦ βασιλέως ἡμῶν. Καὶ σταθεῖς ἡμέρας ε' παλίνορτος γέγονε, μὴ ἀνύσας τ: τῶν ἀδοκῆτων, ὧν σὺν αὐτῷ ὁ πρωτοβεστιάριος κῆρ Ἰωάννης ὁ Ἀνδρονικόπουλος¹ ἔς καὶ, ἀπελθὼν ὁ Παλαιολόγος, αὐτὸς ἐξῆλθε καὶ γέγονεν ὑπόσπονδος τῷ βασιλεῖ ἡμῶν.

47. Μηνὶ Ἀπριλίῳ ιε', ἡμέρα α', ἰνδικτιῶνος ιβ', τῷ ςωπῆ' (6882) ἔτει ἐπιπέθη ἡ Πόλις παρὰ τῶν Χαλδαίων, καὶ πάλιν γέγονεν ὑπὸ τῷ βασιλεῖ, καὶ ἐμήσθη ἀμῆς ἕκαστος παρὰ τῶν ἐχθρῶν.

48. Μηνὶ Μαρτίῳ ιδ', ἡμέρα ε', ἰνδικτιῶνος ιδ' τοῦ ςωπῆ' (6884) ἔτους ἐκρημνίσθη ὁ τοῦ βασιλέως υἱός κῆρ Ἀνδρόνικος

ტესობა, სიცივით დაიხოცა მე 11 ინდიქტიონს, 6881 წელს.

ια', ἔτους ςωπα' (6881).

46. 11 ნოემბერს, პარასკევს 6832 წელს, მეთორმეტე ინდიქტიონს ჩვენი მეფის წინააღმდეგ ორი დიდი კატარლით და ერთი უფრო მომცროთი მოვიდა რომაელთა კეისრის ბატონიოანე პალეოლოგოსის ძე, ბატონი მიხეილი¹, დადგა 5 დღეს და გაბრუნდა ისე, რომ რაიმე მოულოდნელი თავდასხმა არ მოუხდენია, მასთან ერთად იყო პროტოვესტიარი ბატონიოიანე ანდრონიკოპულოსი, რომელიც პალეოლოგოსის წასვლის შემდეგ თვითონ გადმოვიდა და ჩვენი მეფის ქვეშევრდომი გახდა.

47. 16 აპრილს, კვირას, მეთორმეტე ინდიქტიონს, 6882 წელს, ხალდიელებმა დაიპყრეს გოლახა და კვლავ გახდა იგი მეფის სამფლობელო, მაგრამ მალე ისევ აიღეს იგი მტრებმა.

48. 14 მარტს, პარასკევს, მეთოთხმეტე ინდიქტიონს, 6882 წელს, მეფის ძე, ბატონი დესპოტი² ანდრონიკე დიდი კომ-

¹ ლაპარაკია ბიზანტიის კეისრის იოანე V-ის (1341 – 1390) შვილზე, რომელსაც მიხეილი რქმევია და რომელიც აგრესიული მიზნით ჩამოსულა («თავდასხმა არ მოუხდენია»); ხოლო მიხეილის პროტოვესტიარი ტრაპიზონის მეფის ქვეშევრდომი გამხდარა. ეს მოხდა 1374 წელს.

² დესპოტის წოდება მიეკუთვნებოდა ხოლმე მეფე-კეისრებს და მათ ვაჟებს. აქ დასახელებულია იოანე-ალექსი III-ის ძე ანდრონიკე, რომელიც დაღუპულა 1374 წელს. განხრახული ყოფილა მისთვის მიეთხოვებინათ საქართველოს მეფის («თბილისის მეფის») დავითის ასული. ეს უნდა იყოს დავით IX (1346 – 1360), გიორგი ბრწყინვალის ძე. ხოლო რადგან სასიძო ანდრონიკე დაღუპულა,

δεσπότης, ὁ μέγας Κομνηνὸς ἀπὸ
 τοῦ παλατίου τοῦ κῆρ Ἀνδρονί-
 κου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ καὶ
 βασιλέως. Καὶ εὐθὺς κομισθεὶς ἐν
 τοῖς ἀνακτόροις τέθνηκε καὶ ἐνετα-
 φιάσθη ἐν τῇ μονῇ τῆς Θεοσκεπάσ-
 του, ἀκολουθήσαντος ἐν τῷ ἐξοδίῳ
 αὐτοῦ τοῦ βασιλέως καὶ πατρὸς
 αὐτοῦ καὶ τῶν δεσποινῶν, τῆς τε
 μάμης τούτου καὶ τῆς μητρὸς.
 Ἐὰ δὲ συναλλάγματα, ἃ εἶχε με-
 τὰ τῆς ἐξ Ἰβηρίας, θυγατρὸς μὲν
 Δαξίνδ τοῦ βασιλέως Ἰσπανίας,
 ἀνεψιᾶς δὲ ἐπ' ἀδελφῆ τοῦ Ἀχπου-
 γᾶ, μεταφέροντα: εἰς τὸν νεώτε-
 ρον καὶ γνήσιον καὶ νόμιμον υἱὸν
 τοῦ βασιλέως ἡμῶν καὶ νέον βασι-
 λέα κῆρ Μανουήλ τὸν μέγαν Κομ-
 νηνόν. Καὶ δὲ, τῆς μνηστείας
 προβάτης, κινεῖ ὁ βασιλεὺς καὶ
 ἡμεῖς σὺν αὐτῷ Μαίῳ μῆνι ἰ', ἰν-
 δικτιῶνος ιε', ἔτους ἑσπε' (6885.
 Καὶ ἀπελθόντες ἐν τῇ Λαζიკῇ,
 διεβίβασαμεν τὸ καλοκαίριν ὄλον
 ἐκεῖ κατὰ τὸ χωρίον Μακραιγια-
 λούς ἕως εἰς τὰς ιε' Ἀύγουστου
 μηνός. Ἐτότε δὲ κατέβη κάκεινῃ
 ἀπο Γωνίας εἰς τὴν Μακραιγια-
 λόν, καὶ τῇ ἐπαύριον καινήκα-
 μεν, καὶ εἰς τὰς λ' τοῦ Ἀύγουσ-
 του ἐφθάσαμεν ἐν Ἰραπεζούντι
 ἡμέρᾳ Κυριακῇ. Περὶ δὲ τὰς ε'

ნენოსი გადმოვარდა დიდი კომ-
 ნენოსისა და მეფის ანდრონიკეს
 სასახლიდან და, როგორც კი
 შეიყვანეს სასახლეში, გარდაიც-
 ვალა. დაიკრძალა თეოსკეპასტო-
 სის მონასტერში. მის გასვენე-
 ბას ესწრებოდნენ მამამისი მეფე,
 აგრეთვე დედოფლები: მისი დი-
 დედა და დედინაცვალი, ხოლო
 საქორწინო პირობა, რომელიც
 დადებული იყო იბერიასთან თბი-
 ლისის მეფის დავითის ასული-
 სათვის, აღბუღას დისწულისა-
 თვის, გადატანილ იქნა ჩვენი მე-
 ფის უმცროს, ღვიძლ და კანო-
 ნიერ ძესა და ჭაბუკ მეფეზე,
 ბატონ მანუილზე, დიდ კომნე-
 ნოსზე. როცა შუამავლობა ჩა-
 ტარდა, წაბრძანდა მეფე და
 ჩვენც მასთან ერთად 10 მაისს,
 მეთხუთმეტე ინდიქტიონს, 6885
 წელს ლაზიკაში რომ მივედით,
 მთელი ზაფხული, 15 აგვის-
 ტომდე, იქ გავატარეთ, ადგილ-
 ში [სახელად] მაკრეგიალუსს.
 მაშინ წამობრძანდა იგი [ე. ო.
 ქართველთა მეფი ასული] გო-
 ნიიდან მაკრეგიალუსს. მეორე
 დღეს დავიძარით და 30 აგვის-
 ტოს, კვირა დღეს, მივაღწიეთ
 ტრაპიზონს. ახალი წლის ხუთ
 სექტემბერს, შაბათს, პირველ

საქორწინო შეთანხმება გადაუტანიათ მეფის უმცროს ძეზე, მანუილზე (მანუილ III, რომელიც შემდეგ მეფობდა 1390 – 1412 წლებში). მაყრების შეხვედრა მომხ-
 დარა 6885 (ე. ო. 1377) წელს მაკრიალში. დავითის ასულს სახელად გ უ ლ ქ ა ნ-
 ხ ა თ უ ნ ი რქმევია, ხოლო ქორწინების შემდეგ, 6886 (ე. ო. 1379) წელს დედო-
 ფლად რომ აკურთხეს, მას შეერქვა ე ვ დ ო კ ი ა. მასზე ლაპარაკია აგრეთვე 50.
 თავში.

τοῦ νέου ἔτους, Σεπτεμβρίου μηνί, ἡμέρα Σαββάτω, Ἰνδικτιῶνος α' τοῦ ςωπε' (6886) ἔτους ἐστέρθη ἐν τῇ βασιλικῇ προκύβει καὶ ἐκλήθη Εὐδοκία· Κουλικάν χατ[οῦμ] γάρ πρότερον ὠνομάζετο. Καὶ τῇ ἐπαύριον ἡμέρα Κυριακῇ Σεπτεμβρίου σ' ἐγένετο καὶ ὁ γάμος, καὶ ἐπεκράτησαν ἐβδόμαδαν καὶ πλεόν. Ἦν δὲ ὁ εὐλογήσας αὐτοὺς ὁ Τραπεζοῦντος Θεοδόσιος, στεφανοκράτωρ δὲ ὁ πατήρ ἦν καὶ βασιλεύς.

49. Μετὰ πολλῶν λόγων καὶ πρέσβειων, ῥωμαϊκῶν λέγω καὶ μουσουλμανικῶν, μέσον δὲ τοῦ βασιλείας καὶ Ἰταλικῆς Ἰταλικῆς ἐκίνησεν ὁ βασιλεύς κατὰ τὴν ἐδ' τοῦ Ἀθγόστου μηνός, Ἰνδικτιῶνος β', ἔχων κάτεργα μεγάλα δύο καὶ παρασκάμια β', καὶ ἡ θυγάτηρ κυρὰ Εὐδοκία. Καὶ ἀπῆλθαι μὲχρι Κερασσῶντος. Μανδᾶτον δὲ ἦλθεν ἐκ Τραπεζοῦντος, ὅτι ὁ Χλιατζιασθλάνης μέλλει καταβεῖν εἰς τὴν Τραπεζοῦντα. Ὁ δὲ βασιλεύς, ἀφείξ τὴν θυγατέραν ἐν Κερασσῶντι, ἦλθε σὺν τοῖς ἀρχουσιν ἐν Τραπεζοῦντι καὶ ἐγδονάμωσε τὸ κάστρον, καὶ διετάξατο τὴν χώραν. Περὶ δὲ τὰ τελευταῖα τοῦ Σεπτεμβρίου ἐκίνησε καὶ, λαβὼν τὴν θυγατέραν ἐν Κερασσῶντι, ἀπῆλθε μὲχρις Οἰναίου, καὶ εἰςμυχθεῖς τῷ

ინდიქტიონს, 6886 წელს, დაეღა მას სადედოფლო გვირგვინი და ეწოდა ევდოკია, პირველად კი გულქან-ხათუნი ერქვა. მეორე დღეს, კვირას, 6 სექტემბერს გაიმართა ქორწილი, რომელიც კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა. აკურთხა ისინი თეოდოსი ტრაპიზონელმა, ხოლო გვირგვინი დაადგა მამამ და მეფემ.

49. რომელი და მუსლიმანი ელჩების საშუალებით მეფესა და ტაჯ-ედინ-ჩელებს შორის ბევრი მოლაპარაკების შემდგომ მეფე ასულით, ქალბატონ ევდოკიათურთ¹, 14 აგვისტოს, მე-2 ინდიქტიონს, ორი დიდი კატარლით და ორი ნავით დაიძრა და ჩავედით კერასუნტამდე. მაგრამ ტრაპიზონიდან ამბავი მოვიდა, ყიზილ-არსლანს განზრახული აქვს ტრაპიზონს თავს დაესხასო. მეფემ გაგზავნა ასული კერასუნტში, თვით კი მთავრებითურთ ტრაპიზონში ჩავიდა, გაამაგრა ციხე და შეამზადა ქვეყანა. სექტემბრის ბოლოს წამოვიდა, წაიყვანა კერასუნტიდან ასული, მიაღწია ინეონამდე, შეხვდა იქ ჩელებს და შერთო მას თავისი ასული, ქალბატონი ევდოკია. ეს მოხდა 8 ოქტომბერს, მესამე

¹ როგორც ჩანს, ევდოკია რქმევია იოანე-ალექსი III-ის ასულს, რომელიც მეფეს მიუთხოვებია თურქი ამირასთვის, ტაჯ-ედინ-ჩელებისთვის.

Γζιαλαπη, συνέξευξεν αὐτῷ τὴν
 θυγατέραν αὐτοῦ, τὴν κυρὰν
 Εὐδοκίαν κατὰ τὴν ἡ' τοῦ Ὀκτωβρίου, ἰνδικτιῶνος γ', ἔτους
 ,ρωπη' (6888), ὅτε παρέλαβεν ὁ βασιλεὺς καὶ τὰ Λιμνία.

50. Μηνὶ Φεβρουαρίῳ ἐκίνη-
 σεν ὁ βασιλεὺς διὰ τε ξηρᾶς καὶ
 διὰ θαλάσσης κατὰ τῶν Ἰζαπνί-
 θων. Καὶ περὶ τὰς δ' τοῦ Μαρ-
 τίου μηνός, ἡμέρα α', ἰνδικτιῶ-
 νος γ', ἔτους ,ρωπη' (6888) ἐποίη-
 σεν τὸ φωσσᾶτον μερίθας β'.
 Ἰοὺς μὲν πεζοὺς ὥσει χ' ἔστειλεν
 ἀπὸ τὸ Πέτρωμαν· ὁ δὲ βασιλεὺς,
 παραλαβὼν τὸ καβαλλαρικὸν καὶ
 ἑτέρους πεζοὺς παμπόλλους, ἐπ-
 ἔρνιξεν¹ τοὺς ὄλον τὸν Φιλαβωνί-
 την ποταμὸν ἄνω ἕως εἰς τὰς
 χειμαθίδας, καὶ τὰς σκηνάς αὐτῶν
 ἐκούρτευσεν, ἐσκότισεν, ἔκασεν
 καὶ ἐλήϊσεν αὐτούς. Καὶ πολλὰ
 ἡμέτερα αἰχμάλωτα ἴλευσθῆρωσεν
 σμικλικὰ², καὶ ἐστράφη, καὶ ἐστά-
 θη μικρὸν εἰς τὸν Σθλαβοπιᾶσ-
 την. Οἱ δὲ χ' οἱ ἀπελθόντες ἀπὸ
 τὸ Πέτρωμαν ἐκούρσευσαν εἰς τὸ
 Κοτζαυτᾶ, καὶ ἐποίησαν σφαγὴν
 καὶ κοῦρσον καὶ πυρκαϊᾶν πολ-
 λήν. Καταβαίνοντες δὲ μετὰ πολ-
 λέμου, ὁσάκις ἐποιοῦν καὶ συμ-
 πλοκὴν μετὰ τῶν διωκόντων Τούρ-

ინდიქტიონს, 6888 წელს; მაშინ
 აიღო მეფემ ლიმიაც.

50. თებერვალში დაიძრა მე-
 ფე ხმელეთითა და ზღვით ჭაპნი-
 დების წინააღმდეგ. ოთხ მარტს,
 კვირას მესამე ინდიქტიონს,
 6888 წელს. ორ ნაწილად გა-
 ჰყო ჯარი. ქვეითნი, დაახლოე-
 ბით 600, პეტრომადან გაგზავ-
 ნა, ხოლო მეფემ კი წაიყვა-
 ნა ცხენოსნები და მთელი და-
 ნარჩენი ქვეითი ჯარი, აიარა
 მთელი მდინარე ფილავონიტი
 საზმთრო სადგომებამდე და
 მოაოხრა მათი სადგომები; და-
 ხოცა, დასწვა, მოიალაფა ისი-
 ნი. აგრეთვე მრავალი ჩვენი
 ტყვე დროულად განათავისუფ-
 ლა; მერე მობრუნდა და ცოტა
 ხანს სთლავოპიასტეში დადგა.
 პეტრომადან წამოსულმა 600-მა
 [მეომარმა] კი კოძაულტა ააოხრა
 და დიდი ხოცვა-ჟლეტა, ალა-
 ფობა და ხანძარიანობა მოახდი-
 ნა. უკანდახეულთ ომის შემდეგ
 ბევრჯერ მოუხდათ ხელჩართუ-
 ლი ბრძოლა დადევნებულ თურ-
 ქებთან და მრავალი თურქი მო-

¹ ხელნაწერსა და გამოცემებში არის **ἐπτέονιξε**, პავადოპულოს აზრით **ἐπτέο-
 νιξε** იგივეა რაც **ἐλάκτισε** („ტლინკებს ესროდა“); უნდა იყოს **ἐπέρονιξεν**, რადგან
περονιξω ნიშნავს „გადასვლას შესაძლებელს ვხდი“; საბუთად მოჰყავს ხალხური
 ლექსი პონტოდან.

² ხელნაწერსა და გამოცემებში სწერია **σμυλικά**, **σμυλικά** პავადოპულოსის
 კონიექტურით **σμικλικὰ**. სიტყვა **σμυλικά** არ არსებობს არც ბერძნულში, არც
 თურქულ-პონტურ დიალექტში. არის სოფელი **Σμικλή** მდინარე ხარსიოტის ნა-
 პირას. აქედან **Σμικλικὰ** „რაც სიმიკლის მცხოვრებთ შეეხება“.

κων, πολλοὶ ἐπιπτον ἐκ τῶν Τούρκων. Οἱ δὲ Ῥωμαῖοι, ἐλπίζοντας [εὔρειν] τὸν βασιλέα, εἰς τὸν αἰγιαλὸν ἰσχυρὰ πολεμοῦντες καὶ κτείνοντες ἤρχοντο. Περὶ δὲ τὸν αἰγιαλὸν τοῦ Σιλαβοπιιάστου γινόμενοι, ὡς οὐχ εὔρον τὸν βασιλέα, ὡς ἐσυνεφώνησαν, μικρὸν πρὸς τροπὴν βλέψαντες, ἔπεσον ὡσεὶ μὲν Ῥωμαῖοι. Οἱ δὲ πεσόντες Τούρκοι καὶ Τούρκισσαι καὶ Τουρκόπουλα ὑπὲρ τοῦς ῥ' ἤριθ-μήθησαν.

Μηνὶ Ἰουνίῳ ιθ', Ἰνδικτιῶνος ε', ἔτους ,σϞϞ' (6890) ὁ τοῦ βασιλέως κῆρ Ἀλέξιου σὺός, ὁ κῆρ Μανουήλ ἐγέννησεν σὺόν ἐκ τῆς ἐξ Ἰβήρων κυρᾶς Εὐδοκίας, ὃν καὶ βαπτίσας ὁ πάππος καὶ βασιλεὺς κῆρ Ἀλέξιος καὶ ἡ προμάμη καὶ δέσποινα κυρὰ Εἰρήνη καὶ ὁ μητροπολίτης Τραπεζοῦντος κῆρ Θεοδόσιος ἐκάλεσαν τοῦτον Βασιλεῖον κατὰ τὸν πρόπαππον.

მისი დიდი-პაპის სახელის მიხედვით.

51. Μηνὶ Ἰουνίῳ θ' ἤρχθη ἡ νόσος τῶν βουβώνων, ἔτους ,σϞϞ' (6890) Ἰνδικτιῶνος ε', καὶ ἐλυμήνατο ἐν Τραπεζοῦντι πολλοὺς μέχρι καὶ τοῦ Δεκεμβρίου καὶ τοῦ Γεναρίου μηνός. Ἐλυμήνατο δὲ καὶ τὴν Ματζούσκαν περὶ πολλοῦ καὶ τὴν Τρικωμίαν καὶ

იკლა. რომაელები კი იმედოვნებდნენ მეფის [შეხვედრას] და სასტიკად იბრძოდნენ, ხოცავდნენ და ზღვის ნაპირისაკენ მიიწევდნენ. როცა ზღვის ნაპირას სთლავოპიასტესთან გავიდნენ და ჯერ შეხვდნენ მეფეს, როგორც შეთანხმებული იყვნენ, ცოტა გაქცევისაკენ ქნეს პირი და 42 რომაელი მოკვდა. ხოლო დახოცილი თურქები, თურქი ქალები და ბავშვები კი 100-ზე მეტი დაითვლებოდა.

19 ივნისს მეხუთე ინდიქტიონს, 6890 წელს, მეფის ბატონ ალექსის ძეს, ბატონ მანუილს, იბერიელ ქალბატონ ევდოკიასაგან შეეძინა ვაჟიშვილი, რომელიც მონათლეს და პაპამ და მეფემ ბატონმა ალექსიმ, დიდი-დედამ და დედოფალმა ქალბატონმა ირინემ და მიტროპოლიტმა თეოდოსი ტრაპიზონელმა უწოდეს მას ბასილი ¹,

51. 9 ივლისს გაჩნდა საზარდულის სენი 6890 წელს, მე-5 ინდიქტიონს და დეკემბრამდე და იანვრამდე ტრაპიზონში ბევრი გაჟლიტა. მოაოხრა აგრეთვე ძალიან მაცუკა, ტრიკომია და სირმენის კუთხე ვიდრე დრიონამდე.

¹ დავითის ასულს ევდოკიას და ტრაპიზონის მეფის ალექსის ძეს, ბატონ მანუილს შესძენიათ 1382 წელს ვაჟი, რომლისთვისაც დაურქმევიათ სახელად ბ ა ს ი ლ ი (ეს არის მომავალი მეფე ბასილ-ალექსი IV).

52. Μηνὶ Ὀκτωβρίῳ κδ', ἡμέ-
ρα ι', ἰνδικτιῶνος ι' τοῦ ςωρε'
(6895) ἔτους κινήσας ὁ τοῦ βασι-
λέως γαμβρὸς ὁ ἐκ τῶν Διμνίων
ἀμηνᾶς ὁ Τατζιατίνης κατὰ τοῦ
ἐτέρου γαμβροῦ τοῦ βασιλέως,
υἱοῦ τοῦ ἐκ Χαλυβίας Χατζιμύ-
ρη, τοῦ λεγομένου Σουλαμάμπει,
ἔχων φωσσᾶτον χιλιάδας ιβ', καὶ
τῇ Χαλυβίῃ εἰσελθὼν, ἔπεσε πρῶ-
τος αὐτὸς ὁ Τατζιατίνης, καὶ
κρεουρηθῆεις ἐκεῖ τέθνηκεν. Οἱ
δὲ περὶ αὐτὸν ἐκτανθῆσαν ὡς γ',
οἱ δὲ λοιποὶ γυμνοὶ ἔφυγον, ἀπο-
βαλόμενοι ἵππους ς' καὶ ὄπλα
ἄπειρα.

53. Ἀμηνᾶς τις Τάταρις,
ἔχων καὶ χάνην, ὡς λέγουσιν, ὁ
δὲ Τάταρις Ταμουρλάγκης² ὦν τὸ
ὄνομα, ἐκ τῶν ὀρίων ἐξελθὼν
Χαταίας³, ἔχων, ὡς φασιν οἱ εἰδό-
τες, φωσσᾶτον ὑπὲρ τὰς ὀκτακο-
σίας χιλιάδας, ἦλθε καὶ παρέ-
λαβε τὴν πᾶσαν Περσίαν. Εἶτα,
εἰσελθὼν καὶ ἐν τοῖς ἀκρωρείοις
Ἰβήρων, παρέλυσε πολέμου νόμον
τὸ θναυμάσιον Τυφλίσιον⁴, ζαγρή-

52. 24 ოქტომბერს, მე-10
ინდიქტიონს, 6895 წელს, მე-
ფის სიძე ამირა ტაჯ-ედინი
ლიმნიიდან დაიდრა მეფის მე-
ორე სიძის, ხალიბიელ ხაჯი-
მირის ძის, სახელად სულეიმან-
ბეგის წინააღმდეგ¹. ჰყავდა 12
ათასი ჯარი, მაგრამ ხალიბიაში
რომ შევიდა, პირველად თვით
ტაჯ-ედინი ჩამოაგდეს და დაჩე-
ხილი იქვე მოკვდა. ხოლო მი-
სიანები დაიხოცა 3000-მდე. და-
ნარჩენებმა კი დაჰყარეს 7000
ცხენი, ურიცხვი იარაღი და შიშ-
ველნი გაიქცნენ.

53. როგორც ამბობენ, ვილა-
ცა თათარმა ამირამ, რომელსაც
ხანობაც ჰქონდა, სახელად კი
ერქვა თემურლენგი², ხატაეთის
საზღვრებიდან გამოილაშქრა.
ჰყავდა როგორც მნახველნი
ამბობენ, რვაასი ათასი ჯარი;
მოვიდა და დაიპყრო მთელი
სპარსეთი. მას შემდეგ შეიჭრა
იბერიის მთებშიაც, ომის კანო-
ნით ხელთ იგდო საოცარი თბი-

¹ როგორც ზემოთ იყო ნათქვამი (გვ. 208 შენ.) ტრაპიზონის მეფემ იოანე-ალექსი III-მ თავისი ასული ევდოკია მიათხოვა ამირას ტაჯ-ედინ-ჩელეებს. მეფეს ჰყოლია მეორე ასულიც, რომლის სახელი არ არის გადმოცემული. იგი ცოლად ჰყავდა ხალიბიის ამირის ძეს.

² თემურლენგის სახელი ბერძნულად გადმოცემულია **Ταμουρλάγκης** („ტამურ-ლანგ“), რაც თითქმის ზედმიწევნით შეესაბამება ევროპულ ენებში გავრცელებულ Tamerlan-ს.

³ Χαταία (ან Χαταία) – ასე ეწოდება „ჩინეთს“. შდრ. ქართული „ხატაეთი“.

⁴ ორ ადგილას იხსენიებს მიქელ პანარეტოსი „თბილისს“ და ორივეგან უწოდებს მას: Τυφλίσιον (თ. 48), Τυφλίσιον (თ. 53). ამ ქალაქის სახელი ჯერ კიდევ VI საუკუნეში გვხვდება თეოფანე ბიზანტიონელთან და იქ მას ეწოდება Τίφλις, რაც უფრო სწორია, ვიდრე Τυφλίσιον. ბერძნებს ხომ სჩვევიათ შეუფარდონ უცხო გეოგრაფიული სახელი რომელსამე თავიანთ სიტყვას: ასე მოხდა აქაც (დაუკავშირეს ბერძნულ სიტყვას ტიფლძ, რაც არაფერ შუაშია).

σας και τον βασιλέα Παγκράτιν τον στρατηγικώτατον και την όμόζυγον αύτου, την φυγατέραν του ήμετέρου βασιλέως, την ώραιοτάτην κυράν Ἄννην, και τον υϊόν αύτης Δαβίδ, τον δε λαόν έθυσσε μαχαίρα και άπώλεσεν. Ὅποσα δε πράγματα ειλε και θσας εικόνας έγδειρε και κατέκαυσε, και λίθους τιμίους και μαργαριτάρια και χρυσόν και άργυρον άπεφέρετο ού δύναται τις γραφή παραδοῦναι, μηνί Νοεμβρίῳ κα', έτους 'σωδε' (6895).

54. Ἐκοιμήθη ὁ βασιλεὺς κ̅ϛρ Ἀλέξιος ὁ μέγας Κομνηνός, ὁ υἱὸς τοῦ κ̅ϛρ Βασιλείου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ ὁ δεύτερος, μηνὶ Μαρτίῳ κ', ἡμέρᾳ Κυριακῇ τῆς ε' ἐπισημᾶτος, ὥρα δευτέρᾳ τῆς ἡμέρας. Ἐκασίλευσε δὲ ἔτη μ' και μηνᾶς γ', ἑτῶν ὦν να', ἔτους 'σωδε' (6898).

Μηνὶ Μαρτίῳ ε' τοῦ 'σθκ' (6920) ἔτους ἐκοιμήθη ὁ βασιλεὺς κ̅ϛρ Μανουήλ ὁ μέγας Κομ-

ლისი: ტყვედ ჩაიგდო გამოჩენილი სარდალი ბაგრატ მეფე და მისი მეუღლე, ჩვენი ხელმწიფის ასული მშვენიერი ქალბატონი ანნა ¹, აგრეთვე მისი (ე. ი. ანნას) ძე – დავითი. ხალხი კი გაჟლიტა მახვილით და გაანადგურა. რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გამარცვა და დასწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს, [ეს მოხდა] 21 ნოემბერს, 6895 წელს.

54. გარდაიცვალა მეფე ბატონი ალექსი, დიდი კომნენოსი, დიდი კომნენოსის ბატონი ბასილის მეორე ძე ², 20 მარტს, (დიდ მარხვის) მე-5 კვირის კვირა დღეს, დღის მეორე საათზე, ხოლო იმეფა 40 წელი და 3 თვე, 51 წლისა; 6898 წელს.

5 მარტს, 6920 წელს, გარდაიცვალა მეფე ბატონი მანუილი, დიდი კომნენოსი და დაიკრ-

¹ ბაგრატ V-ისა და ანნას შესახებ იხ. ზემოთ გვ. 202 და გვ. 205. რომ იგი შეიპყრა თემურლენგმა. ამის შესახებ წერს ბერი ეგნატაშვილი: «და შეიპყრა მეფე ბაგრატ და ყოველივე მყოფი ციხესა მას შინა [ტფილისისასა], და თვთ დაიპყრა ციხე და ტყუე-ყო მ ე ვ ე ბ ა გ რ ა ტ. ხოლო დაჰპატიჟა ლანგ-თემურ რჯული მაჰმადისა, ხოლო მეფემან არა უსმინა, და ჰყვა პატიმრად» (ქართლის ცხოვრება II, 1959, გვ. 328, 17 – 19). ხოლო „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მეორე ტექსტში კვითხულობთ: «მაშინ შეიპყრეს თვთ მეფე ბაგრატ და დ ე ლ ო ვ ა ლ ი ა ნ ნ ა» (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 450,24).

² მეფე იოანე-ალექსი III გარდაიცვალა 6898 (ე. ი. 1390) წელს, რაც დასტურდება სხვა წყაროებითაც. იგი იყო ბასილ მეფის მეორე ძე (მართლაც, ბასილის ერთი ძე იყო კალოიანე).

γηνός, και ἐτάφη εἰς τὴν Θεοσκε-
παστον. Ἐβασίλευσε δὲ ἔτη κζ'.

Μηνὶ Ματίῳ β', ἔτους ςαγ'
(6903) ἐκοιμήθη ἡ δέσποινα κυρὰ
Εὐδοκία ἡ οὖσα ἐξ Ἰβήρων, μή-
τηρ δὲ τοῦ βασιλέως κυροῦ Ἀλε-
ξίου.

55. Μηνὶ Σεπτεμβρίῳ, ἰνδικ-
τιῶνος δ', ἔτους ςαδ' (6904) εἰς
τὰς ιδ', ἡμέρᾳ Σαββάτῳ ἦλθεν
ἀπὸ Κωνσταντινουπόλεως εἰς τὸν
Ἅγιον Φωκᾶν ἡ δέσποινα κυρὰ
Εὐδοκία ἡ μεγάλη Κομνηνὴ μετὰ
κατέργου και ἐνὸς γρυπαρίας.
Εἶχε δὲ και νύμφας εἰς μὲν τὸν
αὐτᾶδελφον αὐτῆς, τὸν βασιλέα
κῦρ Μανουήλ, χῆρον ὄντα, τὴν
θυγατέρα τοῦ Φιλανθρωπηνοῦ
κυρὰν Ἄννην, εἰς δὲ τὸν ἀνεψιὸν
αὐτῆς, τὸν βασιλέα κῦρ Ἀλέξιον,
τὴν θυγατέραν τοῦ Καντακουζην-
οῦ κυρὰν Θεοδώραν. Καὶ τῇ
ἐπαύριον Κυριακῇ βροχῆς οὖσης,
εἰσηλθὼν εἰς Τραπεζοῦντα. Γέγο-
νε δὲ και πρέσβυς εἰς ταῦτα ὁ
μέγας δοῦξ ὁ ἀμυριάλης ὁ Σχο-
λάρης.

56. Τῷ δὲ ςαε' (6935) ἔτει
τῆς ε' ἰνδικτιῶνος, τῇ ιβ' τοῦ
Νοεμβρίου, ἡμέρᾳ β', ὥρα γ' τῆς
νυκτὸς ἐκοιμήθη και ἡ δέσποινα,

ძალა თეოსკეპასტოსში, ხოლო
იმეფა 27 წელი¹.

2 მაისს, 6903 წელს, გარ-
დაიცვალა დედოფალი, ქალბა-
ტონი ევდოკია, მეფე ბატონ
ალექსის დედა, რომელიც იბე-
რიიდან იყო მოყვანილი.

55. 14 სექტემბერს, მეორე
ინდიქტიონს, 6904 წელს, შა-
ბათ დღეს, კონსტანტინეპოლი-
დან წმინდა ფოკაში მოვიდა დე-
დოფალი ქალბატონი ევდოკია,
დიდი კომნენოსი, კატარლით და
ერთი ნავით. თან მოიყვანა სა-
ცოლოები თავისი ქვრივი ძმის,
მეფის ბატონ მანუილისათვის
ფილანთროპენოსის ასული ქალ-
ბატონი ანნა, ხოლო თავისი
ძმისწულის, ბატონ მეფის ალექ-
სისათვის – კანტაკუზენოსის ასუ-
ლი ქალბატონი თეოდორა; და
მეორე დღეს, კვირას, წვიმაში
შემოვიდა ტრაპიზონში. ამ საქ-
მეში კი მოციქულად იყო დი-
დი დუქსი ამირალი სხოლა-
რისი.

56. 6935 წელს, მე-5 ინდიქ-
ტიონს, 12 ნოემბერს, ორშა-
ბათს, ღამის 3 საათზე გარ-
დაიცვალა აგრეთვე დედოფა-

¹ მანუილ III-მ, რომელიც გარდაიცვალა 6920 (ე. ი. 1412) წელს იმეფა არა 27 წელი, არამედ 22 წელი (1390 – 1412), მისი ცოლი კი, ევდოკია «რომელიც იბერიიდან იყო მოყვანილი» (იხ. ზემოთ გვ. 207 შენიშვნა) გარდაცვლილა იმაზე ადრე, 6903 (ე. ი. 1395) წელს. მანუილს ჰყავდა და ევდოკია, თურქ ამირაზე გათხოვილი (იხ. ზემოთ გვ. 298, შენ. 1); მას, როგორც 55. თავიდან ჩანს, დაქვრივე-ბული ძმისათვის ჩამოუყვანია, მისი დაქვრივების მეორე წელსვე (1396 წელს), საცოლედ ფილანთროპენოსის ასული ანნა.

ἡ κυρὰ Θεοδώρα Καντακουζηνή
ἡ μεγάλη Κομνηνή, ἡ ὀμόζυγος
τοῦ αὐτοῦ βασιλέως κνρ Ἀλεξίου,
καὶ ἔτάφη ἐν τῷ πανσέπτῳ ναῶ
τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου τῆς Χρυ-
σουκεφάλου, ἐν τῷ κοιμητηρίῳ τοῦ
Γένωνος, εἰς τὸ παράβημα.

57. Ἐν δὲ αὐτῷ ἔται, μηνὶ
Νοεμβρίου ἦλθε καὶ ἀπὸ Γοτθίας
ἡ βασίλισσα κυρὰ Μαρία, ἡ τοῦ
κνρ Ἀλεξίου ἐκ τῶν Θεοδώρων
μισγάτηρ, καὶ ἐβλογήθη μετὰ
ἐμπροσθεν θεσπότου, τοῦ ἀνδρὸς
αὐτῆς κνρ Δαβὶδ τοῦ μεγάλου
Κομνηνοῦ.

ლი, ქალბატონი თეოდორა კან-
ტაკუზენე, დიდი კომნენე, ჩვე-
ნი ხელმწიფის, ბატონ ალექ-
სის მეუღლე; და დაიკრძალა
პატივით ყოვლად წმიდა ღვთის-
მშობლის წმიდა ხრისოკეფა-
ლოსის ტაძარში, გიდონის გან-
სასვენებელში.

57. იმავე წელს, ნოემბერში
გოთიიდან მოვიდა დედოფალი
ქალბატონი მარიაში, თეოდორე-
ლი ბატონის ალექსის ასული,
და სიხარულით მიიღო ღვთის-
მომიშმა დესპოტმა, მისმა მეუღ-
ლემ, ბატონმა დავითმა, დიდმა
კომნენოსმა.

მიქელ პანარეტოსის „ქრონიკის“ ენის თავისებურებანი

მიქელ პანარეტოსის ენის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სტატია არსებობს: 1) სიტყვის შესახებ τζέργა გამოქვეყნებული აქვთ წერი-
ლები სპ. ლ ა მ ბ რ ო ს ს (Νέος Ἑλλ. 14, 399 – 400), ო. ლ ა მ ფ ს ო-
დ ე ს ს (Ποντιακά Φύλλα 1, № 9 – 10) და ბერძნული ტექსტის
გამომცემელს ო. პ ა მ ბ უ კ ე ს ს (Χρονικά τοῦ Πόντου 1, 72 – 75);
2) ზოგადი დახასიათება პანარეტოსის ენისა (იმის აღნიშვნით,
რომ ამ ენაში პონტოს დიალექტის ფორმები გვხვდება) მოიპო-
ვება ო. ლამფსიდესის შრომაში (Ἀρχεῖον Πόντου 19 [1954],
37 – 60).

ქვემოთ ჩვენ წარმოვუდგენთ მკითხველს ჩვენს დაკვირვებებს
მიქელ პანარეტოსის ენის შესახებ (1. ლექსიკა, 2. ფონეტიკა, 3. მორ-
ფოლოგია); ეს დაკვირვებები ეხება პანარეტოსის ენის მხოლოდ
რამდენიმე საკითხს. სრული ენობრივი მიმოხილვა „ტრაპიზო-
ნის ქრონიკის“ ტექსტისა მომავალი კვლევა-ძიების საგანი უნდა
გახდეს.

1. ლექსიკა. არის მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც ძველ ბერძნულში ან სრულიად არ გვხვდება, რადგან ისინი ბიზანტიურ პერიოდშია შემოსული ან ლათინურიდან ან აღმოსავლური ენებიდან, ან გვხვდება განსხვავებული მნიშვნელობით. ქვემოთ ვეხებით მხოლოდ ზოგიერთ ამათგანს.

Ἄλαγιν „სამეფო გვარდია“. ამ სიტყვის შესახებ დაწვრილებით არის საუბარი ზემოთ, გვ. 277 – 278.

Ἀμυράλις თანამდებობის პირი. ამ სიტყვის ვარიანტად ასახელებენ ἄμυραλιος -ს. გვხვდება მიქელ პანარეტოსთან და გ. მორავიკის¹ აზრით ეს წოდება ტრაპიზონის სამეფოში იყო გავრცელებული; სიტყვა მომდინარეობს არაბულ-თურქული სიტყვისაგან ἄμυράς (ἀμυράς, ἄμυρα, ἄμυρα, ἄμυρα, ἄμυρα, ἄμυρα. ხომ არ არის ამასთან კავშირში ქართული „ამირზარ“². რამდენადაც ნათელი არ არის მიქელ პანარეტოსის ტექსტით, თუ რა ფუქციები ჰქონდა ამ თანამდებობის პირს, ჩვენ ვტოვებთ ბერძნულ სიტყვას უთარგმნელად (იხ. გვ. 213, თავი 55).

Ἀπιδειπνον, το – „სალამოს ლოცვა“, გვ. 194, თავი 27. იხ. იქვე შენიშვნა 1.

Ἀρματάνα – „ვაიარალებ“, „აღჭურავ“ (გვ. 189, თავი 18). მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან armatus და უდრის ბერძნულს ὀπλιζα („ვაიარალებ“).

Βάλακα – „ნავი“ (გვ. 189). ამ სახით არ არის დადასტურებული არც ერთ ლექსიკონში. ალბათ, უნდა ყოფილიყო βάρκα, (გამოთქმით „ვარკა“); მომდინარეობს გვიან-ლათინური სიტყვისაგან barca („ნავი“), რომელიც თავისი მხრით უკავშირდება ეგვიპტურ სიტყვას βάρικ („პატარა ნავი“). იხ. G e o r g e s, Lat.-d Wörterbuch 1913, Sp. 790.

Βαρκίς იგივეა რაც βάρκα („ნავი“); გვ. 185.

Βαρκόπουλον, τό (βαρκόπουλα ἰκανά „ნავები საკმაო რაოდენობით“ გვ. 185). არც ერთ ლექსიკონში არ მოიპოვება. დიმიტრაკის ლექსიკონში არის: «βαρκούλα (ხალხ.), βαρκίτσα, βαρκάσι – კნინობითი ფორმა სიტყვისა βάρκα, ე. ი. პატარა ნავი».

Γαστήρ. ამ სიტყვის მნიშვნელობაა: 1) მუცელი, 2) კუჭი; 3) დედის საშო. მიქელ პანარეტოსთან ვკითხულობთ: ალექსი III-ს (1350 – 1390) შეეძინა ვაჟი ანდრონიკე, ხოლო არა დედოფლისაგან, არამედ სხვა ქალისაგან (ἐξ ἄλλης γαστρὸς καὶ οὐκ ἀπὸ τῆς

¹ G. Moravcsik, Byzantinoturcica II, 1958, 68.

² იხ. ავ. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, 1966, გვ. 176 – 179.

δεσποίνης). აქ γαστρὸς უთუოდ უნდა გავიგოთ არა „სხვა მუცლი-დან“, არამედ „სხვა ქალისაგან“ (გვ. 191, თავი 20).

Γρυσπαρίας (გვ. 213, თავი 55). ხელნაწერში სწერია γρίπαρίας, ხოლო ზოგიერთი გამომცემელი წერს: γρυσπαρίας, რადგან, ალბათ, ჰგულისხმობს, რომ ეს უკავშირდება სიტყვას γρυσპრὸς („მოღუნული“, „კეხიანი“) და რომ მთელი სიტყვა უნდა იყოს „მოღუნული ნავი“. გარდა ამისა გამოუცნობია, თუ რატომ სწერია ἐνὸς γρίπαρίας და არა μιάς γρ.. ἐνὸς მოწმობს, რომ საქმე გვაქვს ნათესაობით ბრუნვასთან; მაშასადამე, γρυσπαρίας აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვა უნდა იყოს (სიტყვისაგან γρυσπαρίας); უკანასკნელ შემთხვევაში კი მას, როგორც მდებრობითი სქესის სიტყვას ეკუთვნის μιάς, როგორც ფიქრობდა სპ. ლამბროსი.

Δέσποινᾶ – χαιτὸς – „ქალბატონ-ხათუნი“. აქ ჰენდიადის-თან უნდა გვკონდეს საქმე: ბერძნული δέσποινα და თურქული „ხათუნი“ (გვ. 193, 201).

Δοκᾶίνᾶ – დისწ-ის მეუღლის აღმნიშვნელი მდებრობითი სქესის სიტყვა.

Ἐπικέρυις იხ. გვ. 183 შენ.

Καβαλλᾶρικὸς, καβαλλᾶρις – „მხედრული“, „მხედარი“, ლათინური სიტყვისაგან caballus („ცხენი“); გვ. 204.

Καπετᾶνος (გვ. 198, თავი 32: „კატაზანი“), ეს სიტყვა ბერძნულ-ბიზანტიურ ტექსტებში, უმეტეს შემთხვევაში, წარმოდგენილია ფორმით κατεπᾶνω და ლექსიკოგრაფების მიერაც გაგებულია როგორც ბერძნული სიტყვა ακατ-επᾶνω („ზემოთ“, „ზედ-მდეგად“, ინგლ. over, იხ. S o p h o c l e s. s. v.). თუ რა შინაარსი იღვა ამ სიტყვაში, ამას გვიმარტავს კონსტანტინე პორფიროგენეტი: ἰστέον ὅτι μαστρομίλης ἐρμηνεύεται τῆ Ῥωμαίων διαλέκτῃ «κατεπᾶνω τὸν στρατὸν (De adm. E. 27, „საცოდნელია, რომ mastromilis [ალბათ, magister militum] რომაული დიალექტით გადმოითარგმნება «ჯარის მეთაურად». აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ჩვენს ტექსტში ნახმარი capitanus გაგებული უნდა იქნეს როგორც ლათინური capitanus (სიტყვისაგან caput „თავი“). იქნებ პარალელისათვის გამოდგეს ერთ-ერთ წყაროში (Hist.Turc.) ნახმარი καπετᾶν πσᾶς („კაპეტან ფაშა“), რაც ნიშნავს „ადმირალს“ (მ ო რ ა ვ ზ ი კ ი, ტ. II, გვ. 150).

Κάτεργος, τος („კატარდა“, გვ. 181 და ხშირად). ძველს ბერძნულში κάτεργος ნიშნავს „დამუშავებულს“. ბიბლიაში ის გადმოცემულია როგორც „საქმარი“ («და მისცე იგი ს ა ქ მ ა რ ა დ [εἰς

τό κάτεργον] კარავსა მას საწამებელისასა»: გამოსლვ. 30,16). უკვე კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X საუკ.) ის ნიშნავს „ამწევი მანქანა“, „ზაგირი“ (ნავების მისაზმელი).

Κ ο υ κ ο υ (τό κούκου, სახელობითი შეიძლება იყოს κούκον და κούκοϛ. სხვაგან ეს სიტყვა არსად არ არის ჯერჯერობით დადასტურებული: თ. უსპენსკი ფიქრობს, რომ აქ უნდა ყოფილიყო τού κουλა „ციხე-სიმაგრე“ (თ. უსპენსკი, გვ. 108). სხვა მკვლევარებმა ზოგადი ვარაუდით გაიგეს κούκου როგორც „გასასვლელი“ „προχοιά“, „Pass-Kastell“.

Κ ο υ λ ά ς, ὁ სამჯერ გვხვდება მიქელ პანარეტოსთან: მაგ., μέχρι τού κουλა (გვ. 199, თ. 34: „ციხე-დარბაზამდე“). ბერძნულში არაბულ-თურქულიდან (qale „კოშკი“) არის შემოსული. იხ. მ ო რ ა ვ - ჩ ი კ ი II, 166. დიმიტრაკის განმარტებით „პატარა ციხე“.

Κ ο υ ρ σ ε ὺ α („ვარბევ“, „მოვაობრებ“: გვ. 179, 191, 193, 209) მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან cursus („შეტევა“, „იერიში“).

Κ ο υ ρ σ ο ν, το „ალაფობა“ (გვ. 209), შემოსულია ლათინურიდან (cursus); διά τό κούρσον „თავდასხმის გამო“. გვ. 203). იხ. κούρσενა.

Λ α τ ι ν ὀ φ ρ ο ν, τὸ „ლათინთმომხრობა“ (გვ. 170, თავი 5). სხვა ბიზანტიურ ძეგლებში ეს სიტყვა არა ჩანს. დიმიტრაკის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია, მაგრამ არც ერთი ძეგლი არაა დამოწმებული.

Μ α ἰ ἄ ν ι ν, τὸ „მოედანი“ გვ. (200). სპარსულ-არაბულ-თურქული maidan.

Ξ υ λ ἄ ρ ι ο ν, τὸ „ნავი“ (გვ. 205. თავი 44), თავისი წარმოებით ეს სიტყვა ნიშნავს „პატარა ξύλον-ს ხოლო ξύλον არის „შემა“ და ბიზანტიურ ტექსტებში აგრეთვე „ნავი“ (πλίον). თვით სიტყვა ξυλάριον გვხვდება ბიბლიაში (3 მეფეთა 17,11), სადაც ქართულ თარგმანში ξυλάριον-ს უდრის „მცირე შემა“ («და აჰა მე შევკრებ მცირესა შემასა»).

Ὅ σ π ἰ τ ι ο ν, τὸ „სასახლე“ (გვ. 187: εἰς τὰ τὰν ἀρόντων ὀσπίτια «მთავართა ს ა ს ა ხ ლ ე ე ბ შ ი») მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან hispitium („სასტუმრო ბინა“), სოფოკლესისა და დიმიტრაკის განმარტებით ὀσπίτιον არის უმთავრესად „ღარიბული სახლი“ (poor-house, πτωχική οἰκία); მიქელ პანარეტოსთან, პირიქით, ის აღნიშნავს „მთავართა სასახლეს“.

Π α ν ὀ σ κ λ α „განმანადგურებელი სენი“ (გვ. 056). დიმიტრაკის განმარტებით ეს არის νόσος πανάλης „სენი სრულიად მომსპობი“. გვხვდება საშუალო საუკუნეების ხალხურ ენაში (დიმოტიკი).

Π α ρ α σ κ α λ μ ι ο ν, τ ὸ „ნავი“ (გვ. 203, 208). ამ სახით ლექსიკონებში დადასტურებული არაა. ძველს ბერძნულში გვხვდება (ესქილესთან, ევრიპიდესთან და სხვ.) σκαλμός „ნიჩბის დასამაგრებელი ქალი“. 203 გვერდზე ეს სიტყვა გვხვდება ასეთ კონტექსტში: ἐπίοισαν τὰ ἀζάπικα παρασκάμια „[თავდასხმა] მოახდინეს მეკობრეებმა“ (ალ. გამყრელიძის თარგმანი; ა, ხახანაშვილი თარგმნის: грабежа, учиненного в о л ъ н ы м и г р е б ц а м и). სიტყვა ἀζάπικα (ან ἀζάπιδες) მომდინარეობს არაბულ-თურქულიდან ‘azab, ‘azap „თავისუფალი“, თუმცა ქართულში ამ მნიშვნელობით იხმარება „აზატი“. მნიშვნელობით ამას უნათესავენ გ. მორავჩიკი (II, 56 და II, 111) სიტყვას XXX.

Π ε ρ ν ἶ ζ ὶ ο ἰ β. ზემოთ გვ. 209, შენ. 1.

Π ι κ ἔ ρ ν ι ε „მეღვინეთუხუცესი“. იხ. ზემოთ გვ. 183, შენ.

Π ο τ ε σ τ ἄ τ η ς „მოურავი“, ლათინური სიტყვისაგან potestas. იხ. ზემოთ გვ. 198, შენ. 3.

Π ρ ο μ ἄ μ η, ἡ „დიდი-დედა“, „დიდი-დიდედა“ (გვ. 210), proavia; გვხვდება გვიან-ბერძნულში.

Π ρ ο π α π ο ς, ὸ დიდი პაპა (გვ. 210).

Ῥ ω μ α ἰ κ ὸ ς, Ῥ ω μ α ἰ ο ἰ. ამ სიტყვით მიქელ პანარეტოსი ყოველთვის აღნიშნავს „ბიზანტიურსა“ და „ბიზანტიელს“ განსხვავებით „ტრაპიზონელისაგან“ (გვ. 207).

Σ ι μ ι κ λ ι κ ἄ (გვ. 209, თავი 50). იხ. ზემოთ გვ. 209, შენი-შენა 2.

Τ ἔ ν τ α, ἡ „კარავი“ (გვ. 205), ბიზანტიურ ბერძნულში იხმარება ძველბერძნული σκηνή-ს მნიშვნელობით. ზოგჯერ სწერენ ხოლმე τένδα, რაც ფონეტიკურად მართებულია.

Τ ζ ε ρ γ ἄ („კარავი“, გვ. 173), შეთვისებულია თურქულიდან çerge („კარავი“, „ბოშათა კარავი“, Zelt, Holzbaracke). სოფოკლესის ლექსიკონით: τζεργά bath („აბანო“). მართლაც კონსტანტინე პორფიროგენეტს აქვს ასეთი განმარტება: λουτρόν Τουρκικόν, ἡγούσιν Σκυθικόν τζεργά „თურქულად აბანო ანუ სკვითურად τζεργά“. იხ. მორავჩიკი II, 312.

Φ ω σ σ ἄ τ ο ν, τ ὸ „ჯარი“ (გვ. 180, 192, 193, 209, 210) ლათინური სიტყვისაგან fossa („თხრილი“, „ორმო“, „ფოსო“, „კალაპოტი მდინარისა“), fosso || fossatum („თხრილი“) ბიზანტიურ-ბერძნულში იგი სამი მნიშვნელობით იხმარება: „ბანაკი“ (=στρατόπεδον), „ჯარი“ (=στρατός) და „თხრილი“ (= τάφρος).

X ρ ο σ „წელიწადი“ (გვ. 166, 183, 186, 205). ძველს ბერძნულში უპირატესად (თითქმის მხოლოდ-და-მხოლოდ) ნიშნავს „დროს“, ხოლო გვიანბერძნულში, ბიზანტიურ-ბერძნულში და ახალ ბერძნულში ის აღნიშნავს „წელიწადს“ („დროსთვის“ იხმარება καιρός). მიქელ პანარეტოსთან, ამიტომ, χρὸς ნიშნავს „წელიწადს“, თუმცა „წელიწადის“ მნიშვნელობისათვის მისთვის ცხო-ბილია აგრეთვე: 1) ἔνιαυτός (გვ. 169, 197) და 2) εἶτος (ძალიან ხშირად).

Ἔ ρ α ἰ ο ν „ბელელი“ (გვ. 173, 178). იხ. ზემოთ გვ. 173, შენ. 3.

2. ფონეტიკა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მიქელ პანარეტოსის ენა ატარებს ყველა იმ თვისებას, რომლებიც ახასიათებს, განსხვავებით ძველი ბერძნულისაგან, ბიზანტიური პერიოდის ბერძნულ ენას. ჩვენს მიზანს არ შეადგენს პანარეტოსის ენის ყველა ფონეტიკური თავისებურების აღწერა. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მოვლენას, რომელთა მიხედვით ნათელი იქნება, რომ, მართალია, ჩვენი ავტორი, სხვა ბიზანტიელ მწერალთა მსგავსად, იცავს ბერძნული ენის კლასიკურ ნორმებს, მაგრამ მისი ეპოქის ენობრივი თავისებურებებიც იჩენს ხოლმე თავს.

თანხმოვანი ბეტა (β). ცნობილია, რომ „ბეტა“ ბიზანტიურ პერიოდში ვინს უდრის გამოთქმაში: βασίλευς (ვასილევს), Ἰβήρια (ივირია), როდესაც რომელიმე ისეთი უცხო სახელის გადმოცემა სჭირდება ბიზანტიელს, რომელშიც ბგერა „ბ“ გვხვდება, ის ორ ხერხს მიმართავს ამის გადმოსაცემად: 1) ხმარობს π-ს, ან 2) კომპლექსს μπ. ამ ორივე ხერხის ნიმუშები გვაქვს მიქელ პანარეტოსის „ქრონიკაში“:

π = ბ

- 1) τὴν θυγατέρα τοῦ Πεκᾶί „ბექას ასული“ (გვ. 172).
- 2) τὸν Ἀχπουγᾶν „აღბულა“ (გვ. 173).
- 3) Ἀἶνα-π-ἔης (Ἀἶνα-π-აკ) καὶ ἀπὸ τὸ Παῖπερτ ὁ Μαχμάτ (წინამძღოლობდნენ) აინაბეგი და ბაიბურთელი მაჰმადი (გვ. 184).
- 4) ἀπὸ τοῦ Παῖπερτίου κεφαλῆ ბაიბურთის გამგებელმა (გვ. 195).
- 5) Παγκρατίψ τῆ Παγκρατιανψ ბაგრატ ბაგრატიონს (გვ. 202).

μπ = ბ

- 1) τὸν μέγαν δομέστικον τὸν Τζαμπα ν დიდი დომესტიკოსი ჯ ა ბ ა (გვ. 175).

თანხმოვანი დელტა (δ), „დ“-ბგერამაც ბერძნულში განიცადა ცვლილება: მან დაჰკარგა თავისი მჟღერობა („დ“) და გადაიქცა სპირანტად (th-ინგ.). ხოლო როდესაც საჭიროება მოითხოვდა უცხო ენათა მჟღერი დონი ყოფილიყო გამოხატული, ისევე, როგორც ბეტას შემთხვევაში, აქაც ორი ხერხი არსებობდა: 1) τ ან 2) კომპლექსი ντ

ντ = დ

1) κύρ Μανουήλ ἐκ τῆς ἐξ Ἰβηρίας Ρ ο υ σ α-ν τ-α ν α ς მანუილის ასულისა, რომელიც იერიიდან მოყვანილ რუსუდანთან ეყოლა (გვ. 171).

τ = დ

1) ὁ ἀπό τού Παῖπερτίου κεφαλῆ. ბაიბერდის გამგებელი (გვ. 185). როდესაც ძველბერძნულში δ გამოხატავდა მჟღერ ბგერას, მაშინ ამ ციხის სახელი ბერძნულად იწერებოდა τὸ Βαῖπερδών (Proc. De aed. III, 4,10: ψκοδομησατο τὸ τε Βαῖπερδών καλοῦμενον καὶ τὸ Ἀρεων „აშენა ციხეები ბაიბერდი და არეონი“. იხ. Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, СПб 1908, გვ. 60, შენ. 1).

თანხმოვნები გამმა და კაპპა. ზემოთ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ π და τ ასოების მეშვეობით გადმოცემულია სათანადო მჟღერი ბგერები (ზ და დ). ასევეა ეს ორთოგრაფიული კანონზომიერება დაცული კაპპას (κ) მიმართ: იგი არის გამოყენებული მჟღერი განის გადმოსაცემად. ეს იმით არის გამოწვეული, რომ განის გამოსახატავად γ რომ დაეწერა, ის წაიკითხვოდა, რიგ შემთხვევებში როგორც ლ (მაგალითად, Ἀχπουγὰ „აღბულა“ (გვ. 207) ¹.

κ = γ

1) ἐκλήθη Εὐδοκία Κ ο υ λ κ ἄ ν – χατούμ γάρ πρότερον ἄνομά ζετο ეწოდა ევდოკია, პირველად კი გ უ ლ ქ ა ნ-ხათუნი ერქვა (გვ. 208). მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „გურეილის“ სახელი ავტორმა დაწერა Γ ο υ ρ ἔ λ η (და არა Κουρέλη).

¹ საკუთრივ ბერძნულ ონომასტიკონში γ (კომპლექსში γα, γο) გამოითქმის ღ: Γ ὄ λ α χ α ν (გვ. 196), γαλατάν (გვ. 197).

2) გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სიტყვაზე Κορδύλη. ტექსტში სწერია: ἀνέκτισεν τὸν ἐν τῇ Κορδύλῃ ναὸν τοῦ ἁγίου Φωκά აღადგინა წმინდა ფოკას ტაძარი კ ო რ დ ი ლ ე შ ი (გვ. 196, თავი 30) რა არის აქ გადმოცემული კაპპით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს დაბა იხსენიება, მაგალითად, პლინიუსთან და მას იქ ჰქვია Chordule (იხ. Pape, Eig. 695); იხსენიება პტოლემეს გეოგრაფიაში (V, 6, 11) ვარიანტით Κορδύλη (იხ. ალ. გამყრელიძე გვ. 77), ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ სიტყვაში Κορδύλη კაპპით გადმოცემული არაა მკვეთრი ხშული კ.

3. **მორფოლოგია.** ზ მ ნ ა. აქ პირველ რიგში გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ἡλθον-ზმნის თავისებურ უღვლილებაზე. ზმნას ἡλθον აქვს მეორე აორისტი, ხოლო გვიან საუკუნეებში მას უვითარდება პირველი აორისტის (ἐποίησα) გავლენით მისი ბოლოკიდურები:

I	II
ἡλθα	ἡλθον
ἡλθας	ἡλθες
ἡλθε	ἡλθε
ἡλθαμεν	ἡλθομεν
ἡλθατε	ἡλθετε
ἡλθασι(ν)	ἡλθον

ასეთი შეჭრა პირველი აორისტისა მეორე აორისტის მქონე ზმნებში შეინიშნება სხვა ზმნების მიმართაც (εἶπα, ἦνεγκα და სხვ.)¹.

მიქელ პანარეტოსის „ქრონიკაში“ გვაქვს შემდეგი შემთხვევები:

ἡλθαμεν (199), ἀπῆλθαμεν (188, 198, 205), ἡλθασιν (181), ἡλθαν (184, 185, 189), ἀπῆλθαν (182, 185).

მაგრამ უფრო ხშირია: ἡλθομεν, ἀπῆλθομεν (191, 196) და სხვ.

ორმაგი აუგმენტის ზნა. ორმაგი აუგმენტის ხმარება რთულ ზმნებში დადასტურებულია ჯერ კიდევ ახალი აღთქმის წიგნებში: მრ. 3,5 ἀπ-ε-κατ-ε-στάθη ἢ χεῖρ αὐτοῦ «კუალად მოეგო კელი მისი». ხოლო ბიზანტიურ-ბერძნულში ასეთი შემთხვევა ხშირია².

¹ K. Dieterich, Untersuchungen zur Geschichte der griechischen Sprache. Lp. 1898, გვ. 237 – 238.

² K. Dieterich. Untersuchungen 213; G. Hatzidakis, Einleitung in die neugriechische Grammatik. Lp. 1892, გვ. 65 – 66.

მიქელ პანარეტოსის შრომაში ვკითხულობთ: ἄς ἐ-συν-ε-φάνησαν «როგორც შეთანხმებული იყვნენ» (გვ. 210, თავი 50).

ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა შ ი შეინიშნება შემდეგი თავისებურებები:

1) -ιον სიტყვებში რედუქციული ფორმა (-iv):

ა) τὸ σκαμνιν (გვ. 171; ← σκάμνιον. იხ. ზემოთ 171, შენ. 1).

ბ) πρὸς τὸ καλοκαίριον (გვ. 197, 206; ← καλοκαίριον).

2) -ιος სიტყვებში რედუქციული ფორმა (-ic):

ა) ὁ Σχολάρις (გვ. 199; ← Σχολάριος)

ბ) ὁ πρωτονοτάρις (გვ. 198; ← πρωτονοτάριος).

